



# ჩვენს მწერს

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

9 აგვისტო 2013

№16 (198)

აბსურდი ქართულად  
 თამაზ ბარჯაძის ლექსები  
 ლევან ვასაძის მოთხრობა  
 თამთა გრიგოლიას ლირიკა  
 გაბრიელ ჯაბუშანურის რეიტინგ ლისტი  
 თამაზ ნატროშვილი თეიმურაზ პირველზე  
 „ფლობერის თუთიყუშის“ შთამბეჭდაობა  
 სინკლერ ლუისის „დედოფლის წერილი“  
 ვერლენი, პარიზის მანანწალა  
 მშვიდობით, რევოლუციავ!  
 მასკულტურის რაობა



# შინაარსი

რედაქციის გვერდი	2	„ფლოპარის თუთიყუში“: ქართული ორკულის შთამბეჭდაობა (ჯულიან ბარნსის ბიოგრაფიული რომანის ნინო ქავთაიასეული თარგმანი)
ჩვენი ყოფა. წითისოვალი	3	ნუგზარ მუზაშვილი პიტხვები
ლიტერატურული სხოვრება	5	შხევედრა ქეთევან შენგელიასთან (კიდევ ერთი სალამო ქართულ უნივერსიტეტში)
მსსრან-ინტერვიუ	6	ლელა ცუცქერიძე „სიყვარული ადამიანებს შორის“ (მომზადა ნინო ჩხიკვიშვილმა)
პროზა	7	ნინო ნიკლაური ჰელპ მი!
	11	ლევან ვასაძე ბერდია
გამონათვალება	15	საბა სულხანიშვილი მოულოდნელი რეიტინგ ლისტი (ხუთი საუკეთესო პოეტი გაბრიელ ჯაბუშანურის თვალთ)
პოეზია	16	თამთა გრიგოლია მეზღვაური და სხვა ლექსები
	18	თამაზ ბარჯაძე მისასახლდა ცხოვრება ისე
ესეისტიკა	20	ჟან-პოლ კლევერი ვერლანი, პარიზის მანანალა (მთარგმნელისაგან ესეის ავტორზე ანუ ამბავი სამი კლომარისა)
წარსული მოგვლინათის	23	თამაზ ნატროშვილი მამაცი და უბედური მიწა (თეიმურაზ პირველი)
ქიბა	29	ტრისტან მახაური ბანიანი და ქართული შირი
რეპორტაჟი	31	ეკა ბუჯიაშვილი იმედი პოეტის ქვეყანაში (ინგა მილორავას პოეტური კრებული „ფიქრის მარცვლები“)
ახალი წიგნები	34	თამარ შაიშველაშვილი მარადიული საქანელა (თამარ გაბროშვილის ახალი პოეტური კრებულის „ქრიზთას ანთოლითების“ გამო)
მოგონებათა სკიპრი	36	გულბად ამირანაშვილი სხივი სარკმელში (შალვა ამირანაშვილი)
წუთები და წლები	38	როსტომ ჩხეიძე მშვიდობით, რეკოლუციას! (თავი ბიოგრაფიული რომანიდან „ვითა სიზმარი ლამისა“)
ახალი რომანი	43	ნონა კუპრეიშვილი კომპარულ ზმანებასავით დასავინწყებელი (კობა ცხაკაიას კინორომანის გამო)
პოეზის ერთი ლექსი	44	ზაალ ებანოძე ტპივილის ატანა
კრიტიკა	44	მარინე ტურავა აბსურდი ქართულად... (როსტომ ჩხეიძის დეტექტიური ცდა „ორშაბათიც შაბათია“)
ახალგაზრდავო. ან კი თქვენი	48	თინათინ ლეკიაშვილი, რიტა შუბითიძე, ნინო ხიდიშელი, მარი დადუნაშვილი სემინარი გრძელდება... ამჯერად — „ღირსება“
იზარდა. მხვანე ჯაფილო	50	გურამ პეტრიაშვილი ირინეს ბავშვობა
ლიტერატურული სხოვრება	61	გვანცა შუბითიძე დაცემის ბრწყინვალეა (ინტერვიუები 1898 წლის თაობის ესპანელ მწერლებთან)
უსწორი ნოველა	62	სინკლერ ლუისი დედოფლის ნარილი
ნაკვეთი	69	მასვილნიტყვობის ნიშნები
მოუბიკა	71	ყანდაარიდან ისპანამდე



ორკვირული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62

რეკლამა: (995 93) 65 93 68

გავრცელება: (995 92) 25 94 94

ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge



www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი  
გამოვა 23 აგვისტოს

დაარსებულია  
ომეგა ჯგუფის მიერ  
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი  
ზაზა ოქუაშვილი



დაბეჭდილია სტამბაში  
ომაგა თავი

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,  
თბილისი საქართველო  
ტელ: 00 995 32 53 12 77  
ფაქსი: 00 995 32 53 08 33  
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge  
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაჩულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დეკანოიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური	ლევან კვიციანი

გარეკანზე: ნინო ნიკლაური, ფოტო რუსუდან თვაურისა  
ნიცა, საფრანგეთი



# „ფლობერის თუთიყუში“: ქართული ორეულის შთამბეჭდაობა

რა არის მაინც ეს ნიგნი, **ჯულიან ბარნსის „ფლობერის თუთიყუში“**:

გუსტავ ფლობერის უჩვეულო ფორმის ბიოგრაფია?

ან იქნებ ერთი ახირებული კაცის მსჯელობა მწერლობაზე?

შეკითხვა სხვაც არაერთი შეიძლება გაჩნდეს ამ არაორდინარული თხზულების მიმართ, მაგრამ გამომცემლობა

„დიოგენესათვის“, რომელმაც საკუთარი სერიით ეს რომანიც შესთავაზა მკითხველს, მთავარი და უმთავრესი ისაა, რომ:

ნებისმიერ შემთხვევაში ეს ნამდვილი ლიტერატურაა.

„უჩვეულო ფორმა“ და „ახირებული კაცის მსჯელობა“ უფრო მიაბიტ მკითხველზეა გათვლილი, რათა ამით აღუძრან ცნობისნადილი, თორემ პროფესიონალი მკითხველისათვის აქ არც უჩვეულოა არაფერი და არც ახირებულობის ნაყოფი. ორიგინალური კი უსათუოა, სტილური ნაირგვარობით აღბეჭდილი, გროტესკი, დრამატიზმი და რეალიზმი მოხდენილად რომ ერწყმის ერთმანეთს და შთაბეჭდავად წარმოსახავს იმ პიროვნების პორტრეტს, ბედად ვისაც ეწერა დიდი ზეგავლენის მოხდენა XX საუკუნის დასავლურ სამწერლო ცხოვრებაზე.

ჯულიან ბარნსი არც აპოლოგეტია და არც დიტირაშიბიკოსი — იგი ხატავს შეულამაზებელ სახებას, რითაც ძველის სიცივის კი არ გვაგრძობინებს, არამედ — გვიშინაურებს და ჩვენს ახლობლად აქცევს ყველა დროის ამ ერთ-ერთ გამორჩეულ ხელოვანს.

სათარგმნელად ძნელია?

ცხადია, საკმაოდ ძნელი, რაკილა ვალდებული ხარ შენს ენაზე შექმნა ისეთი ვერსია, სტილურ გადასვლებსა და მონაცვლეობასაც რომ შეინარჩუნებ და იმ რამდენიმე პლანსაც, ერთის გამოკლების შემთხვევაშიც რომანი ბარნსისეულ შენსა და ეფექტს, თავისებურებასა და შთამბეჭდაობას რომ დაკარგავს.

და თუ ვინმე იყო ქართულ სინამდვილეში „ფლობერის თუთიყუში“ სრულფასოვნად გადმოძღვნი, უთუოდ **ნინო ქაჯაიაც**, და სასიხარულოა, რომ სწორედ იგი მოჰკიდებდა ხელს ამ რომანს და მოხალისე მთარგმნელთა საცდელ-საჯიჯვანად არ გახდიდა.

და გამომცემლობაც ძალიან შეუწყობდა ხელს, სასწრაფოდ გამოშვებებს რომ შეპირდებოდა და ჩინებულ რედაქტორსაც მიამაგრებდა — **ირმა ტაველიძეს**, შენიშვნებს ყოველთვის ტაქტიანად და ფაქიზად რომ გაუზიარებდა მთარგმნელს და ამ ერთობლივ თანამშრომლობას სასიამოვნო მოგონებად დაუტოვებდა.

ის ფრაგმენტები, რაც გამოქვეყნდებოდა „**ლიტერატურული გაზეთისა**“ და ჟურნალ „**ჩვენი მწერლობის**“ ფურცლებზე, თვალნათლივს ხდოდა, რომ ნინო ქაჯაიას ამჯერადაც მარჯვედ მოერგო გასაღები რომანის სტილური თავისებურებისათვის, და ნიგნი დაადასტურებდა, რომ წარმატებული დასაწყისი შეუფერხებელი და უზადოდ მივიდოდა ბოლომდე.

ნიგნის წარდგინებისას „დიოგენეს“ დირექტორი **თამარ ლებანიძე** ამ სერიაზეც ისაუბრებდა და იმ გარემოებებზეც, თუ როგორ მზადდებდა თვითიველი ნიმუში საერთოდ და ჯულიან ბარნსის ბიოგრაფიული რომანი კერძოდ.

**ნინო ქაჯაია** გაიხსენებდა, თუ რამ გამოიწვია მისი დაინტერესება ამ რომანით და როგორ გადაწყვიტა, რომ ქართული სამწერლო ცხოვრებისათვის შეემატებინა ეს მეტად მნიშვნელოვანი ნიგნი, მითუმეტეს, ისეთ ვითარებაში, როდესაც ძალიანაა გამოცოცხლებული ჩვენი ბიოგრაფიული რომანისტიკა.

**ზაალ სამადაშვილიც** გახსენებთ დაიწყებდა თავის გამოსვლას, თუ როგორ ნაიკითხა რუსულად „ფლობერის თუთიყუში“ და უკვე მაშინ აღფრთოვანდა, რადგანაც რალაც განსხვავებული იგრძნო, ხოლო როდესაც ნინო ქაჯაიასეული თარგმანიც გაიცნო, გულდასმით შეუდარა რუსულ ვერსიას და დარწმუნდა, რომ ქართული ორეული ბევრად აღემატება რუსულ თარგმანს. ამასთან, ყურადღება გაამახვილა „დიოგენეს ბიბლიოთეკის“ სხვა ნიმუშებზეც. განსაკუთრებით გამოარჩია ჰენრი მილერის „კირჩხიბის ტროპიკი“, მილან კუნდერას „ყოფის აუცილებელი სიმუშუქე“, უილიამ ფოლკნერის „დროშები მტვერში“ და ორჰან ფამუქის „სტამბოლი“. და თუმცე თავიდან განაცხადა, ჩემი თანამდებობის გამო (თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გულისხმობდა) ლამის მთლიანად მოვწყედი ლიტერატურასო, მის გამოსვლას ეს „მოწყვეტა“ სრულიად არ ეტყობოდა.

**თქვენი მონა-მორჩილი** თავის სიტყვას რომანის სტილურ ნაირფეროვნებასა და მისი შესაფერისად გადმოტანის სირთულეზე ააგებდა, და საგანგებოდ ისაუბრებდა მთარგმნელის ხელოვნებაზე, ისეთ შთაბეჭდილებას რომ გიტოვებს, თითქოს ჯულიან ბარნსს „ფლობერის თუთიყუში“ ქართულად დაენეროს, თორემ ასეთი სილაღე და ექსპრესია, რამდენიმე პლანის შენარჩუნება ძნელი მისაღწევია.

თითქოს ქართულად დაეჩვილოს ინგლისელ ბიოგრაფოსს, რაც ფლობერს უკავშირდება, დიდხანს არაფერი გაგრძელებულაო:

— ას ნელზე ცოტა მეტი გავიდა მწერლის გარდაცვალებიდან და ფურცლების გარდა არაფერი დარჩენია. ქალღალი, იდეები, ფრაზები, მეტაფორები, სტრუქტურული პროზა, რომელიც ბევრად იქცევა. რასაკვირველია, თვითონაც ასე ისურვებდა; მხოლოდ სენტიმენტებს აყოლილი თაყვანისმცემლები ბუზღუნებენ უკმაყოფილების ნიშნად. მწერლის სიკვდილის მერე მალევე დაანგრეს მისი სახლი კრუასეში. იმ ადგილას უვარგისი ხორბლისგან ალკოჰოლის სახდელი ქარხანა ააშენეს. არც მისი გამოსახულების თავიდან მოშორება იქნებოდა ძნელი საქმე: თუკი ერთ მერს ქანდაკებები უყვარს და დგამს, მეორე — ვინმე ნიგნიერი პარტიული აქტივისტი, ვისაც ფლობერის შესახებ სარტრის ნაწერისთვის გადაუვლია თვალი — თავგამოდებით ცდილობს მწერლის ძველი ჩამოაგდოს.

უსახური ძველი, რომლის აღწერითაც იწყება ეს ბიოგრაფიული რომანი, ეგებ მართლაც ჩამოსაგდები იყოს (ოღონდ აუცილებლად მაშინ, თუ მის ადგილას ფლობერის დიდებული ქანდაკება აღიმართება!), მაგრამ ვინ რალას დააკლებს ამ ძველს, „ფლობერის თუთიყუშის“ სახელით რომ წამომართულა და კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ ყველაზე უკეთესი აპოლოგია, ყველაზე უკეთესი დიტირაშიბი მიუკერძოებლობა და რეალისტური მანერაა თხრობისა, ხან — თუკი მხატვრულ-დოკუმენტური გააზრება დაისაჭიროებს — გროტესკსა თუ ირონიასაც რომ არ უნდა მოერიდოს ბიოგრაფოსი. ცალკეულ სისუსტეთა თუ ნაკლოვანებათა წარმოჩენა არამცთუ არაფერს დააკლებს ჩვენთვის ძვირფას პიროვნებათა სახებას, არამედ უფრო მიგვაახლოებს მათთან და კიდევ უფრო შეგვაყვარებს მათ ცხოვრებასაც და მხატვრულ მემკვიდრეობასაც.

აჰა, თვალსაჩინო დასტურად ჯულიან ბარნსის ბიოგრაფიული რომანი გუსტავ ფლობერზე, ისეთი ახირებული კაცის მსჯელობა, ლიტერატურის დიდ სივრცეს რომ მოგვახილავინებს სტილური ნაირგვარობით გამოწვეული აღმაფრენით.

\*\*\*

რაო, რას ირწმუნებოდა თვითონ ფლობერი? მთავარი ნაწერია, თორემ მწერლის პიროვნება სრულიად უმნიშვნელოა და არ არის ანგარიში ჩასაგდებო? ყველაფერი თვით გუსტავ ფლობერსაც კი არ უნდა დაეუფეროთ!..

# ნუგზარ მუზაშვილი კითხვები

სადა ხართ, სთქვით რამე, თქვენი ჭირიმე...  
აკაკის კილოზე

1. ნიკო ლორთქიფანიძეს რომ ჩვენს დროში ეცხოვრა, ადვილი შესაძლებელია, ასეთი ტექსტი დაენერა:

ყვითლდება საქართველო თავისი მწერლობით, თეატრით, სახვითი ხელოვნებით, ჟურნალ-გაზეთებით, რადიოთი და ტელევიზიით; წარსული ისტორიით, მომავალი სვე-ბედით; მშვენიერი ენით; განცდით და ნაფიქრით, ჭირით და ლხინით, მარცხით და მიღწევით, სევდით და ტკივილით; ხალხური პოეზიით; რომანებით და მოთხრობებით, ლექსებით და პოემებით; ცურ-ტაველის ოსტატობით, რუსთაველის უნივერსალიზმით, სულხან-საბას ჭირთა თემით, გურამიშვილისა და ბარათაშვილის უბედობით, ტკივილებითა და გოდებით, მამათა და შვილთა ბრძოლით, წინამურთან ნაქვეული დედაბოძით, ვაჟა-ფშაველას შეუპოვრობით, ფიროსმანის ნაივურობით, მიხეილ ჯავახიშვილის გამჭრიახობითა და უკომპრომისობით, გერონტი ქიქოძის ესთეტიზმით, გალაკტიონის ხილვებით; ერთი, ბერთი; სევდიან ფიქრთამშლელ bad girl-თა გუნდებით; გზაკვალდაბნეული ვაჟებით, მალხაზი ბავშვებით, ვერცხლისფერი თმით შემოსილი პატივსაცემი, მაგრამ სახტად დარჩენილი მოხუცებით; ყვითლდება საქართველო პოემებით და რომანებით, ლექსებით და ნოველებით, ქანდაკებებით და ტილოებით, ფილმებით და თეატრალური დადგმებით.

ყვითლდება ყველა: მწერალი, მხატვარი, კომპოზიტორი, რეჟისორი, მსახიობი, მღვდელი, პოლიტიკოსი, მომღერალი, ჟურნალისტი, ტელე და რადიო დიქტორი, ბლოგერი, მკითხველი, მსმენელი, მაცურებელი, დიდი და პატარა, მორწმუნე და ურწმუნო, სნობი და გოიმი, ნაცნობი და უცნობი, ჭკვიანი და სულელი, ლოთი და ნარკომანი.

ყვითლდება ყველგან: ტელევიზიასა და რადიოში, რედაქციასა და თეატრში, უნივერსიტეტსა და ინსტიტუტში, სკოლასა და ეკლესიაში, რესტორანსა და ლამის კლუბში, მანქანაში, მატარებელში, თვითმფრინავში, დილით და ღამით, სიცხესა და სიცივეში, დარსა და ავდარში.

ყვითლდება ერთიანად, ყვითლდება ნაწილ-ნაწილ, ყვითლდება პატარ-პატარა დოზებად, ვისაც როგორ უნდა, რამდენი შეუძლია და როგორც გამოსდის: შეგნებულად თუ შეუგნებლად, ნებსით თუ უნებლიეთ, წარმატებით თუ წარუმატებლად, წინდახედულად თუ წინდაუხედავად, ნიჭიერად თუ უნიჭოდ, დროებით თუ სამუდამოდ.

გაყვითლეთ ბარემ მთლად, რასაც კულტურა ერქვა და რაც დღეს ოხრადდარჩენილი აძლობს მასკულტურის ყორნებს და გულს უკლავს უძღურ ჭირისუფალს!

## 2.

ვინ იქნებოდა დღეს ამ ტექსტის ადრესატი?

ვინ არის დღეს კულტურის გაყვითლებით გულმოკლული, უძღური ჭირისუფალი?

ბოლო საუკუნეების განმავლობაში პირში უზომოდ ნაქებ-ნადიდები ხალხი, მასა, ვისი გემოვნება და ინტელექტიც უშუალოდ განაპირობებს დღევანდელ ტოტალურ გაყვითლებას?

ამ მასის მიერ ტრადიციულად ზარზეიმით არჩეული და ცოცხალი შემდეგ ასევე ტრადიციულად ზარზეიმით გაძევებული პოლიტიკოსები, ამოდ რომ ძვრებიან ხოლმე კანდიან ამავე მასის გულის მოსაგებად და სკამების შესანარჩუნებლად?

ტელე-რადიო კომპანიებისა და ტაბლოიდების მესვეურები თუ რეპორტიორთა ლეგიონები, დიდი მონდომებით რომ ზრუნავენ და ასერხებენ კიდეც მასის „სულიერი“ შიმშილის დაკმაყოფილებას?

იქნებ „ყოველსმცოდნე ექსპერტთა“ არმიის ის ნაწილი, ლიბერალური დემოკრატიის მებაირახტრედ რომ მოაქვს თავი და ამ გზით მსუყე ლუკმაც უშოვია საქმელად; თუ მედლის მეორე მხარე ანუ ამავე ექსპერტთა „ეროვნული“ გუნდი, ლიბერალურ ფასეულობებში მასონურ-იელივური თუ სინონისტური შეთქმულების ხლართების ნათელმხილველური ჭკრეტით რომ დაუგდია სახელი და ლუკმა-პურიც უჭამია?

ვითომ კულტურის ის ენაწილიანი მუშაკნი, დიდი მოქნილობითა და პენით რომ აუღიათ ალლო მასის გემოვნებისთვის და ახლა ზორბად დასრიალებენ კულტურინდუსტრიის ჩქერალებში? თუ ახალი დროებისა და მასის მიერ შეუბრალებლად განწირულნი, ოდესმე კულტურის „ვრცელნი მარშალნი“, ნილხვედრობის თეორიასა და ამ ტიპის სხვა არანაკლებ მხურვალე იდეებს ისე რომ ებლაუჭებიან, როგორც წყალნალბეზული ებლაუჭება ხავსს?

მაინც ვინ არიან დღეს კულტურის გაყვითლებით გულმოკლული, უძღური ჭირისუფლები?

ჩამოთვლილთაგან არც გულმოკლეობა ეტყობა ვინმეს და არც ჭირისუფლობა. მათგან უმრავლესობა ხეირიანად, ალბათ, ვერც კი გააცნობიერებდა ნიკო ლორთქიფანიძის გოდების მიზეზს. დანარჩენები კი ამა თუ იმ ფორმით, ხალისიანად თავადვე ჩაბმულან კულტურის გამარტივების პროცესში, „ცნობადი სახეებიც“ შექმნილან და პურიც ამით უჭამიან.

მაშ ვინდა იქნებოდა ნიკო ლორთქიფანიძის ტექსტის ადრესატი?


## ვინ?

ის არალიარებული და არაცნობადი, ტრადიციულად პირმინდად იგნორირებული ადამიანები ხომ არა, სხვაგან რომ ინტელექტუალურ ელიტას უწოდებენ, ჩვენში კი ჩვენებურ ზერელე „მედასავლეთებს“ ფუნდამენტალისტები რომ ჰგონიათ, ხოლო არანაკლებ ზერელე „ფუნდამენტალისტებს“ — მედასავლეთები? ისინი ხომ არა, ვისი ელიტარულობა იზომებოდა და იზომება არა თანამდებობებით, წინ-მედლებითა და ჯიბის სისქით, არა ტრიბუნასთან დგომის ხანგრძლივობით, ენამზეობითა და არტისტიზმით, არა მასასთან გამოჩენილი პირმოთნეობითა და თვალეში ნაცრის შეყრის ხელოვნების ფლობით, არამედ თავისებური სულიერი კონსტიტუციითა და მისგან შობილი უხმაურო ცხოვრების წესით, მარტობით, ტკივილებითა და ფიქრის სიყვარულით, საგანთა და მოვლენათა ფხიზელი ხედვის უნარითა და პირუთვნელობით, ყოფის დისპარმონიულობის მწვავე განცდითა და იდეალური სამყაროს წყურვილით?..

## 3.

ალბათ, სწორედ ესენი, მაგრამ სად არიან ეს ადამიანები? ადრე თითო-ოროლა მაინც გვეგულებოდა აქა-იქ და კარგი სმენის პატრონი იმდროინდელ აურზაურში მათ ხმასაც არჩევდა. დღეს სად გაქრნენ?

სად დაიკარგნენ? რატომ აღარ ისმის მათი ხმა? თუკი ისინი ადრეც არსებობდნენ და დღესაც არსებობენ, რატომ აღმოჩნდა საკმარისი სულ რაღაც ათი თუ ოცი წელი



საიმისოდ, რომ მასობრივი კულტურის ნიაღვარი ასე დაუბრკოლებლად, ღვარცოფივით შემოვარდნილიყო ქართულ კულტურულ სივრცეში და პირნიმნდად წარეხოცა ყველაფერი ღრმა, სერიოზული და მშვენიერი?

მამ ვითომ არსებობენ?

4.

არსებობენ.

ვისაც სურს ამგვარი ადამიანის ტიპი უფრო კონკრეტულად წარმოიდგინოს, თავად ნიკო ლორთქიფანიძის პიროვნება და მისი ცხოვრების წესი გაიხსენოს.

მათი დამოკიდებულება სამყაროსთან უმრავლესობისთვის ახირებული და გაუგებარია. მათ კულტურა იმისთვის კი არ სჭირდებათ, რომ საკუთარი არასრულფასოვნების კომპლექსი სამიათასწლოვან კულტურაზე ფუყე რიტორიკით გადაფარონ ან ცხოვრება მოინყონ, არამედ იმისთვის, რომ ამ გაუგებარ სამყაროსა და ადამიანურ ტრაგედიას იქნებ როგორმე ან თავი გაუგონ, ან ბოლო. ისინი კულტურით კი არ ჭამენ პურს, არამედ მათთვის თავად კულტურაა პური და წყალი; მათ არ შეუძლიათ შინაგანად ოპოზიციას არ ედგნენ ხელისუფლებას და განსაკუთრებით მასას, მის უმნივარ და, როგორც გრიგოლ რობაქიძე იტყოდა, უდისციპლინო აზროვნებას. მაგრამ ასეთი ადამიანები ჩვენში ყოველთვის თითებზე იყვნენ ჩამოსათვლელნი, ასეთად ყოფნის უკიდურესად არახელსაყრელობის გამო: მათ არც კომპარტია სწყალობდათ, არც „ვრცელნი მარშალნი“ და მათი ამაღა და არც ხოტბას მიჩვეული მასა. ოლონდ იქ, სადაც გებრძვიან, შეგიძლია შენც იბრძოლო და იქნებ გაძლიერდე კიდევ. ასე თუ ისე ამიტომაც ისმოდა მაშინ მათი ხმა. მაგრამ როცა ასეთ გარემოში წარმატება-წარუმატებლობის ერთადერთი არბიტრი ბაზარი და ფული გახდება, იქ ასეთი ადამიანები საზოგადოების არიერგარდში მოჩანჩალე, ხელმოცარულ სუბიექტებად იქცევიან, ვისი შეხედულებებიც უკვე მათსავე ცოლშვილსაც კი არამკითხველად და ფუჭად ეჩვენება, რადგან მათში გროშის გადახდაც აღარავის უნდა.

მამ განაღა გასაკვირია, რომ ჩვენში ასეთი იყო და არის მხოლოდ ის, ვისაც, უბრალოდ, არ შეუძლია სხვანაირი იყოს? რაღა უნდა ითქვას ამგვარ გასაცოდავებულ მდგომარეობაში ჩაყენებული ადამიანების ზეგავლენით შექმნილ საზოგადოებრივ ველზე? იგი მეტისმეტად სუსტი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ ისეთი მძლავრი ფენომენისთვის გაენია წინააღმდეგობა, როგორცაა მასობრივი კულტურა.

5.

მაგრამ თუკი ნიკო ლორთქიფანიძის შესაძლო ტექსტის ერთადერთი ადრესატი საზოგადოების არიერგარდში მოჩანჩალე, გაქრობის პირას მისული და თითქმის უკვე გამქრალი პოტენციური ელიტა იქნებოდა, რომელსაც არავითარი ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლია არც მასაზე და არც ამ მასის მიერ მმართველებად არჩეულ ყოვლისშემძლე პოლიტიკოსებზე, მაშინ რაღა აზრი ექნებოდა ასეთი ტექსტის დაწერასა და გამოქვეყნებას?

გულის მოფხანის გარდა, არავითარი.

არც ნიკო ლორთქიფანიძე იყო იმდენად გულუბრყვილო კაცი, რომ ასეთ ვითარებაში ერთი ტექსტის გამოქვეყნებით რაიმეს შეცვლის ილუზია ჰქონოდა. თანდათან, ლიბერალური დემოკრატიის ხარისხის აწევასთან ერთად, თუკი ჩვენში ეს საერთოდ შესაძლებელია, მასის გემოვნება, მისი ნება-სურვილი ბუნებრივად სულ უფრო და უფრო დომინანტური გახდება ანუ კულტურის გამარტივების პროცესი დაუბრკოლებლად გაგრძელდება და შედეგად ისეთი დადება, როგორც უნდა დამდგარიყო კიდევ; ოლონდ „შუშანიკის წამებას“, „ვეფხისტყაოსანს“ ან ვაჟა-ფშაველას პოემებს კი არ ჩამოგვართმევს ვინმე, პირიქით, ეს და სხვა ნიგნები, სანამ იყიდება, სულ უფრო და უფრო მეტი და მეტი რაოდენობით გამოიცემა და მალე სუპერმარკეტებში, აფთიაქებში და ნებისმიერ სავაჭრო დახლებზე შეგვეძლება მათი ყიდვა — შენ

ოლონდ რამე იყიდე; მაგრამ შარშანდელი თოვლივით შეუმჩნეველად გაქრება ის კულტურული ველი, ის დაძაბულობა, რომელსაც კლასიკური კულტურა ჩვენს ცნობიერებაში ქმნიდა და რომლის მეშვეობითაც შეგვეძლო უფრო დიდ — მსოფლიო კულტურის ველში შეგვეღწია; და თუ ღმერთიც შეგვეწოდება, იქნებ რაიმე ისეთიც გავგვეო ამ სამყაროსა და საკუთარ თავზე, რასაც ვერც „ეკელა და მაროს“ ლილინით და ვერც „ივერია გაბრწყინდება“ ძახილით ვერასოდეს ვერავინ გაიგებს. ასე იმიტომ მოხდება, რომ საზოგადოება ცნობიერად თუ არაცნობიერად უარს იტყვის იმ ადამიანების არსებობის აუცილებლობაზე, რომლებიც ხსენებულ კულტურულ ველსა და მისთვის დამახასიათებელ დაძაბულობას საკუთარ თავში ცოცხლად ატარებენ და შეძლებისდაგვარად მსურველებსაც აზიარებენ მასთან.

6.

ვითომ ვაჭარბებ?

დასავლეთში ნამდვილი ელიტის პრობლემა არასოდეს მდგარა. მოაზროვნე, შემოქმედებითი ბუნების მქონე ადამიანები იქ ხელმოცარულებად და არამკითხველად არასოდეს ჩაუთვლიათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მასკულტურის აღზევების პროცესის შეჩერება ვერც იქ მოხერხდა. ამის გაკეთება ვერ შეძლო ვერც აზროვნების უწყვეტმა საუკუნოვანმა ტრადიციამ და ვერ შეძლეს ვერც სერიოზულმა მოაზროვნეებმა, რომელთა ნაკლებობას დასავლეთი არასოდეს უჩიოდა. მასების ამბოხმა, დემოკრატია და ბაზარმა უმთავრესი გახადა მასა, მისი საჭიროებების, სურვილებისა და გემოვნების დაკმაყოფილება. პლატონიდან დაწყებული, მარქსსა და ნიცშემდეგ შექმნილი უტოპიური მოძღვრებებისგან განსხვავებით, ლიბერალური დემოკრატია არ ცდილობს მასის აღზრდას, მის გადკეთებას, გაკეთილშობილებასა და მისთვის გემოვნების დახვეწას. ეს ყველას პირადი საქმეა. იგი ადამიანს იღებს ისეთს, როგორც არის კიდევ ამ წუთში — არასრულყოფილსა და არაიდეალურს. ცხოვრებაში წარმატების მისაღწევად აუცილებლად აღარ ითვლება კარგი აღზრდა, კლასიკური განათლება, ფართო ერუდიცია, დახვეწილი გემოვნება... სავესებით საკმარისია პრაქტიციზმი, პროფესიონალიზმი და კანონის დაცვა ანუ თამაშის წესების შესრულება. სხვა მხრივ, ადამიანს შეუძლია თუნდაც მთელი სიცოცხლე, ვთქვათ, მარქსის ან ლენინის მიერ დასახული იდეალების შესრულებისთვის კი არა, მხოლოდ საკუთარი ეგოისტური მიზნების მიღწევისა და სურვილების დაკმაყოფილებისთვის იბრძოლოს. მისი გამტყუნების უფლება არავის აქვს. ეს მიზანი კი სხვა არაფერია, თუ არა ის, რაც ადამ და ევას დროიდან ცნობილია: სიმდიდრის მოხვეჭა, მატერიალური კომფორტის შექმნა და რაც შეიძლება მეტი სურვილის დაკმაყოფილება. აღმოჩნდა, რომ დასახული მიზნის მისაღწევად უმრავლესობისთვის არათუ აუცილებელი, ერთგვარად ხელისშემშლელიც კია ის თავისებური მეტაფიზიკური დაძაბულობა, რასაც სამყაროს საფუძვლებზე ფიქრი იწვევს და რაც დამახასიათებელია სერიოზული კულტურისთვის. სავესებით საკმარისი აღმოჩნდა მსუბუქი, თავშესაქცევი ჟანრები, დროის მოსაკლავად გამოსადეგი მარტივი შოუ და სპორტი. ოლონდ ამის გამო დასავლეთში ინტელექტუალური ელიტა ურმის მეხუთე ბორბლად არ მიუჩნევიათ. მართალია, საზოგადოებაზე მისი ზეგავლენის ძალა და ხარისხი საგრძნობლად შემცირდა, მაგრამ რაკი ასეთი ფენა დღესაც არსებობს (თან არცთუ ცუდად), ე.ი. საზოგადოებას დღემდე სჭირდება ის კულტურული ველი და მისთვის დამახასიათებელი დაძაბულობა; რაც ამ ადამიანების გარეშე უგზო-უკვლოდ გაქრებოდა.

ამაში დარწმუნება დიდ სირთულეს არ წარმოადგენს.

თანამედროვე ამერიკაში არსებობს მასაში უაღრესად პოპულარული მწერალი ნიკოლას სპარკსი. მისი ცრურომანტიკული და უმწურომანები ასტრონომიული ტირაჟებით იბეჭდება და იყიდება, ხოლო ჰოლივუდი პირდაპირ ხელიდან სტაცებს ტექსტებს, რათა მორიგი მელოდრამა გამოაცხოს და სარფიანად გაყიდოს, რაც გასაკვირი არ არის, რადგან ეს კა-

ცი თავისი პროდუქციით მასის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. დასავლეთისთვის ეს ძალზე დამახასიათებელი ვითარებაა, მაგრამ იმავე ამერიკაში მაინც არსებობს სივრცე, რომელშიც ნორმალურად არსებობა შეუძლია, ვთქვათ, ისეთ სერიოზულ მწერალსაც, როგორცაა კორმაკ მაკკარტი.

დღეს ეს ნამდვილად არ არის ცოცხალი. თვით ჰოლივუდშიც კი, მასკულტურის ამ მექაში, დღემდე რჩება საკმარისი სივრცე, რომელშიც არსებობა შეუძლია, ვთქვათ, ტერენს მალიკს ან პოლ თომას ანდერსონს.

უფრო არამასობრივი რამ, ვიდრე მალიკის ფილმებია, ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ როცა თავის დროზე ეს უკანასკნელი საფრანგეთში გადაიხვეწა, იმავე ჰოლივუდში ისეთი ადამიანებიც გამოჩნდნენ, რომლებმაც რეჟისორს მილიონი დოლარი მხოლოდ იმისთვის გადაუხადეს, რომ უკან დაბრუნებულიყო და რაც სურდა, ის გადაეღო. არ იფიქროთ, რომ ეს მოწყალეობა ან ქველმოქმედება იყო. უბრალოდ, ჰოლივუდშიც იციან, რომ მყიდველი მალიკის ფილმებსაც ჰყავს. ე.ი. საზოგადოებაში დღემდე არსებობს გარკვეული სეგმენტი, რომელსაც სერიოზული კულტურა სჭირდება. და ეს ხდება ქვეყანაში, რომელიც მასობრივი კულტურის ეპიცენტრად და მიჩნეული. (ჩვენში სახელმწიფოს მიერ გაღებული მოწყალეობისა თუ მდიდარი ადამიანების მიერ გამოჩენილი ქველმოქმედების გარეშე ჩვეულებრივი სალიტერატურო ფურნალის გამოცემაც კი შეუძლებელი გახდა, რადგან აღმოჩნდა, რომ ასეთი გამოცემა ასე თუ ორასი კაცის გარდა არავის სჭირდება, რასაც ვერ ვიტყვით ტაბლოიდებზე, რომელთა პატრონებმა ამ ბიზნესით საკმარისად დიდი ქონება დააგროვეს.)

მსგავსი მაგალითების გახსენება უფრო უხვად შეიძლება ევროპის კულტურული ცხოვრებიდან, რაც იმას ადასტურებს, რომ მიუხედავად მასობრივი კულტურის უპრეცედენტო აყვავებისა, დასავლეთში სულაც არ აღრეულა ფასეულობები. ვიდრე არსებობს ნამდვილი და არა ცრუ ინტელექტუალური ელიტა, ამგვარი რამ არც არის მოსალოდნელი.

7.

ჩვენში მასამ არ იცის და არც აინტერესებს, ვინ არიან ან სად არიან ის ადამიანები, სინამდვილეში დღემდე რომ არ წყვეტენ ამ ქვეყანაში აზროვნებისა და შემოქმედების ტრადიციას. კაცმა რომ თქვას, ან კი რაში სჭირდება?

არ იცის და არც აინტერესებს არც სახელმწიფოს, თუმცა მან კი უნდა იცოდეს და აინტერესებდეს.

არც ის იცის ვინმემ, როდისმე შეიცვლება თუ არა ამგვარი ვითარება, ან, თუკი ოდესმე ვინმემ მოინდომა რაიმეს შეცვლა, ეს როგორ უნდა მოხერხდეს. ამის შესახებ ვერაფერს ვიტყვი.

მე სხვა კითხვა მაქვს: ვიცი, რომ ამგვარი ადამიანები ჩვენში ჯერ კიდევ არსებობენ, მაგრამ როგორც უნდა იწყებოდნენ ისინი თავბედს, თუკი მათ ხმას კარგი სმენის მქონე იც კი ვეღარ გაიგონებენ, მითხართი, თუ ღმერთი გნამთ, რაღა აზრი ჰქონდა და აქვს მათ ტანჯვა-წამება?

# შეხვედრა ქეთევან შენგელიასთან

(კიდევ ერთი საღამო ქართულ უნივერსიტეტში)

საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის თვითმმართველობისა და სხვა სტუდენტთა ინიციატივით ჩატარდა ქეთევან შენგელიას პოეზიის საღამო. საღამოს უძღვებოდა ფილოლოგიის მეორე კურსის სტუდენტი **თამარ კირკიტაძე**, რომელმაც დასაწყისშივე ისაუბრა ქალბატონი ქეთის პოეზიის მნიშვნელობის შესახებ: „სტუდენტები არაერთხელ ვყოფილვართ ქეთევან შენგელიას პოეზიის საღამოსა და მისი წიგნების პრეზენტაციებზე, თუმცა ჩვენითვის გაცილებით მნიშვნელოვანი და საამაყო ჩვენს უნივერსიტეტში ჩატარებული საღამო, მით უფრო, რომ იგი ჩვენი პროფესორ-მასწავლებელია“. სიტყვით წარსდგნენ ფილოლოგიის მიმართულების მეორე კურსის სტუდენტები



გაბრიელ თავაური და ხათუნა შოშიაშვილი. ახალგაზრდებმა ისაუბრეს პოეტის მიმართ თავიანთ გულთბილ დამოკიდებულებაზე, აღნიშნეს, რომელი ლექსები იყო მათთვის განსაკუთრებით საყვარელი და ნაიკითხეს რამდენიმე ნიმუში. მათ საინტერესოდ განიხილეს ქეთევან შენგელიას შემოქმედების ეტაპები.

სიტყვით გამოვიდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის (ფაკულტეტის) დეკანის მოადგილე, პროფესორი **ვახტანგ გურული**. მან სხვა ასპექტებთან ერთად აღნიშნა ისიც, რომ ქალბატონი ქეთის პოეზია მეტად დასაფასებელია, როგორც ეროვნულ სულისკვეთებით გამსჭვალული.

საღამო მუსიკალური ნომრით გახსნა ფილოლოგიის მესამე კურსის სტუდენტმა **რუსუდან კვალაიაშვილმა**, რომელმაც ვიოლინოზე შეასრულა „ყვითელი ფოთლები“. გულთბილი მისაღმების შემდეგ ქეთევან შენგელიამ მადლობა გადაუხადა ყველას: სტუდენტებს — მოწვევისათვის, ღონისძიების თითოეულ მონაწილეს განუელი წვლილისათვის და უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ **სერგო ვარდოსანიძეს** თანადგომისათვის; შემდეგ ნაიკითხა თავის შემოქმედების ნაწილი. მისი ყოველი ლექსის შემდეგ მხურვალე ტაში ისმოდა დარბაზში.

ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის სკოლის (ფაკულტეტის) დეკანმა, პროფესორმა **ვახტანგ სართანიამ** ისაუბრა ქალბატონი ქეთის არა მხოლოდ პოეზიის თავისებურებისა და ღირსების შესახებ, არამედ სტუდენტებთან პოეტის ურთიერთობაზეც. აღნიშნა ისიც, რომ ქეთევანი ჩინებული ლექტორიცაა.

დარბაზში იმყოფებოდნენ მოწვეული სტუმრებიც, მათ შორის პოეტის მეგობრები, მასწავლებელი და კოლეგები. საღამოზე სიტყვით წარსდგა ქალბატონი ქეთევანის სკოლის პედაგოგი, ქართულის მასწავლებელი **მარინა ერაძე**, რომელმაც ისაუბრა მისი შემოქმედების ადრინდელ ეტაპებზე, მისი ლექსების ორიგინალობასა და ბუნებრიობაზე. ასევე ისაუბრა პოეტმა **მიხეილ ღანიშაშვილმა**, რომელმაც აღნიშნა ქალბატონი ქეთის გამორჩეული ხელწერისა და პოეტური ხედვის შესახებ. ნაუკითხა პოეტს საკუთარი სიყრმისდროინდელი ლექსიც. სიტყვით გამოვიდა ლიტერატორი **კახა ჭიუჭიანი**, რომელიც იხსენებდა პოეტის შემოქმედებისა და საქმიანობის ადრინდელ ხანას და იმედოვნებდა, რომ კიდევ გაგრძელდებოდა პოეზიის ეს ზეიმი. უფრანლისტიმა **მარინა ნებიერიძემ** ქეთევან შენგელიას ლექსების გარდა ისაუბრა მისი პროფესორული კეთილშობილებისა და მეგობრული ხასიათის შესახებ.

დასასრულ სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელმა **ლიკა ნასყიდაშვილმა** დიდი მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის რექტორს და პროფესორ-მასწავლებლებს განუელი დახმარებისთვის. საღამო კი **რუსუდან კვალაიაშვილმა** მუსიკალური ნომრით დააბოლოვა.

ლელა ცუცქერიძე

# „სიყვარული ადამიანებს შორის“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

- სულიერი სიცარიელე.
- სად ისურვებდით ცხოვრებას?
- დამშვიდებულ, დანყნარებულ საქართველოში.
- რა არის უმაღლესი ბედნიერება?
- შვილი. სიყვარული ადამიანებს შორის.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— მიყვარს ვაჟა-ფშაველას, რევაზ ინანიშვილის პერსონაჟები. ასევე ძალიან მიყვარს ასტრიდ ლინდგრენის პერსონაჟები.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— მეფე ერეკლე, შეფიცულები, იუნკრები... ბევრნი არიან...

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— ელენე ახვლედიანი, დავით კაკაბაძე, მოდილიანი...

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ბეთჰოვენი, შუმანი, რეზო ლალიძე...

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?

— იუმორს, ინტელექტს, ადამიანურ რობას, შემწყნარებლობას.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— იმავს.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მძიმე?

— გულმონყალება, სიკეთის ქმნა, თანადგომა.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— კითხვა, წერა, სხვადასხვა ნივთების გაკეთება, ამ ბოლო დროს ხატვამ გამიტაცა.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?

— ალბათ ისევ საკუთარი თავი.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— სიძულვილის არქონა.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— უნარს, რომ მიღებენ ისეთს, როგორც ვარ.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— პასიურობა.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— როცა ყველაფერი კარგადაა.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— არც მინდა ვიფიქრო, ამიტომ არ ვუპასუხებ.

— როგორი გინდობდათ ყოფილიყავით?

— ბევრად თავდაჯერებული.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ლურჯი და მისი გრადაცია, წითელი შტრიხები.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— მინდვრის ყვავილები: ლილილო, გვირილა, კესანე...

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— პატარა ჩიტები.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— ბევრი მყავს, მაგრამ განსაკუთრებით — ვაჟა.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— დავით გურამიშვილი, გალაკტიონი, ბესიკ ხარანაული, ლია სტურუა, სილვია პლათი...

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— ამ წუთას ორჰან ფამუქის ფუსუნი.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— ექვთიმე თაყაიშვილი, გრიგოლ ფერაძე, იანუშ კორჩაკი, ირენ სანდლერი... ბევრნი არიან.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— მარო მაცაშვილი.

— საყვარელი სახელები?

— ელისაბედი, ელენე, ალექსანდრე, გიორგი...

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— უტიფრობას.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზი დაიმსახურა?

— ყველა, ვინც დანაშაული ჩაიდინა ჩემი ერის თუ კაცობრიობის წინაშე.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტ-ნაკლები ალტა-

ცებისა?

— დიდგორის ომი. ისე, მძულს ყველანაირი ომი.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— დავით აღმაშენებლის მიერ ჩატარებული ყველა რეფორმა.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— ხატვის ნიჭი.

— როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— უძღურების გარეშე.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— არცთუ ისე მშვიდი.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— უნებლიე შეცდომები.

— თქვენი დევიზი?

— სიცოცხლე ძალიან ხანმოკლეა იმისთვის, რომ არ მიყვარდეს.

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— რომ შემინდოს.



ეს არის ჩვეულებრივი ქართული ამბავი, უფრო სწორად, ჩვეულებრივი ქართული ტრაგედია, რომლის მსგავსი არაერთხელ მოგვის-მენია ან წარმოგვიდგენია, მაგრამ მაინც არის მასში რაღაც, რაც გვაიძულებს კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ „ჩვეულებრივი ტრაგედი-ის“ მიზეზებზე. ნინო ნიკლაურის აზრით, მთავარი მიზეზი არის ის, რომ ადამიანთა შორის აღარ არსებობს სიყვარული, ისინი გაუცხო-ებულნი არიან ერთმანეთისგან. რაც მთავარია, გაუცხოება შინიდან, ოჯახიდან იწყება და მიდის, გრძელდება შორეულ უცხოეთამდე.

მოთხრობის მთავარი გმირი, რომელიც ბავშვობაში ფრთებს ამზადებდა, რომ გაფრენილიყო, შეურაცხყოფილი და დამცირებული მიდის სამშობლოდან, მაგრამ სულაც არ აქვს იმის ილუზია, რომ საზღვარგარეთ მოიპოვებს შვებასა და სულიერ ნონასწორობას.

მას აღარ აქვს ადგილი დედამიწაზე.

საგულისხმოა, რომ ეს ყველაფერი მხატვრულად არის რეალიზებული.

ნინო ნიკლაური ინტენსიური, დეტალური თხრობის ოსტატია. თანაც პროზისა და პოეზიის მიჯნაზე უნევს ვარირება, ბუნვის ხიდ-ზე გადის, სტილს მაინც არ ღალატობს. მასთან საცნებო და მოვლენები მეტყველებენ, თვითონ განზე დგას, ობიექტურობის წესს იცავს, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, სიუჟეტი ერთი სუბიექტის ნებით ვითარდება და ეს სუბიექტი არის ავტორი.

### ნინო ნიკლაური

## ჰელკ მი!

თმაც შავი ჰქონდა და დიდი თვალებიც. შავები იყვნენ დე-დაც, მამაც, ინდაურებიც. შავ ძროხას მაია ერქვა. ძაღლს მურა. თეთრი იყო ბებიას.

ზაფხულში ლურჯი, კობლებიანი კაბა და ასეთივე ფეხ-საცმელი ეცვა ბებოს. შემოდგომასა და გაზაფხულზე რკინის-ლილებიან პიჯაკს ატარებდა. ზამთარში დიდი ზომის, ჯიბეს-თან დალაქულ პალტოს საგულდაგულოდ წმენდდა სველი ჯაგრისით და გაჭირვებით ტენიდა ფეხს, სხვის გამოწაცვალ, პატარა, კოჟრებისგან გაფუჭებულ ჩექმაში.

ქალაქში მუშაობდა. სახლებს ულაგებდა მდიდრებს. ზეი-მი იყო მისი დაბრუნება. მძიმე ჩანთაში პოულობდა ნამცხვ-რის ან ქათმის ნაჭერს, გატეხილ სათამაშოს, ტანსაცმელს, ხმელ პურებს, ფერადნახატებიან, უცხოურ ჟურნალებს...

ერთხელ ისეთი თეთრი, გრძელი, ფუმფულა, პრიალა მაქ-მანებიანი კაბა იპოვა, დედოფლებს რომ ეცვათ სასახლეებში.

ჩაიცვა და დატრიალდა. ფრიალებდა კაბა და თმა.

— გაჩერდი, თავბრუ დაგეხვევა! — დაუტია დედამ.

მარტო რომ რჩებოდა, იცვამდა და ტრიალებდა, ტრია-ლებდა...

ქალაქიდან მამიდა ესტუმრათ.

— ამას ეს რად უნდა?! ჩემს ნინიკოს ზეიმები აქვს ხშირად, მუსიკაში და გამოადგება.

— ნაუღე — არ დაინანა დედამ.

ხმა ვერ ამოიღო. უკრძალავდნენ შეკამათებას - მამა ვერ იტანდა უზრდელ ბავშვებს!

ყვითლად თმაშეღებულმა ქალმა ფრთხილად დაკეცა კაბა, ტყავის ჩანთაში ჩადო და წაიღო.

\*\*\*

ინდაურებს პატარა თავებში რაღაც შეუჯდებოდათ, აიფხორებოდნენ, ააფართხალებდნენ ფრთებს, აინევდნენ და აფრინდებოდნენ. სულ რამდენიმე სახლს გადაუვლიდნენ და მეზობლის ეზოში ეშვებოდნენ. წყევლით აგლეჯდა დედა ფრთებიდან ბუმბულს და ერთად კრავდა. ამ კონებით აცი-ლებდა მტვერს ავეჯს.

ის კი ჰპარავდა. სახურავში ძვრებოდა, შლიდა და ალუმი-ნის მავთულზე, ფერადი ძაფებით, ამაგრებდა ბუმბულებს. ფრთებს აკეთებდა. დროდადრო მათ ხელებზე ირგებდა და ისე იქნევდა, როგორც ინდაურები აფრენისას, მაგრამ მინას ვერ სცილდებოდა. ხვდებოდა, ჯერ საკმარისი ბუმბული არ ჰქონდა შეგროვილი.

\*\*\*

ბებოსავით თეთრი იყო თუთა. ზაფხულში ფუტკრები, კრა-ზანები, ბზიკები, ბუზები, ჩიტები და უბნის ბავშვები ეხვივნენ ხეს. მწერები თეთრ ნაყოფს წუნნიდნენ. ჩიტები თუთასაც სან-

სლავდნენ და ზედ მინებე-ბულ მწერებსაც. ბავშვებს ტოტებზე ჰქონდათ მოწყო-ბილი თოჯინების საძინებ-ლები, სამზარეულო, მალა-ზია, სკოლა. ხეზე თამაშობ-დნენ დამალობანას, დაჭე-რობანას, ომობანას...

ძლიერი ქარი რომ ქრო-და, კენწეროზე ძვრებოდა და თითქოს ფრენდა. დაბ-ლა რჩებოდნენ სახლები, ადამიანები...

მშობლები ეჩხუბებოდ-ნენ და ბოსტანში უშვებდ-ნენ, ქვების ასაკრეფად. არ ილეოდა ქვა. ყოველი დაბარ-ვისას და გათოხნისას ამო-დიოდა და ამოდიოდა... გო-რებს სდგამდა, რომლებსაც მამამისი ნელ-ნელა შლიდა. ზოგს სათბურის საძირკველში ატანდა, ზოგს ბოსლის კედლებში...

\*\*\*

ხან საფანგისგან მოხრჩობილი ტურა მიჰყავდა მამას სახლში, ხან საფანტით დაცხრილული კურდღელი, ხან დაჭრილი მელა...

მკვდარი მაჩვი და მისი ორი, პატარა, ცოცხალი ნამიერიც ამოსხა ტომრიდან. დედა გაატყავა, დაჭრა, ქვაბში ჩაყარა, ხახვში და კარაქში ჩახრაკა. მარილი და პილიპილი მოაყარა.

პატარები შვილს მისცა გასაზრდელად. თარო გაათავი-სუფლა ნიგნებისგან, ნაჭრები დააფინა და თბილად დაანვინა მაჩვები. ბოთლში რძე ჩაასხა, ნოვა ასწავლა. ძაღლის ლეკვე-ბივით დასდევდნენ უკან თეთრზოლიანი გუნდები. დამით, სა-წოლში ჩანოლილს, ესმოდა ჩაძინებული მაჩვების სუნთქვა. სიმშვიდე ჩნდებოდა სიბნელეში.

წამოიზარდნენ. მამამ ჩათვალა, საშიში იყო მათი სახლში ყოფნა და გომურში, ხელით შეჩონჩხილ გალიაში ჩაამწყე-დია. გასუქება დაუნყო.

უნდოდა გაეპარებინა მაჩვები, მაგრამ ვერ ბედავდა. ეში-ნოდა.

ზამთარში, სკოლიდან დაბრუნებულს, ორი სისხლიანი ტყავი შეშებზე მიყრილი დახვდა. სახლიდან ხმაური გამოდი-ოდა. კაცები ქეიფობდნენ...

შესძულდა თავი. ყველა შესძულდა...

ვერ შეეჩვია სისხლს. დაბადებდან ხედავდა, როგორ ჭრი-და საქონელს ყელს მამა. დასაკლავად გამოყვანილი, ხეზე მიბმული მაიას ნაღვლიანი, განწირული თვალები იმავე ხეს-თან ეცხადებოდნენ და გულს უწურავდნენ. დანის ლესვის ხმას რომ იგებდა, სახლიდან მიდიოდა. დაბრუნებულს, ხორცი გასაყიდად გამზადებული და მინაზე დაღვრილი სისხლი შე-დედებული, ხვდებოდა. კაუჭზე ჩამოკიდებულ მოჭრილ თავ-ზე, ღიად დარჩენილ თვალებში აღარაფერი იყო და შვებოდაც კი სუნთქავდა — დამთავრდა სიცოცხლე!





\*\*\*

ნამოიზარდა. მენჯი გაუგანიერდა. უხეშ, ხვეულ თმას წყლით ტკეპნიდა და წნავდა. გაცივების დროს პირზე ხელს იფარებდა, გაფუჭებული კბილები რომ არ დაენახათ.

პარალელურ კლასელი ბიჭი შეუყვარდა. დაქალს გაანდო საიდუმლო. მან წერილი დააწერინა და შეჰპირდა, მიეცემო. შიშით ელოდა მეგობრის დაბრუნებას. დაქალმა დახია წერილი, პასუხი თვითონ დაუწერა და გაკვეთილების შემდეგ, სახლში მიუტანა.

მაშინ, ბედნიერი იყო.

წერდა და ელოდა. წერილთან ერთად ისტორიებიც მიჰქონდა გოგოს — როგორ ითამაშა მის შეყვარებულთან, იმან რა თქვა, რა გააკეთა... უსმენდა და ოცნებობდა...

მამამ მიაყურადა, ერთხელ და შევარდა ოთახში.

— ნადი აქედან! — დაიღრიალა.

მეგობარი გაიძურნა. თმით დაითრია კაცმა შვილი, იატაკზე დააგდო და ნიხლით სცემა.

მერე, ლოგინზე მიგდებული ფიქრობდა, წყალში ჩამხრჩვალყო თუ თოკით ჩამოეხრჩო თავი. წარმოიდგენდა, რა ამბავი დატრიალებოდა და უხაროდა.

\*\*\*

უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა, ისტორიულზე ჩააბარა.

სალამოს გომურიდან ნეხვი გამოჰქონდა და ბაღჩაში აგროვებდა. დილით ლექციას, მის სახლზე ათჯერ დიდ აუდიტორიაში, ისმენდა, მონინებით დააბიჯებდა მარმარილოს იატაკზე და ალტაცებული შეჰყურებდა მაღალ ჭერს. ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს, სხვა ქვეყნის სასახლეში მოხვდა, სადაც ადამიანები ქართულად, უცხო ენაზე საუბრობდნენ და მისთვის უჩვეულო წესებით ცხოვრობდნენ.

ამ სასახლეში იყო ბიჭი. მწვანე თვალები და ძლიერი სხეული მის კურსელ გოგონებს ძალიან მოსწონდათ. თამამი იყო ბიჭი, კარგად იცვამდა, მანქანით დადიოდა... ისიც უცხო იყო. თვალების შეღებვა გაბედა.

გაზაფხულიც სხვანაირი დადგა უნივერსიტეტში. აყვავდა ბალი. შაშვები ახმაურდნენ. სითბოში, ჟრჟოლის მომგვრელ, უცნაურ სიცივეს გრძობდა სხეული და ელოდა.

ლექტორმა წიგნის პრეზენტაცია მოაწყო. იყო მუსიკა. ალაფურშეტი. შამპანური გასინჯა. მოეწონა. ჭიქა დაცალა. ახალი ბოკალი მიართვა ბიჭმა. შუშხუნებდა სასმელი და უღიმოდნენ მწვანე თვალები.

ბაღში გასეირნებაც შესთავაზა. კურსელებმა გაოცებულნი, გაბრაზებული მზერა გააყოლეს.

ხეების ჩრდილში ბინდებოდა. აკოცა. სამყარო დატრიალდა, შეიკუმშა და გაქრა.

იმ თვეშივე გაიგო, ფეხმძიმედ იყო. თავზარი დაეცა. მოუნდა გამქრალიყო.

ბიჭისგან ელოდა შველას. ის შეწუხდა, მერე გაიცინა და ჰკითხა:

— დარწმუნებული ხარ, რომ ჩემია?

დარჩა მარტო, მის მუცელში აღმოჩენილ სიცოცხლესთან. ქუჩა იყო სავსე. მიდიოდა ნელი ნაბიჯით. სახეები ელავდნენ. ელავდნენ მოგონებები. მიდიოდა რაღაცით სავსე. და იგრძნო, მას ვერასდროს ვეღარ შეაშინებდა მამა! ვერც ვერავინ! გაჩერდა — მისი შვილი დაიბადება! დაიბადება და არ გაიზრდება ისე, როგორც თვითონ! არ მოაკლდება არაფერი!..

საბუთები მიიტანა ფირმაში, საიდანაც გოგონებს აგზავნიდნენ გერმანიაში, ბავშვების მომვლელებად. რამდენიმე თვის ლოდინის შემდეგ, გამოჩნდა ოჯახი.

სახლში თქვა, რომ მიდიოდა.

მამამ იჩხუბა. დედა ცაბრაზდა. ბებომ იტირა, მერე ლეიბის ქვეშ ხელი შეჰყყო, ცხვირსახოცში გამოკრული ფული გამოიღო და სულ მისცა.

აეროპორტში გადაახურდავა ლარი. ოცი ვერო მისცეს.

თვითმფრინავში არც შიში უგრძენია, არც სიხარული, არც...

\*\*\*

გერმანელები ფერად-ფერადი ბუმბუტებით, ყვავილებით, მოხატული ფურცლებით დახვდნენ თვითმფრინავს. ზოგზე ეწერა ნინო, ზოგზე — ნათია, ნატო, ეკა... თავისი სახელი ვერ იპოვა. არ ჩანდნენ მისი მასპინძლები. დამხვდურებმა ჩასულები წაიყვანეს. დარჩა მარტო.

იდგა ბარგთან და ელოდა. ერთი საათი, ორი, სამი...

მწვანე ფორმიანი პოლიციელი მივიდა. რალაც ჰკითხა. ვერაფერი გაიგო. ხელი მოჰკიდა და საინფორმაციო ბიუროში შეიყვანა. ხელების მოძრაობას აკვირდებოდა და ცდილობდა მიმხედარიყო, რას ეუბნებოდნენ.

ანიშნეს, დამჯდარიყო. ჩამოჯდა. კვლავ გაუგებარი სიტყვები. ჩანთიდან მიწვევა და ბილეთი ამოიღო. გადაიკითხა მწვანე ფორმიანმა და გაჭირვებით გააგებინა, მასპინძელი ოჯახის ტელეფონის ნომერი მიეცა. იპოვა ფურცელი. პოლიციელმა დარეკა, მალე ყურმილი დაკიდა და ანიშნა, არაო. თავზარი დაეცა და წამოდგა. კაცმა მხარზე ხელი დაადო და დასვა. ის ისევე ადგა. კვლავ დასვა. რალაცას ამბობდა მწვანე ფორმიანი. მხოლოდ „არა“ ესმოდა და სკამზე ვერ ჩერდებოდა. რუსულად მოლაპარაკე თანამშრომელი იპოვეს. იმან აუხსნა, „ოჯახი, ვისთანაც ჩამოხვედი, სახლში არ არის, აქ დაელოდე, მოვლენ!“

დამშვიდდა.

აეროპორტში, მიკროფონით გამოაცხადეს მისი სახელი.

\*\*\*

უცხო სიტყვები ჟღერდა ირგვლივ. მჭახე სიტყვებით ესაუბრებოდა ვოლფგანგი, ნითური თმა კეფაზე რომ აეპარსა და მისი ვეება ცოლი, ინგე. არ ესმოდა მათი, მაგრამ ისეთივე ბედნიერი იყო, როგორც ავდარში გარეთ დარჩენილი მწერი, ნაპრაღს რომ იპოვის და თავს შეაფარებს.

მისი ნაპრაღი კი იყო სუფთა, კომფორტული და ყვავილებით სავსე.

ყვავილს დაადებდა ხელს ინგე და ეტყოდა, **Blume**. იმეორებდა ისიც. კოვხსა დაანახებდა და წარმოთვამდა, **Löffel**. იმახსოვრებდა.

თინქე, ვის მოსავლელადაც ჩამოიყვანეს, წლინახევრის იყო და თავის, ბავშვურ ენაზე მეტყველებდა. ეს ენა კარგად იცოდა. არ უჭირდათ თამამი. ნელ-ნელა, ერთად დაინყეს გერმანულად ლაპარაკი.

მუცელი გაეზარდა.

ვოლფგანგის ძმამ, ნოტარიუსთან, საბუთში ჩანერა, რომ ის იყო ბავშვის მამა.

დაიბადა ბიჭი.

გერმანიის მოქალაქეები გახდნენ დედა-შვილი. სახელმწიფომ ორივეს მისცა დაზღვევა. მასპინძლებმა კი თავიანთ დიდ სახლში, პირველ სართულზე დაუთმეს ორი ოთახი, სამზარეულო და აბაზანა.

ენვინა მკერდზე, ძუძუს ნოვაში, ჩაძინებული შვილი და ბევრს ფიქრობდა. ფიქრობდა შორს დარჩენილ ოჯახზე. ინდაურებსაც იგონებდა.

\*\*\*

ცაზე ისევ ისხდნენ ვარსკვლავები, მის სახლთან კი ქალები. ჭრიჭინები ჭრიჭინებდნენ. მინაზე მოკუნტულიყო მურა.

— აი, მე რამდენჯერ გამიგია, შუალამისას, ჩემი სახელის ძახილი — ნუნუკა! ნუნუკა! გამიხედავს გარეთ, მაგრამ არავინ დამხვედრია — გაფართოებულ თვალებს ანათებდა უბნის ახალგაზრდა რძალი.

— მაგ დროს არ შეიძლება გახედვა! ეშმაკი გეძახის, გაგიტყუებს და სადმე გადაგჩეხავს! — დაარიგა შავად შემოსილმა ლიზომ.

— მამაჩემს გაუცნია უცნაური კაცი. შეუძლია ადამიანი შეახვედროს მიცვალებულს. ერთი ქალი დაულაპარაკებია

თავის მკვდართან. იმას მოუყვლია, „ასე მითხრა, თვალები დახუჭე და რა გზითაც გეტყვი იმ გზით იარე, თორემ უკან ვეღარ მოგაბრუნებო. ნავედი. ამნვანებული და აყვავებული იყო იქაურობა“.

— ხო, ეგეთია! — გაანყვებინა მზისგან სახედამწვარმა ქალმა.

— დედაჩემს არ სჯეროდა. „კაცო რეებს არატუნებო!“ „აქ რომ მოვიყვან, შენი თვალთ ნახავო!“

— ვინ არის? იქნებ ჩემს გვიას დამალაპარაკოს! — თვალები მოუწყვლიანდა ლიზოს.

— იცი რა საშიშია, ქალო?! ძლივს მოუტრიალებია ის ქალი. გზიდან გადაუხვევია და ლამის იქ დარჩენილა!

— დავრჩები და დავრჩე! ვიქნები ჩემს შვილთან!

— ყაზბეგში ერთი ქალი ცხოვრობს — თემა შეცვალა ნუნუკამ — თავის ქორწილში ქათმის ბარკალი უჭამია, ლუკმა სასულეში გადავარდნია და მომკვდარა.

— რა მუცლის მოლორება იყო, პატარძალი ქალი ბარკალს რომ ჭამდა ქაა! — აიმრიზა სახედამწვარი.

— დაუსაფლავებიათ საპატარძლო კაბითვე. არც ოქროული მოუხსნიათ. ვილაცებებს, იმავე ღამით ამოუთხრიათ საფლავი და გაუძარცვათ. „კალიცო“ ვერ მოუცლიათ თითიდან. ამ ძალაობაში თავში წამოურტყამთ ხელი. ლუკმა სასულედან გადმოვარდნია და გაცოცხლებულა. გაქცეულან გულგახეთქილი ქურდები. ის კი ამდგარა და სახლში მისულა. კარი დედამისს გაუღია. დაუნახავს თუ არა, იქვე დაცემულა და მომკვდარა.

— შემცვლელი გაუგზავნია!

— დღესაც ცოცხალია ის ქალი, ასზე მეტი წლისაა!

— ეგ აღარ მოკვდება, იქნება სულ ეგრე! იცოცხლებს ყვავივით! — დაასკვნა ლიზომ. თვლებმა მურა და კამკაშებდნენ ვარსკვლავები.

\*\*\*

ის კი კომპიუტერს ჩაჰკირკიტებდა. დილით, ბავშვთან ერთად, ფოტოსალონში შევიდა.

— სურათი მინდა დოკუმენტისთვის. მალაღმა, მკრთალთვალეებიანმა კაცმა ფოტო გადაუღო და ბავშვს მოეფერა.

— შეიძლება ავიყვანო?

მიანოდა.

კაცმა ფრთხილად მიიხუტა ბიჭი.

— რა ჰქვია?

— დავითი.

დიდი თითები მოუთათუნა ლოყებზე.

— აქაური არ ხარო, ალბათ. სად ცხოვრობო? უთხრა.

— მეუღლესთან ერთად?

უპასუხა.

— შეიძლება დავითის სანახავად გესტუმროთ? დათანხმდა.

— მე ოლაფი ვარ.

გაუღიმა.

\*\*\*

მას ყვავილები, ბავშვს კი სათამაშო მანქანა მიუტანა ოლაფმა. ათამაშა დავითი და თვითონვე დააძინა.

სამსახურის შემდეგ, ყოველდღე ნახულობდა დედა-შვილს და მერე მიდიოდა სახლში. მარტო დარჩენა აღარ უნდოდა კაცს. ხშირად მიჰყავდა ისინი სასეირნოდ პარკში, კაფეში, ბერძნულ რესტორანში, მუზეუმში, ზოოპარკში...

არ აძალებდა კოცნას და მოფერებას ოლაფი და მოსწონდა ეს თავშეკავება.

მოსწონდა, როგორ ზრუნავდა მის შვილზე.

ისიც მოეწონა, დავითი მინდა ვიშვილოო, რომ უთხრა.

ჯერ ხელი უნდა მოეწერათ.

თეთრი კაბა ჩაიცვა და სტუმრებისკენ ყვავილების თაიგული ისროლა.

ქმართან გადასახლდა. ცალკე დანვა კაცი. მეორე ღამეს თვითონ სცადა სიახლოვე. ის ისევ თავშეკავებული იყო.

და იჩხუბეს პირველად. მერე მეორედ, მესამედ, მეათედ...

ამასობაში ბავშვმა მამა დაუძახა ოლაფს. მან კი უფლისწული შეარქვა ბიჭუნას.

მთავარი შვილი იყო! დავითი უნდა ჰყოლოდა კარგად!

საქმეში ეძებდა თავდავინყებას. იპოვა, კიდეც, სამი სამსახური. თავისუფალ დროს, თუ მაინც გაჩნდებოდა ფიქრები, სახლს ალაგებდა, საჭმელს ამზადებდა... ამაშიც ხელს უშლიდა ქმარი. ამბობდა, საუკეთესო მზარეული თვითონ იყო და ცოლის გაკეთებულს არაფერს ჭამდა. სხვა საქმესაც მონდომებით აკეთებდა. სამსახურიდან დაბრუნებულს მტვერსასარეუტო ხელში ხვდებოდა კაცი.

ნელ-ნელა დაივიწყა თავი. დაივიწყა, რომ ქალი იყო. პრანჭვაც დაივიწყა.

იგრძნო, რომ ბერდებოდა. ჩამქრალ თვალებს ხედავდა სარკეში. მერე თვალებსაც აღარ აკვირდებოდა.

ერთი წლის შემდეგ, მამობილისგან გერმანული გვარი მიიღო ბიჭმა.

ამაყოფდა ოლაფი ოჯახით. დაჰყავდა ცოლ-შვილი სტუმრად ნაცნობებში და თავს იწონებდა.

\*\*\*

მოხუც ქალთან მიიყვანა ნაცნობმა. მოეწონა ტრაუდელს და აიყვანა მოსამსახურედ.

სახლში სულ ჩართული იყო რადიო. მისი მოსმენა, ახალგაზრდობიდან ქცეოდა ჩვევად. მაშინ, დღედაღამ ფიურერის ხმა ისმოდა.

„ჰიტლერის მედეა“ იყო ტრაუდელი. ნაცისტების ბრძანებით, დადიოდა გერმანულ ოჯახებში, შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებს ჰაერიან ნემსებს უკეთებდა ვენაში და ხოცავდა - არიულ რასას წმენდდა ავადმყოფი გენებისგან!

მერე, ათას ცხრასას ორმოცდახუთში, დანგრეულ გერმანიაში, საბჭოთა ჯარისკაცები ორი კვირის მანძილზე აუპატიურებდნენ. ყოველ წუთს სიკვდილს ელოდა. გადარჩა, მაგრამ შვილი აღარ ეყოლა.

ორმოცდაცხრამეტი წელი, მეუღლესთან ერთად, უსმენდა რადიოდან გადმოსულ ახალ ხმებს. შემდეგ დარჩა მარტო.

აფუჭებდა აბაზანაში ონკანს ტრაუდელი და იძახებდა ხელოსნებს. მასთან დაწოლას სთავაზობდა კაცებს.



მხატვარი ნინო მამაცაშვილი

— არ მოგწონვარ? ნახე, რა კარგი ძუძუები მაქვს! ჯერ არ არის დაძქვნილი... მასთან დაინყო მუშაობა.

\*\*\*

რვა წლის შემდეგ ჩავიდა საქართველოში, შვილთან ერთად. დაპატარავებული მოეჩვენა სოფელი, მთა, სახლი და ბაღი. ბაღს, ისევ, არავინ უვლიდა. ყვავილები ისევ ყვავოდნენ. ბაღი ისეთივე იყო, პეპლებიც. მაგრამ, იქაურობა მაინც შეცვლილიყო. მზეც შეცვლილიყო, დღის ფერიც... ყველაფერი პატარა და უშნო იყო.

ალარ ჰქონდა, ბებიის ნაყიდი, პეპლის საჭერი ბადე. ალარც ბებია იყო...

საწოლი დავიდარაბით გაათავისუფლეს დედა-შვილისთვის. ამ სახლში ალარ იყო მისი ადგილი!

გერმანიიდან ჩამოტანილი კომპიუტერთან რძალი იჯდა და ერთი ფერის ბურთებს აფეთქებდა. ძმა მისი ფულით ნაყიდი მანქანით დადიოდა. შეელამაზებინათ იქაურობა და დევინებინათ შერცხვენა, მისი ფეხმძიმობის გამო რომ განიცადეს. ალარ უბრაზდებოდნენ. ეფერებოდნენ კიდევ. იგონებდნენ, სად გაესეირნებინათ, რითი ესამოვნებინათ.

მამის გარდა. ის მაინც იბღვირებოდა. გაპრანჭულიყო შვილის გამოგზავნილ ტანსაცმელსა და ფეხსაცმელში და არ ივინებდა წყენას. შვილიშვილსაც არ აქცევდა ყურადღებას... უცხო იყო დედის სახლი ბიჭისთვის.

რამდენიმე ქართული სიტყვა იცოდა დავითმა, „გამარჯობა“, „როგორ ხარ“, „კარგად“ და სიტყვები, რომლებიც დედა ლოცავდა დაძინების წინ - „ღმერთო, გამიზარდე ჩემი შვილი! ღმერთო, დამილოცე ჩემი ბიჭი! ღმერთო, გამიზარდე, გამიზარდე და გამიმრავლე ჩემი დავითი!“

არ ესმოდა ბავშვს, ვინ რას ამბობდა. ტელევიზორიც გაუგებრად ხმაურობდა.

დედამისს კი ნაცნობი ხმა მოესმა. ეკრანს დააკვირდა. ჟურნალისტები შემოხვეოდნენ დეპუტატს.

— განადგურდა მოსავალი, დასეტყვა ვაზი, ატამი. ღია ცის ქვეშ, ლუკმა-პურის გარეშე დარჩნენ ბავშვები და ქალები! მათ სახლებს ალარ აქვთ სახურავები. შეიძლება ადამიანების ესე უყურადღებოდ დაყრა?! მე ვიბრძოლებ, რომ ყველა დაზარალებულ ოჯახს გაენიოს დახმარება, ყველამ მიიღოს „კომპენსაცია“. ეს არის ჩემი ადამიანური და მართლმადიდებლური მოვალეობა! ის იყო, მისი შვილის მამა!

\*\*\*

გერმანია დახვდა ისეთივე მოვლილი, ცივი და უცხო. დილით საუზმე მოამზადა ქმარმა. მაგიდა აალაგა, ჭურჭელი დარეცხა. სახლის ლაგება დაინყო.

ის ტახტზე იჯდა. ალარ შეეძლო ამ კაცის ყურება, ველარ იტანდა. არც ეს სახლი იყო მისი! დედამინაზე არ ჰქონდა ადგილი! მაგიდიდან მტვერი გადანმინდა ოლაფმა და ხილით სავსე ვაზა ცოლისკენ მიაჩოჩა.

მან ხელი დაავლო და იატაკზე დაანარცხა. გატყდა შუშა და გაიფანტნენ ვაშლები. გაოცებულმა შეხედა ქმარმა. მერე კომპიუტერი გადააგდო. კედელზე დაკიდებული, თეფშზე დახატული წყვილიც ესროლა. აიცილა ოლაფმა. კედელს მიასკდა ნახატი და დაიმსხვრა.

— რა მოგივიდა? — ჰკითხა კაცმა. საშინელი ხმით უყვირა ცოლმა და დალენა რასაც მისწვდა. ტანსაცმელი ჩაყარა ჩანთაში და ბავშვთან ერთად წავიდა. ოლაფმა სასამართლოში შეიტანა განცხადება - „ჩემი ცოლი ფსიქიკურად არაჯანმრთელია და ჩემი შვილის მასთან ერთად ყოფნა საშიშია“ — ეწერა თეთრ ფურცელზე.

გამოკვლევაზე გაგზავნეს. დიაგნოზი — დეპრესია! დაუნიშნეს მკურნალობა. ამ ხნის მანძილზე, მამასთან უნდა ეცხოვრა დავითს.

განაჩენმა გააოგნა. სამსახურებმაც გაათავისუფლეს. ტრაუდელმა არ დაითხოვა მხოლოდ.

\*\*\*

პირველად დარჩა ბავშვის გარეშე, ღამით. ძილის წინ დაურეკა დავითს. მოეფერა და ლოცვა წაუკითხა — „ღმერთო, გამიზარდე ჩემი შვილი! ღმერთო, დამილოცე ჩემი ბიჭი! ღმერთო, გამიზარდე, გამიზარდე და გამიმრავლე ჩემი დავითი!“ — ყურმილი დაუკიდა ბიჭმა.

ანრიპინებული ტელეფონი შერჩა ხელში. დააგდო და გარეთ გავარდა. ვერ ხედავდა გზას, მანქანებს, ხეებს... აღმოაჩინა რომ ხიდზე იდგა. ძირს, ადიდებული, ამღვრეული წყალი მიდგაფუნობდა. შეტრიალდა, ზურგით მიეყრდნო რკინის მოაჯირს, თვალები დახუჭა და გადაინია.

\*\*\*

მუყაოს დიდი ყუთისთვის კარი გამოეჭრა მანანალას. საძინებელი მოეწყო. თვითონ გარეთ, სილაზე იჯდა ფეხმორთხმული, პირით ანთებული ფარანი ეჭირა და დაჭმუჭნილ გაზეთზე ინათებდა. კითხულობდა. კედელი ანგელა მერკელის სურათებით მოერთო. ზურგჩანთა დიდ კაუჭზე ჩამოეკონნი-ალებინა.

ვილაც ზემოდან ჩამოვარდა, უცებ. წყალში გაქრა სხეული. წამოხტა, ქურთუკი, ფეხსაცმელი გაიძრო და მდინარეს შეერია. ქალი გამოიყვანა წყლიდან. გაფართოებულ თვალებს აცეცებდა გონსმოსული.

— არ მოგცემ სიკვდილის უფლებას! — თან სველ ტანსაცმელს იხდიდა მანანალა — შენ, იცი, ვინ ვარ? პატრიკი გაგიგია? წმინდა პატრიკი! დიას! არავის უთხრა, აქ რომ ვცხოვრობ! — და შარვალი გაიძრო.

წამოხტა და გავარდა გადარჩენილი. გამოეკიდა საცვლისამარა მანანალა. გზაზე ავიდა გაქცეული. პატრიკი გაჩერდა.

\*\*\*

ისევ ტრაუდელთან... ერთ დილას ლურჯკოპლებიანი კაბა ჩაიცვა მოხუცმა. უჯრიდან ბამბა, ნემსი, წამალი და ლახტი ამოალგა. ნემსი წამლით, ჰაერით აავსო და დაიძახა.

— ძალიან ცუდად ვარ! უნდა დამეხმარო! ეს ნემსი უნდა გამიკეთო!

— არ ვიცი! არ შემიძლია! ექიმს გამოვუძახებ!  
— არა! ვერ მომისწრებენ! შენს მეტი არავინ მინდა!  
— წნევას გაგიზომავთ!  
— გეუბნები, ცუდად ვარ! გინდა შემოგაკვდე და პასუხი მოგთხოვონ? ნუ გეშინია, გასწავლი!

დაწვა.  
— ლახტი გადამიჭირე!  
— ყოჩაღ! — შეაქო ტრაუდელმა და ხელი რამდენჯერმე მომუშტა.

დაჩამიჩნებულ მკლავზე ვენები ამოიბურცა.  
— სპირტი დაასველე ბამბა და ამ ადგილას წამისვი. გაუბედავად მოქმედებდა.

— ნემსი მოიტანე!  
— აქ ჰაერია.  
— ყველაფერი რიგზეა! მაგის მეტი რა მიკეთებია! ბოლომდე შეუშვი. მიდი, გამოგივა! — გაუღიმა ტრაუდელმა.

გამოუვიდა. მალე კრუნჩხვა დაეწყო მოხუცს. შეშინებული დაჰყურებდა სულთმობრძავს.

„არაფერი!“, უნდოდა ეთქვა მომაკვდავს, მაგრამ ვერ შეძლო. გარდაიცვალა.

დაიჭირეს...  
იქ, საქართველოში, სახლის სახურავში, მტვერში ეყარა თავგებისგან დაღრღნილი, დაუმთავრებელი ფრთები.

ლევან ვასაძე

ბერდია

I.

მზიან მარიამობა დღეს გერგეთს ხალხის ნაკადი არ წყდებოდა. ქვემოთ გაშლილი სტეფანწმინდიდან, რომელსაც კომუნისტების დროს ყაზბეგი ერქვა, მოდიოდნენ და მოდიოდნენ მთაზე შემოფრენილი სამების ტაძრისაკენ მოხვედრის და თბილისელები, ტურისტები და მომლოცველები. ტურისტს მომლოცველისაგან გამოუცდელი ქალაქელის თვალის კი გაარჩევდა ფოტოაპარატისა, თუ სამთავსველო ტანსაცმლის მიხედვით. მანქანის გამონაბოლქვის სუნი იდგა მთელს სოფელში. სოფლის ვიწროებში ორი მანქანა ერთმანეთს ჭიუხის ჯიხვებით დაუპირისპირდებოდა და იყო ერთი ცდა და წყრომა.

„ჰა, აბა რაისა მიყურებ, კაცო“ — ეტყოდა „ვილისზე“ მჯდომი მოხვეე ქალაქელი.

„განე, თუ ძმა ხარ“ — ცოტა მშვიდობისმამიებლურად, მაგრამ, რამე, რომ იყოს, ცხვირ-პირის მტვრევის არანაკლები მზადყოფნით უპასუხებდა მოყაყანე ქალებით გადაძეცილი „ჯიპიდან“ ქალაქელი.

იყო ერთი ხელის აქნევა და „ერთი შენი“-ს და „ნადი შენი“-ს და „რა იყო“-ს ძახილი. უკნიდან მომდგარი მანქანები პიპინით იკლებდნენ იქაურობას, დაპირისპირებულ „ჯიხვებს“ ოდნავ გონება ეფანტებოდათ, რომელ ერთს ვეჩხუბო წინას, თუ უკანასო, მერე თავისიანები „მაიცა“-ს და „გაანებე თავი“-ს ეტყოდნენ და ორივე ჯიხვი იმ გადანწყვტილებებს მიიღებდა, რომლებსაც მათ ადგილას ევროპელები, ან თუნდაც რუსები მანამდეც მიიღებდნენ.

ღვთისო ბაბუ თავისი უანგინი ჭიშკრის ბოძს მიყუდებულ იყო ბამბის ქურთუკით, რომელსაც, აგერ, ორიოდე ათეული წლის წინ „ტელაგრეიკას“ ეძახდნენ საქართველოში. თითქმის გრძნობდა ზურგით რკინის ბოძის სიცივეს და გუნებაში ამით იმართლებდა თავს. რამ ჩაგაცვა ეგ ტელაგრეიკა ამ გაგანია აგვისტოში. ღვთისოს ასწავლოს ახლა ქეთომ გაცივებული ზურგის ამბავი. მერე რა, რომ აგვისტოა. ე, ყურადღან რომ რუხი ღრუბელი გადმოვარდნილა გერგეთის თავზე, ეგეც ღვთისოს მოგონილია? საჩხეში ვინ წავა მერე, რამე რო იყოს? ის უსაქმური ვახო, თუ ლუდუმა ჩამოვა ქალაქიდან, მაგას ვენაცვალე. ლუდუმა ისიც ეყოფა, იმ ნაკლა ქალმა რომ მიატოვა ვილაც ქერა გერმანელისათვის, თუ იმ ქერა გერმანელის გერმანისათვის და შვილი რომ მიუგდო მამას. სად სცალია ლუდუმა ქალაქიდან ჩამოსასვლელად და შეშის საჩხებად? კაცი შვილის სარჩენად და მშობლების დასახმარებლად პატრულში დღესა და ღამეს ასწორებს და ბერდიას მისახედადაც კი ვერ იცლის. იქნებ მაგიტომაცაა, რომ ხევში ნამოზრდილმა და თბილისში გადაყვანილმა ბერდიამ ვერ იგუა ქალაქური სკოლა და თექვსმეტი წლისამ ორ ჩვიდმეტი წლის ქალაქელ ძველ ბიჭს მაგრად სცემა. მანდატურს პოლიციაში ანგარიში უნდა დაენერა, მაგრამ ლუდუმა საგარეჯოელი ნათესავი მოუნახა იმ კახელ კაცს პატრულში, რვაასი ლარიც დაუმატა და იმანაც თქვა, კარგი, ოლონდ ქალაქიდან უნდა წაიყვანოთო. ლუდუმასაც რა ექნა. ღვთისოს და ქეთოს კი სიხარულითაგან ცა გაუნათდათ შვილიშვილის თბილისიდან სტეფანწმინდაში დაბრუნებით, მაგრამ „რაით ვარგა ყაზბეგის სკოლა?“ — ფიქრობდა ღვთისო. რაი ქნას ბოუშმა, რო დაამთავრებს, ღვთისო მაგას ცხორში ველარ წაიყვანს მამამისივით და ახლა ისეთი დროა, რომ ვისლა ანდობ თექვსმეტი წლის ბიჭს მთაში. ღვთისო თითონა მიჩვეული მაგების გადანყვეტას და თუმცა ცოტა სიბერემ შეანუხა ეს ბოლო სამი წელია, მაგრამ იმის ოფსილასა კი გრძნობს, რომ ერთი ბიჭი ფეხზე დააყენოს. ჯერ გეგმა თავში ბოლომდე არ ჩამოუყალიბებია, მაგრამ რაღაცას

მოჭრის. კაცო, ბოლო-ბოლო, კომუნისტების დროს არაფრისათვის ციხეში ჩამჯდარზე, ხაბაროვსკის ოლქიდან შეძლო ოთხი წელი ისე ემართა ოჯახი წერილებითა და გზავნილებით, რომ ლუდუმას, ვახოს და ცისოს გზა არ არევიათ, თუმცა ვახო უქნარა გამოუვიდა და მაგას სწორედ იმ ციხეში გატარებულ ოთხს წელს აბრალებდა ღვთისო. მე, რომ ეგ წლები სახლში ვყოფილიყავი, ქეთოს ვახოს არ გავანებივრებინებდი, როგორც უმცროსსაო და იქნებ ცი-



სოც ყაზბეგში დარჩენილიყო იმ დასაქვეც თბილისში ელექტრონიკის მალაზიაში მუშაობასო, იტყოდა ხოლმე. მაგრამ, მაინც, უნამუსო არც ერთი შვილი არ გამოსვლია ღვთისოს და ერთი შვილიშვილის გაზრდა რაღატომ გაუჭირდება, თუნდაც სიბერეში. უბრალოდ სანამ გეგმას დაალაგებდეს, ახლა მთავარია ბერდიას გულგონი დაალაგებინოს. დედა და გერმანიასი რომ მარტო სამუშაოს არ გაჰყოლია, ალბათ ბიჭიც ხვდება მაგას. ის დიღმის სკოლაა და იქაც ტყუილად არ სცემდა ასე გამეტებით მისი შვილიშვილი იმ ორ ქალაქელს. ესე იგი რაღაც ისეთი უთხრეს, რომ ველარ მათიშინა ბაღშია. ახლა კი, რავარია, ექვსი წელი ქალაქში ნაცხოვრებზე ხევში დაბრუნება მოზარდისათვის?! ღვთისოს იმის იმედი კი აქვს, რომ ბერდია აქაურ სილაღეს აჰყვება, ძმა-ბიჭებთან თავისუფალი ჭიდაობითა, ცხენითა და თევზაობით შეიქცევს თავს. თან იქნებ მთიულეთში სამამულო ომის მერე არხილოსკალოდან ამოსახლებული ძეღურის ნატა რომ მოსწონდა ბავშვობაში, იმის ეშხით გაუადვილდეს ყაზბეგი. იმ დღეს მღეთას ხატობაში იყო ღვთისო გადასული მთიულეში და მამა-შვილი ძეღურეშიც იქ იყვნენ. ბერდიას ნატასაც მოჰკრა თვალი და იმისთანა ამკვრივებულ-დაქალაქებული მოეჩვენა ღვთისოს ის „ბოუში“, რომ ერთი კი იქიქრა შარის ქალი გამოვა ეგაო, მაგრამ შარს ისედაც რა დაღვეს ხევში, ქართლში შარსგამოცლილი და რატომღაც მთიულეთს ამოსახლებული ზემო ქედელის სიბერის ქალიშვილის გარემეც. ეგ არ ადარდებს ღვთისოს. ყველაზე უფრო ღვთისოს დღისით შუქჩამქრალ შუშაბანდში ცივი სიჩუმე აშინებს სახლში. ეგ ის გარემო არაა, რომ მისმა შვილიშვილმა არ მაინყინოს. ამიტომაცაა, რომ ღვთისო ფეხსაც საჭიროზე მეტს ანთებს და ის წყელი ტელევიზორიც სულ ჩართული აქვს დაბალ ხმაზე, თუმცა თითონ ეგრევე თავი სტიკედებს მისგან. ქეთო სულ ეჩხუბება, რაც ბიჭი გადმოგვიდა ქალაქიდან, სულ ტელევიზორი გაქვს ჩართულიო, მაგრამ, როგორ აუხსნას ქალის კვლობაზე ცოტა ხეპრე ქეთოს ღვთისომ, რომ ბერდიას სიმყუდროვე სჭირდება სახლში, რომ სკოლიდან მოსულზე და ნასადილეზე პირდაპირ კი არ გავარდეს კარში, არამედ ორიოდე საათი მაინც იჯდეს ლამფასთან, მოისვენოს, იქნებ რამე წიგნი დაათვალიეროს, ან გაკვეთილი მოამზადოს, ოდნავ მაინცა. წაიყვანე საქონელში, სოფლის ცხოვრებას მიჩვეიო და ისევე, რაი ესმის ქეთოსა. საქონელში წაყვანილზე ყაზბეგიდან გაქცევის მეტი რაი მაუნდება ბერდიასა? საქონელში კი არა, უფრო სახალისო საჩხეშიც კი არ წაიყვანს ღვთისო შვილიშვილს, ეგებ, არ მოზებრდეს ბაღს აქაურობაო. ყოველ შემთხვევაში პირველი წელი მაინცა. ჰოდა, ამიტომ ამ მარიამობას ღვთისოს, რომ ძველი ზურგის კავი შაუბრუნოს, ერთთვინი მაინც ხო იქნება ეგა. ჰოდა, მერე სექტემბერში შეშას ვინ დაჩხეს ღვთისოს მაგივრად? ჰოდა, აბა ქეთომ ასწავლოს ახლა ღვთისოს ტელაგრეიკა როდის ჩაიცვას. მერე ქეთო არ იქნება პირველი ვინც ღვთისოს აი-

ლებს, გვეცვიო? ბერდიას და ღვთისოს რა უჭირთ, რევმატიზმი მაგათ არა აქვთ და თირკმელები. ჰაი, დედასა, ქალისას რას გაიგებ. სახლია და მოვლა უნდა, უკლი და მაინც გცოფავს და ჩიჩინითა გჭამს, ფიქრობდა ღვთისო. გაუპარსავი ნიკაპი კომბალზე შემოყნობილ კოჭრიან მუშტებზე შემოედო და დაბურული ნარბებიდან ლამაზი ლურჯი თვალებით ამღვრეულად იცქირებოდა.

— ჰაი, დედასავ, ადრე ჩხუბმეტიყო მარიამობას. — თქვა ფანჯრიდან გადმოყუდებული მეზობლის გასაგონად და გვერდზე გადააპურჭყა.

მეზობელმა ვასომ არაფერი უპასუხა, რაც ხევის და საერთოდ ნებისმიერი ქართული კუთხის ეტიკეტით უზრდელობად ჩათვლებოდა. მაგრამ ღვთისოს არც სწყენია და არც გაჰკვირვებია უჭმური ვასოს საქციელი. ვასოს გვარი გერგეთის მატიაწევი განსაკუთრებული იყო და საჭურჭლეთმცველების ნოდებას ატარებდა გორგასლის დროიდან. ეგ გვარი მეფისაგან გათავისუფლებული იყო ჯარში სამსახურიდან და მარდი ვაჟების აღზრდა ევალებოდა, რომელიც ბაგრატიონთან საჭურჭლეს იცავდნენ. კახეთის ალების შემთხვევაში მცხეთა-თბილისიდან საჭურჭლე მეფის მონა-სპათ ხევში გამოჰქონდათ და თუ, ღმერთს არ ექნა, მცხეთა-თბილისიც დაეცემოდა, მაშინ გადამწვარი ქალაქების კვამლს ოხვრად აიტაცებდნენ მტკვარ-არაგვის ხეობებში განთავსებული მეციხოვნეთა გვარების კომპლექსები, რათა დაბა-სოფლებში ხალხი მომზადებულიყო, ვინ იცის, რა ხნით და იქნებ ხიზანიშვილად დაბრუნებულიყო წლების შემდგომ მისი შთამომავლობა ბარში. და აგერ, ასეთი განგამისას სტეფანწმინდამიც ნახევარ საათში იცოდნენ ქართველთა ცოდვების გამო მათ თავს მონეული მორიგი უბედურების შესახებ. მაშინ ვასოს გვარის კაცები საჭურჭლეს ცხენებზე შეაგდებდნენ და მთაში გააქროლებდნენ მეჭურჭლეთუხუცესთან და მის რჩეულ თოროსნებთან ერთად, არავინ კი იცოდა, სად. მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში, სამეფოგაუქმებულ და ღირსებაშეღალახულ საქართველოში რაღაცნაირად გაირკვა, (ან ვითომ გაირკვა და სინამდვილეში უფრო ღრმად დაიმარხა), ეგ და ბევრი სხვა საიდუმლო დიდებული სამეფოთა. თურმე მცველები ცხენებით მყინვარწვერის ძირამდე მიდიოდნენ ადგილზე, რომელსაც დღემდე საბერენ ჰქვია, არავინ კი იცის რატომ ჰქვია იმ ადგილს მას. იქნებ იმიტომ, რომ იქიდან ადამიანი ისეთ სიმაღლეზე ადის, რომ მას ველარც ცხენი მიჰყვება უფრო მაღლა და ველარც ბავშვი. და ამიტომ იმის ზევით, მხოლოდ უშვილოს თუ ესაქმება რამე, ანუ ბერს ან ბერსს. თუმცა ჩვენს დროში საბერენს ზევით კი არა, მყინვარწვერზეც დადის უამრავი მეოჯახე და მაგას მთამსვლელობა ჰქვია — ინდუსტრიალიზაციისა და მოცლის კიდევ ერთი გამოვლილება, ისევე, როგორც ყველა სხვა სპორტი. ადრე კი ასე არ იყო. იმ სიმაღლეზე მხოლოდ განდეგილი ბერი ან რაიმე საქმეზე შეწირული ადამიანი თუ ავიდოდა. საბერენიდან კიდევ ნახევარი დღის ზემოთ სავალზე, რომელიც მყინვარის ენაზე უნდა გაიარო, ნამქერით დაფარულ ნაპრალებიან ყინულზე, ვულკანური ნაყარი ინყება პიტალო კლდეების ძირში. ვერც ახვალ წესიერად იმ ფხვიერ ნაყარზე. ფეხს დაადგამ, მუხლს დაანვები და კოჭამდე ეფლობი ციცაბოში, ასე გგონია ადგილზე დადიხარო, სიქა გძვრება და ვერაფრით ვერ აღწევ მყარი ქანების კლდეების ძირამდე. მიაღწევ და ციცაბო საცოცი ინყება მართებულ კლდეებზე. ერთგან ბჭეა, რომელშიც ძლივს გაეტევა გუდიანი კაცი. გადმოცემით ეგ ქვის ბჭე ადრე უფრო ვიწრო იყო და მას ჯვრის გადასახვით ხსნიდა წმინდა ბერი, იოსებ მოხვევე. ცოტასაც გადაცოცდები კლდეებზე და მთლად შვეულ კედელს მიადგები, რომელზეც, ასე, სამი იმერული კაკლის სიმაღლეზე ქვაბის პირი ჩანს. ეგ არის საარაკო ბეთლემის გამოქვაბული, რომელშიც ქართული საეკლესიო გადმოცემით ინახებოდა ძველი აღთქმის ებრაელთა პირველი პატრიარქის, აბრაამის კარავი და იესო ქრისტეს აკვანი. ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში მთამსვლელების დახმარებით იქ აყვანილმა ერთმა ქართველმა მღვდელმთავარმა ეგ ქვაბული ტაძრად აკურთხა, მას შემდეგ,

რაც მანდ გარეული ფუტკრის თაფლის უძველესი სანთლები იპოვეს, რომლებშიც ბანრის ნაცვლად გამხმარი ბალახი იყო. ამბობენ წმინდა ილია მართალსაც თავისი „განდეგილიც“ ბეთლემის გამოქვაბულზე დაუნერიაო, ვინ იცის, იქნებ თერგის დასალევად მიმავალ ჭაბუკ ილიას ესმა ხევში რაიმე მსგავსი ამბავი. სწორედ ბეთლემში აჰქონდათ, თურმე განძი ოდიტგანვე გადმოცემით ხვთისო პაპას მეზობელი ვასოს გვარის კაცებს. ჰოდა მაგ გვარს კარგი რა უნდა მოსვლოდა საკუთარი მრავალსაუკუნოვანი დანიშნულების დაკარგვით? და თუმცა ბევრმა მაგ გვარის შვილმა შესძლო თაობების მანძილზე ამქვეყნიურ ცხოვრებაში ღირსეულად თავისი ადგილი მოენახა, ზოგი კი მაინც ისეთი უკმეხი გამოვიდა, როგორც ღვთისოს მეზობელი ვასო.

ისე, ღვთისო კი მართალი იყო: ჩხუბი ადრე მართლაც მეტი ხდებოდა მარიამობას გერგეთზე. მართალია საკლავისა და ნაქეიფარის ნაგავი ახლაც იმდენივე გაჰქონდათ მეორე დღეს გერგეთის სამების ველიდან მამა იოსებს და მის ბერებს, ღვთისოსათვის გასაოცარი მოთმინებითა და მორჩილებით, ერთ სატვირთოს აგებდნენ ისე ნავით, მაგრამ ჩხუბი ნამდვილად ნაკლები იყო მარიამობას. ეგ იმ სულმნათი მოხვევე კაცის მაღლია, მთელი თბილისი და მთელი საქართველო რომ ღვთისაკენ შამააბრუნაო, იტყოდა ხოლმე ღვთისო. ჩხუბი არ უყვარდა ღვთისოს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ის შარიანი თათარი დალენა, ქეთოს რომ გაელაბა უცა ქორწილში. ციხეშიც ასე მოხვედა რუსეთში. არ ეკვლევინებოდა ეგ კაცი, უბრალოდ ისეთი რამე თქვა იმ თათარმა, რომ ველარ მოზომა ღვთისომ. მეერ ნანობდა, ქეთოს აბრალედა, როგორ მამმორდი ქორწილშიო. ჩხუბი სუსტებისააო, უყვარდა თქმა. სინამდვილეში კი თავისი ხასიათისავე ემინოდა და კიდევ უფრო მაგ ხასიათის გამოვლინებისა ჯერ ვახოსა და ლუდუშაში და მეერ ბერდიაშიც. ამიტომ გაეყინა გული, როდესაც ქალაქიდან დარეკილზე ლუდუშას ხმაში დარდი ჩაესმა, ბერდიას ამბავი ვერაა კარგადო. ბოლოს კი სულზე გამოძვრენ, მაგრამ ღვთისოს ხინჯი ჩარჩა, შვილიშვილიც ჩემსავით სულსწრაფი, ხომ არ გამოგვივიდაო. თუ მასეა, შორს ვერ წავა ბიჭო, აგერ გაირბენს ერთივით ოციოდე ათასი დღე და ისიც ჩემსავით მიეყუდება მარიამობას ჭიშკრის ჟანგიან ბოძსაო, ფიქრობდა. ველარ გაეგო რა უნდოდა, არც შვილების ხევიდან ნასვლა ახარებდა და არც მათი ხევიდან დაბრუნება-დარჩენა. ცოტა გაზს რომ დაგვიკლებდეს ე ოხერი მთავრობა და მთაში გლეხს ოდნავ ხელს გაუმართავდეს, რაი მანუნუნებდა აქ ყოფნაზე ან მე, ან ნებისმიერ გამრჯე მოხვევსაო, იმართლებდა თავს.

ასე იდგა ღვთისო მთელი დილა ჭიშკართან. გამვლელთათვის ის მხოლოდ მინგრეული სოფლის უსახური აჩრდილი იყო და ვერავინ დაინახავდა ამ ბერიკაცის ფიქრების სამყაროს ნაირფერ ცისარტყელას. ვერავინ, გარდა ღვთისოსავე თანასოფლელებისა, რომლებისათვისაც ღვთისო მათსავით გაშლილი ამბების ნიგნი იყო და მომსვლელები კი იყვნენ ერთდღიანი ფერადი პეპლები, რომლებიც მათი სოფლის ცხოვრებას ოდნავ კი ახალისებდნენ, მაგრამ მის შინაარსს ვერც აკლებდნენ და ვერც უმატებდნენ რასმე.

II.

ჩუკამ სანატრელი სურნელი იგრძნო. ზაფრანასა და იასამნის უცნაური ნარევი ისევ. ის არსაიდან მოვიდა ყვავილების ნაკადად... თუ ხმადა. ჩუკა გაინაბა და მიეყურადა სურნელს. საოცარი სიმსუბუქე იგრძნო, სიადვილე, არა მხოლოდ უდარდელელობა, არამედ მეტიც, მძლეობა, ყოვლის მძლეობა. სანამ მას რამეში გამოიყენებდა, სანატრელს ეფოფინა, დაკარგვა არ უნდოდა. ქალის სახე არ ჩანდა, უფრო მისი ტანი და ხმა... ხმები. სურნელის კორიანტელში საუბარი იკვეთებოდა. მოსაუბრეები (ქალიც) ერთმანეთშიც თანხმდებოდნენ და ჩუკას ფიქრებსაც ეხმაურებოდნენ. ყველა ერთ აზრზე, თუ განწყობაზე იყო. კარგ განწყობაზე. აქა-იქ ჩრდილები გაიღვებდნენ, მაგრამ მოსაუბრეები (ზღაპარი ქალიც, რომელიც ჩუკას საცქერად უფრო უნდოდა ვიდრე რამე სხვისათვის) მათ არ დარდობდნენ. ისევ ნიავ-

მა წამოიქროლა, კიდევ გაძლიერდა სანატრელი სივრცე, სურ-ნელად, მუსიკად, სანაპირო პრომენადის ლამპიონებად. ახლა ქალს თეთრი კაბა ეცვა, მერლინ მონროს რომ ქარმა უფრიალა ისეთი, ოღონდ ქალი ბევრად მაღალი, მუქი, ჯიშინი და ჯიქნიანი იყო მერლინ მონროზე. „ჩუკა, როგორ გაზრდილხარ“ — მგონი ღიმილით უთხრა ქალმა და იასამნის სურნელში დაიკარგა. კი არ დაიკარგა, ისევ საუბარში ჩაერთო. ჩრდილები მომრავლდნენ და ნერვები დაშალეს. „ამათ აქ ვინ აბლაბუავენს“ თქვა ჩუკამ, თუ სხვამ... ნიავე ცივ ქარად იქცეოდა ნელ-ნელა, თუმცა ჩუკა „არა, არა“ — ისახდა. საკმაოდ მაღე ივანტებოდა ჯერ ზაფრანას და მერე იასამნის სურნელიც და მოსაუბრეები უკვე მუქარით მღეროდნენ, თუ იძახდნენ რალაცას. ქალი მთლად დაიკარგა და ჩუკამ იდაყვში და ყურში წუილის მავგარი მწარე ტკივილი იგრძნო. საერთოდ ეს წუილ-ტკივილი საშინელებად მოვარდა უცებ, ჩუკამ თვალები ყვიტა და ბაგაბუგში გამოფხიზლდა. ირგვლივ ყაყანში და სიგარეტის ბოლში ღიბო დაძებნა და ვერ იპოვა, ვიღაცას გაუღიმა და კუჭის აშლა იგრძნო, მაგრამ მყრალი ტუალეტის სუნს ჰაერი არჩია და დაღამებული პეროვსკიას ხალხმრავალ ტროტუარზე გადმოეყუდა. იქით პატარა ვერელების სასტავი ხორხოცობდა და „შენ ძმობას ვფიცავარ“ — ში და „ბიძაჩემო“ — ში შარია-ნობდა ვიღაც ტაქსისტთან. გაჭედლიმა ქუჩამ ითმინა და მიაპიპინა, რასაც „რა იყო ბიჭო!“ — მოყვა, პასუხად მოპიპინე მანქანიდან რალაც გაისმა, ამაზე „რაა?“ — ს დახილს პატარა ვერელებმა ტაქსისტის ყურადღება გადააყოლეს და ტაქსისტმაც სიამოვნებით მოუსვა. სამაგიეროდ უკანა ნივთი ვოლვოს კაპოტზე გაისმა ხელის დაკვრა და „გადმოდი, აბა ერთი“, მერე მანქანის კარების გაღების ხმა, პაუზა და მუშტის სახეში მოხვედრის ყრუ ხმა, რასაც ერთერთი ვერელის დასაკლავივით ხავილი და „აააააააააა, შენი დედა...“ მოყვა, სირბილი, პიპინი, ქალის კივილი, აქლომინებული ბიძა, თქვენი დედათი და მგონი... ვახ, რა მაქ ერთი, ნახე, ნათელა, სისხლით. ჩუკას ჩვეულებრივ გული აუჩქარდა, თუმცა ნაკლებად, ცუდად იყო და მისი საქმე არ იყო. ბიძამ ამღვრეულმა კი შეხედა, რომ ჩაურბინა, მაგრამ გადარჩნენ ორივენი. ხმაურზე მექსიკურიც გამოლაგდა, მათ შორის ღიბოც, რომელიც ჩუკასთან მოვარდა და რა ხდება, ჩემი დედის ისე და ასეო. ნიქარამ და ნეომ ვიღაც ბიძას აჯვეს და იმან ნეოს მაგარი ხია და ამათ დაჭრესო, გათიშული ხმით უთხრა ჩუკამ. მერე აღარაფერი ახსოვს ილღიებში და წვივებში სხვისი ხელების ფათუნის გარდა. როდესაც გაიღვიძა უკვე, თუ ჯერაც ღამე იყო და თავისი საძინებლის ტუმბოზე სიგარეტის კოლოფში ღიბოს წერილი ედო, თამილა დეიდას ვუთხარი კინისთან ვსვამდით და ნემიროვის ჩეკუშკამ გვანყინა ორივეს, ეტყობა პოლონური იყო-მეთქო.



მხატვარი ალექსანდრე სლოვინსკი

უკეთესად უმკლავდებოდა ზემო მთიულეთის მკაცრ ამინდთა ცვალებადობას, ვიდრე მისი მოჭიქული შიგნეული. და ასე, მეოთხედი საუკუნის წინათ ორი მოძმე ერის მეგობრობის უკვდავსაყოფად ქმნილი ეს მორიგი ძეგლი, გარედან უკეთ შენახულიყო ტრადიციული წყობის წყალობით, ვიდრე შიგნიდან. შიდა მხარეზე კი ინდუსტრიალიზაციისა და მეცნიერების ნაზავზე ოსტატს შეექმნა სოცრეალისტური ხელოვნების ეს სიურრეალისტური კოლაჟი. პანოს მარჯვენა, ანუ ჩრდილოეთ მხარეს ჩამწკრივებულიყვენენ რიგებად ივანუშკა დურაჩოკი, მშვენიერი ვასილისა, ალიომა პოპოვიჩი და ილია მურომეცი, სალოვეი რაზბოინიკი, სამოცვეტები, ჟარ-პტიცები, ლოყებლაჟლაჟა მშვენიერი სლავი ქალწულები, ტერემოკები და გორბუნოკები, რუსლანი და ლიუდმილა, ბოგატირები და ზიზილო ორნამენტების ესთეტიკა.

უღალო და ნითელ-ყვითელი, აქაიქ ლურჯ ყავისფრით, ოდესღაც თეთრ და ან რდისფერ ფონზე, შემწნეველად გადადიოდა ცენტრში და მარცხნისაკენ არანაკლები სითამამითა და მრავალფეროვნებით იშლებოდა ფასკუნჯ-ფარშევანგებად, ასფურცელა-ნაცარქექიებად, ზღაპრის გმირად წარმოსახულ მეფე-დედოფლად, ვეფხისტყაოსნებად, თუ გველის-მჭამელებად, სადავდებოდა, წყნარდებოდა ორნამენტში, თუმცა ფერში თითქმის იგივე რჩებოდა, როგორც შემგუებული ვაენა-გრუზინსკია დაროგაზე შემოვარდნილი უცხო კულტურის, თუ უცხო მსოფლხედვის ესთეტიკასთან.

პანოს წინ მჯდომარე ანგელოზი უზარმაზარი იყო, თეთრი ფრთებითა და საშინელი სისპეტაკით, ადამიანს რომ დაენახა, შიშისაგან გული გაუსკდებოდა. იჯდა მუშტზე ნიკაპჩამოდებული და თვალცრემლიანი უმზერდა ტალახში ამოგანგლულ ბერდიას, რომელიც პანოს გასწვრივ სწრაფად მიაბიჯებდა კობისაკენ. ბერდიას ტურზე და მუშტებზე სისხლი შედედებოდა, თვალში ცრემლი შეყანყალებოდა, თავთან ჩუმი საუბრისას ცოტა დორბლი სდიოდა. ერთი-ორჯერ გაჩერდა, პირი ბიდარასაკენ იბრუნა, ჩაფიქრდა, თავი გააქნია და ისევ კობისაკენ წავიდა. გული დათოქული მჭონდა ცოცხალი მშობლების მყოლ ობოლს, საკუთარი თავის შეცოდებისაგან მთელს სამყაროს უჩიოდა, თუმცა გრძნობდა, რომ რალაც შეცვლილიყო მის ბუნებაში. როგორც ადრე შეეძლო ამ სამყაროსათვის ფიქრებში თავშესაფარი ეთხოვნა და მოჩვენებოდა, რომ სამყაროც მას შეიფარებდა, ახლა გრძნობდა რომ ველარ ეყრდნობოდა მას, როგორც ბავშვობისას, ველარ ეყუდებოდა, იმიტომ, რომ აღარც დედა ევლუბოდა მასში და აღარც მუდამ დაკავებული და დარდიანი მამა. მამა, რომელიც სამოქალაქო ტანსაცემლი ერთი პიროვნება იყო და პოლიციელის ფორმამში თითქოს სხვა, რა თქმა უნდა, ბერდიას მოყვარული და მასზე მზრუნველი, მაგრამ სხვა. პოლიციელის ფორმამ მამას პიროვნებას ბერდიასათვის თითქოს სამყაროს უფროსის ხატება დააკარგინა. ის აღარ იყო მამა, რომელიც ნებისმიერ საფრთხესა, თუ მომსველეს უფროსად დახედებოდა. ის გახდა ადამიანი, რომლისათვისაც, ვინ იცის, რამდენ ადამიანს შეეძლო ებრძანებინა რამის გაკეთება და მამას უსიტყვოდ უნდა შეესრულებინა ის. ეს თრგუნავდა ბერდიას ლუდუშას მდგომარეობაში და ამ გრძნობის გამო მამის პოლიციელობით ბაქიაობის სურვილის ნატამალიც კი არ ჰქონდა. იქნებ

III.  
ჯვრის უღელტეხილზე, ნისლიან ნაშუადღევს დაღლილი ანგელოზი ჩამოშლილ რუსულ-ქართული მეგობრობის მონუმენტს უმზერდა გზისპირას. ფაიფურის ძვირფასი როტონდა, თუ ბალიუსტრადა აქა-იქ დაბეჩავებულიყო. როგორც მოსალოდნელიც იყო, რკალისებური კედლის გარე შრე, დაწყობილი ქართული მთიანეთისათვის ჩვეულ თლილ ფიქლებად,

ამიტომაც მოხდა, რაც მოხდა თბილისის სკოლაში, იქნებ ამიტომაც იცქირებოდა ბერდია მგლის თვალებით სკოლის დერეფანში და იქნებ ამიტომ გამოეხარა ასეთი სიმარდითა და სისასტიკით დაჩაგრულ კლასელს მისი შეყვარებულის სანახავად მოსულ ორ გადაპრანჭულ ვერელ ბიჭთან. იქნებ მაგიტომაც სჯობდა, რაც მოხდა, იქნებ ბერდიას ღვთისო ბაბუს და ქეთო ბებოს ცქერა ერჩინა სტეფანწმინდაში, ვიდრე ლუდუშასი თბილისში, ლუდუშასი, რომელიც სნოსნაყალზე უბელო კვიცზე ჭინაობას ასწავლიდა ბერდიას და თერგის ნაპირზე ღამით ჭრაქითა და ხმლით თევზაობას, სანამ ვილაცის ქვეშევრდომი გახდებოდა თბილისში. ასეთი მამისათვის ცოლის ნებსით გერმანიაში სამუშაოდ გაშვებაც ტყუილი იყო, ხვდებოდა ბერდია და იარაღის ტარების უფლებით ვითომ გახარებაც. ბიჭმა დიდი ხანია დაირცხვინა დედის მდგომარეობა, ეთერიდან მონაქროლი ნაკადებით მიხვდა რაღაც საშინელებას, უთქმელ სირცხვილს, აუხსნელ, შეუქცევად გოდებას მისი სამყაროს ნგრევისა. იმ ერთხელ ჩამოსული დედის ჩაცმულობაც ეუცხოვა, ხმაც, თმაც და სიხალისიც. ვერც ის გაიგო, დედას ნატო რომ ერქვა, ნატამას რატომ ეძახდა ის გერმანელი თანამშრომელი, თუ ვილაცა. იმ გერმანელის საჩუქრები არც გაუხსნია, ეზოში დაურთა ბავშვებს. ვერც ჰკითხა დედას, როდის დაბრუნდები საქართველოში, მის ფერებას ცხვირჩამოშვებული ისმენდა და ნაქირავები ბინის რადიატორს მიმტერებოდა. მთელი სამყარო დანგრეოდა ბერდიას და ანი რალა აზრი ჰქონდა ცხოვრებას. ის ნატვრად შერჩენოდა, ისე დაღუპულიყო, რომ დედასაც და მამასაც ერთად ეტირათ მის პანაშვიდზე და ასე მანაც შერიგებულიყვნენ. ის კი არაფერს დაეძებდა, არაფრის ეზინოდა, ოღონდ ამ მიზნისათვის მიეღნია. იქნებ ამიტომაც ეძებდა შარს, მამინ თბილისის სკოლაშიც და ახლა მღეთაში სტუმრობისასაც. თორემ სულ ფეხებზე არ ეკიდა სინამდვილეში იმ შენი ტეგია ნატას თვალების ბრიალი და მოლუშული მღეთელი ბიჭების გრძობები. ის ჩხუბიც, რომელშიც მას სამნი ძლივს მოერიგნენ და ბრაზისაგან დუჟი მოადინეს, მაღამოდ ედებოდა მის ნაწყენ სულს, არც იმ ჩხუბის ტკივილი და შეურაცხყოფა ავიჟებდა და არც ანგარიშსწორების მოლოდინი აღელვებდა. ამოვიდოდნენ, აგერ, ორიოდ მოხვევ ძმაკაცით და ან ზამთარში გუდაურში გააშორებდნენ ამ მღეთელებს, ან მღეთაშივე დააცხრებოდნენ, ეგ სასიამოვნოც იყო დასაგებმა. თავად ღვთისო პაპას ლურჯი თვალების რიდი და სიყვარულიც კი დაძლევადი იყო ბერდიასათვის ამ მდგომარეობაში. აი, სამყაროს სიცარიელეს კი ანი აღარაფერი ეშველებოდა, გულში ბრაზს კი არასოდეს არაფერი ჩაუქრობდა და მიმტოვებელი მშობლების გულის სატკენად დაღუპვის სურვილს კი აღარაფერი გაუქარწყლებდა ბერდიას. ამ ფიქრებში ჩაძირული მიაბოტებდა გზაზე კობისა და სტეფანწმინდისაკენ ბიჭი და ვერც კი ამჩნევდა ნაჩიქნი ასფალტის ორმოებში ჩაგუბებულ წყალში ჩაბიჯებას, თუ მათში იმეათი გამვლელი მანქანის ბორბლის ჩავარდნას და წყლის ამონუნებას.

ცრემლიანმა ანგელოზმა ნისლში გააყოლა მზერა ბერდიას, შვებით ამოიოხრა და ახლა მღეთაში მჯდომი ანგელოზების თვალებით შეხედა სახლში შეყუჟულ, დასჯილ ნატასაც, ლაშარის გიორგის ყორესთან მოტრახახე მღეთელ ბიჭებსაც და საერთოდ მთელს ამასს, დაბეჩავებულს და იმედიან მთიულეთსაც.

რა უნდა ადამიანს, ფიქრობდა ანგელოზი. შიმშილი და შიში რომ ერთი ფუძის სიტყვაა მის ქართულში, შემქმნელი მას ხომ ყოველთვის იცავს მისგან. და შიმშილის მარად მომშობარი ადამიანი რაც უფრო ძლებს, მით უფრო ბოროტდება, ავი და უმადური ხდება. მამა კი ჩვენი ხელით ელოლიანება, უზომოდ პატიობს და უმცირესად სჯის. ის კი არც პატიებასა ჰმადლობს შემოქმედს და არც სასჯელსა ჰგუობს მისგან. ამის ნაცვლად სულ ირგვლივ მოფუსფუსე ალებს ეყურადება, რაც ეგენი უპერტყია ბერდიას ანგელოზს. მაგრამ რაი ჰქნას ანგელოზმა, თუ თავად ადამიანმაც ცოტა ხელი არ შეუნყო, თუ შვილის გაზრდას საკუთარი სიამოვნება ამჯობინა, თუ არაფერი დათმო, თუ მოშობელს იქით გაუნყრა და ჭკუა ასწავლა, თუ საქორწილო სარეცელი შერყვნა და შებღალა, თუ შვილს

ულალატა, თუ გაუთავებლად ატირა თავისი მფარველი ანგელოზი. და რა უბედური ბავშვის ბრალია მის თავს ასე უმონყალოდ დამტყდარი თანამედროვეობა, შემოპარული თავისუფლებისა და ჰუმანიზმის დროში და ჩამდენი ყველაზე არაპუმანურისა — მწყენინებელი ბავშვისა მისი მშობლების დაშორების გამო და ამრიგად მატირებელი, გამაუბედურებელი, დამანგრეველი და გამაგულქვავებელი კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მეტი ბავშვისა და ამით დამამტკიცებელი საკუთარი არაპუმანურობისა და ცბიერებისა.

#### IV.

დაცემული და დასუსტებული ქართველისათვის დრო ძალიან ნელა მიედინება. იქნებ საბოლოო ჯამში ეს მისი უძლეველობის სანინდარიც იყოს. მაგრამ ამ ცხოვრებაში ძალიან უჭირს ამის გამო ქართველს. იგი საუკუნეს, როგორც წელიწადს ისე ეთამაშება, ნელა და ცოტას გეგმავს და კიდევ უფრო ცოტას ასრულებს ამ დაგეგმილიდან. მისი წინმსწრებობა, რომელსაც თანამედროვე სამყარო რეაქციას უწოდებს, განზრახ თუ უნებლიეთ უბადრუკია. მას არ შეუძლია მიმდინარეს მსრავლ მიადევნოს მზერა და რაც მთავარია მსწრაფლვე იმოქმედოს მის გამო. იგი ვერ ასწრებს თავის გარშემო ვერც ჟანგისანი ლობის შეღებვას, ვერც აყრილი ასფალტის დაგებას, ვერც მოუხსნავი მიწის მოხვნას, ვერც აღებული მოსავლის დაბინავებას, ვერც მის დაღობობამდე გაყიდვას, ვერც შემოსავლის შენახვას და ვერც ვერაფრის დაგროვებას, ვერც მშობლისა და შვილის მოფერებას, ვერც წყენის მიტევენებას, ვერც წიგნის კითხვას და ვერც წიგნის წერას. მასთან მომხვედური იმპერიები და მსოფლხედვები, როგორც მარდი ლეკები კახეთს, ისე აცხრებიან ქართველს, მოსატაცებელს სტაცებენ მას, სატირებელს ატირებენ და სატევარს უტევებენ სხეულში. მაგრამ იქნებ დროისადმი ამავე განსხვავებული დამოკიდებულების გამო ისინი დიდხანს ვერ ჩერდებიან ქართველთა მიწაზე, როგორ გრიგალივითაც შემოიჭრებიან ხოლმე მისი ჭირის ლხინზე, ასევე სწრაფად ქრებიან მისგან და უტოვებენ მასვე მის საცხოვრისს, მორიგად ნაოხრალსა და მაინც ულამაზესს, მძლეველს ქართველისავე უდებებისა და ნავგის მყრელითა.

ღვთისმამე არ იცოდა, როგორც ყოველთვის, რომ ყველაფერი, რისიც ეშინოდა, უკვე მომხდარიყო მის თავს. ბერდიას მღეთაშიც ეგემა შარი ნატას გამო და მორიგი შარის დაგეგმვა არც კი დასცლოდა. თბილისიდან შურის საძიებლად ჩამოსულ ჩუკას და ღიბოს მოეკლათ ღვთისოს საყვარელი შვილიშვილი სტეჩკინით, გოგი თოფაძის სასტუმროს წინ.

ბერდიას არც სტეკენოდა ზურგიდან მოხვედრილი და გამოგლეჯილი მკერდიდან გამოვარდნილი ტყვია. ლოყით და-ვარდნილს არც გაკვირვებოდა და არც სწყნობდა ჩუკას ალის-ფერი „ნაიკების“ ცნობა. რომც გადარჩენილიყო ამ შარს, სხვას ხომ მაინც ვერ გადაურჩებოდა. ახდენოდა ნატვრა გაშორებული დედ-მამის გულის მოკვლისა საკუთარი სიკვდილით, თუმცა არა ნატვრა მათი შერიგებისა. უზომოდ შეეცოდებოდა პანაშვიდზე, საკუთარი ცხედრის მოცქირალს, ღვთისო პაპა ცრემლის მფრქვეველი ლურჯი თვალებით და აცხცახებული ტურ-პირით. მაგრამ ისიც ეფიქრა, რომ იქნებ ღვთისო პაპას მომავლის გაუთავებელი შიშების წარსულის სევდად ქცევა და მისი ლინდად ქცეული გაძალღებული ცხოვრების მოსწრაფება მადლიც კი ყოფილიყო საყვარელი ბერიკაცის თავს.

არც თამილამ იცოდა, რომ მისი შიშებიც უკვე სრულად ამხდარიყო. დაქალებს ბოზობაში აყოლილს და ტაშ-ფანდურში კარგ ქმარს გაყრილს, ერთადერთ ჩუკას ავადმყოფურად გადაყოლილს, ნელ-ნელა ისლა დარჩენოდა გაბოროტებულიყო სამყაროს მიმართ. წინააღმდეგობაზე საზრდოობდა, სინმინდის შერყვნაზე ხარობდა და ვერც კი ხვდებოდა, რომ ამიტომ ეცლებოდა და უველურდებოდა ჩუკა. ანი ის ოქროსავით ბიჭი სამუდამოდ ბოროტმოქმედი გამხდარიყო, ჩაკომპლექსებული თავისი ოჯახისშვილობით და ვერ განხორციელებული ვე-

რაფერში. თამილას კი ჩამომხმარი ავი დედაკაცობა და რჩენოდა წინ, ისევე, როგორც ენდოკრინული დაავადებებისაგან განამებულ ბერდიას დედას გერმანიაში.

მხოლოდ ცოლის ღალატითა და მოკლულ შვილზე დარდით გასაცოდავებულ ლუდუშას მისცემოდა მეორე სიცოცხლელვითის დასაფლავების მერე, ჩვეულებრივზე უფრო გახევებული ქეთოს მოსავლელად სტეფანწმინდამი დაბრუნებულს კლასელი ხატია შეერთო, რომელიც მას მთელი ცხოვრება ერთგულად ელოდებოდა და მწარე ცრემლებს ღვრიდა, სანამ ლუდუშა ვლადიკავკაზელ ნატოს ირთავდა, თუ იძულებული იყო, რომ შეერთო. ლუდუშას პატარა ღვთისო გასჩენოდა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს უცხოელი მრჩეველების დარიგების მიუხედავად ცხვრის პატარა ფარა შეეძინა გაჭირვებით. ზამთარ-

ში, სანამ ცხვარს თათრებს გაატანდა ელდარისა და შირაქის საძოვრებზე, გუდაურში მუშაობა დაეწყო მამულებად, თავისი ბიძაშვილის წყალობით. ხატია და ღვთისო ხან ქეთოს უვლიდნენ, ხან კი მას მეზობლის ამარა ტოვებდნენ და თუ კობი ზვავსაშიში არ იყო, გუდაურში ამოჰყვებოდნენ ლუდუშას. გაზაფხულზე, პატრიარქის ხილვის ნიშთან ახლოს, თერგის პირას ასწავლიდა ლუდუშა ბადის სროლას პატარა ღვთისოს. ჭრაქითა და ხმლით ღამით თევზაობას კი უკვე ვეღარ, სნოს წყალზე ასვლისას ლუდუშას გული ეხლიჩებოდა სევდისაგან ბერდიას თვალნარბისა და ხმის გახსენებისას. და რადგან ლუდუშა ჭრაქითა და ხმლით თევზაობის ბოლო ოსტატი იყო ხევში, ასე იკარგებოდა მის ვარამში ეს ხელობაც, ისევე, როგორც უამრავი სხვა ხელობაცა და წეს-ჩვეულებაც ჩვენი წარსულის ზღაპრული სამეფოისა.

## მოულოდნელი რეიტინგ ლისტი

ვარ ერთი თასმა ვაჟას ქალმწიხარო, — გაბრიელ ჯაბუშანურმა ლექსში „იცით, მე ვინ ვარ?“

ეს სტრიქონი არაერთხელ მოგვიხმია ამ ჩინებული პოეტის უადრესი თავმდაბლობის, სულიერი კეთილშობილებისა და ლიტერატურული ჩამომავლობის დასტურად.

მერე რა, რომ მხოლოდ მისი ქალამნის თასმას ადარებდა თავს, მაინც ვაჟა-ფშაველას სულიერი მემკვიდრე გახლდათ თემატიკითაც და ზოგადსტილური თვალსაზრისითაც, და ეს ეამაყებოდა.

ამ ფონზე არც ის რეალია გამოგვრჩებოდა ხოლმე, რომ — ბედის განჩინებით — ორივე პოეტმა მხოლოდ ორმოცდათოთხმეტი წელი დაჰყო სამზეოზე.

ასე გამოირჩა ეს ერთი სტრიქონი ამ ლექსიდან.


სხვათა შორის, ამ მოდელზეა აგებული ტარიელ ჭანტურიას ერთი ჩანაწერიც კრიტიკულ-ესთეტიკური ციკლიდან „დინოზავრიდან დინაინამდე“.

და თუმცა მე თვითონ არაერთხელ გადამივიღია თვალი ამ ლექსისათვის გაბრიელ ჯაბუშანურის ლირიკული კრებულების გადაფურცვლისას, არასოდეს მიმიქცევია ყურადღება იმ გარემოებისათვის, რაც „ინტელექტის“ სერიით გამოცემული მისი „100 ლექსის“ გადაშლისას მაშინვე მეცა თვალში.

და ეს ალბათ იმიტომაც, რომ კრებულის შემდგენელს, გაბრიელის დიდ ჭირისუფალს ამირან არაბულს ეს პოეტური ნიმუში თავშივე მოუქცევია და მისთვის „არს პოეტიკას“ დანიშნულება დაუკისრებია. პოეტს, ეტყობა, ასეც ჰქონდა განზრახული, მაგრამ ვაჟას სახელმა მკითხველის თვალთახედვაში გადაფარა სხვა ყველაფერი, და ეს კი გამოიწვია „მთის პოეტობის“ ჩარჩომ — თითქოს სხვა სტრიქონები ამ ტაეპის გამოკვეთას ემსახურებოდნენ, მის თანაბრად კი არ წარმოაჩენდნენ პოეტის მხატვრულ-ესთეტიკურ მრწამსს, მეტაფორებით შემოპურვილს.

არადა, სათაურიც და ბოლო ორი ტაეპიც: ამიტომ მქვიან, ალბათ, პოეტი და მათ მუხლებთან მიხედება მოხრაო, — უფრო მეტს მიგვანიშნებდა, უფრო სწორად, საკუთარ შემოქმედებით პორტრეტს ამ შტრიხებით გვაცნობდა:

- მცირე მტვერი ვარ შოთას კალმისაო.
- გურამიშვილის ვარ ცოტა ცრემლიო.



- მე ჭავჭავაძის ვარ სისხლის წვეთიო.
- ბარათაშვილის ვარ ერთი ოხვრაო.

რომ აღარ ჩავუღრმავდეთ მეტაფორათა შინაარსს, ამ სტრიქონებს იმ გახმაურებულ ტაეპსაც თუ მივამატებთ, ნუთუ ახლა მაინც არ თვალსაჩინოვდება ჩვენთვის, რომ მოწმენი ვართ ქართველ პოეტთა გაბრიელ ჯაბუშანურისეული კლასიფიკაციისა, მის მიერ შედგენილი რეიტინგ ლისტისა.

ასეთი რეიტინგ ლისტი პირველად „ვეფხისტყაოსანშია“ დადასტურებული.

მას შემდეგ თავთავისი სია შეადგინეს:

- ვახტანგ მეექვსემ.
- მამუკა ბარათაშვილმა.
- დავით გურამიშვილმა.
- იაკობ გოგებაშვილმა.
- გალაკტიონ ტაბიძემ.
- გიორგი ლეონიძემ.

და აგერ თურმე გაბრიელ ჯაბუშანურსაც შეუდგენია თავისი სია, რომელიც ხუთი რჩეული პოეტის ჩამონათვალს გვთავაზობს, ისევე, როგორც რეიტინგ ლისტთა შემდგენლების უმეტესობა. მხოლოდ ოთხ-ოთხი პოეტი იკმარეს შოთა რუსთველმა და იაკობ გოგებაშვილმა, რომელნიც იმ მხრივაც დაემგვანნენ ერთმანეთს, რომ მარტოვე თანამედროვე ეპოქით შემოიფარგლნენ — სხვა ყველა ამათგანი ქართული პოეტური აზრის მდინარეებს თავიდან ბოლომდე მიაღვენებდა მზერას და რჩეულთაც მთელი ისტორიიდან ამოარჩევდა.

- მამ როგორია ეს უეცრად აღმოჩენილი რეიტინგ ლისტი?
- შოთა რუსთველი,
- დავით გურამიშვილი,
- ვაჟა-ფშაველა,
- ილია ჭავჭავაძე,
- ნიკოლოზ ბარათაშვილი.

აშკარაა, პოეტი მაინც ლიტერატურული წინაპრებით იზღუდება... და ნეტა როგორი იქნებოდა მისი სია, მართლაც „ოფიციალური“ რეიტინგ ლისტი რომ შეედგინა? იქ უკვე აღარ გამოიყოფებოდნენ აკაკი წერეთელი და გალაკტიონ ტაბიძე? მაგრამ რომელ პოეტებს ჩაენაცვლებოდნენ? ანდა იქნებ ეს სია მაშინაც უცვლელი დარჩენილიყო?

ასეა თუ ისე დაე ეს ლირიკული თხზულება, „100 ლექსის“ კარის გამხსნელი, დარჩეს პოეტური ხუთეულის კიდევ ერთ ნიმუშად, „ვეფხისტყაოსნიდან“ მოკიდებული სიების შენამატად.

სხვა შენამატებზე კი — სხვა დროს.





თამთა გრიგოლია

დაიბადა 1986 წლის 13 მაისს, სოხუმში. დაამთავრა ბორჯომის №6 საშუალო სკოლა. 2003 წელს ჩააბარა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტზე. წარმატებით დაასრულა როგორც ბაკალავრიატი, ასევე მაგისტრატურა და დოქტორანტურა ძველი ქართული ლიტერატურის სპეციალობით.

ბავშვობიდან წერს ლექსებსა და ჩანახატებს. მისი ადრეული ნაწერები ქვეყნდებოდა ბორჯომში — ჟურნალ „ციხარტყელასა“ და გაზეთ „ბორჯომში“.

პირველი ლექსი სოხუმის მონატრებამ დააწერინა. 20 წელია ერთი იმედით ცოცხლობს — დაბრუნდეს ზღვისფერ ქალაქში და იქ მონაწილეობს საკუთარი პოეზიის საღამო.

მისი ავტორობით გამოქვეყნებულია არაერთი ნაშრომი, წიგნი თუ თარგმანი. თამთა არის ავტორი წიგნისა „ასე უყვარდათ უწინ...“ და ასევე უამრავი გამოცემის შემდგენელ-რედაქტორი.

ამჟამად მუშაობს „ელფის“ გამომცემლობაში რედაქტორისა და საზღვარგარეთ ურთიერთობის მენეჯერის პოზიციაზე.

მისი შემოქმედება სავსებით ამართლებს ცნობილ ფილოსოფიურ მეტაფორას, რომ ენა არის სახლი ყოფიერებისა. სიტყვა არის თამთა გრიგოლიას სახლიც, თავშესაფარიც და იმედის ფარიც.

ადვილია ტკივილზე ილაპარაკო, ბედს საყვედური უთხრა და ღმერთს შემწეობა სთხოვო, მაგრამ უიმედობიდან გააჩინო იმედი, ეს იშვიათი უნარია და ამ უნარის პოეტურ გარდასახვას თამთა გრიგოლია წარმატებით ახერხებს, რადგან მისი ტკივილი დაბადებულია განცდაში, ჭკუშიარტ პოეტურ განცდაში. ამიტომაც არის მისთვის ესოდენ ახლობელი ტერენტი გრანელის ეგზისტენციური მოტივები, რომლის მთავარი არსია ფორმულა: უსასოობიდან ახალი ყოფიერებისაკენ.

ყველაფერს აქვს დასასრული და, ვიმედოვნებთ, პოეტის მთავარ ტკივილსაც გამოუჩნდება ბოლო.

ნოემბერია...

დღეს ოცნებები რალაც მეტად გაუფერულდა, ნოემბერია...

ფოთლების სუნთქვა უერთდება სისხლისგან დაცლილ ჩემს არტერიას...

ნოემბერია... საათი მითვლის ყველა ნაბიჯს, წარსულს მიზომავს.

ისევ ჩამოჭკნენ გვირილები... და ფოთლებს კეცავს ჩემი მიმოზაც...

ნოემბერია... მეკი ვერ ვხედავ შენს სახეს და ველარც მომავალ მისაზღვრავს სივრცე...

მტკივა სიზმრები — ყველა ღამის, ზედმეტად ვრცელი... ნოემბერია...

ბეთანია მეძახის ისევ, იქ ხომ ყველაზე ნოემბერია — ყველა ფერით და ფოთლების სუნთქვით...

ალარ ფვიქრობ, ალარ ვლოცულობ, ალარც ვსუნთქავ ცივ ჰაერს დილით...

ჰო, ცივათ ჩიტებს, ბელურებსაც... ალბათ, შენც გცივა...

ნოემბერია... მოიხურე საბნად ფიქრები... არ დაგამძიმებს...

გამოყევი გზას ასე მჩატედ, შესვენებით შეისუნთქე გრძელი მანძილი... და მონატრებაც რა ბევრია...

ჰო, ვიცი, გცივა... ჩვენ შორის ხომ ნოემბერია...

სული დამბერი

სული შემბერე, ღმერთო, გულზე... საქართველო მენვის.

თეა თაბაგარი

ოცი წელია მონატრებას ვსვამ ხარბად მთვარეს გადატყვდა უკანასკნელი ნეკნი, ძალით მოგტყვხეს, უფრო გაგყიდეს (ალბათ), სახეზე მაყრის კვლავ უშენობის აკნე.

უფალსაც მგონი დავავინყდიო, ვთქვი და ვინაწილებდი ტკივილს ღვთისმშობლის შვილის, ხელი მომხვიე, ხელი სულ ერთი ციდა და სატყუარა გადავუსროლოთ თბილისს,

ქალაქს, რომელსაც სიზმრების სჯერა ისევ და სურვილები ხიდზე ეპნევა ბენვის, ირგვლივ ქუჩები ნიღბებითაა სავსე, სული დამბერე, გულში სოხუმი მენვის.

დედას

დე, ყველა ნაოჭი მაპატიე, სახეზე ჩემ გამო გარენილი, ეგ სევდა გულში ვერ დავიტიე მინაზე ძალით ვარ დარჩენილი.

დე, შენ ხარ ქალი — სასწაული სევდის და იმედის შერკინება თუმცა ამ ყველაფერს განვდა გული, მაინც რომ ფარულად გეტირება?

ეგ ცრემლი დამყვება გზაზე დარდად და ის ტკივილი, რაც დაგაქვს მკერდით, ცხოვრებამ გატკინა ბევრჯერ მაგრამ, შენ ხომ არასოდეს აუშხედრდი.

მე კი სულ მცირედი ტკივილიც კი, ხედავ, რომ ვერაფრით შევიგულე? ჰოდა, ისევ შენთან მოვდივარ და ცრემლით დავიკოცნი ხელისგულებს.

წყენამ არასოდეს დაგინისლოს მინდა ეგ თვალები, საფიცარი, შენს თავს და სიცოცხლეს შევავედრებ, ყველა ტაძარში რაც ხატი არის.

დე, შენი ღიმილი სასურველი, ასე რომ კიაფობს ჩუმად, ნახად, ღამეს რომ შემოხსნა საბურველი და დღეს დაეფინა ფიანდაზად

მინდა, რომ მეც დამყვეს ხასიათად. სულიც შენაირი დამეხედოს, წყენასაც დავიტყე ასიათასს, დედა დაიფარე, შეგთხოვ, ღმერთო...

დე, შენი ღიმილი, სასურველი, მინდა, რომ ცხოვრებად დამეხედოს...

მე დევნილი ვარ... მე დევნილი ვარ... არა მაქვს სახლი, გული მქონდა და ისიც წამართვეს, მოვისხი თაღნი.

მე დევნილი ვარ... არა მაქვს მინა, ჩემი სტატუსი ვის რად აღარდებს, სავსეა რინა

გვამებითა და ცრემლის კვალს ტოვებს. დიდი ხნის წინათ მეც მოვისხენი ბრმა სიმარტოვე.

მე დევნილი ვარ, ვითვლი სამამდე, ან რა აზრი აქვს, უკვე გრძნობები ხომ დამამადლეს...

მე დევნილი ვარ... ვამძიმებ ქალაქს და გულით ისევ მოუსვენარი სამყარო დამაქვს.

ალარ მაქვს გულიც,  
უკვე წამართვეს.  
და დავემსგავსე დედის ბუდიდან  
გადმოსვრილ მართვეს...  
მე გული მქონდა მხოლოდ სახეს და...  
ისიც წამართვეს...

**დასასრულის დასაწყისი**

მოდი და თვალეში ჩახედვით მითხარი სიმართლე,  
მერე კი გავმართოთ გრძნობების ნამდვილი მარულა,  
ამქვეყნად სად არის (ან კიდევ) შენ რომ გთხოვ სიმართლეს,  
გავიქცეთ ფარულად!..

რძისფერი ცრემლი სდის ჩემ ირგვლივ აგებულ საუფლოს,  
მკერდზე კი ნაცრისფერ ტკივილს განიცდიან ქალები,  
მასწავლე შენამდე სულ მოკლე ბილიკი, უფალო,  
დავხარე თვალეში...

გულში ჩამეწვეთა წამება — უწყური ამინდი,  
სიზმარშიც ვერ ვუშლი სურვილებს ირიბად ზმორებას,  
არ მინდა, გეტყვი, რომ არასდროს არვისთან არ მინდა  
კვლავ განმეორება...

ფიქრში აწყობილი ყველა მოგონება დავშალე,  
საკუთარ სხეულში (დღეს) უმისამართო გზირი ვარ,  
და ველარც მომავლის იმედის მოვირგე თავშალი,  
კუთხეში ვტირი-ვარ...

ხმაც მიმისუსტდა და ალარ შემიძლია ყვირილი,  
თვალდასიებული გაყურებ წვიმიან მაისებს,  
მივტირი უჩემოდ დაკრეფილ ცრემლიან გვირილებს  
და ედეღვაისებს...

ვენებში შხამიან სისხლს მიშვებს ვილაცა ურჯულო,  
ვერძნობ, როგორ თანდათან (შენიდან ჩემამდე) შემცივდა,  
დღეს შენ ხარ წარსულის ანმოსთან გამრიგე მსაჯული,  
ხმა მესმის ზეციდან...

რამდენჯერ გითხარი, ძახილი ხვეწნა არ გეგონოს,  
როგორმე უშენოდ ვისწავლი ფიქრების აწყობას,  
ვილაცა გაზეთში კითხულობს ჩემს და შენს ნეკროლოგს,  
მომიკვდა განწყობაც...

მინასაც გვაყრიან, ხანდახან ბელტებსაც, გისოსებს  
ღებავენ ვერცხლისფრად (არ ვიცი, ან) როგორც წესია,  
ჩვენი თვე, აქამდე ვარდობის, დღეს შავებს იმოსავს,  
ცრემლი სდის მესიას...

ეზოში სიჩუმე პატარა ბელურამ აკენკა,  
ცხენებიც კენესიან უჩვენოდ ჩვენსავე თავლაში,  
ისევ ნილაბს ვირგებ ჩემ მიერ მოგონილ სარკესთან —  
შეგწყვიტე თამაში...

**„არამედ რაღაც სხვა“**

*ჩარჩენილი ვარ ბავშვივით ამ ცოდვილ ქვეყანაზე  
და არ ვიცი, როგორ ამოვიდუ ამ ტალახიდან,  
რომელსაც ეწოდება მინა.*

**ტერენტი გრანელი**

მე გადავიხდი საფარს  
და დავენახები სამყაროს მთელი ჩემი არსით,  
ყველა ფერით,  
სიკეთით და ბოროტებით.

ვეტყვი, რომ ვარ თარსი,  
ყველგან ცამეტით,  
მაგრამ მაინც იმედიანი...  
მე შემოვიხსნი ცას,  
რომელიც თქვენგან მფარავს  
და გეტყვით,  
რომ სხვაგან ვცხოვრობდი აქამდე,  
ცის იქით,  
ალბათ, შვიდი ფენის გადაღმა,  
მერე დავხედავ სხეულს  
ქცეულს ფერფლად,  
მაგრამ ისევ ისე სულიერს.  
და გეტყვით:  
მე არ მინდა მინა,  
მე არ მინდა ცა,  
მე არ მინდა სამყარო,  
არამედ, რაღაც სხვა...  
ღმერთო მასწავლე ტანჯვა  
და მე მზად ვარ, ვენამო შენთვის...  
მაგრამ ტკივილებს ვერ ვუძლებ და  
ეკლის გვირგვინს  
ვისხნი თავიდან...  
და ჩემთვის ვამბობ,  
მე არ მინდა,  
ვიყო ცოდვილი,  
მაგრამ აქ ხომ უცოდველი მხოლოდ შენა ხარ...  
და ამ ეკლებს მე ვაყოლებ ყველა შენს ტკივილს  
იმ უხმო და მწარე მოთმენით...  
მაგრამ მაინც ვერ შეგიგრძნობ,  
ვუყურებ ჯვარცმას...  
და ვხვდები, რომ  
ყველა ჩუმი ტკივილის აცმა  
ინყება ჩვენით  
და მთავრდება, ჩვენშივე რადგან  
არა ვართ ღმერთი...  
სულს ტკივილი ისევ მიესო,  
შენ შემინყალე მაცხოვარო,  
შემოდი ჩემში,  
და ნატყვიარი დამიამე  
ტკბილო იესო...

**მეზღვაური**

*ლევანის ხსოვნას*

იმ დღეს საშინელი თავსხმა იყო,  
დედამინა ზეცას წარმოუდგენლად დაშორდა,  
მთვარეცაც გვერდი იცვალა,  
შენ კი საკუთარმა თავმა დაგლალა და  
ნასვლა გადანყვიტე,  
მზეც მიიცვალა...

ვერ ხვდებოდი, რა იყო ბედისწერა,  
მაგრამ მაინც გაუბრბოდი მას.  
შენ ხომ ყველაზე მამაცი მეზღვაური იყავი  
უკიდევანო ზღვაში...  
თითქოს ცხოვრებამ გაგრიცა,  
მერე მუხლი მოგიდრიკა და  
პატიება გთხოვა,  
მაგრამ, ვერ აპატიე...

იმ დღეს საშინელი თავსხმა იყო,  
ტალღები წვერებზე დგებოდნენ,

რათა ქერუბიმით მოცურავე ღრუბლემს მინვლომოდნენ...  
 აფრა დაიხა,  
 ქარი არ ცხრებოდა,  
 შენ კი მიდიოდი  
 ი ა ნ გ უ ლ ი ვ ი თ  
 წინ და გული უკან გრჩებოდა...  
 მაშინ მიხვდი, რა იყო ბედისწერა,  
 ოდნავ გაგელიმა

და წარსულთან ზავი დადე,  
 რომ ისეთივე დარჩებოდი,  
 როგორიც იყავი —  
 მარად ახალგაზრდა...

დღეს ისევ თავსხმა წვიმაა,  
 დაორთქლილ მინაზე შენს სახელს წერენ...  
 მეზობლის ოთახიდან კი პიანინოს კლავიშები კვნესიან...



თამაზ ბარჯაძე

### საქართველოვ ერთადერთო

*საქართველო სიყვარულმა უნდა გადაარჩინოს.  
 წმინდა გაბრიელ ბერი*

საქართველოვ ერთადერთო  
 სიყვარული ღმერთიაო —  
 კრძალვით გვმოდღვრავს ბერი წმინდა...  
 აქ რომ ჩიტი მიგალობდა  
 ნეტავი სად გამიფრინდა?  
 აქ სანთელი კენტად ენთო,  
 აქ ვიხილე ქრისტე ღმერთი...  
 საქართველოვ, ერთადერთო  
 გლოცავს დიდი შემოქმედი!...  
 სიყვარული გადაგვარჩენს —  
 ჩაგვჩურჩულებს ბერი წმინდა...  
 მთვარეს — ჩემი გულის ნაგლეჯს  
 ჰკითხვით რისთვის ამობრწყინდა!..  
 ოქროსფერად რად აენთო,  
 მტკვარი,  
 მცხეთა,  
 სარკინეთი...  
 საქართველოვ, ერთადერთო,  
 გლოცავს დიდი შემოქმედი!...

\* \* \*

პარასკევია, მოდის შაბათი,  
 მაისის წვიმა ღამეს აკვნესებს;  
 ქართული სიტყვა — სულხან-საბათი  
 დღეს რომ ფიფქით დნება ბაგეზე!!!  
 ლექსო, ღამეულ თრთოლვით და ცრემლით  
 დახნული მინის სურნელით მთვრალი!..  
 სიტყვა — სანთელი და სარეცელი  
 და მტვერნაყრილი წიგნების თარო.

დაიბადა 1963 წლის 27 იანვარს, სოფელ ითხვისში (ჭიათურის რაიონი). 1980 წელს წარჩინებით დაამთავრა ქ. ჭიათურის პირველი საშუალო სკოლა, ხოლო 1985 წელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. 1982-85 წ.წ. სწავლობდა თსუ ჟურნალისტიკის საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტზე. 1977 წლიდან რაიონულ თუ რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში ქვეყნდება პოეტის ლექსები. 1987 წელს „მერანმა“ სხვა ახალგაზრდა ავტორებთან ერთად გამოსცა თამაზ ბარჯაძის ლექსების კრებული, ხოლო 1991 წელს — ამავე გამომცემლობაში ცალკე წიგნად დაისტამბა კრებული „ზამთრის ფერები“. 2002 წელს გამომცემლობამ „ქართული წიგნი“ გამოსცა პოეტის შედარებით სრული კრებული „ქალაქის ნავი“. თამაზ ბარჯაძე ეწევა მთარგმნელობით მოღვაწეობასაც. 1988 წელს ჟურნალმა „საუნჯე“ გამოაქვეყნა სერგეი ესენინის ლექსების მისეული თარგმანი. ამ მხრივ აქტიურ მუშაობას დღესაც განაგრძობს. მალე გამოვა პოეტის სრული კრებული, რომელიც საიუბილეო თარიღს, — დაბადებიდან 50-ე წლისთავს ეძღვნება.

ერთი სიტყვით, თამაზ ბარჯაძე გამოცდილი ოსტატია. კარგად ფლობს სალექსო ტექნიკას და სათქმელის გამოხატვაც შეუძლია შესაბამისი მხატვრული საშუალებებით. თუმცა მისი ლექსების გამორჩეულ მხარედ ალბათ მაინც შინაგანი ფაქტორი უნდა ჩაითვალოს. კერძოდ, ლირიკული გმირის უშუალობა, გულწრფელობა, სიხალისე და სიკეთის უსაზღვრო რწმენა.

მიდის ცხოვრება, სიშიშველე ძლება  
 სავეს ქალით და წამის ელვებით...  
 და ფერფლნაყრილი ვნებების წყება  
 მივიწყებული სისხლის ღელვებით...  
 თითქოს ახალი, თითქოს ფეთქება —  
 შემოჩორკნილი სიტყვა ხაროში...  
 ნაგავში კაცი რომ იქექება,  
 ვინ დაუნუნოს ცალი კალოში.  
 და სიყვარული — ბავშვისთვალემა,  
 მთელი სამყაროს დამტევი სარკე...  
 ციდან ვარსკვლავი მითვალთვალემა,  
 დედამინდან ვერ ავიბარგე.

### შინვედრა ვაჟა-ფშაველასთან ჩარბაღში

წამოდი ბარში, დავუყვით არაგვს,  
 მთაში დატოვე ექო და ქუჯი...  
 მტვერით და ბოლმით გავსებულ ქალაქს  
 ნულა გაუხსნი შენს ოქროს ხურჯინს!  
 არა ლექსებით... წამოდი ბარში  
 ჩოხით, ხანჯლით და... გულით არწივის...  
 მამული — შენთვის სისხლი და ძარღვი,  
 ამათთვის მხოლოდ გზა და მანძილი...  
 ეგ მზერა ელვას ჩამოჰყვეს უნდა,  
 რომ ჩვენს თვალემაში ბინდი წაშალოს...  
 ქალაქს რომელსაც ღრმა ძილი სურდა  
 ნუ მოასვენებ, დიდო ვაჟაო!!!  
 ჩოხის კალთაში იტირებს ბაღლი,  
 და მორთავს ქუჩებს წამი გაცრილი...  
 მამული შენთვის სისხლი და ძარღვი,  
 ამათთვის მხოლოდ გზა და მანძილი!!!

### თუ წასვლაა

აპრილამდე უძებნია —  
 მზეს ყაყაჩო უპოვნია,

ნიაგ-ნიაგ უდევნია  
 ვერაფერი უღონია...  
 ყვავილს ცეცხლი ნაუგვრია,  
 მზესთან ჯიბრი გაუმართავს...  
 ეს იგავი ტყუილია,  
 მე ვიამბობთ ახლა მართალს:  
 შენ რომ მზერა შეგემღვრა და  
 ზღვის ნაპირზე ქვიშა დულდა,  
 თითქოს მცდიდა, შენით მდიდარს,  
 შენი გული თითქოს წუხდა...  
 მე ვითხარი, იმ ყვავილმა  
 რა ცეცხლის სკა მამაოვნია,  
 თეთრი ღანვის შენითლება  
 მზის ალერსი ნუ გგონია...  
 აუ როგორ მომენატრა  
 ეგ სიმორცხვე, ეგ ფარფატი...  
 თუ წასვლაა ზღვის და მზის და  
 დედამინის იქით წადი!!!

\* \* \*

ყაყაჩოებს —  
 გაღვივებულ ნალვერდალებს —  
 ვკრეფ და ხელში ვიგროვებ...  
 ცივ თვალეებში ჩამარხულ  
 ჩუმო სევდავ,  
 ცრემლი ჩამომიგორე!..  
 დილის მზე და  
 სულთმობრძავი ჟრუნანტელი  
 უკვე გამოვიგლოვე...  
 თეთრი დროშაც გაიცრიცა  
 ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს,  
 ჩვენ რომ გამოვიგონეთ...  
 ყაყაჩოებს —  
 გაღვივებულ ნალვერდალებს —  
 ვკრეფ და ხელში ვიგროვებ...

### თამარისადმი

აგებს ხიდეებს...  
 ფეხშიშველი ჯარს დალოცავს,  
 ხმალს აკვესებს...  
 ულამაზეს კომპოში ცხოვრობს,  
 თრთოლვით ისმენს შოთას ლექსებს...  
 იკეცება ყველა ნიგნი,  
 ზღაპრების და იგავების,  
 მონატრების წლები მოჰქრის,  
 მეც იმ წლებში ვიკარგები...  
 კაბას ქართლის მზე უქარგავს —  
 ია-იებს ფეხქვეშ უფენს...  
 მოდის მაგრამ მეფეს არ ჰგავს,  
 არც ღრუბელი არ ჰგავს ღრუბელს...  
 ხან მრისხანე ფარაონი,  
 ხანაც სხვით სავესე ცრემლი,  
 წმინდა როგორც ნაომარი  
 დაფლეთილი დროშა ძველი...  
 ...  
 ამ ლაჟვარდის და ამ მთვარის  
 უნაზესო ნათესავო,  
 მეფეც ხარ და დედოფალიც  
 უკვდავება ქართლისაო!!!

### თოვლის წინდავი

...და გიჩემებდი —  
 არც კი გიცნობდი...  
 ფიფქებიც ისე გავინანილეთ,  
 იცოდა თოვლმა —  
 მე არ ვიცოდი,  
 შენთვის სიცოცხლე რატომ გავწირე.  
 მღეროდა ჩიტი,  
 ჩიტი — ბელურა,  
 ხიდან გვესროდა ყინვის ნამსხვრევეებს  
 და ქარი ყრუდ და თავისებურად  
 ეფერებოდა ფიფქებს ასევე...  
 თითქოს ღრუბელზე ფეხი დაუცდა,  
 მთვარე გორდება ჩვენს შორის უცებ...  
 ჩიტიც,  
 ქარიც და  
 ფიფქიც გაოცდა  
 და ცა გვაყრიდა გაყინულ კურცხლებს...  
 ხან იყავ ჩემი,  
 ხან იყავ თოვლის,  
 ხან მთვარის,  
 ხანაც მზის და ჩიტების  
 ვზივართ ბუხართან  
 ახლა ჩვენ ორნი  
 ფიფქის კაბით და  
 თოვლის წინდებით...

### მესახეზოდა ცხოვრება ისე

მესახეზოდა ცხოვრება ისე,  
 თითქოს ვცხოვრობდი და რას ვცხოვრობდი...  
 აფრენილ ფოთლებს ვესროდი ისრებს,  
 მერე ცხენივით ვხრავდი მოლოდინს.  
 ამქვეყნიური ტკივილი ყველა  
 მტკიოდა, მაგრამ ო, რა მტკიოდა...  
 მიყვარდა ერთი ლამაზი კერა,  
 სადაც მამალი აღარ ყოფიდა.  
 ვერ ვარიგებდი სივრცეს და სურვილს,  
 ხან სივრცე სძლედა, ხან გულის ბორგვა...  
 გამომატარა ცხოვრება ურვით  
 ლექსმა, ტკივილის მტვირთველმა მოგვმა.  
 მესახეზოდა ცხოვრება ისე,  
 თითქოს ვცხოვრობდი და რას ვცხოვრობდი...  
 აფრენილ ფოთლებს ვესროდი ისრებს,  
 მერე ცხენივით ვხრავდი მოლოდინს.



ვალერი სეგედა კავკასიური მოტივი

ჟან-პოლ კლემერი (1926-2011)

# პერლენი, პარიზის მანანალა

მთარგმნელისაგან ქსეის ავტორზე  
ანუ  
ამბავი სამი კლოშარისა

1952 წელს ცნობილ ფრანგ პოეტსა და მოგზაურს, ბლუზ სანდრარს ხელში ჩაუვარდა სრულიად უცნობი ავტორის, ჟან-პოლ კლემერის, ვრცელი ესეი, თუმცა ნუ დავაზუსტებთ ჟანრს, უბრალოდ თხზულება ვუნოდოთ, ან კიდევ ნარკვევი ანდაც ჩანანერები, მთავარი ის გახლავთ, რომ პოეტი, რომელსაც ყრმობიდანვე მოგზაურობისა და თავგადასავლების ჟინს აყოლილს თითქმის მთელი მსოფლიო მოეწყო, თან არა როგორც უბრალოდ მოგზაურს, რომელსაც ფულიც ბლომად აქვს და ცნობის-მოყვარეობას იკმაყოფილებს, არამედ როგორც კაცს, რომელიც სამყაროს შეცნობის ნყურვილით ატაცებული არ უშინდება შიშის, მტრისგან ნასროლ ტყვიას, ხან სამშობლოსთვის იბრძვის, ხან არსებობისთვის და ხანაც იმის კიდევ ერთხელ შეგრძნებისთვის, რომ „სიცოცხლე თვითვეა ბედნიერება“, აი, ასეთი კაცი, აღაფრთოვანა თხზულებამ, სადაც სამოგზაურო სივრცე პარიზის ქვაფენილებით, ჯურღმულებითა და პარიზელთათვისაც უცნობი პარიზით იფარგლებოდა. ნანარმოებს ერქვა „უჩვეულო პარიზი“ და მისი ავტორი გახლდათ 26 წლის ახალგაზრდა, რომელსაც ბოლო ცხრა წელი პარიზელ მანანალალებს ანუ კლოშარებს შორის ქუჩაში გაეტარებინა, ჯერაც კლოშარი იყო და ეს ქმნილებაც ორი მეგობარი მანანალისთვის მიეძღვნა. სანდრარის აღტაცება სხვებმაც გაიზიარეს, შეითქვა კეთილ ადამიანთა ჯგუფი, საჩქაროდ ნანარმოები წიგნანდაც გამოიცა და გონკურების პრემიაზეც წარადგინეს. მანანალა — საფრანგეთის უმაღლეს ლიტერატურულ ჯილდოზე — ასეთი სასწაული მხოლოდ პარიზში თუ შეიძლება მოხდეს.

1996 წელს მე, არამცთუ საფრანგეთში, არამედ მშობლიურ ქალაქშიც ნაკლებად ცნობილი პოეტი და ფრანგული პოეზიის დამწყები მთარგმნელი, პარიზში ჩემი პირველი მასპინძლის, პასკალ პეირუს ბინაში წავანყდი პოლ ვერლენის 1957 წელს გამოცემულ ლექსთა კრებულს, რომლის ძალზე საინტერესო ნივთსა და წიგნის ბოლოს დართული ესეი „ვერლენი, პარიზელი მანანალა“ ეკუთვნოდა იმ დროს ჩემთვის, პოსტსაბჭოური საქართველოდან ჩასული კაცისთვის სრულიად უცნობ ავტორს, ჟან-პოლ კლემერს. იმხანად ძირითადად ვერლენს ვთარგმნიდი და მასპინძლის ნებართვით კრებულმა მისი ნინასიტყვაობა-ბოლოსიტყვაობიანად ჩემს ზურგჩანთაში გადმოინაცვლა. მალე მეც გამიშინაურდა პარიზის ქვაფენილები, ლეგალური და არალეგალური ღამის სათევები, რამდენიმე თვე კლოშართა გუნდის სრულფასოვანი წევრიც ვიყავი და ვთარგმნიდი პარიზის დიდი მანანალის პოლ ვერლენის პოეზიას, ზოგჯერ ჩავხედავდი წიგნის ბოლოში მოთავსებულ ჩემთვის უცნობ ვინმე კლემერის ესეის, განსაკუთრებით მისი სათაური მომწონდა. მაშინ ხომ მეც მანანალაებს შორის ვცხოვრობდი და ვთარგმნიდი დიდი კლოშარის ლექსებს. პოეტი მანანალა — მთარგმნელიც ასეთივეა. დიდებულია! ეს წიგნი კი ალბათ ვინმე სერიოზულმა, მოწონივრებულმა კაცმა შეადგინა, ასე ღრმად როგორ ჩასწვდა ნეტა პარიზის ქუჩებში აღოღებული პოეტის სახმელს?

სულ ახლახან, ძალიან მომიწონდა, რომ რამე ძალიან საინტერესო მთარგმნა ჟურნალისათვის „ჩვენი მწერლობა“, ისეთი რამე, რასაც სიამოვნებით დავუგზავნიდი როსტომ ჩხეიძეს და ისიც სიამოვნებით მიიღებდა. ვიფიქრე, ვიფიქრე და... „ვერლენი, პარიზის მანანალა“ მომაგონდა. ვთარგმნე და, ვიდრე გადაბეჭდვას შეუდგებოდი, ვიფიქრე, ბარემ ამ წერილის ავტორ-

\* შემოკლებული ვერსია.

ზე ორიოდ ცნობას მაინც მოვიძიებ, პუბლიკაცია უფრო სოლიდური გამოვა-მეთქი. მოვიძიე და ვაი... თურმე ბატონი კლემერი, ჩემზე დიდი და ვერლენზე არანაკლები სტაჟის მქონე კლოშარი აღმოჩნდა. კიდევ ერთი რამ მომხვდა გულზე: 1957 წელს რომ ვერლენის ძალზე სერიოზული წიგნის შედგენას, წინასიტყვაობისა და ასე ორიგინალური სათაურის ბოლოსიტყვაობის დართვას რომ მიანდობენ კაცს და ისიც ასე არაჩვეულებრივად მოაბამს თავს ამ საქმეს, 1996 — ჩემი კლოშარობის — წელს ნაკლებად სავარაუდო გახლდათ, რომ ცოცხალი ყოფილიყო, ის კი მაშინაც ცოცხალი ყოფილა და მერც, 2011 წლამდე სისხლსავე და ნაყოფიერი ცხოვრებით უცხოვრია პროვანსში, ლიბერონის მხარის ერთ-ერთ სოფელში. არადა, 2008 წელს მთელი თვე ისე ახლოს გავატარე იმ ადგილიდან, ეს რომ მცოდნოდა, უთუოდ დავძლევდი მორიდებისა და მორცხვობის შემოტევებს და აუცილებლად გავეცნობოდი კაცს, ვისაც ჩემზე ადრე და თან ბევრად უფრო სახელოვნად აღუწერია პარიზის ქვაფენილები და მისი მკვიდრნი. ვაი, რომ არც მისი სიცოცხლე ვიცოდი, არც მისი ცხოვრება და არც მისი პირველი ნანარმოები-შედევი „უჩვეულო პარიზი“. ერთი რამ ვიცი მხოლოდ, რომ ახლა ეს წიგნი უნდა მოვაძებნიო და გამოვავაზინო ჩემს პარიზელ მეგობრებს. უთუოდ უნდა ვთარგმნო, თუნდაც ისეთი დეტალები დაემთხვეს, რომ „კეთილისმსურველებმა“ რაღაც-რაღაცების ქურდობა და სესხება დამაბრალონ. იყოს, რაც იქნება! პარიზში ზურგჩანთით ვერლენის წიგნს რომ დავატარებდი, ჩემთვის ვხუმრობდი, ორ მანანალას ერთად მივათრევ-მეთქი. თურმე სამინ არა ვყოფილვართ?

ახლა კი ორიოდ სიტყვით გიამბობთ ამ შესანიშნავი კაცის ცხოვრებაზე: დაიბადა 1926 წელს, როგორც იტყვიან, კარგ ოჯახში, სწავლობდა პარიზში, იეზუიტთა კოლეჯში. 1943 წელს გაიპარა კოლეჯიდან, „რათა დაეკარგა უმანკოება და შეერთებოდა „რეზისტანსს“ — წინააღმდეგობის მოძრაობას. წინააღმდეგობასაც შეუერთდა და კლოშართა გუნდსაც, ამ უკანასკნელში კი ისე წინააღმდეგობა იგრძნო თავი, რომ საფრანგეთის გათავისუფლების შემდეგაც არ დაბრუნებია ჩვეულებრივ ცხოვრებას, ნახევარი წელი აზიაში იხეტიალა, მერე ისევ პარიზში დაბრუნდა, კვლავ ფილანთანა მკვიდრად იქცა და ასე ცხოვრობდა 1952 წლამდე, ვიდრე დიდი ბლუზ სანდრარი წაიკითხავდა მის „უჩვეულო პარიზს“.

უჩვეულო მანანალა ცნობილი მწერალი გახდა. დიდების პირველი ყვავილთსურნელი შეიყნოსა და კვლავ გზას გაუდგა, ამჯერად უკვე „პარი მატჩისა“ და „პარი სუარის“ კორესპონდენტია აზიის ქვეყნებში. საფრანგეთში დაბრუნებული რამდენიმე წელს პარიზში ატარებს, მერე კი სახლდება ლიბერონის მხარის პატარა სოფელში და წიგნებით ესაუბრება ქვეყანას. ძალზე ფართო გახლდათ მისი შემოქმედების თვალსაწიერი. წერდა რომანებს, ისტორიულ გამოკვლევებს, იყო ძალზე ნაყოფიერი. პროვანსის აკადემიის ჯილდოც მოიპოვა, მაგრამ მის ნამდვილ შედეგად მაინც პირველი წიგნი, მანანალის მიერ დაწერილი „უჩვეულო პარიზი“ დარჩა. 2009 წელს ხელახლა გამოიცა ეს წიგნი და ნამდვილ ბესტსელერად იქცა. მოხუცი მწერალი ხელახლა მოექცა საყოველთაო ყურადღების ცენტრში. ის კი სულით იგივე „ქუჩის ბიჭი“ იყო, გულწრფელი და ემოციური. „კლოშარები მაშინ არ იყვნენ ისე გარიყულნი საზოგადოებიდან, როგორც დღეს“ — ყმანვილური სიფიცხით უხსნიდა თანამოსაუბრეებს. „ეს იშვიათი კაცი — ეს ზეციური კლოშარი“, ვისი ცხოვრების დევიზიც გახლდათ „თავისუფლება — უპირველეს ყოვლისა!“ ჯერაც უცნობია ქართველი მკითხველისთვის, შევეცდები მისკენ მიმავალი პირველი, მოკრძალებული კვალი გავავლო.



ემოსა ძველი იულისტერი [ეს გახლდათ, როგორც ლარუსი გვამცნობს, გრძელი, ხალათის ფორმის, საზამთრო პალტო]. ეხურა რბილი, უფარვისი, თვალზე ჩამოფხატული ქუდი, გაბურძენილი წვერი კაშნესავით უფარავდა ცხვირ-პირს. ხელჯოხზე დაყრდნობილი ვერლენი უთავბოლოდ დაეხეტებოდა წინ და უკან კაფედან კაფემდე. თავის „წითელ შროშანში“ ანატოლ ფრანსმა იგი შულეტის სახელით გამოიყვანა და საკმაოდ გესლიანად აღწერა:

„სოფლის ჯადოქარს ჰგავდა. შიშველი, სპილენძისფერი, ანტიკური ქვაბივით კუზიანი თავისქალა, პატარა, ირიბი, მოციმციმე თვალელები, სახეზე პაჭუა ცხვირი, ნესტოები — გაბერილი. თავისი მოკლე, უხეში და მეჩხერი წვერით სოკრატესაც მოგაგონებდათ, ოღონდ ფილოსოფიისა და თავის ფლობის უნარის გარეშე. ერთდროულად მკაცრი და ალერსიანი, ველური და შინაური იერით, იგი გახლდათ სოკრატე ინსტინქტური, ან უკეთ რომ ვთქვათ, ფავნი, სატირი, არსება — ნახევრად მხეცი, ნახევრად ღმერთი, და შეძრწუნებას იწვევდა, როგორც ბუნების სტიქია, რომელიც არ ემორჩილება არცერთ ნაცნობ კანონს. ოჰ, დიას, ეს მანანალაა, გზებისა და გარეუბნების ბებერი მანანალა.“

აი, ვერლენი მთელი თავისი სიმახინჯით. ეს ის სიმახინჯეა, ჯიუტად რომ უსვამენ ხაზს და რაც ერთ დღეს ხდება მიზეზი იმისა, რომ ლამაზმან სარა ბრაუნს, რომელიც ატელიეებში ჩვენებებზე ოდენ ძალიან მოშველებული სათევზაო ბადით მოსილი გამოდის, გული მისდის, როცა ხედავს მის წინაშე თავზიანად წარმდგარი პოეტის თავისქალას.

იგი უთავბოლოდ დაეხეტება პარიზში. იმდროინდელი პარიზი, პარიზი ოსმანისეული, გადაკვეთილი ძალზე ფართო გამზირებით, სადაც ფიაკრები იკარგებიან და კიდევ... მეტისმეტად თეთრი, რაღაც ავადმყოფური შენობები. ეს პარიზი პენცილინით ჩხვლეტს ძველ ლუტესს [ლუტეციას], რომელსაც პოეტის სიცოცხლის ამ ათწლიან მონაკვეთში კვიბატად ეთამაშებიან. შუა საუკუნეთა პატარა ქუჩებს, ვიიონის ტავერნებს, ეყენ სიუს ჩიხებს სიკვდილი მიესაჯათ და თავები წარკვეთეს. ჯერაც შეიძლება მათი ნაშთების პოვნა, მაგრამ კარგად უნდა ეძებო. ვერლენი გადაჰკვეთს უზარმაზარ მშენებლობებს. ეს თანამედროვე პარიზი დროის მცირე მონაკვეთში, პოეტის დაბადებიდან სიკვდილამდე აშენდა. ეს გახლავთ გარდამავალი პარიზი. დროის ნადები უფრო გვიან მოვა, იმხანად არის მხოლოდ ძალიან ძველი და ძალიან ახალი, დაბერებული სახლები და მომგებიანი შენობები [უხეირო გამოთქმა].

ვერლენს არ უყვარს ეს ქალაქი, ეს პეიზაჟები და არც მათ მიერ მოგერილი ზმანებანი. მას პარიზი ესიზმრება.

მისთვის სენაც მწუხარე და ბინძურია, რომელიც უზარმაზარი გველივით მიცოცავს.

როცა ძველ უბნებს ტოვებს და გარეუბნებისკენ იღებს გეზს, რატომღაც მუდამ სევდიანი, შიშისმომგვრელი სენ დენის ველისკენ მიემართება...

ან კიდევ იქითკენ, სადაც თავისი მეგობარი ლუსიენი ეგულება, რათა აეკიდონ „პუან-დუ-ჟურის“ საეჭვო პერსონაჟებს.

ისიც მართალია, რომ იმ პირველ პარიზს, რომელიც პოეტმა იხილა ყრმობის ჟამს, სილაღისა არა ეცხო რა. საცხოვრებლის ხშირი ცვლის მიუხედავად მხოლოდ ბატინიოლის უღიმღამო უბნებს ხედავდა.

ის, რასაც განსაკუთრებით აფასებდა ვერლენი პარიზში — ამ „დაწყვეტილ პოეტში“, გახლდათ საფოსტო სადგურები და ბისტროები.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს უკვე ას წელზე მეტია კაფეს ჩვენი ქალაქური ცივილიზაციისათვის [არ დაგვაზინყდეთ, რომ ეს ესეი 1957 წელს დაინერა], მაგრამ ჯერ კიდევ ამომწურავად არ არის ახსნილი ფსიქო-სოციალური ფენომენი, რასაც ის წარმოადგენს სასამელის მიწოდებისას განსაკუთრებული სიბოროტ გამოხატვით, ინტიმურობითა და კლიენტებთან მეგობრობით. ესაა იდეალური ადგილი

შეხვედრებისთვის მამაკაცებს შორის, მაშინაც კი, როცა ქალები ახლავთ. მუდამ რაღაც ხდება. ეს არის ცოცხალი და განუწყვეტელი სპექტაკლი, მარტოობისგან გასაქცევი თავშესაფარი, რომელიც იზიდავს ყველა ცუდად დაბინავებულს თუ ცუდად დაოჯახებულს და ალკოჰოლიც ემატება ამას, ყველაზე ადვილად მომგვრელი დაკინებთა, უიაფესი აღმგზნებ საშუალებათა შორის და რომელიც მხოლოდ ნელ-ნელა კლავს.

ბისტროს შუაბოძი, ანუ მუდმივი სტუმარი, როგორც მოხდენილად ამბობენ არგოზე, ვერლენი იქ ნებისმიერ სხვაზე ხშირად და დიდხანს იმყოფება. იქ ატარებს ცხოვრებას, იქ აწყობს სალაყბოსა თუ სალონს, აფრქვევს ბოლმას, „ამოსთქმოს“ თავის შინაგან პოეზიას, ხედავს სხვა „დაწყვეტილ პოეტებს“, ჭიქასა და ჭიქას შუა ხატავს ფურცლებზე, რომლებიც ვაგლახად სულ აქეთ-იქით დაფრინავენ.

საუბედუროდ, იქ მიათრევს თავის მარტოობასაც, რომელმაც იქითკენ უბიძგა და ქუსლზე ჩრდილივით მისწებებია. იგი სვამს. „იქნებ ეს ერთადერთი უპატიებელი ნაკლია იმ ნაკლთა შორის, მე რომ გამაჩნია.“

ოსმანიზაციის „მშვენიერ დროში“ საყოველთაოდ გავრცელებული ალკოჰოლი, სახელად აბსენტი, რომელსაც არგოზე განწყობის მიხედვით „მწვანედ“ თუ „ლურჯად“ მოიხსენიებდნენ და რომელსაც პოეტი ეძახის „აბსოლუს“, ეს მწარე და ძლიერი სასმელი, უფრო ძლიერი, ვიდრე ჩვენი აპერიტივი და რომელიც „ჩვენი გვილირდა ალჟირის დაპყრობად“ [ვერლენის ბიოგრაფის, ერნესტ რეინოს გამოთქმის მიხედვით] და რომელიც ოფიციალურად მხოლოდ 1915 წელს გაქრა, ეს ლურჯ-მწვანე სასმელი, რომლის გასინჯვაც დღეს მხოლოდ ცნობის-მოყვარეობის გამო გვსურს, ეს გამაბრუებელი სასმელი შედეგობდა უსუსის, კამის, ანისულის, ანგელოზას, იფნურას, თავშავას, პიტინისა და აბზინდის ნარევის ნაყენისაგან, რომელსაც არ აკლდა პოეტურობა და ალამაზებდა მეორე იმპერიის დღეებს. ყველა ბისტროში საღამოს ოთხიდან ხუთ საათამდე [აპერიტივის მაშინ სვამდნენ ძალიან ადრე — როგორც ამბობდნენ, მწვანე საათზე] ყველა კლიენტი თავისას იღებს. ეს არის ლოთობის ეპოქა, გადაკრავენ „მომინეტს“ [არაყს], ქეიფობენ „მორტ-ოზ-ომით“ [„კაცთა სიკვდილი“]. პარიზის ამერიკელებს, მაშინაც ისეთივე ყოჩად მსმელებს, როგორც ახლა, არასდროს ავიწყდებათ მიმტანისთვის რიტუალური კითხვის დასმა: „კუბოს რომელი ლაქი გაქვთ?“ და ამას მოსდევს ხარხარი. ჩვეულებრივი ულუფა მუშისა [პოეტებისაც] საკმაოდ განსაცვიფრებელია: სამი სირჩა, ყავა, არაყი, ორი აბსენტი, ორი მწარე, ორი მადერა და ორი სხვა აბსენტი, ორი ჭიქა ღვინო, კიდევ ყავა, ოღონდ სხვა, პურის ნაჭერი, ყველის ნაჭერი. ძალიან ძლიერებსაც გაუჭირდებათ, რომ გადაურჩნენ ამ სასმელებს. აღარავინ უყვირს ალკოჰოლით განადგურებულთა და დასაბმელი გუჟების შთამოქცავეი სიმრავლე.

ლარუსი სიტყვაზე — აბსენტიზმი — გვიხსნის მძინვარეობას ამ „კაცთა მკვლელისა“: თავდაპირველად შეხების გადაჭარბებულად მტკივნეული შეგრძნება, კუნთების ძალის დაქვეითება, მეხსიერების თანდათანობით დაკარგვა, ჰალუსინაციები, მონყენილობა, გადაჭარბებული სიფიცხე, განსაკუთრებული სიფითრე, რაც მკვეთრად კონტრასტულია ღვინის მსმელთა განითვლებულ სიფათებთან, შემდეგ იწყება ხმაურიანი სიმთვრალე, აგრესიულობა, პერიოდული ეგზალტაციები და მოდუნებანი, შიგადაშიგ ბოდეები და დენის განცდა. ნაწილობრივ შემოქმედებით ძალთა დასუსტება — აი, პოეტ ვერლენის ცოცხალი პორტრეტი მისი ქალაქში ხეტილის „მშვენიერ“ საათებში.

„ჩრდილოური მოგზაურობის“ შემდეგ იგი პარიზის გულში, ლათინურ კვარტალში იხიზნება, ამ ბნელ ლაბირინთში, რომელიც ჯერ ვერ გაუნადგურებია ოსმანიზაციას. დაეხეტება ვოჟირარის ქუჩიდან კოლარის ქუჩამდე, სენ-მიშელის საზაპიროდან სენ-ჟულიენ-ლე-პოვრამდე. თავს შინაურად გრძნობს ამ პარიზში ვიიონისა, რომელიც სენ-ჟაკის ქუჩაზე „ცელქობდა“, პარიზში ნაპოლეონისა, რომელიც შიმშილით

სიკვდილის პირას იყო მისული და ლა უშეტის ქუჩაზე, მიურ-ჟესი, რომელიც ბოჰემური ცხოვრების სცენებს მართავდა სენ-ანდრე-დუ-არტის მოედნის ირგვლივ. სტუმრობს პატარა სამიკიტნოებს, სადაც მოდიან მეეტლეები, სანაპიროს ლოთიფოტები და მენავეები. სენ-სევერინის საზოგადოებრივი კაბარეთა უკანა, ზნელ დარბაზებში იყიდება სასმელი.

თუმცა უბრალო ხალხის გარემოცვაში უკეთ გრძობს თავს, არანაკლებ დროს ატარებს ლიტერატურულ კავებებში, [ისინი მაშინ სწრაფად მრავლდებოდნენ ლათინურ კვარტალში] სადაც იბადება ეფემერული და მსწრაფლწარმავალი დიდება ახალი ლიტერატურისა. ვოლტერზე, ოდენონის მოედანზე იგი საათობით ყვინთავს წყალგარეულ რომში [წყალი ძალიან ცოტაა], ეს საათები განსხვავდება აბსენტის საათებისგან და გარემოცული ხელოვნებაში ხელმოცარულებით, რომლებიც აქ ათრევენ ცხოვრებას დაღვეიდან უსიამოვნებამდე, ისმენს ლაყბობას კატულ მენდესის, ჟერმენ ნუვოს და ერთი ახალგაზრდა კაცისა, რომლის სახელი და გვარია ჟორჟ კურტელინი. „ტაბურეისა“ და „სურსმი“ სვამს „კარაქნასმულ აბსენტის“, რომელიც რემბომ გამოიგონა ლონდონში, აბსენტის, ლუდის, ღვინისა და არყის საშინელ და სანეტარო ნარევს. „ეს რადიკალურია და ანადგურებს კაცს“ — სწერდა რემბო თავის მეგობარ ჟერმენ ნუვოს.

ბოლომოღებულ ვერლენს უძილობა სჭირს და ვერ გადაუწყვეტია შინ დაბრუნება. მთელ ღამეებს ხეტილში ატარებს, როგორც რესტიფ დე ლა ბრეტონი, როგორც ნერვალის, როგორც ადენის „დანყველილი პოეტი“. მარტოსულის შემოღობვამ მინათა ქსელში გახვეულს სიამოვნებს ღამის ცარიელ და ცივ ქუჩებში წინ და უკან სიარული, სხვა სამყაროს შიმშილით შეპყრობილს არ ძალუძს, არ შეუძლია მოწყდეს მას, ლანჩები მოწყვიტოს ამ გაქონილ ფილაქსანს, მოსცილდეს ქუჩის გაზის ნათურათა და ლურჯ-მწვანე ვიტრინათა ციმციმს, რომელთა მიღმაც სვამენ წყურვილის გარეშე და პოულბოგენ იაფფასიან ქალიშვილებს. მასთან მიახლოებისას ვარსკვლავებზე იფანტებიან გამვლელები. „მთვრალი ხომალდი“, იგი ცეკვავს შავ სახლებს შორის, შედის ბისტროებში, სადაც მის მოზრდილ თავისქალაში [თავისქალა — დუპუიტრანის მუზეუმის შესაფერისი] ალკოჰოლი ლექსების შთამაგონებლად ანთებს გიჟურ მუშხუნებს. ეძგერება მძებრებს, რომლებიც მამაკაცთა აღსაგზნებლად აწრინებენ დახლთან მიდგომულ სკამებს, თავზე აყრით ლექსებსა და გინებებს, ჯოხით ეშუქრება და ევედრება მასთან ერთად მანსარდაში ასვლას, რათა დაცხრეს მისი მოძალადე ბუნება, რომელიც მოითხოვს ალერსს, გიჟურ ალერსს. იმწამს იგი ამურია, მიათრევს თავის დამპალ ფეხსა და ნაზი სატირის სახეზე ადვილად ჩამოსდის ცრემლები. თვითვე აღიზიანებს და ტანჯავს თავისი სულიერი სიცარიელე, მაშინაც კი, როცა პო-

ეტა პრინცი ხდება. მალე კვდება კიდევ და პოლ სუდეი უკეთესი გამოხმარების დაწერას ვერ მოიფიქრებს „მაგაზენ პიტორესკი“ 1896 წელი. ერთობ კეთილგონიერი ჟურნალი, ვიდრე ეს საკვირველი სამგლოვიარო მიძღვნა:

„გადაჭარბებული არ იქნება იმის თქმა, რომ ვერლენი, ერთ-ერთი ყველაზე თავისებური თანამედროვე პოეტებს შორის, ბოლო წლებში იყო ერთ-ერთი ყველაზე ცნობილიც. უეჭველად, უპირველესად ლეგენდას, უფრო მეტად, ვიდრე პოეზიას, მიუძღვის წვლილი მისი სახელის მოხვეჭაში. რომანტიკოსებმა ასწავლეს საზოგადოებას, რომ გენიოსი ჩვეულებრივ ცუდად ცხოვრობს. ჩვენს დროში დაბალ დონედ ითვლება, მწერალი რომ არ ხვდებოდეს საავადმყოფოში, და თუ ის ხშირად არ სტუმრობს ბრასერიებს, არ უნდა ჰქონდეს იმედი, რომ ოდესმე სერიოზულად აღიქვამენ, მაგრამ ვერლენის ცხოვრებაში იყო ბრასერიებიც, საავადმყოფოებიც და ციხეც. რახან შეიტყვეს, რომ იგი იყო „დანყველილი“, ბუნებრივად მიიჩნიეს, რომ იყო პოეტი.“

- ბლზე სანდრარი** — [1887-1961] ფრანგი პოეტი.
- კლოშარები** — ასე ეძახიან პარიზულ უსახლკაროებს.
- ანატოლ ფრანსი** — [1844-1924] ფრანგი მწერალი.
- ოსმანი, ჟორჟ ბარონ დე** — [1809-1891] ფრანგი სახელმწიფო მოხელე, სენის პრეფექტი 1853-1870 წლებში. მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა გრანდიოზული საშუაობები, რითაც მნიშვნელოვნად შეიცვალა პარიზის იერი.
- ლუტეხი, ლუტეცია** — პარიზის თავდაპირველი სახელი. ასე ეძახდნენ რომაელები.
- ფრანსუა ვიონი** — [1431-1463-შემდგომ] ფრანგი პოეტი.
- ეჟენ სიუ** — [1804-1857] ფრანგი მწერალი, „პარიზის საიდუმლოებათა“ ავტორი.
- „ჰუან დე ჟური“** — ცნობილი კაფე პარიზის ჩრდილოეთ ნაწილში.
- ბატინილი** — პარიზის გარეუბანი.
- ანრი მიურჟე** — [1822-1861] ფრანგი მწერალი, თავის დროზე ძალიან გახმაურებული „ბოჰემური ცხოვრების“ ავტორი.
- კატულ მენდესი** — [1841-1909] ფრანგი პოეტი.
- ჟერმენ ნუვო** — [1851-1920] ფრანგი სიმბოლისტი.
- ჟორჟ კურტელინი** — [1858-1929] ფრანგი მწერალი, ვერლენმა მას მიუძღვნა თავისი ერთ-ერთი სევდიანი ლექსი „მოდუნება“.
- არტურ რემბო** — [1854-1891] ფრანგი სიმბოლისტი, ვერლენის თანამეინახე 70-იან წლებში. მერე იჩხუბეს და დასცილდნენ ერთმანეთს.
- რესტიფ დე ლა ბრეტონი** — [1734-1806] ფრანგი მწერალი.
- ჟერარ დე ნერვალის** — [1808-1855] ფრანგი რომანტიკოსი.
- ბარონ გიომ დე დუპუიტრანი** — [1777-1835] ფრანგი ქირურგი, საფრანგეთის მეფეთა ლუი მეტეზამეტისა და შარლ მეათის ექიმი, პათოლოგიური ანატომიის ერთ-ერთი ფუძემდებელი.
- პოლ სუდეი** — [1869-1929] ფრანგი კრიტიკოსი და ესეისტი.

**ქართული ემიგრაციის მუზეუმმა** უმასპინძლა ვაშინგტონში მცხოვრები უზუცესი ქართველი ემიგრანტის — **პეტრე ხვედელიძის** ოთხმოცდათხუთმეტი წლის იუბილეს. საღამოს უძღვებოდა ჟურნალისტი **ივანე ჯაფარიძე**, რომელმაც საზოგადოებას შეახსენა უზუცესი ემიგრანტის ცხოვრების გზა და იუბილე მიულოცა ემიგრაციის სინდისს — ძია პეტრეს.

მუზეუმის დირექტორმა, **რუსულან კობახიძემ** აღნიშნა, რომ „ბედნიერებაა პეტრე ხვედელიძესთან ურთიერთობა, ბედნიერი ვარ რომ მას ვიცნობ. პეტრე ხვედელიძე არის დიდი ქართველი. მისი გზა ილიას გზაა და არავის პატიობს ამ გზიდან გადახვევას“ და დაბადების დღე მიულოცა იუბილარს.

**სოფიკო ჯერვალის** თქმით, ერთდროულად რთულიცაა და მარტივიც ძია პეტრეზე საუბარი და მნიშვნელოვანი თარიღი 95 წლის იუბილე მიულოცა მას.

„მე რომ ვიყო მხატვარი, დავხატავდი ერთ დიდ გულს, ეს არის ძია პეტრე. იმის მიუხედავად, რომ ის ერთადერთი დესპანი გახლდათ ამერიკის ხმაში, ყოველთვის გულანთებული ქართველი იყო და აშუქებდა მოვლენებს ისე, როგორც ეს ქართველებს სჭირდებო-

დათ“, — განაცხადა **ია ბაგრატიონ-მუხრანელმა** და იუბილე მიულოცა უზუცეს ემიგრანტს.

პოეტებმა: **თინათინ მღვდლიაშვილმა**, **გიორგი მელუამ** და **თამარ შაიშველაშვილმა** საკუთარი ლექსებით მიულოცეს იუბილე პეტრე ხვედელიძეს.

მიულოცვას შეუერთდნენ **ჯუმბერ ჯიშკარიანი**, **ტარიელ ქუთათელაძე**, **მანანა გაბაშვილი**, **ნათელა არველაძე**, **სოფიკო ჯაფარიძე**, სკოლა-ლიცეუმ „**მნივნობართუხუცესის**“ მოსწავლეები, თავად პეტრე ხვედელიძის ძმის შვილიშვილები.

საღამოს ამშვენებდა **უშანგი ქადაგიშვილის** მიერ შექმნილი პეტრე ხვედელიძის ქანდაკება და მხატვარ **ცისანა ჯანაშვილის** მიერ შექმნილი პორტრეტი

ულამაზეს ქართულ სიმღერებს ასრულებდა ანსამბლი „ფიროს-მანი“. თვითონ პეტრე ხვედელიძე კი საკუთარ 95 წლის იუბილეს ქართველ სამხედროებთან ერთად აღნიშნავდა ვაშინგტონის სამხედრო ჰოსპიტალში.

ემიგრაციის მუზეუმში გადაწყდა, რომ ყოველი წლის 25 ივნისი ამიერიდან ემიგრანტის დღედ აღინიშნება.

# თამაზ ნატროშვილი მამაცი და უბედური მეფე

წინათქმა

განგებამ თეიმურაზ პირველს წილად არგუნა ხანგრძლივი სიცოცხლე. ქართველ მეფეთაგან ბევრს როდი მიუღწევია სამოცდაათობმეტ წლამდე. მაგრამ ესოდენ გრძელ გზაზე აურაცხელი ვაებანიც დაატყდა თავს. ჯერ კიდევ ოცდახუთი წლისა იყო, ცხოვრების მწვანე გაზაფხულიდან მხურვალე და გვალვიან ზაფხულში რომ გადაისროლეს; ვარდი დაუჭკნეს და ეკალი აუყვავეს, ბუღბუღლა გალობის ტრფიალს ყვავების ჩხავილით დაუხშეს სმენა. მისივე სიტყვით, „უამი გარდახდა შვებისა, მოვიდა გლოვა-წუხილი“ და წლების სიგრძეზე გადაიჭიმა უბედურებათა მიძიმე ჯაჭვი.

„რად, სოფელო, სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე მქენ დასადაგე?! გლახ, ლახვარი სასიკვდილე ყველა მე მკარ, დასად აგე!“ — ასე უნუგეგოდ მოთქვამდა სახელოვანი ქართველი მეფე-პოეტი, როცა სიბერის ზღურბლიდან გადაჰყურებდა განვლილ გზას.

მართლაც, სხვამ ვინ განიცადა ამდენი ტკივილი და გასაჭირი?! მუხთალ წუთისოფელს ამქვეყნად არსებულ სასჯელთაგან განა რომელიმე გამორჩა? რომელი ერთი ჩამოვთვალოთ და რომელს დაეარქვათ ყველაზე შავი დღე თეიმურაზ მეფის ცხოვრებისა?

აი, ამ დღეთა შთამბეჭდავი ნუსხა:

სრულიად ახალგაზრდა მეუღლის მოულოდნელი გარდაცვალება, ერთადერთი ძმისა და ერთადერთი დის გადაკარგვა უცხო მხარეში, ღვიძლი შვილების დასაჭურისება, საყვარელი ცოლისძმისა და მეგობრის — ლუარსაბ მეფის უდროო აღსასრული ჯალათის ხელით, მშობელი დედის ბარბაროსული წამება; უმცროსი ასულის შემზარავი სიკვდილი ირანის შაჰის ჰარამხანაში და უფროსი ასულისა — ქვეშევრდომთაგან, სამეფო ტახტის ეულად დარჩენილი მემკვიდრის დაღუპვა ყიზილბაშებთან ომში; დაუსრულებელი ბრძოლა და ასევე დაუსრულებელი ხიზნობა, ხანმოკლე გამარჯვებანი და ხანგრძლივი დამარცხებანი. და, რაც ყველაზე შემადრწუნებელი იყო, მშობლიური კახეთის არაერთგზის აოხრება დაუნდობელი მტრის მიერ...

ერთ კაცს როგორ უნდა გადაეტანა მრავალთა სამყოფი ვარამი და საგოდებელი?!

„ესოდენნი ჭირნი და განსაცდელნი მოინიგნეს მას ზედა ურწმუნოსა შაჰ-აბასის მიერ!“ — ლაკონიურად გადმოგვცემს ერთი ქართული წყარო სახელოვანი ქართველი მეფის თავს დატეხილ ავბედობას.

1628 წელს ინგლისელი დიპლომატი ტომას ჰერბერტი ამგვარად ახასიათებდა თეიმურაზ პირველს: „უბედური მეფე საქართველოსი, მამაცი პიროვნება, ომებში გამოცდილი და მტკიცე ქრისტიანი“.

პირადად გაიცნო და აღტაცებას ჰგვრიდა ქართველი მეფე.

ათიოდე წლით ადრე, გამოჩენილი იტალიელი მოგზაური და მწერალი პიეტრო დელა ვალე აღნიშნავდა: „...თეიმურაზ-ხანი, ვის მიმართაც, გარდა სარწმუნოების ინტერესებისა, არ ვიცი — რომელი იდუმალი ძალით მოხიბლული უჩვეულო კეთილგანწყობას განვიცდი, თუმცა პირადად არც კი ვიცნობ“.

არ იცნობდა და მაინც აღტაცებული იყო მისი სასახელო საქმეებით.

აღმოსავლური ეშხით არის შემოსილი თურქი ისტორიკოსის მუსტაფა ნაიმას თხზულებაში შემონახული დახასიათება: „საქართველოს მეფეთა შთამომავალი, სილამაზით განთქმული, საყვარელი და იშვიათი სიმამაცის კაცი, თავისი კეთილშობილებით ცნობილი თეიმურაზი“.



თურქი ისტორიკოსის დაშაქრული ქათინაური, ნანილობრივ, გამონვეულია იმ გარემოებთაც, რომ თეიმურაზ მეფე თავდაუზოგავად ებრძოდა ოსმალთა დაუძინებელ მტერს ანუ, მათივე გამოთქმით, „ცბიერსა და ვერაგ შაჰს“.

ამდენად სავსებით ბუნებრივია ისიც, რომ ისქანდერ მუნში, სპარსელი ისტორიკოსი და შაჰ-აბასის ენამჭევრი მეხოტბე, უკადრისი სიტყვებით აჯილდოებს ქართველ მეფეს. უწოდებს უგუნურსა და ბედოვლათს, უვიცსა და გზაბნეულს, თავხედსა და ბედკრულს, „დაუდევრობისა და უმეცრების ღვინით მთვრალს“.

როგორც ამბობენ, მტრის პირით ნათქვამი ლანძღვა და წყევლა მოყვრისაგან გაგონილ ქება-დიდებას არ ჩამოუვარდებოა.

თეიმურაზ პირველი განასახიერებდა სამკვედრო-სასიცოცხლო ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და ქართველი ხალხის შეუპოვარი წინააღმდეგობის სიმბოლოდ იყო შერაცხული.

„მამაცი და უბედური მეფე“, — ასე მოიხსენიებს თეიმურაზ პირველს ფრანგი ვაჭარი და მოგზაური ჟან შარდენი.

ხანგრძლივი იყო თეიმურაზის სიცოცხლე და თითქმის ყველა თავისი ახლობლის სიკვდილს მოესწრო. ხუთივე შვილის სიკვდილს მოესწრო! იმასაც კი მოესწრო, რომ ორი შვილიშვილი მისი დასაჭირებელი გახდა! ყველა უბედურებას მოესწრო, გარდა თავისი სამშობლოს დაღუპვისა თუ „გათათრებისა“, რასაც მკლავმოუღლეად ებრძოდა ლამის ორმოცი წელიწადი.

მუდმივ ლტოლვილად და ხიზნად გადაქცეული მეფე კახეთისა თავშესაფარს პოულობდა ხან იმერეთსა და გურიაში, ხანაც — ოდიშსა და რაჭაში.

ხან ოსმალეთის ხონთქარს ევედრებოდა შველას, ხან — რუსეთის ხელმწიფეს, ხანაც — დასავლეთ ევროპის მეფე-მთავრებსა და რომის პაპს. დასასრულ, ჯანგატეხილი და სასონარკვეთილი სიკვდილსა ნატრობდა: „ვის სიცოცხლე მწარე ჰქონდეს — სიკვდილი თქვა შოთამ ტკბილად“.

უკანასკნელი დღე სიცოცხლისა თეიმურაზ პირველს ირანში დაუდგა — ქალაქ ასტარაბადში გადასახლებულს. ანდერძად დაიბარა, სამშობლოში წამასვენეთო. უკანასკნელი სათხოვარი არ გაუნბილეს და მამა-პაპათა მიწას მიაბარეს. მისი ერთი ნამცეცი მაინც დაისაკუთრა სამარადისოდ. აღარავინ შეეცდილებოდა, აღარავინ წაართმევდა.

## მშვენიერი სოკაჟანი

ქართველ ქალთა მშვენება ოდითგანვე იმსახურებდა აღფრთოვანებას უცხოელთა თვალში და ისინი საქებარ სიტყვებს არ იშურებდნენ.

აი, რას წერდა პიეტრო დელა ვალე:

„ქართველი ქალები ყველაზე მშვენიერნი არიან მთელს აზიაში. შავგვრემანი სპარსელები ვერანაირად შეედრებიან



მათ... თითქმის ყოველ მათგანს შავი თმა აქვს და თვალებიც — შავი, დიდრონი და მომხიბლავი; პირისახე თეთრი ფერისა, ხოლო ღანვები — ვარდისფერი“.

კიდევ უფრო საგულისხმოა ჟან შარდენის აღიარება, რომელიც, დელა ვალესგან განსხვავებით, არც შეყვარებული ყოფილა საქართველოზე და არც ქართველი ქალი შეურთავს ცოლად; სიყვარული რა სათქმელია, მისი მკაცრი პირუთვნელობა, შესაძლოა, მტრულ გამოხდომადაც კი მოგვეჩვენოს. მაგრამ სწორედ შარდენის თხზულებაში ვკითხულობთ შემდეგს:

„ქართველები მთელს აღმოსავლეთში და, შეიძლება ითქვას, მთელს მსოფლიოში საუცხოო ჯიშის ხალხია... ქალების უმეტესობა ბუნებას ისეთი სინატიფით დაუჯილდოებია, როგორსაც ვერსად შეხვდებით; ვფიქრობ, შეუძლებელია მათ თვალი მოჰკრათ და არ შეეყვარდეთ. ქართველ ქალზე უფრო მშვენიერი სახისა და ტანის დახატვაც კი შეუძლებელია; არიან მაღალნი, კოხტა და მოქნილი ტანისა და საოცრად ნელწერნი“.

შარდენის შთაბეჭდილებას თვალნათლივ ასურათებს მისი თანამედროვე — კათოლიკე მისიონერი და მხატვარი, ტომით იტალიელი კრისტოფორო კასტელი, რომელმაც ქართველ ქალთა სახებანიც დაგვიტოვა. კასტელის ალბომში წარჩინებულ ქალბატონებთან ერთად ვხედავთ ჩვენი ისტორიისათვის საკვებით უცნობ ლამაზმანთა პორტრეტებს. მათი ვინაობა და თავგადასავალი არასოდეს გვსმენია, მხოლოდ გვარ-სახელები ვიცით იმავე კასტელის წყალობით: თეთრუა ქორთუა იქნება თუ ელუკა ბერია; პოეტი ქალი, გვარად ბერიძე თუ მხატვარი ქალი, გვარად მიქელაძე.

ეს სურათები შემოუნახავს ჩვენთვის იტალიელი მისიონერისა და მხატვრის მადლიან ყალამს, მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, ქართველ ქალთა „მოსაგონებლად და მათი ლამაზი სახეების გადასარჩენად“.

...ადამის მოდემას არაერთი ხატი და სიმბოლო შეუქმნია სხვადასხვა სათნოებათა გამოსათქმელად და შესამკობად. მათ რიცხვში ერთ-ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს მშვენიერ ელენეს, ვისი სახე და სახელი დღემდე არ გაცვეთილა, დღემდე არ დაუკარგავს თავისი ხიბლი.

ძველბერძნული მითი მოგვითხრობს, რომ ოლიმპის სამი ქალღმერთი ერთმანეთს ეცილებოდა პირველობას სილამაზეში. მსაჯულად მიიწვიეს ტროელი უფლისწული პარისი, რომელმაც მშვენიერთა შორის უმშვენიერესად აღიარა აფროდიტე და მისი მსჯავრით კმაყოფილი ქალღმერთი სიყვარულისა ცოლად შეჰპირდა მოკვდავ ქალთაგან ულამაზესს — ელენეს. და ერთ ავბედიტ დღეს პარისი გაუდგა გზას სპარტიკას, სადაც ცხოვრობდა მშვენიერი ელენე.

მისრობის ნიჭით დაჯილდოებული კასანდრა თავგამოდებით აფრთხილებდა ტროელ უფლისწულს, შენც დაიღუპები და შენი სამშობლოც განადგურდებაო. კასანდრას თვალწინ წარმოესახებოდა მომავალი ომის გულსაკლავი სურათები: ცეცხლმოდებული ქალაქი, სისხლის მდინარეები და ტროას დამცველთა ძირს გართხმული გვამები. ნათელმხილველი კასანდრა ულონოდ ჭვრეტდა, თუ როგორ მიჰყავდათ აცრემლებული ქალები ტყვეობაში და ევედრებოდა პარისს, ცდუნებას ნუ აჰყვებო. მაგრამ მშვენიერ ელენეზე ოცნებით შებორკილი უფლისწული აღარავის უგადავდა ყურს.

მენელაემ, ელენეს მეუღლემ, გულთბილად მიიღო სტუმარი და მის პატივსაცემად ლხინიც გამართა. სწორედ მაშინ პარისმა პირველად იხილა მშვენიერი ელენე. ტროელი უფლისწული მეხნაკრავივით შეჰყურებდა ულამაზეს ქალს. პარისის ვაჟაცაქურმა იერმა ელენეც მოხიბლა. რამდენიმე დღის შემდეგ მენელაეს მოუწია გამგზავრება კრეტას კუნძულზე. ტროელმა უფლისწულმა დაუყოვნებლივ ისარგებლა ხელსაყრელი შემთხვევით და მშვენიერი ელენე მოიტაცა.

მენელაე უსაზღვროდ განრისხდა და თავის ძმას აგამემ-

ნონს რჩევა ჰკითხა, მუხანათ პარისზე როგორ ვიძიო შურიო. აგამემნონმა ურჩია, საბერძნეთის გამოჩენილი გმირები მოეხმო ტროასთან საომრად. მენელაემ ჯერ მშვიდობიანი გზით სცადა მეუღლის დაბრუნება, მაგრამ მოლაპარაკება უნაყოფო გამოდგა. მერე კი ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ომი გაჩაღდა. ერთიმეორის მიყოლებით იღუპებოდნენ საბერძნეთისა და ტროას სახელოვანი ვაჟაცები, ომს კი დასასრული არ უჩანდა. მეთაე ნელსა იღეს ბერძნებმა ტროა, მცირე აზიის ყველაზე ცნობილი ქალაქი, და მენელაემ დაიბრუნა მშვენიერი ელენე.

სამეცნიერო ლიტერატურაში ტროას ომის ნამდვილ მიზეზად გარკვეული პოლიტიკურ-ეკონომიკური ფაქტორებია მითითებული და სწავლულთა ირონიულ ლიმილს იწვევს იმის მტკიცება, რომ ბერძნული სახელმწიფოები და მათი მხედართმთავარნი ათი წლის მანძილზე ებრძოდნენ ტროას მშვენიერი ელენეს გულისათვის.

მაგრამ ლამაზი ლეგენდა თავის პოზიციებს არ თმობს და სამუდამოდ დამკვიდრებულა კაცობრიობის მეხსიერებაში. ჩვეულებრივ მკითხველს, ეტყობა, სიყვარული უფრო მიმზიდველ მიზეზად ჩვენება ომისათვის, ვიდრე უცხო ქვეყნის დაპყრობისა და ძარცვა-გლეჯის წყურვილი.

ანალოგიური თქმულებანი მოიპოვება სხვა ხალხთა ისტორიაშიც და რა გასაკვირია, რომ ქართველი ქალის მშვენიება აგრეთვე გამხდარიყო წყარო ლეგენდისა, სადაც გვხვდება ხელმწიფის სიყვარულიც და იმავე სიყვარულით გამოწვეული ომიც.

აღმოსავლური ეგზოტიკით გატაცებული ევროპელი ავტორები ამგვარ საკბილოს ხელიდან როგორ გაუშვებდნენ!

1632 წლიდან საქართველოში დამკვიდრებული კრისტოფორო კასტელი ხატავს ხორეშან დედოფალს, ქართლ-კახეთის მეფის თეიმურაზ პირველის მეუღლეს, და მაშინვე აგონდება მშვენიერი ელენეს უკვდავი მითი.

ხორეშანის პორტრეტს ახლავს ასეთი წარწერა: „ეს ქართველთა დედოფალი ვარდისფერაა, თეიმურაზის მეუღლე, ყველაზე ულამაზესი არსება, რომლის მშვენიება გახდა სამეფოს დაქცევის მიზეზი; ასე რომ, შეიძლება პირდაპირ ითქვას, იგი იყო ახალი ელენე“.

მეორე ნახატს დართული წარწერა ნათლად განმარტავს იმას, თუ რატომ გახდა მშვენიება ქართველი დედოფლისა — სამეფოს დაქცევის მიზეზი:

„დედოფალი ძალიან ლამაზია. შაჰ-აბასმა, სპარსეთის ხელმწიფემ, მისი შერთვა მოინდომა. თეიმურაზი არ დათანხმდა, რამაც განარისხა შაჰ-აბასი. მან იბერიამი გამოგზავნა ჯარი და მისი სამეფოს დიდი ნაწილი გააუკაცრიელა. მიუხედავად ამისა, ცოლი მაინც ვერ წაართვა“.

კასტელის შესამეფად ალბუქდავს ხორეშან დედოფლის სახე, ამჯერად — მეუღლესთან ერთად. პირმოქუფრულნი შემოგვეყურებენ თეიმურაზი და ხორეშანი, ერთიმეორეს მისჭიდობიან და უსიტყვოდ თითქოს გვამცნობენ, რომ არანაირ ძალას ამქვეყნად არ ძალუძს მათი გაყრა.

კასტელის მიერ ორიოდ სიტყვით აღნიშნულ ამბავს გაცილებით ვრცლად მოგვითხრობს XVII საუკუნის იტალიელი ისტორიკოსი ბართოლომეო ფერო თავის თხზულებაში „თეათიკელთა მისიონების ისტორია“. ავტორი ეყრდნობა იმ კათოლიკე მისიონერთა რელაციებს, ირანსა და საქართველოში რომ მოღვაწეობდნენ XVII საუკუნის პირველ ნახევარში.

ბ. ფეროს მიხედვით, კახეთის მეფემ დავითმა დატოვა ანდერძი, რომ მისი შვილი თეიმურაზი გაეგზავნათ შაჰ-აბასის კარზე, ამ „უძლიერესი ხელმწიფის“ მეურვეობის ქვეშ. კახეთის ტახტის მემკვიდრე ჯერ ყმანვილი იყო და ქვეყანას ვერ გაუძღვებოდა. სამეფოს განაგებდა დაქვრივებული ქეთევან დედოფალი, მშვენიერი და კეთილგონიერი ქალი. ქმრის სიკვდილის შემდეგ იგი ძაძებით შეიმოსა და ლოცვა-მარხვებს გადაყოლილი მონაზვნის ადათ-წესებით ცხოვრობდაო.

იტალიელი ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ შაჰ-აბასმა ღვიძლი შვილივით მიიღო თეიმურაზი და თვალყურს ადევნებდა მის აღზრდა-განათლებას. კახეთის ტახტის მემკვიდრეს წვრთნიდნენ ყველაფერში, რასაც უნდა დაემშვენებინა მომავალი მეფე. რასაკვირველია, საგანგებო ყურადღება ექცეოდა სამხედრო საქმესა და ვარჯიშს. გარდა ამისა, თეიმურაზს სრულყოფილად შეასწავლეს თურქული და სპარსული ენები (ბერძნული უკვე სცოდნია). ასე გაიზარდა ორიოდე წელიწადში და კახეთში დაბრუნების დროც დადგა.

დამშვიდობებისას შაჰ-აბასმა გადაწყვიტა, რომ მამობრივი რჩევა-დარიგებანი მიეცა კახეთის ახალი მეფისათვის და არც მისი პირადი ცხოვრება დაეინტერესებინა.

შაჰმა თეიმურაზს შეახსენა, რომ მეფის ქორწინება უფრო პოლიტიკური მოტივებით უნდა იყოს ნაკარნახევი, ვიდრე გრძნობებით. შენი სამეფოს კეთილდღეობა ვისაც მოითხოვს, ცოლად ის შეირთეო, — ასე არიგებდა შაჰ-აბასი თეიმურაზს. ვინც გნებავს, ის შეირთე, ოღონდ ქართლის მეფის დას ნუ შეირთავო.

ხორეშანი, სახელგანთქმული თავისი მშვენივით, თურმე თვით სეფიანთა ხელმწიფეს ჩავარდნოდა გულში და მორიგ ცოლად ეწადა თავისი ჰარამხანის კიდევ უფრო დასამშვენებლად.

ბ. ფეროს სიტყვით, შაჰ-აბასმა თეიმურაზი მკაცრად გააფრთხილა, თუკი ჩემს ბრძანებას ხორეშანის თაობაზე არ შეისმენ, იცოდე, შავი დღე დაგადგებაო. იტალიელი ისტორიკოსი არ გვაუწყებს თეიმურაზის პასუხს, მაგრამ საფიქრებელია, რომ კახეთის ახალგაზრდა მეფე მორჩილად დაუკრავდა თავს სეფიანთა ირანის დიდ ხელმწიფეს და დაარწმუნებდა, თქვენს ბრძანებას უყოყმანოდ შევასრულებო.

სამშობლოში დაბრუნებულ თეიმურაზს სიხარულითა და ზემოთ შეეგებნენ. გამოხდა მცირეოდენი ხანი და გულმოდგინედ შეუდგნენ ღირსეული საცოლის ძებნას. მითქმა-მოთქმა აქებდა და ადიდებდა ქართლის მეფის ულამაზეს დას. თეიმურაზს თუმცა კარგად ახსოვდა შაჰის ბრძანება, მისი გული მაინც ალიგზნო ტრფობით. კახეთის დიდებულნი, თავის მხრივ, დღენიდაც აგულიანებდნენ მეფეს და ასე ჩასჩინებდნენ: „ამ ქალს ვერავინ შეედრება ვერც სილამაზით და ვერც გვარიმშობლით. მოჩვენებითი საფრთხე ნუ შეგაშინებს! ბოლოს და ბოლოს, შაჰს მრავალი ცოლი ჰყავს, თავის ჰარამხანაში ხორეშანზე უკეთესებიც მოეპოვება. ეჭვიც არ შეგეპაროს, რომ მის დაკარგვას გულმონყალედ შეურიგდება და წყენას არ შეიმჩნევს. მით უფრო, რომ ამ ქალს სწორედ შენ შეირთავ ცოლად და ხელმწიფეს შენ ხომ შვილივით უყვარხარ!“

თეიმურაზს ისიც შეახსენეს, რომ ლუარსაბ მეფეს მემკვიდრე არ ჰყავდა; მაშასადამე, თეიმურაზისა და ხორეშანის შვილს ქართლის ტახტიც ერგებოდა. ხოლო ორი სამეფოს გაერთიანება მომავალში ანგარიშგასაწევ ძალას ნარმოქმნიდა მტრისათვის.

თეიმურაზს ჭკუაში დაუფჯდა დიდებულთა მოწოდება, თავისი სანადელი ლუარსაბს შეატყობინა და იოლად მიაღწია მიზანს, ვინაიდან ქართლის მეფეს ქრისტიანი თეიმურაზი ერჩინა სიძედ. ხორეშანსაც არ დაუყოვნებია თანხმობა და ღვინო ღვინოს გადაება ორივე სამეფოში.

ადვილი წარმოსადგენია შაჰ-აბასის აღშფოთება... არჩეული ქალი წაართვეს და პირში ჩალაგამოვლებული დატოვეს! ხელმოცარულმა ხელმწიფემ აღარ იცოდა, როგორ გაექარებინა ჯვარი. ელჩის ხელით წერილი გაუგზავნა თეიმურაზს. საყვედურობდა უმადურობას და ემუქრებოდა, ჩემი ბრძანება რომ არაფრად ჩააგდე, ახლა ჩემს უღმობელ რისხვას იგემებო. მაგრამ ბუნებით ამაყი თეიმურაზი, დატყვევებული მშვენიერი ხორეშანის სიყვარულით, მომავალ საფრთხეს არ ეპუებოდა და იმედი ამხნევებდა, ორი სამეფოს გაერთიანებული ძალებით ყიზილბაშებს უთუოდ გაეუმკლავდებოდა.

შაჰ-აბასმა ქართველ მეფეებს სასწრაფოდ შემოუთვალა, გონს მოდით და „განრისხებული სულის დასაშოშმინებლად“

ხორეშანი ახლავე ისპანს მახლეთ, თორემ ორივე სამეფოს ავაოხრებ და თავებელს განყვევლებთო. ამაო იყო ხელმწიფის მოლოდინი. ქართლისა და კახეთის მეფეები აშკარად ეურჩებოდნენ მბრძანებელს და ომის თადარიგს იჭერდნენ. მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. ქართველ დიდებულთაგან ზოგი ირანს გაიქცა, ზოგმა მთებსა თუ მეზობელ მხარეებს შეაფარა თავი; დარჩენილნიც არ ამჟღავნებდნენ ბრძოლის ნადილს. ლუარსაბი მორჩილად ეახლა საქართველოში შემოჭრილ შაჰ-აბასს და შენდობა ითხოვა. ხელმწიფის წინაშე თავს იმართლებდა, თქვენი ხვაშიადი რომ მცოდნოდა, ჩემს დას თეიმურაზს როგორ მივათხოვებდიო!

თავის მხრივ, თეიმურაზმა დედა და შვილები გაგზავნა შაჰ-აბასთან მოსარიგებლად. ქეთევან დედოფალმა სეფიანთა ირანის მბრძანებელს აუწყა, ჩემი შვილი ხორეშანის სილამაზემ მოაჯადოვა და ხელმწიფის ურჩობაც სიყვარულმა გააბედინაო. ახლა ცხარე ცრემლით ქვითინებს, მაგრამ ჩვენი რჯულებას არ აძლევს, საკუთარი ცოლი სხვას, თუნდაც ხელმწიფეს, დაუთმოსო.

მაგრამ ქეთევან დედოფლის შუამდგომლობამ არ გასჭრა და ყიზილბაშთა ლაშქარი საქართველოს შემოესია.

ბართოლომეო ფეროს თხზულებაში მთელი რიგი უზუსტობანი შეინიშნება (ასე მაგალითად, ხორეშანი მოხსენიებულია „დარეჯანის“ სახელით; ავტორს მხედველობიდან გამორჩენია, რომ იგი იყო მეორე ცოლი თეიმურაზ მეფისა და სხვ.), მაგრამ მიუხედავად ამისა, იტალიელი ისტორიკოსის მონათხრობი დასაწინად არ გახლავთ — მით უფრო, რომ აღნიშნულ ამბავს სხვა წყაროებიც გადმოგვცემენ.

ზემოხსენებულ მოვლენათა თანამედროვე და თითქმის თანადამხვედრი პიეტრო დელა ვალე წერს, რომ თავისი სამეფოდან თეიმურაზის გაძევებისა და სასტიკი დევნის მიზეზი, მითქმა-მოთქმის თანახმად, იყო მისი მეორე ცოლი, დაი ლუარსაბისა, რომლის უფროსი დაც უკვე კარგა ხანია იმყოფებოდა შაჰ-აბასის ჰარამხანაში და ყველაზე საყვარელ ცოლთა რიგს მიეკუთვნებოდა (იგულისხმება ლელა ბატონიშვილი).

დელა ვალეს სიტყვით, თეიმურაზმა ცოლად შეირთო ხორეშანი სეფიანთა ხელმწიფის ნება-სურვილის წინააღმდეგ და ამ ქორწინების შემდეგაც კი შაჰ-აბასი ჯიუტად მოითხოვდა ხორეშანის წარგზავნას ისპანში, მაგრამ თეიმურაზმა თავაზიანად მოუბოდიშა, ქრისტიანული რჯული და პირადი ღირსება ნებას არ მძღვეს, ჩემი ცოლი სხვას დავეთმოო.

ყან შარდენის ცნობით, ლუარსაბის დის — საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი ასულის მშვენივან მრავალგზის იყო ხოტბაშესხმული სპარსელ მგოსანთა მიერ. 1673 წლით დათარიღებულ ჩანანერში ფრანგი მოგზაური აღნიშნავს, „ქართველ ფერიაზე“ გამოთქმულ სიმღერებს ირანში დღესაც მღერიათ (ე.ი. ზემოთ აღწერილი ამბებიდან სამოცი წლის შემდეგ!); ამ სიმღერებში შაჰ-აბასისა და მშვენიერი ქართველი ქალის რომანი არის ასახული, — დასძენს შარდენი.

შემდეგ იგი გადმოგვცემს, რომ შაჰ-აბასმა ზედიზედ ორი ელჩი გაუგზავნა ლუარსაბ მეფეს ხორეშანის ხელის სათხოვნელად. პირველი მათგანი ტკბილი სიტყვით გაისტუმრეს, ხოლო მეორეს განუცხადეს, ხორეშანი დაქვრივებულ თეიმურაზზე არის დანიშნული. განზილებულმა შაჰმა მესამე ელჩი წარგზავნა საქართველოში, მრავალგვარი დაპირებითა თუ მუქარით შეეცადა თავისი სურვილის ხორცტყესმას. ამავე დროს თეიმურაზსაც აფრთხილებდა, ლუარსაბის დის ცოლად შერთვა არ გაბედოო. მაგრამ ქართლის მეფემ ცივი უარი სტკიცა მესამე ელჩსაც და არც თეიმურაზმა ათხოვა ყური სეფიანთა ხელმწიფის გაფრთხილებას.

როგორც ვხედავთ, დელა ვალესა და შარდენის ცნობები, არსებითად, ემთხვევა ბ. ფეროს თხზულებაში დამონმებულ ინფორმაციას.

„ნაილო შენმა სიყვარულმა გული და სული“, — აი, ერთი სტრიქონი შაჰ-აბასის სამიჯნურო ლექსიდან. ვინ იცის, ეგებ,

სწორედ ხორეშანს მიუძღვნა ეს ლექსი სეფიანთა ირანის პირ-სისხლიანმა მბრძანებელმა, რომელიც, არაერთი აღმოსავლელი ხელმწიფის დარად, ლექსების წერიტაც იქცევდა თავს.

თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ზოგიერთი ქართული წყაროც ეხმარება ზ. ფეროს თხზულებაში მოცემულ ვერსიას.

იმერეთის მეფე რუსეთის ხელმწიფის სახელზე გაგზავნილ წერილში (1618 წ.) აღნიშნავს, რომ შაჰ-აბასი თეიმურაზისგან მოითხოვდა ცოლის დათმობას და ემუქრებოდა, თუ იუარებ, საქართველოზე გამოვილაშქრებო.

იოსებ ტფილელის პოემის „დიდმოურავიანის“ მეცხრე კარის სათაურში ვკითხულობთ, რომ შაჰ-აბასმა სიკვდილით დასჯილი ლუარსაბის მოკვეთილი თავი დაიდო სუფრაზე და ასე მიმართა: „მე ვთხოვდი დას, მე კი არ მომეც და თეიმურაზს მიეცით“ (ამ პოემის გამომცემლის — გიორგი ლეონიძის აზრით, ეს ტექსტი გადამწერთა ნახელავი უნდა იყოს).

ნეტავი თუ იცოდა თეიმურაზ პირველმა ბალადა ქართველი მოყმისა და გადამითელი ყიფჩაღის ორთაბრძოლაზე? ალბათ ეცოდინებოდა. მეფე-პოეტსა და „ვეფხისტყაოსნის“ ტრფილას ქართული ხალხური პოეზიის შედეგრი როგორ არ ეცოდინებოდა!

რა თქმა უნდა, გაახსენდებოდა კიდეც, როდესაც შაჰ-აბასის უმსგავსო შემონათვალის აუწყეს.

ლექსში ამეტყველებული კონფლიქტი ცხადლივ შემოეყარა და ცხოვრება ორად გაუხლიჩა. შვება-სიამის უღრუბლო დღეები წარსულმა მიიბარა. მომავალში ელოდა სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლა, ხიზნობა, ტანჯვა და ვაება.

ერთი შექიფიანიებული ყიფჩაღი აბა რა მოსატანი იყო სეფიანთა იმპერიის ძლევაშოსილ და დაუნდობელ მბრძანებელთან! მაგრამ ქართველმა მეფემ მონურ მორჩილებას თავზე ხელაღებული უარშიობა არჩია, თუმცა იმასაც ხვდებოდა, თუ რაოდენ ძვირად დაუჯდებოდა ამგვარი ქმედება და თავის საშეფოსაც რა დღეში აგდებდა.

„ცოლი მთხოვა და ვერ მიეცე“, — ამ სიტყვებით შექმლო გამართლებინა თავი უფლისა თუ ისტორიის სამსჯავროზე.

მაშასადამე, მშვენიერი ქართველი ქალისადმი შაჰ-აბასის უიმედო სიყარულმა მოუტანა ერთი უთქმელი ვაებანი საქართველოს? აგერ, კასტელი, როცა ხორეშანს ხატავდა, მყისვე აგონდება მშვენიერი ელენე, ვისი გულისთვისაც გაჩაღდა ტროას ათწლიანი ომი და ირან-საქართველოს უთანასწორო ომიც ხომ ამდენ ხანს გასტანს.

მშვენიერი ელენე და მშვენიერი ხორეშანი, კასტელიმ „ახალი ელენე“ რომ უწოდა... ერთობ მომხიბლავი პარალელია!

შაჰ-აბასი, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივი ადამიანი იყო, და არაფერი ადამიანური უცხო არ იქნებოდა მისთვის. ცხადია, უყვარდა ქალებიც და არ გაუჭირდებოდა რჩეულთა შორის რჩეულის ამორჩევა თავისი ჰარამხანის დასამშვენებლად. მიუხედავად ამისა, სეფიანთა ხელმწიფის დრამატულ სიყვარულზე შექმნილი ლეგენდის გადმოცემისას თავად ევროპელ ავტორებს არ ავიწყდებათ მოვლენათა კრიტიკული ანალიზი და გზას გვიკაფავენ ბრჭყვიალა ლეგენდის ბურუსიდან თავის დასალწვევად.

პეტრო დელა ვალე, რომელიც პირადად იცნობდა და არაერთხელ შეხვედრია სეფიანთა ირანის სახელმთხვეჭილ ხელმწიფეს, სკეპტიკური თვალთი უყურებს ხორეშანისადმი მისი ტრფობის ამბავს და თვალთმაქცობად მიაჩნია უზომო აღშობთება შაჰისა ხელმოცარული მიჯნურობის გამო.

იტალიელი მოგზაურის სიტყვით, აბასი მაინცდამაინც ახალგაზრდა აღარ იყო (1613 წელს, როცა ეს ამბები ხდებოდა, იგი 42 წლისა გახლდათ), რომ სიყვარულის ცეცხლი ასე მოჰკიდებოდა და ქალიც იმდენად არ დაკარგავდა ჭკუას, რომ ხანში შესული და მრავალცოლიანი, რეულით მაჰმადიანი შაჰ-აბასი უფრო შეჰყვარებოდა, ვიდრე ქრისტიანი თვისტომი — 24 წლის თეიმურაზი, ვის ხელთაც იქნებოდა ერთადერთი ცოლი და ერთადერთი დედოფალი.

დელა ვალეს არა სჯერა, რომ შაჰ-აბასს მართლაც მოეპოვებოდა ხორეშანის წერილები, ვითომდა მჭევრმეტყველი საბუთი მისი სიყვარულისა სეფიანთა ხელმწიფისადმი.

იტალიელი მოგზაური დაასკვნის, რომ შელახული თავმოყვარეობა შაჰისა წარმოადგენდა მხოლოდ საბაბს ომის გასაჩაღებლად. მან მოიფიქრა ყველაზე მზაკვრული რამ — ქრისტიანი მეფისგან ცოლის დათმობა მოეთხოვაო. დელა ვალეს აზრით, შაჰ-აბასი უთუოდ დარწმუნებული იყო, რომ თეიმურაზი არ შეასრულებდა შეუწყნარებელ მოთხოვნას, თუნდაც ამგვარი ურჩობა თავისი სამეფოსა თუ სიცოცხლის დაკარგვის ფასად დაჯდომოდა.

შარდენსაც ძალზე ეუცხოება შაჰ-აბასი გახლებული მიჯნურის როლში. ფრანგი ვაჭრის სიტყვით, შაჰი ამტკიცებდა, ქალსაც ვუყვარვარ, თავისი მეგობრის მეშვეობით წერილებს მიგზავნიდა და პირობა ჰქონდა მოცემულიო.

შემდეგ შარდენი მოგვითხრობს ყიზილბაშთა ლაშქრობას საქართველოზე და დასძენს: „ხელმწიფე ამ ომს უყურებდა, როგორც სამიჯნურო ინტრიგას“, ოლონდ იქვე შენიშნავს, რომ სიყვარულში გამარჯვებულ მეტოქესთან ანგარიშსწორება როდი იყო შაჰის ნამდვილი მიზანი, არამედ — საქართველოს დაპყრობა. თავის სამიჯნურო მარცხს საბაბად იყენებდაო.

საბაბი იყო ხორეშანი ანუ „ახალი ელენე“, ხოლო მიზეზი, ალბათ, სხვაგან უნდა ვეძოთ.

### ბოსფორს გაგზავნეს მაღიმსროლი

ისქანდერ მუნში გვაუწყებს, რომ 1613 წლის დამდეგს შაჰ-აბასმა ლუარსაბი და თეიმურაზი სანადიროდ მიიწვია მაზანდარანში (კასპიისპირა პროვინცია გახლავთ), მაგრამ მათ გააჭიანურეს სამზადისი და ამასობაში ნადირობის სეზონიც მიიწურა. ქართველი მეფეები თავაზიანად იბოდიშებდნენ წაუსვლელობას და შაჰს არწმუნებდნენ, მომავალში უეჭველად გესტუმრებითო.

სპარსელი ისტორიკოსი ორაზროვანდ შენიშნავს, არ სურდათ ყიზილბაშთა ხელში თავი ჩაეგდოთო.

რა უნდა ვიგულისხმოთ ამ სიტყვებში?

მანამდე სეფიანთა ხელმწიფესა და ქართველ მეფეებს შორის, ჭეშმარიტი თუ არა, მოჩვენებითი სიამტკიბილობა მაინც სუფევდა. 1610 წელს ლუარსაბი და თეიმურაზი სტუმრად იმყოფებოდნენ ისპაანში და შაჰ-აბასმა ისინი „მრავალგვარი ხელმწიფური წყალობითა და აღერსით დააჯილდოვა“. სხვათა შორის, ოსმალთაგან განთავისუფლებული თბილისი გადაეცა ქართლის მეფეს.

ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუკი ისქანდერ მუნშის თხზულებიდან დავიმონებდით ერთ პასაჟს, რომელიც წარმოადგენს პანეგირიკს ლუარსაბ მეფისა და ქართველების მისამართით:

„სხენებული ლუარსაბი კარგი შესახედავი, მშვენიერი სახის, მოხდენილი ყმანვილი იყო. ჩვიდმეტი წლისა იქნებოდა, შაჰს რომ ეახლა. ჭეშმარიტად, ქართველ ბატონიშვილთა უმრავლესობა, ის კი არა, იმ ქვეყნის მთელი ხალხი, მამაკაცები და ქალები, ჰავის სინაზის გამო, ნატიფ ღანვთა და ლოყათა სიტურფით და სინარნარით, ნაკვეთებისა და ხალხების შემკულობით, სხვა ადგილებისა და ქვეყნების ხალხებს სჯობია. ყველანი ჰურიას მსგავსნი და იოსებ მშვენიერის ღანვთა მქონენი არიან, მოსეს შუქმფენი ხელის სხივები გამოკრთის მათი სახიდან და ქრისტიანული სასწაული ცხადად ჩანს მათი ენატკბილობიდან და საამო ქცევიდან. თუმცა იმ ქვეყანაში ქრისტიანობა გავრცელებული და ეს ხალხი მოკლებულია ჭეშმარიტ სარწმუნოებას, მაგრამ თავისი სილამაზით, ჰავის სიკეთით და ადგილის უმნიკვლობით და აყვავებულობით მას ყველა სხვა ქვეყანასთან შედარებით უპირატესობა შეიძლება მი-

ენიჭოს. ვინც ნახა ეს მხარე, მათი მოწმობანი ადასტურებენ ამ ქვეყნის სიმშვენიერეს“.

სეფიანთა ხელმწიფე თითქოსდა ასეთსავე კეთილგანწყობას ამჟღავნებდა თეიმურაზ პირველის მიმართ.

ქართული წყაროების მიხედვით, როცა კახეთის მეფეს პირველი მეუღლე გარდაეცვალა, შაჰმა ისპაანში იხმო იგი. საუცხოო მასპინძლობა გაუწია სტუმარს, ანუგეგმებდა დ ბეჯითად ცდილობდა, რომ თეიმურაზის გულში გლოვა-მწუხარების ნაცვლად მხიარულებას დაუსადგურებინა. ნადიმებითა და ნადირობით უქარვებდა კაემანს.

შარდენის ცნობით, 1611 წელს შაჰ-აბასმა დასავლეთის ქრისტიან ხელმწიფეთა ასამხედრებლად ოსმალეთის წინააღმდეგ ერთი კათოლიკე მისიონერი გაგზავნა ევროპაში. დაავალა, გამგზავრებულიყო საქართველოს გზით, მოეხსენებინა თეიმურაზ მეფე და მისთვის ჩაეგონებინა, ოსმალებს არ შეუკავშირდებოდა, მხარი არ დაუჭიროო.

ერთი სიტყვით, თითქოს ყველაფერი რიგზე იყო...

მაშ რა მოხდა, რამ დაარღვია კეთილმეზობლობის იდილია?

როგორც ცნობილია, ირან-ოსმალეთს შორის 1612 წელს დადებული ზავით აღდგენილ იქნა 1555 წლის საზავო პირობები. ირანმა და ოსმალეთმა ისევ ორად გაიყვეს საქართველო. ქართლ-კახეთი ექვემდებარებოდა ირანს, დასავლეთ საქართველო და სამცხე — ოსმალეთს. მაგრამ ეს უკანასკნელი, რასაკვირველია, უკმაყოფილო დარჩებოდა, ვინაიდან 1590 წლის ზავით, რომელიც ათწლიან ომს მოჰყვა, აღმოსავლეთ საქართველოც ოსმალთა მფლობელობაში იყო მოქცეული.

ოსმალეთს ხელს არ აძლევდა სეფიანთა ირანის პოზიციების განმტკიცება აღმოსავლეთ საქართველოში. ოსმალეთი შეეგუა ქართლ-კახეთის დაკარგვას (სხვა რა გზა ჰქონდა!), მაგრამ იმას კი ვერ შეეგუებოდა, რომ ირანს საბოლოოდ დაეპყრო ისინი. „გურჯისტანის სახანოს“ ნაცვლად ოსმალეთისათვის გაცილებით ხელსაყრელი იქნებოდა მეზობლობა ფეოდალური საქართველოსი, რომელიც, თუკი სასარგებლოდ მიიჩნევდა, ეგებ ოსმალეთის მოკავშირე გამხდარიყო ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ორ მასშტაბიანურ ზღვას შუა მოქცეული ქრისტიანული კუნძული მეტ-ნაკლები წარმატებით ახერხებდა თავის გადარჩენას. ერთი აბოპოქრეული ზღვა რომ მოაწყდებოდა და ნალექებს უქადდა, მეორე ზღვას მიაპყრობდა თვალს და უკავშირდებოდა. მარჯვედ სარგებლობდა ორი მტრის ურთიერთდაპირისპირებით.

საქართველოში, რა თქმა უნდა, არც ოსმალეთი ეხატებოდათ გულზე და არც ირანი. ერთიც დამპყრობელი იყო და მეორეც. ერთსაც საქართველოს დამონება ენადა და მეორესაც. მაგრამ XVI საუკუნის დამლევს ოსმალეთი უფრო მძლავრობდა და ხელეწიფებოდა საქართველოს დაპყრობა, ხოლო ირანი ძალ-ღონეს იკრებდა და მისი აგრესია პერსპექტივაში თუ ისახებოდა.

საქართველოს ჯერ არ ეგემა შაჰ-აბასის კლანჭები. ოსმალთა ბატონობა უფრო მძიმე და ძნელად ასატანი ეჩვენებოდათ, ვიდრე ყიზილბაშებისა. ქართველი მეფეები „უმცირეს ბოროტებას“ ირჩევდნენ და ერთმანეთს შერკინებულნი ორი ვეშაპის ომში ხვალინდელ მტერს უჭერდნენ მხარს, ოღონდ კი დღევანდელი მტრისგან გადაეჩინათ თავი.

მაგრამ XVII საუკუნის დამდეგიდან ვითარება თანდათანობით იცვლება.

შაჰ-აბასის სამხედრო რეფორმებმა ახალი სული შთაბერეს ირანს. სეფიანთა ხელმწიფემ, ძირითადად, ტყვეობაში გამაჰმადიანებული ქართველებისგან შექმნა ლულამთა ცხენოსანი კორპუსი — ათი ათასი კაცის ოდენობით. მათი მეოხებით დათრგუნა ყიზილბაში ამირები. ყულარალას ალავერდიხან უნდილაძის დანიშვნამ ფარსის ბეგლარბეგად განამტკიცა ლულამთა სტატუსი. მათ შეავსეს სამოხელეო პოსტების მე-

ხუთედი. მათგანვე შედგებოდა შაჰის პირადი დაცვა (სამი ათასი კაცი).

ჯარის რეორგანიზაცია ტარდებოდა ინგლისელი რობერტ შერლის უშუალო მონაწილეობით. შეიქმნა კიდევ ერთი ახალი კორპუსი — თოფანგჩიებისა (მეთოფეთა) — თორმეტი ათასი კაცის ოდენობით. მერე — არტილერიის კორპუსი (ასევე თორმეტი ათასი კაცი) და შერლის მეთვალყურეობით ჩამოასხეს ხუთასი ქვემეხი.

შაჰ-აბასის რეფორმული არმია წარმატებას წარმატებაზე აღწევდა. ჯერ აღმოსავლეთში მოაგვარეს საქმე — ოზბეგთაგან გაათავისუფლეს მეშვენი და ჰერათი. 1603 წელს შეიჭრნენ აზერბაიჯანში, აიღეს ნახჭევანი და ერევანი. 1605 წელს თავრიზთან სასტიკად დაამარცხეს ოსმალნი, დაეპატრონენ განჯას და თბილისს.

შაჰ-აბასმა ოსმალები განდევნა კავკასიიდან.

თუკი აქამდე გამართლებული იყო ქართველთა მიერ შაჰ-აბასის მხარდაჭერა ოსმალთა ოკუპაციის აღსაკვეთად, ამიერიდან სამხედრო-პოლიტიკური აღმავლობის გზაზე დამდგარი სეფიანთა ირანი გაცილებით სახიფათო ჩანდა საქართველოსათვის, ვიდრე ომში დამარცხებული ოსმალეთი.

ქართლისა და კახეთის მეფეები თვალნათლივ ხედავდნენ ყიზილბაშთა დღითი დღე გაძლიერებასა და გამგელებულ მადას. ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ ოსმალეთისკენ შებრუნება განეზრახათ.

ევროპული წყაროები შუქსა ჰყვენენ აღძრულ საკითხს.

ერთი კათოლიკე მისიონერის რელაციამი აღნიშნულია, რომ ყიზილბაშთა ლაშქრობა საქართველოზე (1613 წ.) მოჰყვა ლუარსაბისა და თეიმურაზის დაუმორჩილებლობას. მისიონერის სიტყვით, ოსმალთა ელჩის ხრიკებმა გამოიწვია მათი მიწვევა სეფიანთა სამეფო კარზე. ქართველმა მეფეებმა თავი შეიკავეს ისპაანში ჩასვლისაგან და ამგვარი ურჩობა ჩაეთვალათ ამბოხებად სეფიანთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ტომას ჰერბერტი, მონაწილე ირანში ინგლისის ელჩობისა (1627 წ.), იმავე ლაშქრობის შესახებ თხრობისას გვამცნობს, რომ ისპაანში მყოფმა ოსმალთა ელჩმა შაჰ-აბასს ჩაუწერა ეჭვი, თითქოსდა თეიმურაზი ოსმალეთის ხონთქარს უფრო ემეგობრებოდა, ვიდრე სეფიანთა ხელმწიფეს. ასეთი ცბიერების შედეგად, თეიმურაზს სახელი შეეღამდა სეფიანთა სამეფო კარზე, რის გამოც აღარ ჩავიდა ისპაანს, როცა ხელმწიფემ მიიპატიჟაო.

ყველაზე დამაჯერებელი სურათი იხატება პიეტრო დელა ვალეს თხზულებაში. იტალიელი მოგზაურის ცნობით, ირან-ოსმალეთის ომის ბოლო ეტაპზე ამ ორი სახელმწიფოს ჯარები იდგნენ საქართველოს საზღვართან. საზავო მოლაპარაკება უკვე მიმდინარეობდა და, სხვა საკითხებთან ერთად, ქართლ-კახეთის საკითხიც წამოიჭრა. ეს ორი ქრისტიანული სამეფო რომელ მათგანს, ირანსა თუ ოსმალეთს უნდა დაქვემდებარებოდა?

შაჰ-აბასმა ოსმალთა ელჩს განუცხადა, რომ ლუარსაბი და თეიმურაზი ყოველთვის სეფიანთა ირანის ხელქვეითნი იყვნენ და ამის დასამტკიცებლად ნებისმიერ დროს შეუძლია იხმოს ისინი თავის სამხედრო ბანაკში. ოსმალთა ელჩმა მოითხოვა ნათქვამის დადასტურება საქმით. შაჰმა ქართლისა და კახეთის მეფეებს შეუთვალა, სასწრაფოდ ჩემთან გამოცხადდითო.

მაგრამ ლუარსაბმა და თეიმურაზმა დროის გაჭიანურება დაიწყეს, თავის გასამართლებლად სხვადასხვა საბაბს პოულობდნენ. შაჰ-აბასი სასტიკად განრისხდა მათი ურჩობის გამო. მან სცადა უთანხმოება დაეთესა ქართლისა და კახეთის მეფეებს შორის. კარგადაც გაისარჯა და კინალამ აამხედრა ისინი ერთიმეორეზე.

როგორც ვხედავთ, ზემოთ დამონებული სამივე წყაროში აქტიურ ფიგურად გამოიყურება ოსმალთა ელჩი, რომელიც თავისი ხრიკებით ამწვავებს ირან-საქართველოს ურთიერთობას, რაც ძალზე ხელსაყრელია ოსმალეთისათვის.

აღნიშნულ პრობლემას ეხება XVII საუკუნის გერმანელი მწერალი ანდრეას გრიფიუსიც თავის ტრაგედიაში „ქეთევან ქართველი“. მხატვრულ ნაწარმოებს, ცხადია, ვერ მივანიჭებთ საისტორიო წყაროს ტოლფარდ მნიშვნელობას, მაგრამ ქართველ თუ უცხოელ მეცნიერთა კვლევა-ძიების შედეგად აშკარა გახდა, რომ გრიფიუსის ქმნილება დაფუძნებულია სანდო ავტორთა ცნობებზე.

ტრაგედიის მესამე მოქმედებაში ქეთევან დედოფალი რუსეთის ელჩს უამბობს, თუ რომელი მოვლენები უძღოდა წინ შაჰ-აბასის შემოსევას საქართველოში. მოთხრობილია სეფიანთა ხელმწიფის მეოხებით ქიშპის წარმოქმნა ქართლისა და კახეთის მეფეებს შორის; მაგრამ ვერაგული ჩანაფიქრი მიზანს ვერ აღწევს — ლუარსაბი და თეიმურაზი მორიგდებიან, მერე კი გადაწყვეტენ, რომ ზურგი შეაქციონ ისპაანს და სტამბოლისაკენ იბრუნონ პირი.

ქეთევან დედოფალი ამბობს: „ბოსფორს გაგზავნეს მალემსრბოლი, შეკრეს კავშირი, მუხანათ ვეფხვთან — ფიცის გამტეხ შაჰთან დაშლილი...“

დედოფლის სიტყვით, ოსმალთა ელჩი შაჰ-აბასს ამცნობს, რომ ოსმალეთს თავისი მფარველობის ქვეშ აპყავს საქართველო. სეფიანთა ხელმწიფე თითქოსდა დაჰყავებულდება, ოღონდ მოითხოვს ქართლისა და კახეთის მეფეების გამოცხადებას ისპაანში.

ქეთევან დედოფალი განაგრძობს: „ჩვენ ვუპასუხეთ, რომ ისპაანს ბევრი ვიარეთ! შაჰს რა ხელი აქვს, როცა ოსმანს შევეზიარეთ! აღარც ჯარი გვსურს ვაახლოთ და არც ვინმე კაცი“.

ამის შემდეგ აღწერილია შაჰ-აბასის განრისხება და საქართველოზე ლაშქრობის სამზადისი.

გრიფიუსის ტრაგედიის ძირითად წყაროს წარმოადგენს XVII საუკუნის ფრანგი ისტორიკოსის კლოდ მალენგრის კრებული „ჩვენი დროის ტრაგიკული ისტორიები“, გამოქვეყნებული პარიზში 1635 წელს, სადაც, დასავლეთ ევროპაში გახმაურებულ ამბებთან ერთად, მოთხრობილია ქეთევან დედოფლის ცხოვრებისა და მონამებრივი აღსასრულის ამბავი (აღბნა, კათოლიკე მისიონერთა რელაციების მიხედვით).

ფრანგი ავტორი გადმოგვცემს შაჰ-აბასის ინტრიგებს, ლუარსაბისა და თეიმურაზის მორიგებას და მათ გადაწყვეტილებას ოსმალეთთან ახლო კავშირის შეკერის თაობაზე.

მალენგრის სიტყვით, შაჰ-აბასს ქართველების მიერ გადადგმულ ამ ნაბიჯზე არაფერი გაუგია, ვიდრე ოსმალეთის ხონთქარმა, მის გასამახსრებლად, ელჩის პირით არ შეუთვალა: ერთი გვაუნწყე, ლუარსაბი და თეიმურაზი თქვენ გემორჩილებიან თუ ჩვენაო? შაჰს ეჭვიც არ ეპარებოდა ქართლისა და კახეთის მეფეთა მორჩილებაში; ოსმალთა ელჩს შესთავაზა, ცოტა ხნით დაყოვნდი, სანამ ქართველი მეფეები, ჩემი ბრძანების თანახმად, თავიანთი ჯარით არ მეახლებიანო.

მაგრამ ლუარსაბმა და თეიმურაზმა არაფრად ჩააგდეს შაჰ-აბასის ბრძანება და ამით უზომოდ დაამცირეს ოსმალთა თვალში.

გადაწყდა ლაშქრობა საქართველოზე.

მხოლოდ გრიფიუსის ტრაგედიაში მოთხრობილი ამბავი რომ გვეტონდეს ხელთ, რა თქმა უნდა, გაუმართლებელი იქნებოდა — უტყუარ ფაქტად გამოგვეცხადებინა დედოფლის ნაამბობი, მაგრამ როდესაც მოგვეპოვება ზემოთ დასახელებულ ავტორთა ცნობები, სადაც მითითებულია ოსმალთა ელჩის გარკვეული წვლილი ირან-საქართველოს შორის წარმოქმნილ კონფლიქტში, გრიფიუსის თხრობა კიდევ უფრო დამაჯერებელი ხდება, მით უმეტეს, რომ გერმანელი მწერლის ტრაგედიაში აღწერილი სხვა მოვლენები გამოირჩევა თვალსაჩინო მსგავსებით საქართველოს ისტორიულ სინამდვილესთან.

მამ როგორაო? ბოსფორს გაგზავნეს მალემსრბოლი, შეკრეს კავშირი...

კიდევ ერთი საყურადღებო გარემოება მეტყველებს იმ ვარაუდის სასარგებლოდ, რომ ქართლისა და კახეთის მეფეებს ჯერ კიდევ შაჰ-აბასის შემოსევამდე დაუნყიათ მოლაპარაკება ოსმალეთთან.

საქმე ისაა, რომ 1612 წელს ირანში გადაიხვეწა გიორგი სააკაძე, რომელიც მოსისხლე მტრად გადაეკიდა ლუარსაბ მეფეს, რადგანაც მან სასიკვდილოდ განწირა თავისი ერთგული ქვეშევრდომი.

გიორგი სააკაძესთან ერთად მისი სიმამრი — ნუგზარ არაგვის ერისთავიც ეახლა შაჰს.

აღშოთებულმა ლუარსაბმა და თეიმურაზმა ჯავრი იმით იყარეს, რომ არაგვის საერისთაო დაარბიეს.

XVII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე მოგვითხრობს: „ეს ანბავი ყანმან იწყინა და ზოგნი კახეთის საპატიოს კაცის შვილები ყანის კარზედ იყვნენ ბატონის თეიმურაზისაგან მოჩივარნი და ისინიც მოურავს გაუერთდენ“.

ბართლომეო ფერო აღნიშნავს, რომ ისპაანში გახიზნულმა ქართველმა დიდებულებმა კიდევ უფრო ააბრიალეს შაჰის გულში დანთებული ცეცხლი. სეფიანთა ხელმწიფეს მოახსენეს, თეიმურაზ მეფემ თავის ქვეშევრდომთა სიყვარული და მხარდაჭერა დაკარგა, ტირანის გასაძევებლად თქვენს დახმარებას მოუთმენლად ელოდებიანო. თავინთ ერთგულ სამსახურს სთავაზობდნენ და მოუწოდებდნენ, შური ეძია ლუარსაბსა და თეიმურაზზე.

ნუგზარ ერისთავისა და გიორგი სააკაძის ჩასვლა სეფიანთა სამეფო კარზე, რასაკვირველია, დიდად გაახარებდა შაჰ-აბასს, ვინაიდან ესოდენ გავლენიანი ქართველი ფეოდალების მიმხრობა საუკეთესო გზა იქნებოდა ლუარსაბისა და თეიმურაზის მოსარჯულებლად.

ამგვარად: სეფიანთა ხელმწიფესთან თავი მოიყარეს ქართლისა და კახეთის მეფეებისადმი მტრულად განწყობილმა ქართველმა ფეოდალებმა.

ისპაანში შექმნილი ქართული ოპოზიცია სერიოზულ ძალას წარმოადგენდა და, თავისდაუნებურად, ქართველ მეფეებს კარნახობდა საგარეო პოლიტიკური კურსის გადასინჯვას.

მაშასადამე, ძალზე ბუნებრივი და გასაგები უნდა იყოს მათი ორიენტაციის შეცვლა და მოახლოებული საფრთხის წინაშე ოსმალეთთან დაკავშირების ცდები, რამაც ბიძგი მისცა ყიზილბაშთა შემოსევას საქართველოში.

სპარსელი ისტორიკოსის სიტყვით, შაჰ-აბასმა დაასკვნა, რომ ლუარსაბი და თეიმურაზი „უეიცობისა და სიამაყის ცხენზე შემჯდარან, ბედის სილის გარტყმა ჯერ არ უგემიათ, უბედურების მასწავლებელს მათთვის დარიგების მომსმენი ყური დასჯის ხელით არ აუნწევა ჭკუის სასწავლად“.

შაჰმა გადაწყვიტა, რომ ქართლისა და კახეთის მეფეთა დასატუქსად საქართველოსაკენ დაძრულიყო. ჯერ ყარაბაღში შეჩერდებოდა, თუკი ლუარსაბი და თეიმურაზი ეახლებოდნენ და პატიებას შეევედრებოდნენ, გულმონყალედ შეიწყალებდა. მაგრამ თუკი გაჯიუტდებოდნენ და არ ეახლებოდნენ, საკადრის სასჯელს მიუზღავდა.

1613 წლის 16 ოქტომბერს ყიზილბაშთა ლაშქარი ისპაანიდან საქართველოსაკენ გამოემართა.

სეფიანთა ირანის ძლევამოსილმა მბრძანებელმა ჯერ არ იცოდა, რომ თითქმის თორმეტი წელიწადი გაგრძელდებოდა ომი თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხის დასაჩოქებლად და არანაკლებ სისხლისმღვრელი გამოდგებოდა, ვიდრე ლეგენდარული ტროას ომი. მაგრამ მიუხედავად დიდი მსხვერპლისა, სახელგანთქმული ხელმწიფე სეფიანთა იმპერიისა ვერც მშვენიერ ხორშმანს დაეპატრონებოდა და ვერც საქართველოს დაიმორჩილებდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ტრისტან მახაური

# ბაიათი და ქართული შაირი

სამი წლის წინათ (2010) თბილისში გამომცემლობა „უნივერსალმა“ დაბეჭდა ორენოვანი წიგნი „ათას ერთი აზერბაიჯანული ბაიათი“. ბაიათების ქართული თარგმანი ეკუთვნის ცნობილ მთარგმნელსა და პოეტს ზეზუა მედულაშვილს. ამ წიგნის გაცნობამ და ქართულ შაირებზე დაკვირვებამ გადამანწყვეტინა დამენერა ეს წერილი.

ბაიათი აზერბაიჯანული ხალხური ლექსია, რომელსაც მყარი სალექსო ფორმა გააჩნია; ის წარმოადგენს ოთხსტრიქონიან, შვიდმარცვლიან ლექსს, სადაც პირველი, მეორე და მეოთხე სტრიქონებია გართიმული. ბაიათში ყველა ტაეპი აზრობრივად ერთმანეთთან არაა დაკავშირებული. პირველი ორი სტრიქონი წარმოადგენს ერთგვარ სართიმო საყრდენს და მუსიკალურ ფონს მომდევნო ორი სტრიქონისათვის, მთავარი სათქმელი კი მესამე და მეოთხე სტრიქონებით გადმოიცემა.

ბაიათს გაბატონებული ადგილი უკავია აზერბაიჯანულ ხალხურ პოეზიაში და თემატიკური მრავალფეროვნებით გამოირჩევა: „მთელი ცხოვრება აზერბაიჯანელისა — დაბადებიდან სიკვდილამდე — ბაიათის თანხლებით მიედინება — დანყებული აკვნის სიმღერებიდან და დამთავრებული დატირებებით“ (კაფაროვი 1968: 8-9).

ქართულ ხალხურ პოეზიაში გაბატონებული სახეა შაირი და მისი მეტრულ-რიტმული წყობა ძალიან განსხვავდება ბაიათისაგან. ქართული ხალხური შაირი რვა მარცვლიანი ლექსია, თუმცა არსებობს მისი გაორმაგებული სახეც — თექვსმეტმარცვლიანი შაირი. რიტმული წყობით შაირი ორი სახისაა: მაღალი და დაბალი.

შაირის ფორმით გადმოიცემა ლირიკული და ეპიკური ნაწარმოებები, ბაიათი კი მხოლოდ ლირიკული ლექსია, თანაც ძალზე მოკლე და ლაკონიური: „სულ ოთხი სტრიქონისაგან და ყოველ სტრიქონში შვიდი მარცვლისაგან შემდგარი ბაიათები ერთი მოზრდილი ნაწარმოების შინაარსს იტევს“, — აღნიშნავს ნამიგ ალიევი ბაიათების ქართულ-აზერბაიჯანული გამოცემის წინასიტყვაობაში.

როგორც იტყვა, ბაიათს მყარი და მოქნილი სალექსო ფორმა აქვს. „ბაიათის თავისებურებათაგან ისიცაა აღსანიშნავი, რომ იგი სამწერლობო ენის ნორმებს არ მიჰყვება. სიტყვები როგორც ისმინება, ისევე წარმოითქმის“ (ნამიგ ალიევი).

ბაიათი ორგვარია: ხალხური და ლიტერატურული. ხალხური ბაიათისათვის დამახასიათებელია ფორმის სიმყარე, სტაბილურობა, ლიტერატურული ბაიათი კი მეტ თავისუფლებას იჩენს როგორც ფორმის, ისე შინაარსის მხრივ. პროფესორი ნამიგ ალიევი ხალხური ბაიათის კიდევ ერთ თავისებურებაზე ამახვილებს ყურადღებას, რომელიც ზოგადად ძველი ფოლკლორული ტექსტებისთვის არის დამახასიათებელი: „სამწერლობო ბაიათებში ავტორი ზოგჯერ თავის ფსევდონიმსაც ამხელს, ხოლო ზეპირსიტყვიერ ბაიათში ასეთი ტრადიცია არ არსებობს“. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ მოკლე ქართულ ხალხურ შაირებშიც არსად არაა ნახსენები ავტორის ვინაობა.

აზერბაიჯანული ხალხური ბაიათი შემდეგი სქემითაა გართიმული — აბაა:

სადაც გოგმანებ **ნარნარი**,  
ჩემი გონებაც **მანდ არი**.  
როცა ჩემ სახლში მოდიხარ,  
ზაფხულად მიჩანს **ზამთარი**.

რითმა ქართულ ხალხურ შაირში ორგვარია: ინტერვალური და მოსაზღვრე. რვა მარცვლიანი ლირიკული და ეპიკური ნაწარმოებები ინტერვალური რითმითაა განწყობილი, ხოლო თექვსმეტმარცვლიანი შაირში მოსაზღვრე რითმა გვხვდება. მოსაზღვრე რითმაზეა აგებული აგრეთვე ორსტრიქონიანი რვა მარცვლიანი ლექსები. ასეთი დიდი განსხვავების მიუხედავად, ქართულ ხალხურ პოეზიაში მოიძებნება ისეთი სახის შაირები, რომლებიც ერთი შეხედვით ბაიათებს ჰგვანან. მაგალითად:

ეგრე იარე, **ღარიბო**,  
კარი არავინ **გაგილო**.  
ვისაც კარებზე მიაღექ,  
ყველამ მასხარად **აგილო (ქხვ VIII)**.

გამონაკლისის სახით გვხვდება ამგვარივე ფორმის შვიდმარცვლიანი ლექსებიც:

დედამთილო **დედაო**,  
შენ აგიტყდეს **ბნედაო**,  
შენს შვილს რატომ მიეცი  
ჩემი ცემის **ნებაო** (საკუთარი მასალებიდან).

ბაიათის ფორმისაა ბატონებისადმი მიძღვნილი ლექსი, თუმცა მასში დარღვეულია მეტრული თანაბარზომიერება:

სახლი დავდგი **ვერხვისა (7)**,  
საძირკველი **ვერცხლისა(7)**,  
შიგ ბატონები მესტუმრა (8),  
ბედნიერი **ფეხისა (7)** (ქხვ VIII).

აქ პირველი, მეორე და მეოთხე (გართიმული) სტრიქონები შვიდ-შვიდ მარცვალს იტევს, მესამე (გაურითმავი) სტრიქონი კი რვა მარცვლიანია.

ყურადღებას იქცევს გაბაასების ჟანრის ერთი ორსტროფიანი ლექსი, სადაც თითოეული სტროფი არათანაბარზომიერი მეტრული წყობის ნიმუშს წარმოადგენს:

— ვაი, ჩემო **ქისაო (7)**,  
ფერად **ნარიჯისაო (7)**,  
შიგან ნადებო სიმდიდრე (8),  
ფასო **ხმელეთისაო (7)**.

— სიძევ, **შენი ქისა (6)**  
ბუშტი არი **თხისა (6)**,  
შიგ ნადები საქონელი (8) —  
კვინი **მარილისა**“ (6) (ქხვ VIII)...

მოტანილ ლექსში თითოეული სტროფი გართიმვის წესით ბაიათს (ან რობაიას) მოგვავიწყებს, მაგრამ პირველ სტროფში პირველი, მეორე და მეოთხე სტრიქონები შვიდმარცვლიანია, მესამე (ურითმო) სტრიქონი კი — რვა მარცვლიანი. ასეთი წყობისა იყო ზემოთ უკვე დამონშეული ბატონების ლექსი (“სახლი დავდგი ვერხვისა”). რაც შეეხება გაბაასების მეორე სტროფს (“სიძევ, შენი ქისა”), ამ შემთხვევაში პირველი, მეორე და მეოთხე სტრიქონები ექვსმარცვლიანი სალექსო საზომით არის განწყობილი, ხოლო მესამე (ურითმო) სტრიქონი — რვა მარცვლიანია.

ექვსმარცვლიანი საზომით არის აგებული ბაიათს მიმსგავსებული ერთი ლექსი, სადაც მესამე (ურითმო) სტრიქონი კვლავ ჯიუტობას იჩენს და რვა მარცვლიანი საზომით გვევლინება.

ხეობელი **კაცი**  
კარებს უკან **დავსვი**,  
სიმინდის ფაფა ვაჭამე,  
წყალი აღარ **ვასვი** (ქხვ VIII).

ანალოგიური ფორმისა და რიტმული წყობისაა შემდეგი ერთსტროფიანი ლექსი:

ჩვენი სოფლის ღვინო  
ქორნილი აქ ღვინო,  
ციცამ ყველი შეუჭამა,  
პატარძალსა სცემსა (ქსპ VII).

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი სახის ლექსები მხოლოდ გარეგნულ მსგავსებას ამჟღავნებენ და ბაიათისადმი წაყენებულ ყველა მოთხოვნისთვის ვერ აკმაყოფილებენ.

რაც შეეხება გართიმის სტილს, ის ქართულ ლექსში სპარსული რობაიას გავლენით უნდა ჩამოყალიბებულიყო. აზერბაიჯანული ხალხური ბაიათი მხოლოდ ერთსტროფიანი ლექსია, რობაია კი შეიძლება იყოს ერთსტროფიანიც და უფრო მეტიც, ხოლო რაც შეეხება ქართულ ხალხურ შაირს, მისთვის სტროფულობა არაა დამახასიათებელი. ქართულ ხალხურ პოეზიაში არის მთელი რიგი რვაშტროფიანი ლექსებისა, სადაც მხოლოდ დასაწყისი ოთხი სტრიქონია რობაიასა და ბაიათის მსგავსად გართიმული, ხოლო მომდევნო სტრიქონებში ჩვეულებრივი ინტერვალიანი რითმა გვაქვს. მაგალითად:

იდუმლის კოშკო მალალო,  
სასეიროზე დგახარო,  
ქვეშ ქალნი მოგისხდებიან,  
შენ, ჩრდილო, სითკენ წახვალო.  
— როგორ ვერ ხედავ, ყმაწვილო,  
ულვაშაშლილო, ახალო,  
მე ისე ვბრუნავ, როგორც შენ  
ამ წუთისოფელს დახვალო (ქსპ VII).

ეს ლექსი პირდაპირ დიალოგიური ფორმისა არაა, მაგრამ მასში შინაგანი დიალოგი მაინც იგულისხმება. ლექსის ანონიმი ავტორი პოეტური მზერის ობიექტს (“იდუმლის კოშკს” ანუ ბედისწერის მეტაფორულ ხატს) მიმართავს და მის მაგიერ თვითონვე იძლევა პასუხს. მაშასადამე, პირველი ოთხი სტრიქონი აბა სქემით ირითმება, ხოლო დანარჩენი ოთხი სტრიქონი ქართული ხალხური ლექსისთვის ჩვეული ტრადიციული ინტერვალიანი რითმით გრძელდება. პოეტური ფორმის მხრივ ამგვარსავე სურათს ქმნის ექვსსტრიქონიანი ლექსი, სადაც პირველი ოთხი სტრიქონი რობაიას სტილითაა გართიმული, ხოლო მომდევნო ორი ხაზი ერთი სტრიქონის გამოტოვებით ერთმდება მას.

დავიბადე ცოდვისათვის,  
განა სათქმელად ღვთისათვის.  
რიღასთვის ვინვით, ვიდაგვით  
ამ ოხერ შავი დღისათვის?  
გადავბრუნდებით, მოვკვდებით,  
დავრჩებით ეშმაკისათვის (ქსპ VII).

როგორც ვხედავთ, სათქმელი ერთსტროფიანი ლექსში ვერ თავსდება და თავისუფალი ქართული ხალხური შაირის ბუნებრივი მდინარეობა ადვილად არღვევს რობაიას სარიტმო არტახებს. ამ შემთხვევაში სათქმელი ინვესს თავიდან აღებული პოეტური ფორმის რღვევას, მის გაქართულებას. მოვიტანოთ კიდევ ერთი ექვსსტრიქონიანი ლექსი:

მუხრანბატონის ყმობითა  
ფქვილი ვერ დავდგი გოდრითა,  
ვერც ლურჯი ჩოხა ჩავიცვი,  
ვერც ახალუხი ქობითა,  
ვერც დეკეული გავზარდე,  
ვერც კალო ვლენე მოზერითა (ქსპ VII).

თავიდან შემუშავებული რითმათა წყობის თავისუფალი რღვევა დამახასიათებელია რვასტრიქონიან („მოჯამაგირის ბედი“, „მთვარეო, მთვარის ნალო“) და უფრო ვრცელ ლექსებშიც („წუთისოფელი რა არი“ და ა.შ.).

ნამივ ალიევი აღნიშნავს, რომ ბაიათების „უმრავლესობა შინაარსობრივად მწუხარების, სევდის ამსახველია“. სწორედ ეს სევდის მოტივი ანათესავებს შინაარსობრივი თვალსაზრისით ბაიათსა და ქართულ ხალხურ შაირს. ყურადღება მივაქციოთ ქართულ საყოფაცხოვრებო შაირებსა და აზერბაიჯანულ ბაიათებს, რომლებშიც საწყალი კაცის დუხჭირი ცხოვრებაა გადმოცემული.

**ბაიათი:**  
საწყლის საქმე რაღა მე ვთქვა,  
თუ რამდენჯერ ბედმა თეთქვა, —  
ის რო წვიმას ელოდება,  
ციდან მოუცვივა სეტყვა (ბაიათი 2010).

**ქართული შაირი:**  
ვაი, საწყლის წერასაო,  
თავი უგავს ძერასაო,  
დიდი გულის მეგობარი  
ორგული ჰყავს ყველასაო (ქსპ VII)!

აქ მსგავსება თემატურაც არის და ფორმისმიერიც, განსხვავება კი მხოლოდ ისაა, რომ ბაიათი ორიგინალში შვიდმარცვლიანი ლექსს წარმოადგენს, ხოლო თარგმანში ის რვაშტროფიანი საზომით არის გადმოტანილი, „რაც ქართული ხალხური შაირებისთვისაა დამახასიათებელი და ქართულ ყურს ინტონაციურად უფრო ესადაგება“ (ზეზვა მედულაშვილი).

ზეზვა მედულაშვილმა, ამ „ტოლუპოვარმა მთარგმნელმა“ (ასე უწოდებენ მას აზერბაიჯანელი ლიტერატორები), ბაიათების მხოლოდ მცირე ნაწილი თარგმნა შვიდმარცვლიანი საზომით. მისი ეს გადაწყვეტილება სწორია, რადგან ჩვენი წერილის დასაწყისში განხილულ ბაიათს მიმსგავსებულ ქართულ შაირებში ჩვენც დავინახეთ, რომ ქართული ხალხური ლექსი მაინცდამაინც ვერ თავსდება შვიდმარცვლიან საზომში.

გარეგნული ფორმითა და შინაგანი განწყობილებებით მსგავსი ბაიათებისა და შაირების დაძებნა კიდევ შეიძლება, მაგრამ საილუსტრაციოდ ორ ნიმუშსა და დავიმომბეთ.

**ბაიათი:**  
რა გირჩიო, რა ვიცი მე,  
ურვა-ჭმუნვა აიცილე,  
ქვეყნის დარდიც გალონებდეს,  
მტერთან მაინც გაიცინე (ბაიათი 2019).

**ქართული შაირი:**  
მაშინ მოგიკვდე, შენ, ჯავრო,  
თუ შენ გიგლოვო, გიჯავრო,  
შვიდი წლის სამგლოვიარო,  
სამ დღეს ვერ გადაგიჯავრო (ქსპ VII).

როგორც ვხედავთ, ქართულ ხალხურ პოეზიაშიც საკმაოდ მოიპოვება ბაიათის მსგავსი ლირიკული ლექსები, მაგრამ მათ არამც და არამც არ შეიძლება ვუნოვოთ ბაიათი, რადგანაც ისინი ბაიათისადმი წაყენებულ ყველა მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებენ. ამის მიუხედავად, ქართულ მწერლობასა და ზეპირ მეტყველებაში მაინც გაჩნდა შესიტყვება „ქართული ბაიათი“. რომანში „ბელადი“ კონსტანტინე გამსახურდია აღწერს გორის ერთ დუქანში გამართულ ქეიფს და, სხვათაშორის, ასეთ სურათს ვეთავაზობს: „სამი პიჯაკიანი, ერთიც რკინისგზული ირანულად ყაიდაზე მღეროდნენ ქართულ ბაიათს. ეს იყო სრული კაკაფონია. არც ერთ მათგანს სმენა არა ჰქონდა, უმწეოდ იჭაჭებოდნენ და ხაოდნენ“ (გამსახურდია 1939: 152). ამავე რომანში მწერალი კვლავ ახსენებს ბაიათს: „იჯდა თავკიდურის უზარმაზარ ლოდზე ბებერი მეზურნე. გაჰკვივოდა ბაიათს:

ეს ქვეყანა ჩალად არა ჰღირს,  
ეს ქვეყანა ერთ ლამაზ ქალად არა ჰღიიირს.

მოტანილი ლექსის მიხედვით ცხადი ხდება, რომ „ბაიათში“ მწერალი გულისხმობს არა ბაიათის ტიპის ლექსს მისი კლასიკური გაგებით, არამედ ბაიათის მონოტონურ, სასიმღერო ჰანგს.

ეკა ბუჯიაშვილი

# იველი პოეტის ქვეყანაში

...და უცებ ქვიშად ჩაიშლება  
ათასი წელი გაშლილ თითებში.

მანამდე კი... ქვიშაიან ნაპირებს მოადგება ნავი „როგორც ტალღები თოლიებად ქცეულ გულელებში“.

მძიმე ბადეში გამოხვეული ვერცხლის თევზები უკვე ნაპირზე აფართხალდებიან და ქარში გაშლილი იალქნები კიდევ ერთხელ დაგაფიქრებენ ამ ერთ დღეზეც და მომავალ ათას წელზეც —

ქვიშაზე შემშრალი იმედების,  
მოლოდინის,

რწმენისა თუ იმედგაცრუებების, სიხარულისა და ცრემლის, ძიებათა და აღმოჩენათა ათას წელზეც... პატარა ნავის კიდევ ერთხელ დაბრუნებამდე...

ეს **ინგა მილორავას** განცხადებაა.

მისი პოეზიაა, „ფიქრის მარცვლებად“ აკინძული, გამოცემლობა „მერიდიანმა“ რომ გამოცემა და სულ ახლახან წარდგინებაც გაიმართა ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ლიტერატურულ სალონში.

— ინგა მილორავა — შესანიშნავი შემოქმედი, მოაზროვნე, ლიტერატორი, მრავალმხრივი ხელოვანი, ვინც თავისი საქმიანობის ყველა დარგში ახერხებს, იყოს თანაბარი, სტაბილური და სტაბილურად კარგი, — ასე წარუდგინა **ინგა ამირხანაშვილმა** იგი შეკრებილ საზოგადოებას და აღნიშნა, რომ როდესაც ამ რამდენიმე ხნის წინათ „ლიტერატურულ პალიტრაში“ დაიბეჭდა მისი რომანი, გაცოცხლებული დარჩა:

— ქართულ ლიტერატურაში არც მახსენდება ისეთი თანმიმდევრული მეტაფიზიკა, როგორც ამ თხზულებაშია და ეს გარკვეულწილად მის ფრანგულ ფესვებსაც დაუკავშირე.

შემოქმედი, რომელიც წერს პროზას, რომანს, მოთხრობას, ნოველას, ზღაპარს და თანაც ხატავს, არ შეიძლება პოეტი არ იყოს.

კითხულობ ზოგჯერ პოეტურ სტრიქონებს, ლექსია, მაგრამ პოეზია არ არის; ხან კი პირიქითაც ხდება. დღეს, ინგა მილორავას შემოქმედებაზე საუბრისას, სწორედ იმაზე ვიმსჯელებთ, თუ რა არის ლექსი, როგორ იბადება იგი კულტურული, ნიჭიერი და ღრმად მოაზროვნე ლიტერატორის არსში, როგორ იქცევა ის ლიტერატურის ნაწილად, ლიტერატორი კი — პოეტად, — თქვა ბატონმა ინგამ და სიტყვა გადაულოცა **ნანა კუციას**, ვინც ვრცელი და საინტერესო მოხსენებით წარდგა შეკრებილთა წინაშე.

\*\*\*

*თიხის დოქებში შევავროვებ სიჩუმეს, ლამეს,  
ვარსკვლავებს, ჰაერს, მთვარის ნატეხებს,  
აბლაბუდას ფრთხილ ნაფხურებს, წკრიალა ნამებს,  
მარტოობისგან შეშინებულ იისფერ ჩრდილებს  
და ვინც ისურვებს, უშურველად გაუწიანაწილდ.*

წიგნის გარე ყდაზე საუბრით დაიწყო თავისი მოხსენება ინგა მილორავას კრებულის შესახებ **ნანა კუციამ** და აღნიშნა, რომ ვიზუალური აბრისი შეამზადებს მკითხველს წიგნის შიდა, საკრალური სივრცისათვის, სადაც ცრემლის გარდა, სხვაც ბევრი რამაა „ნაგუბარი“...

— ეს წუთისოფლის სახსოვარი, — დასძენს, — ტკბილმწარე მოგონებანი (ითაკის კვამლისა არ იყოს). მთავარ სახსოვარს — ზესთასოფლის მოსაგონარს და ამო სოფლის გან-

მწმენდს — ცრემლს — არა მხოლოდ ლექსებში ჩაღვრის, ყდაზეც გაიტანს პოეტი-მხატვარი — ცრემლს, სულიწმინდის მადლს, თან — უბრალო, წყალწყალა კი არა, სისხლის ცრემლს — აკი ნიგნთა მრწამსითაც „სული სისხლშია“ და კალამი — „ნაღველსა ამონანები“.

— თვითმკარი, დახვეწილი წიგნი „ფიქრის მარცვლები“ პოსტმოდერნიზმის (თუ პოსტპოსტმოდერნიზმის) ეპოქაშია თხზული ინტელექტუალური პოეტის მიერ...

იმპრესიონისტული რაციონალიზმი თუ რაციონალი(ისტ)ური იმპრესიონიზმი — პირობითად ასე განვსაზღვრავდით ჟანრს ამ შთამბეჭდავი პოეტური ნარატივებისა და აქვე შევნიშნავდით, რომ ყოველგვარი მცდელობა ნებისმიერი ღირებული ტექსტის ჟანრის განსაზღვრისა პირობითია, რადგან „მისი უდიდებულესობა ლიტერატურული ტექსტი“ კონტექსტითა და ქვეტექსტით ყოველთვის აღემატება ლიტერატურათმცოდნეობით კლიშეებსა და დეფინიციებს.

დეფინიცია „პოეტური ნარატივიც“ იქნებ ოქსიმორონად ჟღერდეს, მაგრამ, ვფიქრობთ, ეთანადება ინგა მილორავას პოეზიას — ესაა არა მხოლოდ ლექსი-შთამბეჭდილება, არამედ უპირველესად ლექსი-ამბავი, ლექსი-ისტორია, იმპრესიონისტული ხილვისა და რაციონალური განსჯის მაღალი ეკლექტიკა. ხილვა და განსჯა, ანუ ინტუიტიურ-რაციონალური, დახვეწილი ავტორის შემოქმედებითი ნებით წონასწორდება. პოეტურ ნარატივებში ერთურთს ოსტატურად ეღვრება წიგნისმიერი ალუზია-რემინისცენციები და პირადი შთაბეჭდილება-ნი „მაღალთა და მაღლად-მხედთა“ ნაფიქრი და პერსონალურად განცდილი.

ვერლიბრი თუ ვერბლანი, თავისუფალი თუ თეთრი ლექსი ის ფაქტურაა, ლექსთა მხატვრულ ქსოვილად რომ აურჩევია ინგა მილორავას (თუმც ალაგ-ალაგ „ქსოვილში“ ტრადიციული რითმაც გაიკაფებს).

ტაქტი და დახვეწილობა, გრძნობის დაურევება, ალისა და ყინულის იდუმალი ჯუფთობა აჯერებს ტექსტებს.

მხატვრული ქსოვილის საანალიზოდ დანაკუნება ფაქტობრივად შეუძლებელი ხდება, იმდენად მონოლითური და თვითკმარია კრებულის ყოველი ლექსი-ამბავი, იმავდროულად აკავარებელი ნახატ მჭვირვალ ტილოთა შთაბეჭდილებასაც რომ ტოვებს, — აღნიშნავს ქალბატონი ნანა და ანალიზისათვის მაინც წარმოგვიდგენს ცალკეულ ნიმუშებს, რომელთა ნაკითხვაც უამრავ ინტერტექსტუალურ მოგონებას წამოშლის, მკვლევართათვის კი „მადლიანი და ვრცელი მასალაა ეს დახვეწილი პოეტური ვიზიონები“.

მომხსენებელი ასევე ისაუბრებს ინგა მილორავას, როგორც ხელოვანის მრავალმხრივობაზე — მის ნატივ აკვარელებზე, მისსავე წიგნებს რომ ერთვის და თვითკმარი ტილოებზე, განსხვავებულობით დატვიფრული, ქალბატონი ნანას რუსუდან ფეტვიანის ფერწერასაც რომ მოაგონებს.

— ყოველი ინტერტექსტუალური პასაჟი „ქართულ მოტივს“ ესაძირკვლება „ფიქრის მარცვლებში“.

როგორც ყოველი „საღმრთო საღმრთოდ გასაგონი“ მაღალი სიტყვა, ინგა მილორავას მხატვრული სიტყვაც მედიტაციური, პარადიგმული პოეზიაა, ყოფითის უნაზესი აწრდილებისა თუ სილუეტების მოხელთებით მარადიულ-ტრანსცენდენტურზე დამაფიქრებელ-„მიმნიშნებელი“, წიგნი, რომლის ნაკითხვის შემდეგაც სამყარო ხდება უფრო დარდინი, მაგრამ უფრო ფერადიც, უფრო სულიერიც, მკითხველი კი მეშირიადედ რწმუნდება ქრესტომათიულ სიტყვათა ჭეშმარიტებაში — რომ ღმერთმა „ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერთა“, ოღონდ კი თვალნი „განემარტოთ“, „განვიცადოთ შრომანი ველისანი“ და მშვიდად, სიყვარულით, მადლიერებით ჩამოვმარცვლოთ ფიქრთა უმძიმეს-უმსუბუქესი კრიალოსანი, თიხის დოქებში შეგროვილი სიჩუმის, ლამის, ვარსკვლავების, ჰაერის, მთვარის ნატეხების, წკრიალა ნამებისა თუ იისფერი ჩრდილების აცმა, ასე უშურველად რომ უმარცვლავს პოეტი მკითხველს.



\*\*\*

**როცა არ ყოფნის მძაფრ ტკივილებს მოქნილი სიტყვა და ეძებს ახალს, უჩვეულოს ხაზების ქარში.**

ინგა მილორავა იმ შემოქმედთა რიცხვს მიეკუთვნება, მრავალმხრივი ნიჭით რომ არიან დაჯილდოებულნი და თან ერთნაირი ოსტატობით წერენ თუ ხატავენ.

**მაია იანტბელიძის** თქმით, ინგა მილორავა სწორედ თავისი მრავალმხრივი ნიჭით, გამოსატყვის შესაძლებლობებით საუბრობს წუთისოფლის ამოებაზე, ადამიანად ყოფნის სევდასა და ფილოსოფიაზე, იმაზე, რომ ჩვენი ცხოვრება აღმოჩენებითაა სავსე, ხანდახან გვემარტივება ყოველივე, მაგრამ მარადიულ კითხვებზე პასუხი არავის აქვს. თუმცა მაინც დიდებულია ეს „წუთი“ სოფლისა — არაჩვეულებრივი საჩუქარი ღვთისა — სადაც იქნებ მწუხარება სიხარულზე მაღლა უნდა დააყენო, რადგან სწორედ ამალღებული, გონიერი დარდის უნარი განასხვავებს ადამიანს სხვა არსებათაგან დედამიწაზე.

და ალბათ ამიტომაც ყველაზე საინტერესო ამქვეყნიურ არსებობათაგან მაინც ადამიანად ყოფნაა, იმედია იმ თუ უიმედო, „ფერადი ველების“, „ყვავილის მტვერში ჩუმი სინაზის“ და ნავსაყუდელის მშენებელი მეორე ადამიანი, რომლის პოვნაც დიდი ბედნიერებაა.

— თუმცა ზოგჯერ მაინც გვიპყრობს სამყაროსთან გაუცხოების, ზოგჯერ შინაგანი სიცარიელის, უიმედობის განცდა:

„რისთვის მოიხრთო წუთისოფელი ასე ლამაზად — სიძულვილისთვის?“

და მერე თითქოს შენც განიცდი პოეტის მოლოდინს, ნუგეშად, იმედად გასიმბოლოებულს: „მე ვზივარ ახლა ფანჯარასთან — ღმერთს ველოდები...“

ხსნა კი ამ რთულ სამყაროში მშვენიერების ძიება და განცდაა და ქალბატონი მაიას თქმით, სწორედ ამით გამოირჩევა ინგა მილორავას პოეტური სამყარო, რომელიც დაგამეგობრებს და გაოცნებებს „შორეულ ზღვებში მოქანავე ფიქრის გემებზე“ და აგიყოლიებს „უცნაური, ქარისებრი სუნთქვის ცეკვაში“, დაგაფიქრებს იმაზე, რომ „აუცილებლად უნდა გქონდეს სადღაც შენი ფერადი კოშკი“, სადაც დააკაკუნებ და... გაგიღებენ, შეგიფარებენ... და შენთვის მიუღებელი დრო და სივრცე ვერას დაგაკლვებს.

მოგვიანებით ჰაინეს ნათქვამს გაიხსენებს **ზაზა გოგია:**

დედამიწას ბზარი რომ გაუჩნდეს, იგი პოეტის გულზე გაივლისო, და აქვე დასძენს:

— ძნელია გულში ჩაღებელი სიმართლის განცდა, მითუმეტეს — გაცხადება. ამ სიძნელესთან ჭიდილი ინგა მილორავას ლექსების კრებულთან („ფიქრის მარცვლები“) შეხებისთანავე იგრძნობა. ნიგნის ყდაზე, სავარაუდოდ, მზის სურათია (უფლის მეტაფორა) გამოტანილი. ზეციური მსაჯული სისხლად ქცეული ცრემლებით რწყავს აყვავებულ მიდამოს, ამავე დროს, მისი ფხიზელი თვალი დარაჯად უდგას ცოდვამადლით აღსავსე ქვეყანას. ფანტაზიის ასეთი გაღაღების საფუძველს თვით ლექსებში ჩაბუდებული ვნება იძლევა.

ინგა მილორავას ლირიკაში სიხალის სიო ქრის, მაგრამ სიხალე, ამავე დროს, ტრადიციის თვისებაა, ვინაიდან ყოველი ნოვატია ტრადიციის ნიაღში იდგამს ფეხს, ამიტომაც მათი მკაფიო გამიჯვნა წყლის უნაყოფო ნაყვია. შეგვიძლია პარალელების ძიება იმპრესიონიზმთან, სიმბოლიზმთან, პოსტმოდერნიზმთან, მაგრამ ესეც ფორმების ქექვაა და არა არსში წვდომისაკენ ჭკუშარიტი ლტოლვა. მაგალითად, ლექსში „ვან გოგი — არლი“ პოეტი სათაურიდანვე მიგვითითებს შთაგონების წყაროზე, თუმცა სულიერი ერთობის მეტაფიზიკური განცდა ფერწერის ვერბალური კოპირება არაა. ვან გოგის ფერთა შეხამებით მიღწეულ ჰარმონიას ამავე სამყაროს მედიტაციური გაზრება ენაცვლება. ამ შეხედულებას ადასტურებს პოეტის მიერ საილუსტრაციო ფონად გამოტანილი ქობის სურათი (იგი არ არის ვან გოგის „სახლი არლიში“). მასში ფიქრია დაბინავებული და არა — შთაბეჭდილება.

ინგა მილორავას ერთი ლექსი ასე იწყება: „ვიოლინობს არ უწყდებათ უაზროდ სიმი, ბგერებში წყდება გულისწყვეტა და შუბლის ძარღვი, ყველაზე უფრო ღონიერი მთავარი არხი, რომელშიც ძალა და სიყვარული მიედინება.“

ეს სიტყვები არაორაზროვნად მიგვანიშნებს ჩვენი შინაგანი კონფლიქტის დრამაზე, რომ მინავლებული ღირსება, უსიყვარულობა, გულგრილობა „დროთა კავშირების“ წყვეტისა და ადამიანთა სულიერი გახლეჩის მაწინაველი საგანგაშო სიგნალებია.

პოეზიის მიზანი კი ამ წყვეტის აღდგენაა, გახლეჩილი სულების გაერთიანება. და **დალილა ბედანიძე** გზას რომ დაულოცავს პოეტს ამ ჯადოსნურ სამყაროში, სადაც ტკივილით იბადება თითოეული სიტყვა, თითოეული სურათი, თითოეული ფერი, ეტყვის:

— „ფიქრის მარცვლები“ შენი ლექსების პირველი ნიგნია, შენი პირმშოა და ბუნებრივია ის სიყვარული, რომელიც მისმა დაბადებამ განგაცდევინა ვინც შენი მრავალმხრივი ნიჭის შესახებ იცის და ვინც შენს შემოქმედებას გულისყურით ადევნებს თვალს, არ გაუკვირდება, რომ ამჯერად პოეტის ამპლუაში მოგვევლინე. შენს ნატურაში ყოველთვის იყო რაღაც პოეტური. შენი სამეცნიერო გამოკვლევები, შენი პროზა, შენი ლიტერატურული წერილები, ესეები ცალკე სალაპარაკოა. ამჯერად მხოლოდ ლექსებზე ვსაუბრობ და კიდევ იმაზე, თუ როგორ ხატავ, რადგან ამ ნიგნის ილუსტრაციები შენვე გეკუთვნის და შენი პოეტური სამყაროს განუყოფელი ნაწილია. შენში შერწყმულია პოეტისა და მხატვრის ნიჭი და ზოგჯერ ჭირს გამიჯვნა, სად მთავრდება პოეტი და სად იწყება მხატვარი. ამაზე მეტყველებენ შენი ლექსები, ილუსტრაციები. სხვას არც ველოდი. ასეთი მრავალმხრივი ნიჭის პატრონმა უნდა წერო, უნდა ხატო, და რასაც წერო ვერ იტყვი, ის ხატვით შეძლო და პირიქით!

**თეიმურაზ ნადარეიშვილს** კი ეს კრებული ფედერიკო გარსია ლორკას ლექსების ნიგნს მოაგონებს:

— როდესაც ადამიანი მრავალმხრივი ნიჭითაა დაჯილდოებული, მაშინ იგი „ჩაკეტილ სისტემას“ ქმნის ანუ მას ნაკლებად სჭირდება სხვა ადამიანის დახმარება (მაგალითად, მხატვრის, როგორც ამ შემთხვევაში).

ქალბატონი ინგა რომ „ფიქრს მინდობილი“ ადამიანია, იმითაც დასტურდება, რომ ნიგნში არაერთგან სხვადასხვა „უცნაურ“ კონტექსტში მოიხსენიებს ფიქრს: „მტვრიანი ფიქრი“, „ფიქრების ფარდა“, „ფიქრების ღვინო“, „ფიქრების ფიფქი“... და ეს მიგნებანი დამატებით პოეტურ განწყობას უქმნის მკითხველს!

ძალიან მომეწონა ლექსი „რა იქნება მერე?“ განსაკუთრებით კი ეს სტრიქონები:

**ყოველ დღით მე ვახელ თვალებს და ჯერ არ ვიცი სიხარულისთვის გათენდება თუ ტკივილისთვის, მაგრამ ჯიუტად ყოველ დღით ხომ ვახელ თვალებს?**

ამ სიტყვებმა გამახსენა გახმაურებული საბჭოთა ფილმი „რომანსი შეყვარებულებზე“, სადაც დიდი რუსი მსახიობი ინოკენტი სმოკტუნოვსკი საყვირის დაკვრით ესალმება ყოველ დილას და სხვებსაც ულოცავს ახალი დღის დადგომას! თქვენც გისურვებთ, სიხარულით შესხედეთ ახალ დღეს ანუ არ მოიშალოთ „ყოველ დღით ჯიუტად თვალების გახელა“.

\*\*\*

*თეთრ უდაბნოში გაშლილია დიდი ბაზარი, ათასი გრძობა იყიდება ჭრელ-ჭრელ დახლებზე, ვინც რა მოკრიფა, მოაგროვა ცხოვრების გზაზე, გაუფენია, გაუშლია და ახლა ჰყიდის.*

ამ ლექსში „ბაზარი უდაბნოში“ ავტორი თვითონვე ახასიათებს თავის შემოქმედებას, — ასე ფიქრობს **გოჩა კუჭუხიძე**, ვისი თქმითაც „ბაზარი“ ის ადგილია, სადაც ადამიანები ერთმანეთს თავიანთ შემოქმედებას აცნობენ. და ინგა მილორავამაც შეაბა ოცნების ცხენი, ფეხმარდი რაში, მშვენიერი,

ნისლისთვალე... დატვირთა თავისი ავლადიდეებით, მოძებნა დახლი, თავისუფალი: „ამ ვრცელ ბაზარში იქნებ მეც მომცენ სიხარულის ოქროს მონეტა. ამოვალაგე რაც გამაჩნდა“...

და მერე ავტორი ხატოვნად ჩამოგვითვლის თავის ავლადიდეებს: „დარდით ავსებული ლურჯი დოქები, ტრფობის ძაფებით, მოქარგული ჩითის კაბები, სიტყვები, პილპილივით ცხარე და მწარე, მარტოსულობის სამკურნალო ლექსის აბები... პერგამენტებად დახვეული ძველი ამბები“...

ბატონი გოჩა საუბრისას საგანგებოდ გაამახვილებს ყურადღებას ლექსზე: „დაბადების დღე — 20 ივნისი“:

„დაბადების დღე... თუ დაძინების, ასე მგონია, შევიგრძნობ გულით, მთელი არსებით, რომ ზეცის იქით, თვალუნვდენელ მზიან სივრცეში ოდესღაც, სადღაც, ოქროსფერი ღრუბლების ტვერში ეღვიძათ სულელებს...“

და მერე დადგა დრო დაძინების...“ და ამ ლექსს ფილოსოფიური რაკურსიდან განიხილავს:

— ნერის პროცესში შთაგონება, შინაგანი ინსპირაცია თვითონ ბადებს სათქმელს, რომლის თანახმადც ადამიანი ამქვეყნად შობის დროს სულიერი სამყაროსთვის დაიძინა, რომ ჩვენ ახლა გვიძინავს და ერთ დიდ სიზმარს ვხედავთ, რასაც წუთისოფელი ჰქვია... რელიგია აღვიძებს ადამიანს სულიერებაში... და პოეზია, მუსიკა, ხელოვნება ეხმარება მას ამაში...

ბატონი გოჩა ინგა მილორავას შემოქმედებაში გალაკტიონთან რემინისცენციებით დაწერილ სტრიქონებსაც გამოარჩევს, საინტერესო ალუზიებს მისი შემოქმედებიდან, გამოსვლის დასასრულ კი აღნიშნავს:

— პოეტი ნერს: „ამ ჭრელ ბაზარში ჩემს საქონელს არა აქვს ფასი...“ და გვეუბნება, რომ სურს წავიდეს ამ „ჭრელი ბაზრიდან“, ჩამოჯდეს „კარიბჭის ჩრდილში“ და დაუწყოს ლოდინი „უსასრულო მზეს“.

ვერ დავეთანხმები მას ამაში. თუნდაც დღევანდელი დღე მოწმობს იმას, რომ ინგა მილორავას შემოქმედების ფასი იცის მკითხველმა. რაც შეეხება განრიდებებს, ადამიანი ზოგჯერ მიივს უნდა გაერიდოს წუთისოფელს, განმარტოვდეს, მაშინ მთვა მასთან ის, ვინც წუგეშით გვაგვსებს — თავად შემოქმედი, დამბადებელი...

**თამილა წონორიაც** ამ თემას გამოეხმაურება და აღნიშნავს, რომ ეს წიგნი სულიერ უდაბნოში მოხეტიალე მგზავრის ფორიაქია, დმერთის ძიებაა და ამ გზაზე სულიერი „დარდის ქარავანი“ დაემგზავრება პოეტს, ერთ დიდ ბოხჩაში რომ გამოუკრავს თავისი ცხოვრება — „ცოდებები, ფიქრი, დარდი, ტკივილი, იმედი, გლოვა, ნათელი, ბნელი და სიხარული, პოვნა, დაკარგვა, უცებ შემკრთალი გული“ — ერთად შეუკრავს დროის თასში.

— ინგა მილორავას კრებულში 46 ლექსია.

რაოდენობითაც, რომანტიკული ნაკადითა და მედიტაციურიობითაც იგი ბარათაშვილის სკოლის პოეტად უფრო გვესახება, რადგან „თელილი გზების“ თეორია ინგა მილორავას პოეზიაშიც თვალსაჩინოა. „ველარ ვიპოვეთ შენი მერნის თელილი გზები“, — ნერს ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი მიძღვნილ ლექსში და პოეტთა სულიერი მსგავსება-ნათესაობაც განსაკუთრებით საგრძნობია, რადგან „ისევ ეძებენ ზეცის იქით სულიერ სადგომს“.

აქ, ამ სტრიქონებში კი დარდით ავსებულ ლურჯ დოქებთან ერთად ჩარიგებულან „ცრემლებით სავსე პანანინა მინის

ბოთლები“, „წვეთ-წვეთად ფრთხილად ჩამოსხმული ჩუმი ფიქრებით; დედის სანოლთან გათეული ზაფრების აცმაც“, „პოეტისათვის ნაჩუქარი პატარა მთვარეც“, „აუზდენელი ოცნებების ჭრელი მძივებიც, ყვავილებისგან მოქსოვილი სიზმრის ჩანთებიც“... ახლა მკითხველის თვალწინ თეთრ უდაბნოში გამოდგმულ დახლზე რომ გაუფენია ავტორს და სანაცვლოდ სურს, „სიხარულის ოქროს მონეტები, შვება, სიმშვიდე და უნაპირო ბედნიერება“ მიიღოს.

\* \* \*

**ხეზე ბიჭი ზის, წიგნს კითხულობს, მოელის გოგოს და აქ გაჩერდეს იქნებ დრო და მტვრიანი ფიქრი... სუფთა, ნათელი, შეურყვანილი გადარჩეს ბიჭი.**



ინგა მილორავა

ლექსზე წერა ძალიან რთულია, რადგან რელიგიაზე წერას ჰგავსო, — ოტია პაჭკორიას ამ სიტყვებს შეკრებაზე **მაკა ჯოხაძე** გაიხსენებს და ასე შეეხმიანება ნანა კუციას მოხსენებას, ვინც, მისი თქმით, ყოველთვის ახერხებს ასე საინტერესოდ და საგულისხმოდ ისაუბროს პროზაზეც და პოეზიაზეც და მოსმენისას კი, სხვა ყველაფერთან ერთად, გააჩინოს უჩვეულო სიამაყის განცდაც — თუ როგორ ლამაზი, ძველი, დარბაისლური ენაა ქართული, რომელიც არასოდეს გახუნდება და შეუძლია უღრმეს შრეებში გამოატაროს გულიცა და სულიც და სათქმელი მკითხველამდე მიიტანოს.

ქალბატონი მაკა შეკრებილებს ნაუკითხავს თავის ჩანაწერს ინგა მილორავას შესახებ — „მანაც როდემდე“ — ახლახან თავმოყრილი და წიგნად გამოცემული ჩანაწერებიდან — „ჩაძირული დღესასწაული“, რომელიც შესანიშნავად წარმოგვიდგენს მაკა ჯოხაძის ღრმა და საინტერესო პორტრეტსაც და მის ძიებებსა

და შეფასებებსაც, ავტორისათვის ჩვეული უჩვეულო მეტაფორებით საგულისხმო ფორმულებში რომ არის მოქცეული. აი, ამონარიდებიც:

„ინგა მილორავას ქვეყანა... ბიბლიური დატირებაა დაშრეტილი მადლის, დახოცილი შვილების, ფერწასული სინათლის სვეტის. პოეტის სევდა „ჩაკეტილი მდინარეების“, გამქრალი სიკეთის, დამშრალი ჭების, გაშვებული სულების, ძვლების, ტყვიისფერი მრუმე ზეცისა და ამღვრეული ნაკადულების გამო...“

...„ახლები“ უღიმდამო „თავგანწირვით“ ეთამაშებიან სიტყვებს და ზოგადობით ერთობიან.

მათი „აფეთქება“ საახალწლო შუშხუნებზე ერთჯერადი და სულმოკლეა, როგორც ყველაფერი ხმაურიანი, ამიტომ აღარ ხდება სიტყვათა შეუღლება, აღარ იბადებიან მათი შვილები: აზრები და მეტაფორები.

სამაგიეროდ, ჩნდება ტექსტები — ტრამალებით გულისგამანვრილებელი და ერთფეროვანი.

მეტაფორა პოეტის სსოვნაა.

სსოვნა კი გამძიმებს, როცა წრეში ტრიალებ, როცა ერთადგილს ტკეპნი.

უმეტაფორო პოეზია დაინწყებისთვისაა განწირული...

მეტაფორა პოეტის ღია ჭრილობაა.

ამიტომ ნებისმიერი განაკანრი ცხვირში მუშტის ამორტყმასთან ასოცირდება და სისხლდენასავით საგანგაშოა.

ამიტომ ომში წასვლის სიხარული („ომში წასვლა მას უხარის...“) ანდა დუელით დაცული ღირსება ისეთივე ბარბაროსობაა მათთვის, ისეთივე შორეული და გაუგებარი, როგორც ლამანჩელის ქარის ნისქელები, როგორც სევდა გალაკტიონის: „მოუნათლავი ბავშვები სკოლისკენ მიიჩქარიან“.

„ახლები“ აღარ ტირიან. ამაზე იზრუნეს. ცრემლი წამალივითაა, გული რომ მოაღბოს. ამიტომაც ეს წამალიც აკრძალულია.

გალობა მაღალი რეგისტრია, ცისკენ მიმავალი განზომილება. „ახლები“ გალობენ კი არა, ვეღარც კი მღერიან; ვეღარც ინყევენებინან; სწორადაც იქცევიან.

თუ წყევლა იერემიას გოდებასავით თავზარს არა გვცემს, სჯობს, რომ დადუმდე. ჰოდა უფრო ჭკვიანები დუმან“.

და ამ ფონზე — უსულო, შუშუნებებით ერთჯერადად ანთებული „ახლებისა“ თუ გასუსული, უსიყვარულო, პრაგმატული თაობის ფონზე, „ვისთვისაც გინება მოდაშია, პრემირებულია. განსაკუთრებით დედის გინება. განსაკუთრებით კი კონკრეტული პოეტის კონკრეტული დედის... და აბა აბსტრაქტული სამშობლოს გინებას რაღა დაუდგება წინ“ — ხელშესახებად გამოკვეთს ინგა მილორავას პიროვნებასაც და შემოქმედებასაც: „მშობლიურ და ეროვნულ კულტურაზე აღზრდილი ინტელექტუალი, ნამდვილი ესთეტი... ვისი ლექსებიც, როგორც თოლიები ზამთრის ზღვაში, როგორც აფრებაბერილი ნავები, ისე შეცურდნენ ინტერნეტსივრცეში“.

აკი დიდი ინტერესითაც შეხვდა მკითხველი ამ ლექსების გამოჩენას, რომელთა შესახებაც ავტორი ამბობს:

— ჩემი გულიდან წამოსული სამყაროა. ტკივილიანი წიგნია, არ არის ისეთი, რომ გაგამხიარულოს, ოპტიმისტური განცდები გაგიჩინოს, მაგრამ ვინც წაიკითხავს, ნამდვილად გააბამს ძაფებს ჩემს სულთან.

ამიტომაც არ აქვს წიგნს სარჩევი — ეს ტექნიკური ხარვეზი არ არის, ჩემი გადაწყვეტილებაა — ვისაც სურვილი ექნება, გაეცნოს ჩემს სამყაროს, ჩემს განცდებს, არ მიინდა სარჩევი ეძებოს, თუკი დაინტერესებს, მინდა თავიდან ბოლომდე წაიკითხოს, რადგან აქ მხოლოდ ის არის, რაც გულმა დამანერინა, რასაც ჩემი სული გრძნობს.

მაკა ჯოხაძე კი ასე დასძენდა თავის ჩანაწერში:

„ერთგული, კეთილი, ლამაზი სული. სანამ ასეთი სულები არსებობენ, ცოცხლობს იმედი, რომ პოეტის ქვეყანაში — ჩვენს ქვეყანაში

**სუფთა, ნათელი, შეურყვნელი გადარჩეს ბიჭი“.**

და ეს ისეთი რამაა...

შემოქმედებაც, ცხოვრებაც, თეთრი თოლიების სივრცეებიცა და ყოველდღიური წვრილმანი ფუსფუსიც, ღმერთის მოლოდინით სავსე ეს ერთი დღეცა და გაშლილ თითებში ქვიშასავით ჩაშლილი ათასი წელიც ალბათ სწორედ ამ გადარჩენისთვის ღირს.

თამარ შაიშველაშვილი

# მარადიული საქანელა

□

## თამარ გაბროშვილის ახალი პოეტური კრებული „ქრიზთას ანთოლითები“ გამო



გამოვიდა თამარ გაბროშვილის ახალი პოეტური კრებული „ქრიზთას ანთოლითები“. ავტორს სურდა, ერთად და უხვად წარმოედგინა ქართული მინიმალისტური პოეზიის ნიმუშები. ამიტომ 30 წლის ნამუშევარი ქრონოლოგიურად დაალაგა და სამი წიგნი — „მზის მისაღება“, „მარჯუნი სიცოცხლე“ და „მზე მზეში“ — ერთ კრებულად, ერთ თაიგულად შესთავაზა მკითხველს.

წიგნის მხატვარი და დიზაინერიც ავტორია, რაც კიდევ უფრო მეტ ელფერს და ინდივიდუალობას სძენს „სიყვარულისა და გულთა მშვიდობისათვის“ შექმნილ პოეზიას.

რედაქტორია **ლალა მამტრეაშვილი**, ფოტოების ავტორი — **ბარბარე ასანიძე**, გამოცემულია სოციალური თერაპიის სახლში.

ანთოლითები გაქვავებულ ყვავილებს ნიშნავს, რომლებიც ამ წიგნში ლექსებად გაცოცხლებულა. ყველა ლექსს მინდვრის ყვავილთა სურნელი სდევს. აკი ავტორი ერთგან აღნიშნავს: „ჩემი გული უზარმაზარი ლოდია, დაბზარული ლოდი, ნაპრალებში ყვავილების უამრავი თესლი რომ ჩაბნევიან, იქიდან ზღაპრული ყვავილები აღმოცენდება და მათ ექნებათ სიცოცხლის სურნელი და შენი სურნელი... მხოლოდ ამ ყვავილებს შეუძლიათ, მომანიჭონ უკვდავება.“

ეს თამარის სულის მრწამსია — გულიდან, დაბზარული ლოდიდან ზღაპრული ყვავილები აღმოცენდება, რათა „სიყვარულის საუფლოში შემკობილმა“ იაროს.

ყვავილებიც კი სიცოცხლისა და სიყვარულის სურნელს დაატარებს:

**ჩამონყვეტილი ზეცის ამბორად, მე — ჯეის ყვავილი შენთან ამოვალ!**

ეს ყვავილები მინისა კი არა, ცისაა. სიყვარულის, სიკვდილის იდუმალეზა მოაქვს:

**გულზე მაყრია მინის კი არა, ცის ყვავილები და ვერვინ ხედავს, და არვინ იცის, რომ სიყვარულმა სულ სხვაგვარი, სულ სხვაგვარი სიკვდილი იცის!**

აქ „სიყვარულის ფრიალო კლდეები — გულზე ასხმული ყვავილებია“.

**ქვაში ჩატყვევებული მუსიკა — მდუმარებაში ჩაგრეხილი სიყვარულის უხმო ტირილი, როგორ ჰგავს ერთურთს...**

მხოლოდ გული არ არის ყვავილთა საუფლო, პოეტის ხელისგულიც თავისებური მისტიკაა: ხან ხელისგულთა ველზე გვირილების აკისკისება ისმის, ხანაც სულის მარცვლებს აგროვებს პოეტი... ხელისგულზე მღვიმეებიც ჩნდება:

**შენი თითები, როგორც სანთლის დანალენები, ჩემს ხელისგულზე მღვიმეებს ქმნიან — იღუმალელებს და პოეზიას!**

ამ პოეზიასავით ლამაზ, ზღაპრულ დღეში, როცა სულერთია, ვინმეს უყვარხარ თუ არა... „მოსასწაულე თეთრი თითები მზესუმზირისკენ მაინც მიისწრაფიან!“ მეორეგან თითებზე იები აჭკნება:

**ნუ გეწყინება, თუ თითებზე მაჭკნებიან შენი იები...**

მაგრამ იები უნაზესად ანთია, როცა სხვაგვარი გაზაფხული დგება:

**ეს ლექსები განა მინდვრად დავკრიფე?! არს სხვაგვარი გაზაფხულიც, იცოდე — ხელისგულზე იტევ როცა მარადიულ სიცოცხლეს.**

მეორეგან იღუმალია ღამეც და თეთრი გვირილაა უსიზმრო ღამე. ამბობს, რომ სიყვარულის საუფლოში შემკობილი ივლის: არ დავაჭკნობ შენს ჩამონწულ ღამეების გვირგვინს...

მაშინაც კი, როცა „ბენვის ხიდზე გვატარებს ბედისწერა,“ მე შენ უნდა გადავარჩინო, — წერს პოეტი:

**ბენვის ხიდზე გადის სილამაზე და ჩვენ უნდა გადავარჩინოთ!**

ამ ხიდზე გავლისას პოეტის იღუმალი სულის შესამოსელი შრიანებს:

**შენს წინ ვაშრიანებ სულის შესამოსელს — ლექსებს, რომ იგრძნო ჩემი არსებობა და შენი სიღიადე...**

თამარ გაბროშვილის მთელი პოეზია მარადისობისკენ სწრაფვია... როგორც ალუბლების თოვთა მარადიული, ისეა მისი ლექსიც — მიწაზე თეთრად ითოვება ალუბალი, ქაღალდზე კი პოეტის განწყობილება... ნუთიერი ყოველდღიურობა მიდის, ქრება, იკარგება, ალუბლები კი თოვს და თოვს... ამ თოვთაში გამრავლების ნამდვილი ტაბულაა: პაპა, შვილი, შვილიშვილი და ასე შემდეგ... ხელისხელჩაკიდებული მეუღლეები და შვილები კი — მიფრინავენ წეროები... ხელგაშლილი ადამიანი ჯვარია, რომლის იქითაც უფალი ცოცხლობს, სიკვდილიდან ამოსულ ყვავილს სიცოცხლე ჰქვია... ამ ღამაში ნუთებით ბედნიერი პოეტი საკუთარ თავს ეკითხება:

**კიდევ რამდენ წუთს მოიპარავ, სად გადამალავ... ნუთუ გგონია, იმდენს შეძლებ, რომ მოაგროვო მარადისობა?**

შეძლებს, რადგან მიწაზეც, ცაზეც რამდენი ცვარიცაა, ყველგან მისი ცრემლის კვალია:

**ჩემთან ყველაფერს ცრემლის ფასი აქვს, ამიტომაც ყველაფერი ასე ძვირფასი...**

თამარ გაბროშვილის ამ უსათაურო ლექსს კი მე „პოეტს“ დავარქმევდი:

**მარადიული საქანელა: გაქანდები — ცაში ხარ, გამოქანდები — დედამიწაზე; სულ ცოცხალი ხარ და სულ გზაში ხარ...**

ის, რაც მარადისობასთან წილნაყარია, მართლაც, სულ ცოცხალია, გულს მინდობილია — გული მივანდე ქაღალდს, ის კი თქვენ მოგენდოთო, ასკვნის თამარი. მის ამ საოცრად ტევედ მინიმალისტურ პოეზიაში, რომელიც გაქვავებული კი არა, ჩემი აზრით, ცოცხალი ყვავილებაა, სტრიქონსა და სტრიქონს შუა მალვით დიდი აზრებიც იკითხება, აზრები, რაზეც ჩვენც გვიფიქრია, მაგრამ ასე მარტივად, ღამაზად და პოეტურად თუ გამოითქმოდა, არ ვიცოდით, და ახლა კი გავიგეთ, გავითავისეთ, დავფიქრდით... ქრიზთას ფიქრები ანთოლითები დავიდეთ თავსასთუმლად — სიყვარულის, სიკეთის, მზემშვენიერის, სიცოცხლის დღესასწაულად.



თამარ გაბროშვილი

**როგორც ნაძვის ხეს მოციმციმე სათამაშოებით, ისე ვრთავ სიცოცხლეს ახალ-ახალი ლექსებით და გიძღვნი, რათა გაზიაროთ სიყვარულის ღვთაებრივი დღესასწაული...**

იქნებ შემთხვევითიც არ არის, რომ თამარ გაბროშვილის ლექსების ახალი კრებულის „ქრიზთას ანთოლითები“ წარდგინებაც სწორედ სოციალური თერაპიის სახლში გაიმართა, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციის „კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ“ შემადგენლობაშია. აქ შექმნილია ადამიანური, გულითადი ატმოსფერო, სადაც ყველა ერთმანეთზე უანგაროდ ზრუნავს, სადაც პატივს სცემენ და იცავენ ერთმანეთის უფლებებს, საკუთარ უნარებს თავისუფლად შლიან.

თამარ გაბროშვილი ესწრებოდა საგანმანათლებლო ბაზისურ კურსს სოციალურ თერაპიაში. იქ გამეფებულმა სანდო და შემოქმედებითი უნარებისადმი ფაქიზმა დამოკიდებულებამ გადააწყვეტინა 30 წლის ნაამაგარი, სულის ჩიტებითა და ყვავილებით მოქარგულ-მოხატული პოეზია სწორედ აქ, გამომცემლობა „ანწყობი“ დაბადებულიყო ნიგნად. გამომცემლობის მენეჯერმა გიორგი გაგანაშვილმა არაფერი დაიმურა, რომ წიგნი ისეთი გამოსულიყო, როგორც ავტორს სურდა. მასთან ერთად მუშაობაში ჩართულნი იყვნენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, რომლებიც ყველა ფურცელს ეფერებოდნენ მუშაობის დროს...

სწორედ აქ მორთო თავისი კრებული სულის სხივებით თამარ გაბროშვილმა და გვისახსოვრა, მართლაც, სიყვარულისა და პოეზიის ნამდვილი დღესასწაული.



გულბად ამირანაშვილი

# სხივი სარკველში

წლებადღეული წელი საიუბილეოა და ექვთიმე თაყაიშვილის სახელთან არის დაკავშირებული. ეს სახელი კი ქართველი ადამიანისათვის განსაკუთრებით ძვირფასია, რადგანაც ის საქართველოს ისტორიის იმ რელიკვიებს გვახსენებს, რომლებიც ყოველთვის სიამაყის გრძობით ალავსებს მომავალ თაობებს.

დიდი ხნის წინათ სამმა განუყრელმა მეგობარმა, რომლებიც უმადლესი განათლების მისაღებად პეტერბურგში წასასვლელად ემზადებოდნენ, ფიცი დადო, რომ განათლების მიღების შემდეგ უეჭველად დაბრუნდებოდნენ საქართველოში და თავიანთ ცოდნას, ენერჯიას, სიცოცხლესაც სამშობლოს კეთილდღეობისათვის ბრძოლას შესწირავდნენ. ესენი იყვნენ: ექვთიმე თაყაიშვილი, ნიკო მარი და ალიოშა სვანიძე.

სამშობლოს სიყვარულისთვის არცერთს არ უღალატია, მაგრამ საქართველოში დაბრუნება და აქ მოღვაწეობა მხოლოდ ექვთიმე თაყაიშვილმა შეძლო. თუმცა უნდა ითქვას, რომ მასაც არ დასცალდა დადებული ფიცის განუხრელად შესრულება: ოცდაათნი მძიმე წელიწადი მოუწია ემიგრანტის გაუხარელი ცხოვრებით ეცხოვრა. ბოლოს დაბრუნდა სამშობლოში და პირნათლად წარდგა საკუთარი ხალხის წინაშე.

ექვთიმე თაყაიშვილი მთელი თავისი მოღვაწეობით დაკავშირებული იყო საქართველოს ეროვნულ სიძველეებთან, მაგრამ ეს კავშირი განსაკუთრებული სხივებით გაბრწყინდა იმ დროიდან, როდესაც იგი 1945 წლის აპრილში საქართველოში დაბრუნდა, ევროპაში 1921 წელს გატანილ საგანძურთან ერთად!

ამ ისტორიულ ფაქტს უდღეისი მნიშვნელობა ჰქონდა და ქართველმა ხალხმა სათანადოდ დააფასა გულმხურვალე მამულიშვილის სამშობლოში დაბრუნება: მას ყოველგვარი პირობები შეექმნა სამეცნიერო მოღვაწეობისათვის, მაგრამ 82 წლის მოხუცი, რომელმაც 20-30-იანი წლების ემიგრაცია გამოიარა და 40-იანი წლების პირველ ნახევარში გერმანელთა მიერ საფრანგეთის ოკუპაციას გაუძლო, ახალგაზრდული ენერჯით ვეღარ ბრწყინავდა და იძულებული იყო ჩაკეტილი ცხოვრებით ეცხოვრა: სტუდენტებსა თუ მეცნიერებთან მისი კონტაქტები მისსავე ბინაზე, ვაშლოვის ქუჩაზე არსებულ მოკრძალებულ სახლში ხორციელდებოდა.

ჩაკეტილი ცხოვრება ყოველთვის ქმნიდა ლეგენდების წარმოშობისა და გავრცელების პირობებს და ასაკით გამონეწეული უძღურების გამო საკუთარ ბინას მიჯაჭვული ექვთიმე თაყაიშვილის შესახებაც იქმნებოდა ათასგვარი ლეგენდა: „შინაპატიმრობა აქვს მისჯილი“, „მასთან მისვლის უფლება მხოლოდ რამდენიმე ადამიანს აქვს“, „შეხვედით, როგორი გამაგებელი აქვს ფრჩხილები“, „ეს იმიტომ, რომ შინსახკომში ანამეს“... ეს ლეგენდები დღესაც ცოცხალია და იმდენად სინამდვილეს არ ასახავს, რამდენადაც გვიჩვენებს 40-50-იანი წლების თბილისის ინტელიგენციის გარკვეული ნაწილის განწყობას ქვეყანაში არსებული პოლიტიკური რეჟიმის მიმართ. მე არ დავიწყებ ამგვარი ლეგენდების გამოწვევს მიზეზთა ახსნა-განმარტებას, მაგრამ თავს ვალდებულად ვთვლი, დაინტერესებული მკითხველის ყურადღება შევაჩერო იმ ფაქტზე, რომელიც ეხება 1921 წელს მენშევიკების მიერ საქართველოდან სამუზეუმო ქონების გატანას; მის ისტორიას 1921-1945 წლებში; დაბოლოს, 1945 წლის დამდეგს საბჭოთა საქართველოსათვის განძის გადაცემას.

ამ სამუზეუმო განძის საკითხი განსაკუთრებით იმიტომ მაინტერესებს, რომ საქართველოში მისი ჩამოტანის პროცესში აქტიურად მონაწილეობდა მამაჩემი, საყოველთაოდ ცნობილი ხელოვნებათმცოდნე შალვა ამირანაშვილი. მამა ოჯახურ წრეში ხშირად ლაპარაკობდა საფრანგეთიდან საგანძურის ჩამოტანის შესახებ. როგორც ჩანს, ამ პროცესში თავისი მონაწილეობაც საამაყოდ მიაჩნდა და სიამოვნებით იხსენებდა საფრანგეთში გატარებულ დღეებს.

ზემოთ ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ გავრცელებული ლეგენდები ვახსენე. ერთ-ერთი ლეგენდა ისიცაა, რომ მენშე-

ვიკთა მიერ გატანილი სამუზეუმო ქონება ექვთიმე თაყაიშვილმა არამარტო ხელუხლებლად შეინახა, არამედ მას კიდევ მრავალი ექსპონატი დაუმატა და ისე ჩამოიტანა საქართველოში. ჭეშმარიტად ლამაზი ლეგენდაა! მაგრამ იქნებ სჯობდეს, რომ ვიცოდეთ, თუ სინამდვილეში რა მოხდა?!

რეალურად მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა: ქართველი მენშევიკები უძღური აღმოჩნდნენ რუსეთიდან შემოჭრილი მეთერთმეტე არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში. დამარცხებულებმა ჯერ დასავლეთ საქართველოს შეაფარეს თავი, ცოტა ხნის შემდეგ კი იძულებულნი გახდნენ, რომ დაუსოფნებლივ წასულიყვნენ ემიგრაციაში. ამ პროცესთა შედეგად, ემიგრაციაში აღმოჩნდა როგორც მენშევიკთა მთავრობის კუთვნილი ქონება, ასევე კერძო მუზეუმებიდან გამოტანილი განძიც.

ყოველივე ეს მენშევიკების მთავრობის სახელით (წარმომადგენელი — აკაკი ჩხენკელი) შეტანილ იქნა დასაცავად საფრანგეთის სახელმწიფო ბანკის მარსელის განყოფილებაში. მეთვალყურეობა დაევალა დემოკრატიული საქართველოს მთავრობის წევრს ექვთიმე თაყაიშვილს. როგორც თვითონ ექვთიმე 1935 წელს, საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის სამეცნიერო დაწესებულებათა სამმართველოს უფროსის ვუკოლ ბერიძის სახელზე გამოგზავნილ წერილში წერდა, მისი მეთვალყურეობა იმით გამოიხატებოდა, რომ ბანკში ჩაბარებული ნივთებისათვის „ხელი არავის არ ეხლო და არც უხლიათ“. ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გაჟღერებული წინადადება გარკვეულ კომბენტარს მოითხოვს. როგორც ჩანს, ემიგრაციაში მყოფი მთავრობა შესაძლებლად მიიჩნევდა, რომ საფრანგეთის სახელმწიფო ბანკში შესანახად მიბარებული ქონება, რომელიც მეპატრონის ბეჭდით იყო დაბეჭდილი, შეიძლებოდა ბანკს გაეხსნა და სხვადასხვა მიზნით გამოეყენებინა. აქ ამკარად ჩანს მათი ფსიქიკა: საქართველოში მოღვაწეობის დროს როგორც თავისუფლად სწავდიდნენ არასამართლებრივ ქმედებებს, ფიქრობდნენ, რომ საფრანგეთში შეიძლება იგივე მომხდარიყო. მაგრამ როგორც იმავე წერილში წერს ბატონი ექვთიმე, არაფერი ამდაგვარი არ მომხდარა. საფრანგეთის სახელმწიფო ბანკის მარსელის განყოფილებამ კანონის სრული დაცვით შეინახა მიბარებული ქონება.

გამომაქვს დასკვნა, რომ საქართველოდან გატანილი სამუზეუმო განძი ხელუხლებლად შეინახა საფრანგეთის სახელმწიფო ბანკის მარსელის განყოფილებაში.

1935 წლისათვის კი (როგორც დათარიღებულია ექვთიმე თაყაიშვილის წერილი ვუკოლ ბერიძისადმი) მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. ბანკში ნივთების შენახვისთვის საჭირო გადასახადი მხოლოდ 1921 წელს ფარავდა. შემდგომი მთელი ცამეტი წლის განმავლობაში გადასახადი თანხა პროცენტულად განუხრელად იზრდებოდა. და ბოლოს, როდესაც ყოველგვარ ნებადართულ ზღვარს გადააჭარბა, ქონება გამოცხადდა უპატრონოდ და სრულიად კანონიერად მოხდა მისი გადასვლა საფრანგეთის სახელმწიფო კუთვნილებაში.

და იმ ამ დროს, ე.ი. როდესაც შეიქმნა ასეთი მდგომარეობა, სალომე ობოლენსკაია-დადიანა (გარდ. 1961 წ.), რომელიც იყო სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის ნიკო დადიანის (1847-1903) უმცროსი შვილიშვილი და გათხოვილი იყო პეტერბურგის გუბერნატორ ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ობოლენსკიზე (გარდ. 1924 წ.), სარჩელი შეიტანა საფრანგეთის სასამართლოში. იგი ითხოვდა, რომ მენშევიკთა მიერ საქართველოდან საფრანგეთში გატანილი ქონებიდან გამოეყოთ და ყადაღა დაედოთ ზუგდიდის სასახლიდან წაღებულ დადიანთა კუთვნილი საგვარეულო ნივთებისათვის, რადგანაც — როგორც ნიკო დადიანის შვილიშვილი — იგი ამ ნივთების მემკვიდრე იყო.

ყურადღება მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ სალომე დადიანი მხოლოდ დადიანთა საგვარეულო ნივთებზე ითხოვდა ყადაღის დადებას, თანაც იმ დროს, როდესაც 1935 წლისათვის შეიქმნა მენშევიკებისათვის მათ მიერ ბანკში შეტანილი ქონების ჩამორთმევის სიტუაცია.

აქ ბუნებრივად ჩნდება კანონიერი კითხვა: თუ საქართველოში მენშევიკების მმართველობის დროს დადიანების საგვარეულო

ქონების სახელმწიფო კუთვნილებად გამოცხადებას არ გამოუწვევია დადიანთა პროტესტი, თუ 1921 წლის ემიგრაციის დროს არ მოუთხოვიათ ამ ქონების კვლავ დადიანთა საგვარეულოსათვის დაბრუნება, მაშ რა ხდება 1935 წელს, რატომ ითხოვს სალომე დადიანი საფრანგეთის სასამართლოს დახმარებას, რომ დადიანთა ყოფილი ქონება კვლავ მათ საგვარეულოს დაუბრუნდეს?

აქ უნდა გავითვალისწინოთ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: მას შემდეგ, რაც 1801 წლიდან საქართველოში რუსეთის იმპერიული მმართველობა დამყარდა, ქართული თავადაზნაურობა ჩაღდა იმპერიის სამსახურში. რაგინდ მაღალი მდგომარეობისათვის უნდა მიეღწიათ, ისინი ყოველთვის ინარჩუნებდნენ გარკვეულ ეროვნულ შეუვალლობას და პატრიოტულ სულისკვეთებას. რა თქმა უნდა, ხდებოდა სრული რუსიფიკაციაც, მაგრამ ეს უფრო გამოჩვეული იყო. მათში ყოველთვის ცოცხლობდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის იდეა. როდესაც 1918 წლის 26 მაისს მოხდა ამ იდეის განხორციელება, ქართულმა თავადაზნაურობამ ამ პროცესს მხარი დაუჭირა, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მმართველობის სათავეში მოექცა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკური ფრთა ნოე ჟორდანიას მეთაურობით. ეროვნულმა თავადაზნაურობამ დაიწყო სახელმწიფოს ჩამოყალიბების ხელშემწყობი პროცესი, კერძოდ, საკუთარი ქონების გადაცემა სახელმწიფოსათვის.

დღეს მეტად ძნელია გადაჭარბებით შეაფასო, თუ რამდენად მართებული იყო მათი ეს ქმედება, მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ მათ პატრიოტული მიზნები ამოძრავებდათ.

1921 წლის ემიგრაციის პირობებში ქართველ თავადაზნაურთა შეურიგებელი დაპირისპირება მენშევიკურ ნაწილთან გამოწვეული იყო მენშევიკთა პოლიტიკის მიუღებლობით, თორემ ქონებრივი თვალსაზრისით მათ პრეტენზიები არ წაუყენებიათ. 1935 წლისათვის კი სიტუაცია საგრძნობლად შეიცვალა. ეს თვალნათლივ ჩანს სალომე დადიანის მაგალითზე. მან კარგად იცოდა, რომ მენშევიკთა მიერ გატანილი განძი თუ საფრანგეთის საკუთრებაში გადავიდოდა, მოსალოდნელი იყო, რომ ის მსოფლიოში მრავლად არსებულ კერძო კოლექციონერთა ხელში მოხვედრილიყო და ამით სამუდამოდ დაიკარგებოდა საქართველოსათვის. არიოთ იყო გამოწვეული სალომე დადიანის თხოვნა საფრანგეთის სასამართლოსადმი, და არა იმით, თითქოს ის ქონების დაბრუნების გამო ედავებოდა მენშევიკურ ემიგრაციას.

მაგრამ მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო: თხოვნას სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდა. დადიანთა ყოფილი ქონება სრულიად კანონიერი გზით, დემოკრატიული საქართველოს დამფუძნებელი კრების დეკრეტით გადასული იყო სახელმწიფოს საკუთრებაში (1918-1921 წ.წ.). შემდგომ, 1921 წელს, საფრანგეთის სახელმწიფო ბანკში შესანახად შეტანილი იყო ქართული განძი საქართველოს მენშევიკური მთავრობის სახელით და ამის გამო საფრანგეთის სასამართლოს არ გააჩნდა არავითარი იურიდიული საფუძველი, რომ სალომე დადიანის თხოვნა დაეკმაყოფილებინა. ამის გამო, რომ მას ამ მიმართულებით აქტიურობა აღარ გამოუჩენია.

სამაგიეროდ, აქტიურობა დაიწყო ექვთიმე თაყაიშვილმა. მან 1935 წლის წერილში დანვრისგან ალწერა შექმნილი მდგომარეობა და ითხოვა, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობას რაიმე ელონა, რათა საქართველოდან გატანილი განძი სამუდამოდ არ დაკარგულიყო. მაგრამ ექვთიმე თაყაიშვილის ამ თხოვნას მაშინ არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. იმ ხომ დროს საბჭოთა სახელმწიფოში ისეთი პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობდა, რომ ქართული სამუზეუმო განძი არავის ახსოვდა. საფრანგეთში კი, კონფისკაციაქმნილი ქართული განძი შესანახად გადაეცა სახელმწიფო მოხელე მ. ჟოდონს, რომელთანაც ინახებოდა აგრეთვე რუსული ემიგრანტული ქონებაც. ამგვარად, ქართული განძი 1935 წლის აპრილიდან 1943 წლის დეკემბრის ჩათვლით ინახებოდა პარიზის ნაციონალურ ბანკში. 1944 წლის იანვარში კი, უსაფრთხოების მიზნით, ქართული საგანძურის ბანკიდან გადაიტანეს ვერსალის სამუზეუმო კომპლექსში და სათავსოებში შეინახეს.

რეალური ფაქტების კვლავ აღსანიშნავია, რომ 1944 წლის ოქტომბერში საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმ „მეტეხის“ დირექტორი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნევროკორესპონდენტი შალვა ამირანაშვილი იმყოფებოდა მოსკოვში, აკადემიის სამეცნიერო სესიაზე. აკადემიის ჯიხურში შექმნილი ერთ-ერთი ცენტრალური გაზეთიდან მან შეიტყო, რომ საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარე, გენერალი შარლ დე გოლი ვიზიტად ეწვეოდა მოსკოვს, საბჭოთა კავშირის უმაღლეს მთავარსარდალ ი. ბ. სტალინთან შესახვედრად.

ამ ინფორმაციამ ისტორიული ამოცანის გადაწყვეტის წინაშე დააყენა შალვა ამირანაშვილი. მისი მართებული მოსაზრებით, ქართველი ხალხის კუთვნილი საგანძურის საფრანგეთიდან საქართველოში დაბრუნების საკითხი საჭიროა დაისვას და გადაწყდეს საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის დიდერთა შეხვედრის დონეზე. აუცილებელი გახდა, ქართული ისტორიული განძეულობის საქართველოში გადმოტანის შესახებ სტალინი მოლაპარაკებოდა გენერალ შარლ დე გოლს. ამასთან ისიც იყო გასათვალისწინებელი, თუ რამდენად საფუძვლიანად მიიჩნევდა სტალინი მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებული საკითხების გვერდიგვერდ აღძრა საკითხი 1921 წელს საფრანგეთში გატანილი ქართული განძეულობის საქართველოში დაბრუნების შესახებ. მთავარი მაინც იყო ის, რომ ასეთი ხელსაყრელი მომენტი აღარასოდეს დადგებოდა.

შალვა ამირანაშვილმა გადაწყვიტა ესარგებლა შექმნილი მდგომარეობით და დახმარებისათვის პირდაპირ სტალინისათვის მიემართა. მითუმეტეს, გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ 1923 წელს, მოსკოვის სიძველეთსაცავში არსებულ მ. პ. ბოტკინის კოლექციიდან ქართული ისტორიული სამუზეუმო ნივთების ამოღება და საქართველოსათვის გადმოცემა სტალინის უშუალო ჩარევის შედეგად განხორციელდა. სასტუმრო „მოსკვას“ ერთ-ერთ ნომერში 1944 წლის 22 ოქტომბერს შალვა ამირანაშვილმა შეადგინა თხოვნა სტალინის სახელზე:

**საბჭოთა კავშირის უმაღლეს მთავარსარდალს აშხ. სტალინს იოსებ ბესარიონის-ძეს**

*გთხოვთ, საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარესთან გენერალ შარლ დე გოლთან შეხვედრის დროს აღძრათ საკითხი საქართველოდან 1921 წელს საფრანგეთში გატანილი ქართველი ერის საკუთრებაში არსებული სამუზეუმო განძეულობის სამშობლოში დაბრუნების შესახებ.*

*უღრმესი პატივისცემით ამირანაშვილი შალვა იასონის-ძე*

*საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნევროკორესპონდენტი, საქართველოს სსრ ხელოვნების მუზეუმ „მეტეხის“ დირექტორი*

ეს თხოვნა, შედგენილი ერთ ეგზემპლარად, მოთავსებული გახსნილ კონვერტში, ჩაიბარა კრემლის კომენდატურამ 1944 წლის 22 ოქტომბერს.

მამა ხშირად იგონებდა ამ ფაქტს და მიაჩნდა, რომ სწორედ ამიტომ მიანდეს მას საფრანგეთიდან ქართული სამუზეუმო განძის ჩამოტანის საქმე. ჩემი მხრიდან ისიც უნდა დავუმატო, რომ სხვა კანდიდატურა არც ჩანდა: შალვა ამირანაშვილი ხომ



შალვა ამირანაშვილი

ჯერ კიდევ სტუდენტობიდანვე ჩართული იყო სამუზეუმო საქმიანობაში და 20-იანი წლებიდანვე მეტად აქტიურად მონაწილეობდა ცარიზმის დროს რუსეთში გატანილი ქართული ისტორიული განძეულობის საქართველოში დაბრუნების საქმეში.

ემიგრანტად მყოფი ექვთიმე თაყაიშვილი 1944 წლის 23 ნოემბერს შეხვდა საბჭოთა კავშირის ელჩს საფრანგეთში ა. ვ. ბოგომოლოვს, რომელსაც გადასცა საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარის გენერალ შარლ დე გოლის სახელზე შედგენილი თხოვნა-წერილი: ქართველი ერის საგანძურის საფრანგეთის სახელმწიფო ბანკის მფლობელობიდან დახსნისა და საქართველოში გასაგზავნად მომზადების ხელშეწყობის შესახებ.

ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებლად, მასწავლებლის — ექვთიმე თაყაიშვილისა და მისი მოწაფის — შალვა ამირანაშვილის ისტორიული მნიშვნელობის მცდელობებმა სასურველი შედეგი გამოიღო.

1944 წლის დეკემბრის თვის პირველ დეკადაში მოსკოვში ვიზიტად იმყოფებოდა საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარე გენერალ შარლ დე გოლი, რომელიც პირადად ანარმოებდა მოლაპარაკებას საბჭოთა კავშირის უმაღლეს მთავარსარდალ სტალინთან.

სათანადო მოლაპარაკების შედეგად საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება, რომლის სრული ტექსტი გამოქვეყნდა 1944 წლის 19 დეკემბერს, გაზეთ „ნივესტიაში“.

„როგორც ეს ჩემთვის გახდა ცნობილი, — მესაუბრებოდა მამაჩემი, — საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა, მასთან შეხვედრის დროს სავსებით ნათლად დამიდასტურა, რომ იოსებ ვისსარიონოვიჩ სტალინი მისი თანდასწრებით ესაუბრა გენერალ შარლ დე გოლს, საფრანგეთში 1921 წელს გატანილი ქართველი ხალხის ეროვნული საგანძურის შესახებ და მიიღო მისგან დაპირება, აღნიშნული ქონების საქართველოში დაბრუნების შესახებ“.

აი რა იყო ქართული სამუზეუმო განძეულობის საფრანგეთიდან საქართველოში დაბრუნების ძირითადი საფუძველი!

ამგვარად, შარლ დე გოლის უშუალო განკარგულების თანახმად, საქართველოდან საფრანგეთში 1921 წელს გატანილი სამუზეუმო განძი, ყოველგვარი გამოსყიდვისა და გადასახადის გარეშე გადაეცა საბჭოთა კავშირის საელჩოს პარიზში, რაც მოხდა 1944 წლის დეკემბრის ბოლოს.

მამა ხშირად იგონებდა, რომ როდესაც ის და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების გამგე პეტრე შარია 1945 წლის იანვარს პარიზში ჩაფრინდნენ, სამუზეუმო განძი უკვე გადმოტანილი იყო საბჭოთა კავშირის საელჩოს შენობაში, ხოლო ექვთიმე თაყაიშვილი საბჭოთა კონსულის ბინაზე ცხოვრობდა.

საქართველოში დაბრუნების პერიპეტეიები კარგად არის ცნობილი და მას აღარ შეეხები. ხაზგასმით აღვნიშნავ მხოლოდ, რომ მთელი ემიგრაციის — 1921-1944 წლების — მანძილზე ექვთიმე თაყაიშვილს არცერთხელ უშუალო კონტაქტი არ ჰქონია საფრანგეთში გატანილ განძთან და ზოგიერთის მტკიცებით, თუ ის კოლექციიდან ერთ ნივთს მაინც გაყიდდა, ემიგრაციის წლებში მატერიალურად აღარ გაუჭირდებოდა, წმინდა წყლის ბლევია.

დასასრულ, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში დაბრუნებულმა ექვთიმე თაყაიშვილმა შექმნილი მთელი განძეულობის თვისი კუთვნილი კოლექციაც მიუმატა და ამის შედეგად აღმოჩნდა, რომ საქართველოს სამუზეუმო ფონდმა გაცილებით მეტი ექსპონატი მიიღო, ვიდრე მენშევიკებმა გაიტანეს.

**მინაწერი:** მამაჩემი იმასაც აღნიშნავდა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ მათ საფრანგეთში ყოფნისას ვალუტის უზომოდ დახარჯვის ნებართვა მისცა. მიმდინარე ომის გამო შექმნილი მძიმე დეგომარეობა ფრანგ ხალხს აიძულებდა, დასავლეთ ევროპული ხელოვნების ძვირფასი ნაწარმოებები დაბალ ფასებში გაეყიდა. მსურდა კიდევაც, იმპრესიონისტთა რამდენიმე შედევრი შეემძინა, მაგრამ ვალუტის გამოტანისათვის საბანკო ჩეკზე ორივეს ხელმოწერა იყო საჭირო. პეტრე შარია კი არაფრით არ დამთანხმდა: „ვალუტა ჩვენს ქვეყანას ესაჭიროება და უნდა გავუფრთხილდეთო“. მე კი მიმაჩნდა, და ახლაც ასე ვფიქრობ, რომ გვექონდა იმის კარგი შესაძლებლობა, ჩვენი მუზეუმები კიდევ რამდენიმე უნიკალური მხატვრული ნაწარმოებით გავვემდიდრებინა. სამწუხაროდ... და აღარ აგრძელებდა სიტყვას მამაჩემი — შალვა ამირანაშვილი.

როსტომ ჩხეიძე

# მუვიდობით, რევოლუციას!

სამეცნიერო წრეები ერქვა და... სინამდვილეში კი ეს სახელი საბურველი გახლდათ პოლიტიკური თავყრილობებისა, ხელისუფლებასა და ჟანდარმერიას ადვილად რომ ვერ მოეკიდა ხელი მონაწილეთათვის. მოხსენებოდათ, ცხადია, ამ შეკრებების ქეშმარიტი დანიშნულება, თვალყურსაც ადევნებდნენ და თავიანთი აგენტებიც ჰყავდათ შეგზავნილი, მაგრამ ეს წრეები არსებობით მაინც არსებობდა და ახალ-ახალ მომხრეებსაც იკრებდა.

რევაზ გაბაშვილს რა გააძლებინებდა, რომ ერთ ასეთ წრეში არ ჩაწერილიყო. და უსმენდა ათასგვარი ჯურის პოლიტიკოსს, რევოლუციურ ამბებს რომ გადმოშლიდნენ ხოლმე თავიანთ თეორიულ შეხედულებათა კვალობაზე.

თეორიულ განსჯა-ჩაგონებას აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა მისი ხორცმცხსმა ყოფით რეალობაში — უშუალოდ ამ „სამეცნიერო წრეების“ მიერ ორგანიზებული, თორემ ეროვნული დემონსტრაცია თუ მანიფესტაცია მანამდეც მომხდარიყო, ოღონდ ის უფრო დასაფლავებასთან დაკავშირებული, ვთქვათ, დიმიტრი ყიფიანისა თუ ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტების გადმოსვენებას რომ მოჰყვებოდა და პოლიტიკური ჟინითაც დაიმუხტებოდა.

ახალი ხანა დგებოდა და სახალხო გამოსვლებიც უნდა გახშირებულიყო, აღარ დალოდებოდნენ დაკრძალვის პროცესებს მღელვარებათა ასაგორებლად, გახშირებულიყო და, შესაფერისი გამოცდილების შეძენის კვალობაზე, საგრძნობლადაც შეერყია იმპერატორის ხელისუფლება, ვიდრე ყოველგვარ საყრდენს გამოაცლიდა.

1901 წელს გაიმართებოდა პირველი ასეთი დემონსტრაცია, რევაზიც მიიღებდა მონაწილეობას და საკუთარი თვალთ იხილავდა საშინელ ამბებს — როგორ დაეროდნენ ყაზახები დემონსტრანტებს და ულმობლად დაუშენდნენ მათრახებს, სულ თავპირს დაამტკვრედნენ.

ეს, თვრამეტი წლისა, ვერ მოითმენდა და მიაყვირებდა მრბევლთ:

— არა გრცხვენიათ, ტყვე-ხალხს თქვენ კიდევ სცემთ მათრახებს!..

დაამუნათებდათ!..

არადა, ერთი ყაზახი ძალიან ითაკილებდა ამ მკაცრ შემოყვირებას, ხმაღს იმიშვლებდა და შემოუქენვდა... კიდევ კარგი, ამ დროს ცხენი წაექცეოდა ქვაფენილზე, თორემ რევაზს თავის გახეთქვა — თუ მთლად მოკვებოდა — არ აცდებოდა. იდროვებდა და ისკუპებდა ალექსანდრეს ბაღში. ეს ბაღი დაიფარავდა გარდუვალი განსაცდელისაგან და, როდესაც კი მას ჩაუვლიდა ხოლმე გვერდით, გული ისე აუთრთოლდებოდა, თითქოს ესაა მფარველსა და მეგობარს შეყროდესო.

ეს რომ სოციალ-დემოკრატების მიერ გამართული აქცია იყო?

იმხანად რევაზ გაბაშვილი ამ გარემოებას დიდ მნიშვნელობას არ მიანიჭებდა, მთავარია, რომ საპროტესტო გამოსვლა გახლდათ. თანაც სოციალ-დემოკრატები სულაც არ აპირებდნენ უბრძოლველად გაცლას ყაზახ-რუსებისა და პოლიციელებისაგან — სოფლებიდან ბლომად ჩამოეზიდათ სარები და კეტები და ხელჩართულ დაპი-

\* თავი ბიოგრაფიული რომანიდან „ვითა სიზმარი ღამისა (რეზო გაბაშვილის ცხოვრების ქრონიკა)“

რისპირებასაც ამით აპირებდნენ. რას გახდებოდნენ იარაღის წინააღმდეგ? არ გაუბრუნდნენ ხალხის სისხლის დაღვრას, რადგანაც ეს გაცილებით უფრო დიდ გამოძახილს ჰპოვებდა იმპერიის შიგნითაც და დასავლეთშიც.

ერთი წლის შემდეგ დაასრულებდა გიმნაზიად გადაკეთებულ სათავადაზნაურო სკოლას და ელექტროტექნიკურ ინსტიტუტშიც ჩაირიცხებოდა ბელგიის ქალაქ ლიეჟში, სადაც სწავლა სწავლად და... უფრო კი რევოლუციური გამოსვლებისათვის ემზადებოდა. ამ გამოსვლებისათვის გადაეჯაჭვა მასაც და დიდძალ ქართველობასაც — თავიანთი მინა-წყალზე დარჩენილთ თუ რუსეთისა თუ დასავლეთის უმაღლეს სასწავლებლებში მიმოფანტულთ — საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენის ოცნება.

მთელი ქართველობა ვემზადებოდითო, — ასე გაიხსენებდა მოგვიანებით იმ ხანას, თუმცა ეს „მთელი“ გადაჭარბებულია და რევაზ გაბაშვილის სურვილს უფრო გამოხატავს, ვიდრე რეალობას. უბრალოდ, ვისთანაც მას უხდებოდა ურთიერთობა, ვის მხარდამხარაც სწავლობდა თუნდაც თოფის სროლას ბრიუსელში, შემდგომ კი უკვე ყუმბარებისა და ასაფეთქებელი მასალების დამზადებას, ყველა პატრიოტი გახლდათ და ამასაც ეს ადამიანები განუზოგადებინა, თორემ სოციალ-დემოკრატები ისევე იმპერატორის ხელისუფლებას მოითმენდნენ, ვიდრე საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოსი, როგორც ხელისშემშლელისა მსოფლიო რევოლუციის ხორცშესხმის გზაზე.

ჟენევაშიც, პარიზშიც, ლონდონშიც, ბრიუსელშიც და ლიეჟშიც ბევრი რუსეთის იმპერიიდან წამოსული არარუსი სტუდენტი სწავლობდა და განთქმული რევოლუციონერები სწორედ მათ დაიგულებდნენ თავიანთ აუდიტორიადაც და წევრებადაც მომავალ ბრძოლებში ხელისუფლების მოსაპოვებლად. ამიტომაც მიაწყდებოდნენ ყველა ბანაკის მემბოხენი ამ ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებს და მოხსენებას რომ მოხსენებაზე კითხულობდნენ, ორგანიზაციებსაც ადგენდნენ და... თავგზას უზნევენ ახალგაზრდობას თითქოსდა მათ კეთილდღეობაზე მზრუნველნი.

და რევაზ გაბაშვილი — მათემატიკურ საგნებთან ერთად და მათზე უკეთესად — აქ გაეცნობოდა ლენინსაც, ტროცკისაც, პლუხანოვსაც, მარტოვსაც, დანსაც და კიდევ სხვა ამით ჯურისათ, და მათ სახარებასაც — კარლ მარქსის „კაპიტალს“, „პოლიტიკურ ეკონომიას“, „კომუნისტურ მანიფესტს“ და სხვა დიდძალ ლიტერატურას: გაზეთებით („ისკრა“, „ნაციონალისტ-რევოლუციონერ“...), ბროშურებით, წიგნებითა და ზეპირსიტყვიერებით, როგორც მამამთავართა, ისე მათ მიმდევართა რეფერატებსა და დისკუსიაში რომ აისახებოდა.

ამ ზოგად სურათს ვერ იკმარებდა მემუარისტი. ბელეტრისტული უნარი უზიძგებდა სამი რევოლუციონერ-წინამძღოლის იმ მთავარ სახასიათო შტრიხთა გამოსაკვეთად, ასე რომ მოსუდებოდა იმ დღეების გახსენებას:

ლენინი — ჯუჯღუნა და მონღოლის ტიპის, ბოლშევიკი; ტროცკი — ცეცხლივით მჭევრმეტყველი და ლამაზი, მენშევიკი, რომელიც ერთუზიანობით აღაგზნებდა ხოლმე აუდიტორიას; პლუხანოვი — დარბაისელი, ცოდნითა და იუმორით სავსე, მენშევიკთა თეორეტიკოსი.

და თუ სხვანი რევაზის თვალში ერთმანეთისაგან დიდად არც განირჩეოდნენ, ერთი გარემოება მაინც განსაკუთრებით ჩარჩებოდა მესხიერებაში, ყველა ორატორი სიტყვას აუცილებლად ამ ფორმულით რომ ამთავრებდა: სამოდერნაჟიე შატაეტსა!..

და ალტკინებას კი სხვებზე არანაკლები მონდომებით ასდევდა, მაგრამ პოლიტიკურ გამოსვლათა ეს დამაგვირგვინებელი აკორდი მაინც აეჭვებდა: ნეტა რაზე ეტყობა რყევა ამ ვეშაპსო.

— თურმე კი...

გამოხდებოდა ხანი და თავის იმჟამინდელ განწყობილებას ირონიული მზერით გამოხედავდა: რა ჭკუა მქონდა თავში, რა მიმანდა ცხოვრების მიზნად, ნეტა ის მათემატიკური საგნები მესწავლა რაც შეიძლება სრულყოფილად და ამ დემაგოგებს არ ავყოლოდიო.

რას იზამ, რევაზ გაბაშვილისნაირები მოტყუებულებიყვნენ?!

და, აი, დიდი იმედოვნებით აღსაცხე დაბრუნდებოდა სამშობლოში 1905 წლის ზაფხულში, და სულაც არ აპირებდა მარტოდენ ორატორობითა თუ პუბლიცისტობით შემოფარგლულიყო, მხოლოდ იდეურ ხელმძღვანელთა შორის ეძებნა ადგილი, და სწორედაც იარაღით ხელში აპირებდა რევოლუციონერობას. აბა, თოფის სროლა თუ ყუმბარების აფეთქება მორალური სიმხნევისათვის კი არა სჭირდებოდა?! ეს სიმხნევე ისედაც მოჭარბებული ჰქონდა.

პოლიტიკური არჩევანი იმთავითვე განესაზღვრა, მაგრამ პირწმინდად ეროვნული პარტია იმჟამად არ არსებობდა... და რას წარმოიდგენდა, რომ თვითონ მოუწევდა მისი დაფუძნება. იმ ორად ორი პარტიიდან კი ისევე ფედერალისტებთან მიკედლებას ამჯობინებდა, რადგანაც, დემოკრატიის მიუხედავად, ასე თუ ისე ეროვნულ მისწრაფებებსაც ამჟღავნებდნენ, სოციალ-დემოკრატებს კი როგორ ნდობოდა, როდესაც ისინი უპირველესად ემსახურებოდნენ რუსეთის დემოკრატიას.

— ეს იყო ჩემი პირველი პოლიტიკური გამოსვლა... ოღონდ დასძენდა: აქტიური გამოსვლაო. მონაწილეობა აკი მანამდეც მიელოდა კინალამაც შესწირვოდა იმ დემონსტრაციას, მაგრამ სად ის და სად ეს — სულიერად და ხორციელად რომ ჩაბმულიყო თვითონ სამზადისშიც, მითუმეტეს, ის საპროტესტო გამოსვლა ხელისუფლებაზე უარეს პოლიტიკურ ძალებს უხსნიდა გზას, უარეს მეხთატეხას რომ უმზადებდა საქართველოსაც, ვიდრე თავისთავად სამშიც და სამინელიც, მაგრამ უფრო მოზოხინე და ფრთხილი მმართველობა გახლდათ იმპერატორისა და მისი სამეფო კარისა.

რალა დროს ელექტრო-ინჟინრობა იყო, მთელი არსებით მოისწრაფოდა აქეთ რევაზ გაბაშვილი, არიქა, უჩემოდ არ აღიმართოს ტფილისის თავზე თავისუფლების ბაირადიო. ეს ილუზიები მარტო მას არა ჰქონია, ის 1905 წლის მღელვარება, ერთბაშად რომ მოიგუდებოდა და ამ გადასახედიდან დიდად სახიფათოდაც არ გამოიყურება სახელმწიფო გადატრიალების თვალსაზრისით, იმჟამინდელი განწყობილებით სწორედაც გადატრიალების ზღურბლზე იდგა და, საიმპერატორო კარი ამ რეალობას რომ გააცნობიერებდა, ამიტომაც არამარტო სასტიკად გაუსწორებოდა დემონსტრანტებს, ჩახშობილი ამბოხის შემდეგაც არ მოეშვებოდა რევოლუციონერებს და ისე გაამკაცრებდა პოლიტიკას, ზოგს ციხე-გადასახლებაში გამოკეტავდა და ზოგსაც ემიგრაციაში მიმოფანტავდა, ისე, რომ კარგა ხანს ჩამიჩუმიც აღარ იქნებოდა მღელვარებისა.

გამოძახილი კი დიდი მოჰყვებოდა 905-ის იმ საპროტესტო გამოსვლას, ფედერალისტები და სოციალ-დემოკრატები ერთად დგომას რომ ამჯობინებდნენ, დროებით, მაგრამ მაინც... და ეს გამოძახილი სწორედ იმისაა, გაცილებით დიდი განზ-



რევაზ გაბაშვილი



რახვა რომ ჩაიკლა იმ წუთას, ვიდრე მმართველობის სტილის შემსუბუქება.

აგონიური ამიტომაც აღმოჩნდებოდა ის ხანა მეფის ხელი-სუფლებისათვის.

გარეგნულად — ყველაფერი მათ სასარგებლოდ მოთავე-ბულიყო.

და სახელმწიფო საბჭოსა და სათათბიროს შექმნაც მოჩვენებითი დათმობა უფრო გახლდათ, სამონყალოდ გადმოგდებულ ლუკმა, უღონო ოპოზიციის ერთგვარი შებრალება ძალის პოზიციიდან... მაგრამ სინამდვილეში ეს ძალა ისე შერყეულიყო, ჰა, ათი-თორმეტი წელიდა გაეძლო, თხუთმეტი თქვი, თუ გინდა... და კიდევ ჩამოიქცეოდა იმპერიის მტკიცედ ნაგები კედლები სწორედ ამ ვადაში, გარეგნულად — სრულიად მოულოდნელად, მაგრამ ფარული პროცესები წარმართავდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მდინარებას და ის გარეგნული მოულოდნელობა ამ პროცესთა საგვებით ბუნებრივი დაგვირგვინება გახლდათ.

ეს ილუზიები მართო მას არა ჰქონიაო...

და უეცრად გაფანტული ილუზიები, ხელისუფლება ჯერ კიდევ მკვიდრად დგას და ამ წუთას ხელდახელ ბრძოლის გაგრძელებას არავითარი აზრი არა აქვსო, რევაზ გაბაშვილსაც კვლავ დასავლეთში გააქცევდა, რათა ხელახალი სამზადისის თავგამოდებული მონაწილეც ყოფილიყო და ის სამზადისი უკვე სწეოდა სანადელს.

ფედერალისტებს მიკედლებული უკვე მათი დავალებებითა და ღირებულებებით იმოქმედებდა, თუმც ამ პარტიის სტრუქტურაში მაინცდამაინც ვერ გაერკვეოდა და მთავარი ხელმძღვანელი გიორგი დეკანოზიშვილი ეგონებოდა, უშუალო ურთიერთობა ვისთანაც გაიბმოდა. ერთ-ერთ ლიდერთან უდავოდ, უიმი-სოდ არცერთი საქმე რომ არ გადაწყდებოდა — საგამომცემლო-ჟურნალისტური თუ იარაღის შემოტანისა, მაგრამ თვითონ გიორგიც და სხვა მოთავენიც ფედერალისტურ-დემოკრატიული პარტიისა არჩილ ჯორჯაძეს აღიარებდნენ მთავარ იდეოლოგად და ერთპიროვნულ ხელმძღვანელად, და ყველა ის ინსტრუქცია, რომელსაც რევაზ გაბაშვილი გიორგი დეკანოზიშვილისაგან მიიღებდა, არჩილ ჯორჯაძესთანაც იქნებოდა შეთანხმებული, და არამარტო შეთანხმებული, უშუალოდ მის მიერ შემუშავებული კონცეფციისა და გეგმის კვალობაზე გამართული.

პარიზში დიდხანს ისედაც არ დაუდგებოდა გული და, მი-თუმეტეს, პარტიაც უკან ჩამობრუნებას ავალბებდა, რევაზ გა-ბაშვილი კვლავ აქეთ იზამდა პირს, მაგრამ ტფილისში დაბი-ნავეებს კი მოერიდებოდა, რადგანაც დედას შეეთავალა: შენზე ძებნა გამოცხადებული.

შირინკის დაებარებინა ეკატერინე გაბაშვილი, მთავარ-მართებელ ვორონცოვ-დაშკოვის მარჯვენა ხელს, და გა-ნეცხადებინა:

— შენი შვილი ჩამოსაკიდებელი გვყავდა, მაგრამ გაგვიფ-რინდა და ბუმბულიდა შეგვრჩა ხელთ.

მუქარაც იყო და დაპირებაც, თავისას თუ არ მოიშლის, ყო-ველთვის მას კი არ გაუმართლებს, თანაც იცოდეს, უბრალო სასჯელს არ ვაკმარებთ, მწარედ ვანანებთ ამ კადნიერებასო.

ეკატერინეს ჯერ იმაზე უნუხდა გული, რეზო ქალებით გა-ტაცებას არ შეენიროს, ვილაცამ არ ჩამიკლასო, და ახლა პო-ლიტიკური დევნის გამოცხადებაც დაემატებოდა მის შიშსა და შფოთვისა, თანაც ერთი უმაღლესი მოხელის მიერ ასე შეუვა-ლად გამოთქმული, შენს ავტორიტეტსა და დამსახურებასაც არავითარ ანგარიშს არ გაუუნვეთო, ამას რომ გულისხმობდა.

რაკილა ტფილისში არ ჩამოესვლებოდა, ბაქოს მიაკითხავ-და და ნავთის ქარხანაში დაიწყებდა სამსახურს — მუხთა-როვთან, საინჟინრო საქმეები რომ ჩაბარდებოდა.

ავტობიოგრაფიულ რომანში ამ ეპიზოდამდე მისვლისას რევაზ გაბაშვილს უეცრად მოუნდებოდა შორეული გადასა-ხედიდან ერთმანეთისათვის შეედარებინა მეფისა და ბოლშე-ვიკურ-კომუნისტური რეჟიმები.

ბაქოში საკუთარი გვარ-სახელით ცხოვრობდა და კაციშვი-ლი ხელს არ ახლებდა — არავითარი კონსპირაცია არ დასჭირ-დებოდა. ტფილისში ჩამოკიდება ემუქრებოდა, ბაქოში კი ისე უშფოთველად მიედინებოდა მისი ყოფა, ვითომც არაფერი.

ასეთი რამ ბოლშევიკების ჟამს წარმოიდგინეთ!..

და, აბა, ისიც წარმოიდგინეთ, კაცი ძებნილი ყოფილიყო, მას კი უმაღლეს სასწავლებელში ჩაებარებინა გამოცდები და კიდევ ჩარიცხულიყო!..

რევაზ გაბაშვილი სწორედაც ასე მოიქცეოდა — პეტერ-ბურგის უნივერსიტეტს მიაკითხავდა რევოლუციის ორი წლისთავზე და... მიიღებდნენ, ბელგიურ სემესტრებსაც ჩა-უთვლიდნენ და პირდაპირ მეორე კურსზე დასვამდნენ ფიზი-კო-მათემატიკური ფაკულტეტის ქიმიის განყოფილებისა.

თავიდან უნივერსიტეტი თავშესაფრადაც სჭირდებოდა ფარული რევოლუციური საქმიანობისათვის და მართლა პროფესიის შესაძენადაც — აბა, დამოუკიდებელ ქვეყანაში ხომ არ დაინგებდა ხელობაზე ფიქრს ან ქრონიკულ რევოლუ-ციონერად ხომ არ დარჩებოდა?!

მაგრამ თანდათან მის მსოფლგანცდას მკვეთრი ცვლილე-ბა უნდა განეტადა და რევოლუციაზე სულაც გული აყროდა. რაც თავისი ცხოვრების წესად წარმოედგინა და დიდი მონ-დომებითაც იწრებოდა თავს საამისოდ, უეცრად გაუფასურ-დებოდა მის თვალში.

თვითონ ნაციონალ-რევოლუციონერად ესახებოდა თავი და არა ინტერნაციონალ-რევოლუციონერად. პოლიტიკური პროცესები ისე მიედინებოდა, ინტერნაციონალები უფრო ეუფლებოდნენ საზოგადოებრივ ცნობიერებას, ისინი უფრო წარმართავდნენ ხალხის გულსთქმას ყალბი, მოჩვენებითი, მაგრამ ბრჭყვიალა შეხედულებებითა და ლოზუნგებით — რუსეთში სოციალისტურ დოქტრინას იმპერიის მოდერნიზე-ბის მიზანი უნდა აღესრულებინა, მესიანისტური მისწრაფება ახლა ამ პოლიტიკურ მოძრაობას აეკვროდა და შოვინიზმი და იმპერიალიზმი კაცთმოყვარეობის ნიღაბს მოირგებდა; სა-ქართველოში კი ეს დოქტრინა ქრისტიანული მოძღვრების თავისებურ ადაპტაციად გამოჩნდებოდა, მის გახალხურე-ბულ ვერსიად და ამიტომაც მოიგებდა უამრავი ადამიანის გულს, მომხრეები სულ უფრო და უფრო რომ ემატებოდა. ზუ-რავ ავალიშვილს მოგვიანებით თეორიულად უნდა გაეაზრე-ბინა ეს მოვლენა — სოციალიზმის დამკვიდრების იდეური და პრაქტიკული ნაწინამძღვრები საქართველოში, და ძალდაუტა-ნებლად ამოიჩენოდა თვალწინ ის ფესვი, რომელიც ამ ღვთის-მებრძოლ მოძრაობას სწორედაც ქრისტიანულ მოძღვრებაში ედგა, მისით საზრდოობდა, ოღონდ ანდაზის პერსონაჟი ობ-ლის კვალობაზე თავისი გამზრდელის დახრჩობას იქადაგა.

იქადაგა და... არცთუ უძალოდ!..

რევაზ გაბაშვილს იმხანად ასე ღრმად გააზრება არ შეეძლო ამ პროცესებისა, და თუმც ალლოთი გრძნობდა მარქსიზმის მოძღვრების ფსიქოლოგიურ საწყისსაც და გარდუვალობა-საც, უფრო მაინც ის აფიქრებდა, რომ კოსმოპოლიტი რევო-ლუციონერები კიდევ უფრო უარესები იყვნენ, ვიდრე ისინი, ვისაც რევაზიც დაპირისპირებოდა და თავი არ ეზოგებოდა, ოღონდაც იმპერატორის ხელისუფლება დამსობილი ენახა.

მაგრამ თუკი ამ მმართველობის ნანგრევებზე გაცილებით უფრო სამშობო პოლიტიკური ძალები მოვიდოდნენ?..

მამინე... მამინე რაღა?!

რა კარგი იყო მიაბიტური ფიქრი და ოცნება, ამ დიდ სა-ხალხო მღელვარებას სოციალური ბრძოლიდან ეროვნულ ბრძოლაში გადავზრდით და მარქსისტებს დაე თავშიც ქვა უხ-ლიათ, ჩვენ კი ამასობაში გამოვგლეჯთ იმპერიას ხელიდან საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობასო.

რევაზ გაბაშვილი კი არა, ამ ოცნებას თვით ვაჟა-ფშაველა აპყლოდა და ხელისგანვდენაზე ეგულებოდა ნაოცნებარი სახელმწიფოებრიობა, ოღონდაც ცოტა თვითონაც უნდა გარ-ჯილიყო და საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთი ნაპოქმა-

ლა, რაც ოდნავადაც არ ექვევებოდა თავისი დიდი ზეგავლენით გულმოცემულს, და გონების თვალს მიმოატარებდა გარშემო, სხვა კუთხეებს ვინ შემომამშველებსო.

და მხოლოდ მაშინ გააცნობიერებდა ამგვარი ფიქრისა და სწრაფვის გულბრწყინობას, როდესაც რევოლუციური გამოსვლები ილია ჭავჭავაძის იმსხვერპლებდა.

ეს გახლდათ არა რალაც უცნაურობა და მოულოდნელობა, არამედ სავესებით ბუნებრივი ეპიზოდი — თავისთავად გრანდიოზული ეპიზოდი — იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესისა, ვაჟაც იმედინად რომ შეჰყურებდა... და უეცრად უნდა გაცხადებულყო რევოლუციის შემზარავი ბუნებაც და სრული შეუთავსებლობაც ეროვნულ იდეალებთან. და ვაჟა-ფშაველა თავზარდაცემული გამოეცლებოდა გუშინდელ აღტკინებასა და თავისი ოცნებისა და მისწრაფების გადაჯაჭვას რევოლუციასთან, რომელსაც დაუფარავად მიიჩნევდა... დანაშაულებრივ მოვლენად; დიახ, სწორედაც ასეთ მოვლენად, რომელიც ეროვნული სახელმწიფოს აღდგენას ნაშეველებოდა კი არა, სრულიად ჩაკლავდა და გაანიორწყლებდა, თუკი ძალაუფლებას იგდებდა ხელთ.

რევან გაბაშვილიც უსათუოდ წინამურის ტრაგედიას უნდა გამოერკვია ილუზიებიდან და დაუბინდავი მზერით მიმოეხედებინა ირგვლივ.

მერე რა, რომ ასე პირდაპირ ეს არსად აღუნიშნავს. სამაგიეროდ, ეს ხომ ხშირად განუცხადებია, ილიას სახება რომ ასდევნებოდა ბავშვობიდანვე და მის მიმდევრადაც ჯერ კიდევ როდის ჩამოყალიბებულიყო, და არანაკლები ფანატიზმით აღვსილი, ვიდრე ეკატერინე გაბაშვილი, თავისი თაყვანება ილიასადმი სულაც მორწმუნეობასთან რომ გაეიგივებინა.

ილია შთააგონებდა რევან გაბაშვილის ყოველ ნაბიჯსაც. და ამჯერადაც რას შეიძლება გამოეწვია ასეთი მკვეთრი ცვლილება მის მსოფლგანცდაში — რევოლუციონერობიდან რევოლუციის მონინააღმდეგედ — თუ არა ავი ბედისწერის იმ შემზარავ ჩარევას იმჟამინდელ ქართულ სინამდვილეში, ილიას მსხვერპლმწიფრით დაღდასმულის.

ვისთვის დაღდასმულის და ვისთვის... დიდად სასიხარულოსიც, ვალიკო ჯუღელი საჯაროდ გაცხადების უფლებასაც რომ მისცემდა თავს პეტრობურგის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს წრეში და, ცხადია, რუსულად, რაკილა — როგორც სოციალ-დემოკრატს — ძალიანაც ეთაჟღერებოდა თავისი ქართველობა:

— ხეს რომ ჭრიან, ნაფოტები ცვივა.

აი, რევოლუციის არსიც და გამართლებაც!..

აი, ილია ჭავჭავაძის სახება და ღვანლი სოციალ-დემოკრატთა წარმოდგენაში.

„მაშინვე ბოლშევიკიო“, ასე მოიხსენიებდა მას რევან გაბაშვილი, და თუმცა ვალიკო მენშევიკობაზე სდებდა თავს, ეს „მაშინვე“ ყველაფერს ძალზე მარჯვედ და ლაკონიურად ათვალსაჩინოებს, ერთი პარტიის ამ ორ ფრთას, მიუხედავად შეურიგებლობისა ძალაუფლების გაყოფისას, სულიერი და იდეური ძმობა ყოველთვის ჰკრავდა ეროვნული იდეალებისა და აზროვნების წინააღმდეგ.

— კინალამ გავგლიჯეთ...  
როგორ აპატიებდნენ ამ ცინიკურ გამონათქვამს და თანაც მგლოვიარების წუთებში, და „კინალამ გამგლეჯთა“ შორის ერთი უპირველესთაგანი უთუოდ რევან გაბაშვილიც იქნებოდა, ეს მკაცრი შემოტევა კი, სავესებით მოსალოდნელია, სათვისტომოში შეყრილ მარქსისტებსა თუ თელ ამ დღის ხელზე დაეხვია და ბრალადაც დაედო ეროვნული სულისკვეთების პიროვნებებისათვის აგრესიულობაც და განსხვავებული აზრის მიმართ შეუწყნარებლობაც, რაც სრულიად მიუღებელი გახლდათ დემოკრატიული საზოგადოებისათვის, რომლის დამყარებასაც აღთქმულ ქვეყანასავით პირდებოდნენ ხალხს: როდესაც ჩვენ მოვალთ მმართველობის სათავეში, და უეჭველად მოვალთ ადრე თუ გვიან, ყველასათვის თვალსაჩინო შეიქნება აზროვნების თავისუფლებაც და პატივისცემაც განსხვავებული შეხედულებების მიმართო. ამათსავით კი არ

მოიტყუოდნენ, ვალიკო ჯუღელს საკუთარი აზრის გამოთქმა რომ არ აპატიეს, სრულიად უწყინარი შეხედულების, რომელიც, თუკი ჩაუკვირდებოდი, აფორიზმივით გაისმოდა.

ვაი და ვაგლახ!..

იქ, სათვისტომოს კრებაზე ჩაიქოლებოდა ეს აზრი?

ყველგან ხომ ვეღარ განვდებოდნენ ჩამქოლავნი, და ამიტომაც სიმღერასავით გააბამდნენ სოციალ-დემოკრატები და ისეთი ეშხით იმეორებდნენ: ხეს რომ ჭრიან, ნაფოტები ცვივაო, — აჰა და აქ გადაწყდა ჩვენი გახელისუფლების ბედიო!..

ყველა მენშევიკი და ბოლშევიკი მოვალედ მიიჩნევდა თავს, ეს ლამის მაგიურ ფორმულად გარდასახული ფრაზა ემეორებინა და ემეორებინა, და თვით მათი წინამძღოლი ნოე ჟორდანიაც არ გამოაკლდებოდა ამ სიას, ის კი არა, სულაც თვითონ დაიჩემებდა მის მოფიქრებას, და კიდევც მიაღწევდა მიზანს, რაკილა პუბლიცისტობასა და ორატორობას ყველაზე მეტი პოპულარობა მოეპოვებინა მისთვის თანამოაზრეთა წრეში... და ვალიკო ჯუღელიც კმაყოფილი გადაულოცავდა იმ ანდაზის პირველმთქმელობას, გახარებული, ვის-ვის და თვით ნოეს მოსწონებია ჩემი უეცარი წამოძახილიო.

რევან გაბაშვილისათვის ამ „წვეთში“ ქვეყნის ყოფითი სინამდვილე აირეკლებოდა თავით ბოლომდე და სხვათათვის სათვალსაჩინოდაც უკეთესი მაგალითი რა უნდა მოხმობილიყო:

— და, აი, ბედი საქართველოსი. სწორედ ესენი იყვნენ შემდეგ მისი — „მთავარსარდალი“ და „მთავრობის თავმჯდომარე“, კარგი რა გამოსულა ამათ ხელიდან, საქართველოს კარგი რა დაეყრებოდა.

აი, ბედი საქართველოსიო...  
სამსონ ფირცხალავაც იმ დღეს იქ იმყოფებოდა, სათვისტომოს იმ კრებაზე, და გაოგნებულ სტატისა — „ვინ მოჰკლა ილია?“ — მოინერებოდა გაზეთ „ისრის“ რედაქციაში, 1907 წლის 10 ოქტომბრის ნომრის წყალობით ხელმისაწვდომი რომ განდებოდა მკითხველისათვის და... თვალნათლივი შეიქნებოდა თუ რომელი პოლიტიკური ძალა იდგა წინამურის ტრაგედიის უკან, უშუალო შემსრულებლებად, თორემ იდეურად რომ მოემზადებინათ ერის მამის მკვლელობა, ეს სამზადისი და პროცესი ხომ საუქტაკლივით გათამაშებულიყო საქვეყნო ავანსცენაზე.

იმ წელს ახალაა გამართულიყო პეტრობურგის უნივერსიტეტში სათვისტომოს კრება და ამიტომაც ერთი სტუდენტი (ვინაოზა დაფარული დარჩებოდა) წინადადებით მიმართავდა დამსწრეთ, ფეხზე ადგომით ეცათ პატივი ილია ჭავჭავაძის ხსოვნისათვის, სამშობლოში კი დეპეშა გამოეგზავნათ ამ მკვლელობის დასაგმობად. ექვიც არ შეეპარებოდა, რომ გადაწყვეტილება ერთსულოვანი იქნებოდა, რადგანაც როგორ შეიძლება ადამიანს, ვისაც პირმინდად არ გარყვნოდა გული და გონება, მხარი არ დაეჭირა ამ იდეისათვის.

თურმე... ყველაფერი გახლდათ მოსალოდნელი, ისეთი ადამიანები მოტივირებდნენ მაღლა და მაღლა და საგრძნობ ზეგავლენასაც ახდენდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესზე, რომელსაც მალე ერთიანად იგდებდნენ ხელთ და თავის ნებაზეც დაატრიალებდნენ.

სამოცდათორმეტი სტუდენტი ესწრებოდა იმ თავყრილობას და... მათგან ოცდათხუთმეტი გააპროტესტებდა ამ სურვილს, ეგ საკამათო საგანიაო:

— ჯერ უნდა ვითათბიროთ და მერე გადაწყვიტეთ ღირსია თუ არა ილიას სიკვდილი იმისა, რომ მწუხარება გამოვთქვათ ან საზოგადოდ შევეხოთ მაგ საგანს.

მართლა კამათი არ გაიმართებოდა?!

და დიდი დავიდარაბისა და ვაივავლახის შემდგომ კრება კი მიაღწევდა დეპეშის შედგენასაც და მისი შინაარსის დადასტურებასაც, მაგრამ არა ერთხმად, რადგანაც დისპუტისას არც ამის თქმას მორიდებია: ილიას მოკვლა რევოლუციური აქტია, იგი, როგორც მემამულე, დიახაც მოსაკლავი იყო... და სხვა, არანაკლებ „დამარწმუნებელ“ არგუმენტებსაც მოიშველიებდნენ ამ სისხლიანი აქციის გასამართლებლად.

დეპუტატს მარტოდენ 45 სტუდენტი მისცემდა ხმას. ორი აშკარად აღუდგებოდა წინ.

და 39 კი „გაჩუმებას“ ამჯობინებდა, თუმც ეს გაჩუმება რასაც ნიშნავს, არც მაშინ დაფარულა და ახლაც ცხადზე ცხადია. ხეს რომ ჭრიან, ნაფოტები ცვივაო...

აი, ბედი საქართველოსიო...

რა გამოდიოდა — სულ რამდენიმე ხმით ნააჭარბებდნენ დეპუტატის შემდგენელნი მისი გამოგზავნის მოწინააღმდეგეთ, კამათამდელი 35 ხმა აზრთა შეხლა-შემოხლის შემდეგ აგერ 41-მდეც გაზრდილიყო... და გიხარია, დისპუტი კიდევ რომ არ გაგრძელდა, თორემ, ვინ იცის, სრულიად შეტრიალებულიყო ვითარება და ილიას პატივისმცემელნი სულაც უმცირესობაში აღმოჩენილიყვნენ. და ახლა მაინც პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს სახელით რომ გამოიგზავნებოდა სამგლოვიარო დეპუტატი, ვითარების შეტრიალების მერე რამდენიმე სტუდენტის პირად მოწადინებდა გამოჩენილიყო.

და სამსონ ფირცხალავა თავის მხრივ ანათემას გადასცემდა იმ 41 სტუდენტს, ასე „ღრმად ჩახედულთ ცხოვრებაში“, და იმ მოძღვრების მიმდევართ:

— რომელიც გონებას უხშობს ადამიანს.

ნეტა რა ეგონათ ამ საბრალოთ, სასაცილოთ და უმსგავსოთ, გულით ღატაკთ და სულით დაცემულთ?

— ნუთუ მართლა ფიქრობდნენ დაამცირებდნენ და დავიწყებას მისცემდნენ სახებასა და საქმეთ იმ კაცისა, რომელიც მთელი ქართველი ხალხის, მთელი კაცობრიობის, მთელი ისტორიის გულში ალბეტილიყო? და ბაიბურშიც არ იყვნენ, რომ ილიას უპირველესად თავისი განბრძელი იცავდა, თავისი ოთარანთ ქვრივი, განდევნილი, გუთინის დედა, მუშა და კაცია-ადამიანი!..

რაო, ილია მემამულე იყო?...?

— განა ტოლსტოი მემამულე არაა? განა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ერთი მეთაურთაგანი ზინგერი მილიონების პატრონი არაა? არ მოგწონდათ ილიას პოლიტიკური შეხედულება? მერე განა განსვენებული გოგოლისა და დოსტოევსკის მსგავსი მონარქისტი და აბსოლუტისტი იყო.

სხვათა შორის, ამავე კუთხითა და ამავე თვალსაზრისით შეუპირისპირებდა ერთმეორეს ილია ჭავჭავაძესა და ნიკოლაი გოგოლს მხიელ ჯავახიშვილიც 1924 წლის უბის წიგნაკში:

— გოგოლი თურმე „ოხრანკა“-ში მუშაობდა. დღესაც მას უდიდეს პატივს სცემენ, ილია ჭავჭავაძეს კი მარხავენ.

როგორ არ დანყვეტოდა გული თუნდაც ასეთი ტენდენციურობის მხილველ „ჯაყოს ხიზნების“ შემოქმედს, წვეთში რეალობის დრამატიზმი მთელი სიმწვავეით რომ ირეკლებოდა.

რევან გაბაშვილსაც როგორ არ დანყვეტოდა გული: რა-ღაცისა მაინც მოერიდოთო!..

ეჰ, მორიდებოდით კი არა.

რუსულ შოკინიზმს ყველთვის უნდა ეჩინა თავი, მათ შორის, მწერალთა და მოღვაწეთა შეფასების დროსაც.

თავისას ყველაფერს უნდა მოფრთხილებოდნენ — თვით გაგულისების ჟამსაც.

შენი კი ყოველივე უნდა გაექარწყლებინათ, სადამდეც ხელი მიუწვდებოდათ, საამისოდ კი საბაბს მუდამ მოგინახავდნენ.

შენ დაე შეგეხსენებინა ტოლსტოიც, გოგოლიც, დოსტოევსკიც...

სავსებით დამარწმუნებელი არგუმენტებია წრფელი კამათისას, მაგრამ პარტიული ეგოიზმითა და მარქსისტული დოქტრინით დაბანგული ახალგაზრდების გონებაში განა ასე იოლად შეაღწევდა გულმართალი განსჯა?!

„აღდგომის“ შემოქმედს რევან გაბაშვილიც ამავე კონტექსტში მოიხსენიებდა მოგვიანებით: მართალია, რუსეთშიც იყვნენ ბოლშევიკებიც და მენშევიკებიც, მაგრამ ტოლსტოი კი არავის მოუკლავს, თავისით გარდაიცვალა, ჩვენში კი ილია ჭავჭავაძე მოკლესო.

რას ნარმოიდგენდა, რომ ტოლსტოის სახელი საბედისწეროდ გადაექცეოდა.

ის შინიდან რომ გაიქცეოდა და სადღაც სადგურზე აღესრულებოდა, ამ უჩვეულო ამბებს დიდი გამოძახილი მოჰყვებოდა რუსეთშიც და დასავლეთშიც. პროტესტის ნიშნად ილტვოდაო, ორწმუნებოდნენ მისი მოთაყვანენი, თუმც რას უცხადებდა პროტესტს, რა ედო სარჩულად მის ამ იდუმალებით შეფერილ სიკვდილს, დანამდვილებით ვერავის ვერაფერი გავიგო. თუმც ამდენი აღარც უფიქრიათ და აღიაქოთი და განგაში ნალეკავდა მთელ რუსეთს და დადგებოდა ხანმოკლე ჟამი, რომელიც ტოლსტოის დღეების სახელით შევიდოდა საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ლიტერატურის ისტორიაში.

სტუდენტობაც გაიფიცებოდა, ოღონდ მხოლოდ პირველი და მეორე კურსისა, დემონსტრაციებს გამართავდნენ, მყრალ ყუმბარებს დაყრიდნენ აუდიტორიებში და არაფერს მოერიდებოდნენ, რასაც კი არუულობის გამოწვევა და გაღრმავება შეეძლო. ზემო კურსის სტუდენტები თითქმის არ მოხანილევოდნენ ამ მღელვარებაში, რევან გაბაშვილს კი სასაცილოდაც არა ყოფნიდა, მე ხომ უკვე გამოხსნილი ვარ ასეთ ამბებსო, და ისე გულმოდგინედ განაგრძობდა სწავლას, თითქოს ირგვლივ სრული სინყნარე ყოფილიყოს გამეფებული.

მაგრამ ბედი სხვაგვარად სჯიდა და არც მას დაანებებდა ამ არჩევანს.

არადა, თითქოსდა რა — ნაბეჭდი ლექციის გამოსატანად შევიდოდა შენობაში. მაგრამ — ბედი არ გინდა? — მაინცდამაინც მაშინ შეაბიჯებდა, როდესაც უმცროს სტუდენტებს, ესენი ბავშვებს რომ ეძახდნენ, კიდევ ერთი აუდიტორია აეწყობებინათ. რექტორი აღარ მოითმენდა ამ დაუსრულებელ აღიაქოთსა და უნივერსიტეტის ყირაზე დაყენებას და, რაკილა არც შეგონებას გაეჭრა და აღარც მუქარას, პოლიციას გამოიძახებდა.

პოლიცია ალყას შემოართყამდა უნივერსიტეტს, შეიჭრებოდა შიგნით და... შეპყრობილთა შორის რევანიც მოჰყვებოდა. მერე რა, რომ არც ამ ბავშვურ მოქმედებასთან და არც ტოლსტოურ წინააღმდეგობის მოძრაობასთან არაფერი აკავშირებდა, ყურს ვინ დაუგდებდა ან იმ წუთსა და ამ მოვგვიანებით, როდესაც სასჯელსაც აპკიდებდნენ.

27 კაცს ერთრიგად შემოერთყმოდა 30 პოლიციელი, მეორე რიგად — ამდენივე ყაზახი, თითქოს რაღაც დიდი დამნაშავენი ეგდოთ ხელთ, და წაასხამდნენ სპასკოეს საპოლიციო უბანში. 27-ივე მხიარულად მიდიოდა და უფრო სასაცილო კი ის აღმოჩნდებოდა, რომ პოლიციელთა ორ რკალს გარედან ქალი, კაცი და აუარება სტუდენტობა აეკიდებოდა, ამათ, დატუსაღებულთ, განუწყვეტელი ელაპარაკებოდნენ და ამხნევედნენ, წესრიგის დამცველებს კი დასცინოდნენ.

— საუბედუროდ, ეს „მხიარულება“ ჩემთვის და კიდევ ორ უფროს სტუდენტისათვის ცუდად გათავდა, რადგან ვერაფრით ვერ დაუმტკიცეთ ადმინისტრაციას, რომ არაფერ შუაში ვიყავით და სხვებზედ უარესად მოგვეცქინენ...

ეტყობა, მოთავეებად ესენი მიიჩნიეს, თორემ, აბა, „ბავშვები“ თავისით ხომ არ აიკლებდნენ მშობლიური უნივერსიტეტის შენობას?! მიიჩნიეს და... სხვადასხვა ციხეში გადაყვანილებს მხოლოდ სამთვენახევრის შემდეგ გამოუშვებდნენ, თანაც — უნივერსიტეტში აღდგენის უფლების გარეშე.

ასე დააკარგვინებდნენ სამი წლის შრომას.

ლიეჟს საკუთარი ნებით მიატოვებდა რევოლუციის ცეცხლში გადასაშვებად, პეტერბურგს კი ძალით დაატოვებინებდნენ, რათა კვლავ იქით, რევოლუციისაკენ ეკრათ თავი მისთვის.

ტოლსტოური დღეების ხმაური საქართველოშიც ჩამოთასმენასაც. მიიმე ავადმყოფი რომ არა ყოფილიყო, აქ რა გააჩერებდა, მაშინვე რუსეთს მიაშურებდა ამ მღელვარებაში მოხანილევობისათვის. კარგა ხნის გამოთხოვებული გახლდათ ტოლსტოის მოძღვრებასაც და მის იდეალებსაც, ირონიული ღიმილით მოიგონებდა თავისი ცხოვრების იმ ხანას, როდესაც აღარც დედა უნდოდა, აღარც მამა, აღარც და-ძმა თუ ნათესავი, აღარც სამშობლო, თვით სამშობლოც, და მარტოდენ ლევ ტოლსტოის სახელს შეფრფვივოდა და მის სულიერ შვილად ესახებოდა თავი,

ტოლსტოური მოძრაობის რიგით ჯარისკაცად — მის სახელზე დაფუძნებულ ახალშენს თავშეფარებულს ინგლისში...

ის დრო და განწყობილება კი გარდასულიყო, მაგრამ მღელვარება უსათუოდ აიყოლიებდა... ეჰ, სადღა იყო საამისო ძალ-ღონე... და ძალიან შეეხარებოდა მათი, ვინც ტოლსტოის იმ დღეებს გამოჰყვდა...

ვინ იყო თავგადაკლული ტოლსტოველი და... ვინ მოხვედრილიყო ციხეში მისი გულისათვის!..

ნონა კუპრეიშვილი

# კომარულ ზმანებასავით დასავინწყებელი

(კობა ცხაკაიას კინორომანის გამო)

მკითხველთა დიდი ნაწილის მსგავსად, ჩემთვისაც ახალი წიგნის შეფასების ერთგვარი საზომი მისი სწრაფად, ერთი ამოსუნთქვით წაკითხვის შესაძლებლობაა. ასე მოხდა ამჯერადაც. მეტიც, უკვე ფინალისკენ ინტერესი იმდენად გამძაფრდა, რომ ვიგრძენი ნიჭიერების უტყუარ ინდიკატორად ცნობილი თხრობის რიტმიც, რომელმაც გამიტაცა და უმტკივნეულოდ მიმიყვანა რომანის ერთ-ერთი გმირის, გოჩას, იმავე, სანჩოს, მიერ სიკვდილის წინ ყველასთვის და იქნებ ამიტომაც, რუსულ ენაზე დანერგულ წერილამდე.

თუმცა „უმტკივნეულო კითხვა“, შესაძლოა, ყველაზე შეუფერებელი განმარტება იყოს იმისთვის, რაც ამჯერად კობა ცხაკაიამ შემოგვთავაზა. პირველ ყოვლისა, არჩეული თემატიკის გამო. მოქმედება რომანში „გადაახივით მკვდრებს გაბედულად“ ავადსახსენებელ 90-იანებში, ომგამოვლილ საქართველოში ხდება, როდესაც იმგვარი გამოცდილება მოგვახვია თავს (ჯერ თბილისის ძმათაშვილებს და შემდეგ კი აფხაზეთ-სამაჩაბლოს ომებს ვგულისხმობ, უფრო ზუსტად, ომს რუსეთთან ჩვენი ქვეყნის ამ მხარეებში), რომელიც არათუ ახალი რეალობის სწორად აღქმას იდავებმარა, არამედ ისიც დაგვაფიქრებდა, რაც ავად თუ კარვად ვიკონდი.

ვინც დამეთანხმება, რომ მაშინ ჩვენს თავსდამტყდარ უბედურებებს ყოვლისმომცველი უცოდინარობით გამოწვეული ტრაგიკული გადაცდომები შეიძლება ვუწოდოთ, სავსებით შესაფერისად მიიჩნევს რომანის პერსონაჟთა ხასიათს, მათ მორალურ-ზნეობრივ სახეს, ენას (სლენგს), რომელსაც ისინი თავიანთი უბადრუკი სულიერი სამყაროს გამოსახატავად იყენებენ. სახელბოც ამ კონტექსტიდანაა: ტარანა, ზაკუტალა, უზამბარა, ლამაზო, ვისელი, ბერმუხა, სანჩო, შავი, ჩირიკა... და ლექსიკონა-ნოდარა, რომელიც, თურმე ნუ იტყვი, მეცნიერულად აკვირდება თანამოაზრეთა მეტყველებას და მის კლასიფიცირებასაც კი ცდილობს.

მოკლედ, ეს ის ხალხია, იმავე დაკარგული თაობიდან, რომლებიც, ლამაზოს დაკვირვებით, „კარგები იბადებიან, გოთვერნები მერე ხდებიან“. მათი ცხოვრებისეული პრინციპი ან პრინციპები? ცხადია, იმგვარი, როგორც ჯუნგლებშია, ანუ ბრძოლა სენტიმენტების გარეშე და სუსტის მიმართ დაუნდობლობა.

ნეტავი ეს კი არაა, მეო, — ამასაც ხომ აუცილებლად გაივლევდა გულში არჩილ ჯორჯაძე, თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მიმწუხრზე რევან გაბაშვილთან გულითადი მეგობრობა რომ გაება და მისი ეს თავგადასავალიც მოესმინა. გაივლებდა და... შეეხარებოდა... მაინც შეეხარებოდა ტოლსტოის გულისათვის დატუსაღება, სიჭაბუკის დღეების ნოსტალგია რომ დარევდა ხელს ერთბაშად და ზმანებებში შეატყურებდა.

თუმცა, ამასთან, საკუთარი ადგილის ცოდნაც, ანუ ჯერ ლომი მიდის წაქცეულ ზებრასა ან ანტილოპასთან, მხოლოდ ამის შემდეგ გიენა, და არავითარ შემთხვევაში პირიქით (რომანში იგივე კანონზომიერება ნიანგებისა და მათთან გაშინაურებული ჩიტების მეტაფორისტიკითაა გადმოცემული). ჩვენი გმირები კი, როგორც ნამდვილ ქართველ „კაი ბიჭებს“ შეეფერებათ, ცოტა არ იყოს ნაივურები არიან, ტოტალური ურწმუნობა სჭირთ („გენდო? ეგეთი სიტყვა არც კი ვიცი, რას ნიშნავს!“ — ეუბნება შავი უზუმბარას) და სულსწრაფობითაც გამოირჩევიან. მალე, სულ მალე გავალთ მარადიული ნეტარების ზონაში — დაახლოებით ასე აიძვრება ზოგიერთი თავის ახლობელს. უზრუნველი და სტაბილური მომავლის წინაპირობა კი ბანკის გაძარცვა და 80 კილოგრამამდე ოქროს გატაცებაა.

ის, რომ კობა ცხაკაიას ეს თხზულება კინორომანია, არა მარტო მისი ბიოგრაფიით ცხადდება (თბილისის თეატრალური ინსტიტუტი, მოსკოვის კინემატოგრაფიის საერთაშორისო ინსტიტუტი, ე.წ. „ვეიკი“), არამედ ამ რომანის სტრუქტურითაც. ესაა სწორედ რომ გადაღებისთვის განკუთვნილი მხატვრული კინოსცენარი, რომელშიც ყველაფერი გარეშე თვალთაც აღიქმება და იმავდროულად სახელდახლოდ იდგება კიდევ (სხვათა შორის, XX საუკუნის 20-იანი წლების ქართულ ავანგარდისტულ პროზაში ბევრი რამ კინოენაზე, კინოს გამომსახველობითი საშუალებებით, თუნდაც, კადრირების პრინციპით, იგეზობდა. მაგ. დემნა შენგელაიასთან, სტეფანე კასრაძესთან, პავლე ნოზაძესთან, მიხეილ მრევლიშვილთან). ამდენად კინოსთან არც ჩირიკას დამოკიდებულებაა შემთხვევითი: „კაი კინოს გადაღება მომინდა. გმირებითა და გამარჯვებებით“.

როგორც ყველა „საკუთარი თავის პატივისმცემელ“ „ბოევიკს“ შეეფერება, ამ რომანშიც დიდი ხმაური დგას. ისმის სროლის, ჭურჭლისა თუ დიდი ვიტრინების ლენვის, ვნებიანი ქშინვისა თუ სიკვდილისწინა ხროტინის ხმა. ამასთან, არის ერთი უნახეი მელოდის ლაიტმოტივური ხაზიც, რომელიც დროდადრო იჭრება ამ დგანდგარში და ყველას გარკვეულ სიმშვიდეს გვანიჭებს. ესაა გოჩა-სანჩოსა და თინიკოს ურთიერთობის, უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, სიყვარული, რომელსაც ავტორიც დიდი სიფრთხილით ეპყრობა. ის, ფაქტობრივად არამარტო ამ კონკრეტული ოჯახის, არამედ მთელი ამ საბედისწეროდ არეულ-დარეული ქვეყნის პერსპექტივის ამსახველი გზაა, რომელიც შესაძლებელს ხდის იმ საკმაოდ არაორაზროვან საუბარს, რომელიც ინტერნატის ყოფილ მოწაფე-სანჩოსა და მის უცნაურ მასწავლებელს, ბერმუხას, შორის იმართება. სწორედ მათ შორის ითქმება რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი, რომელსაც ავტორი ძალდაუტანებლად, თითქმის სხვათა შორის გვანვდის. აზრზე მოვიდეთ და ერთად დავდგეთ — დანარჩენი კი — სანყოფი, ოქრო, შავი, ლექსიკონა, „ნატვრების სახინკლე“, „მზის ზანზალაკები“ თუ უცნობი მოხუცი — დასაძლევია და დასავინწყებელიც, როგორც კომმარული სიზმარი. ეს უკვე გზავნილია, რომელსაც მე, როგორც მკითხველი, ვღებულობ, კობა ცხაკაიას ამ რომანს კი შემდგარს ვუწოდებ.





ზაალ ებანოიძე — 70-იან-ელი და ქუთაისური ფრთის წარმომადგენელი, ზომიერი ტრადიციონალისტი, გარეგნულად მშვიდი, აკადემიური, შინაგანად — მშფოთვარე, დაუდგრომელი, ფიქრით — მეოცნებე, მრწამსით — რეალისტი.

უყვარს მოსმენა, არ უყვარს, როცა არ უსმენენ.

პოეტი რომ არ ყოფილიყო, იქნებოდა ფილოსოფოსი და დანერდა ტრაქტატს ადამიანურ ურთიერთობათა სიდიადეზე.

ზაალ ებანოიძე

ტკივილის ატანა

ამ ბეჩაობაში გადასულ ხორხოცსაც ვალი აქვს თავისი; უფროვე განიცდი, რაც არ გსურს, უფროვე გტკივა და განიცდი.

რა ხშირი ბინდია გარშემო, თვალების რა მდორე რონება; „ნეტავი თუ მართლა ვარსებობ, თუ სიზმრის ვარ გამოგონება.“

თავს გრძნეულებაში ჩაუთვლი — სხვები რო სვამენ და შენ თვრები; ბერდები ამ აურზაურში, თვალსადახელსშუა ბერდები.

მოქვრივო ელფერის ჟამია, თუ წელისათრევით თენდება; ზიარი ტკივილი დამიარს და ტექსტიც თავისით გრძელდება:

განგებამ წვეთწვეთა გარგუნა სიმწარე და შერჩი კაეშანს, შეგროვდა პატარა ლაგუნა, შეგროვდა და ლანჯზე დაეშვა.

იარე, კვალდაკვალ იარე, რაც ნახე თვალდათვალ — გვიამბობ; სმენაში — სხვა ქარი შრიალებს, მზერაში — სხვა ცრემლი კიაფობს.

იმ ქარით, იმ ცრემლით ფასდები, ხელების იმ ბნელში ცეცებით; სხეულში რო ველარ თავსდები — მკერდიდან ამოსვლას ეცდები.

გულის ნამს შეფარვით შეათბობ და მზერას უგზავნი სინედლედ; იმეტებ — რასაც რო მე არ გთხოვ — ხანდახან — იმასაც იმეტებ.

და მაინც: — „რაც მინდა, რად არ ვარ“ — თავს კითხავ — „ვიქნები როდის რო?!“ ლიმილით სიმწარის დაფარვა, ტკივილის ატანას მოითხოვს.

მარინე ტურავა

აბსურდი ქართულად...

(როსტომ ჩხეიძის დეტაქტიური ცდა „ორშაბათიც შაბათია“)

დიდი მწერალი ყოველთვის თანამედროვეა, რომელ ეპოქაშიც უნდა ცხოვრობდე, შენზე წერს, შენ ხარ მისი ნაწარმოების პროტაგონისტი, შენი ტანჯვისა და ტკივილის თანამონაწილეა, შენი გულშემატკივარი, ზოგჯერ ერთადერთი მოსარჩლეც... მითუფრო, როცა საქმე ფრანც კაფკას ეხება, მეოცე საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს მწერალს იმ თვალსაზრისითაც, რომ მან სხვა მიმართულებით წაიყვანა ლიტერატურა, შეცვალა მისი მომავალი. კაფკა, რომელსაც გამუდმებით ეპარებოდა ექვი საკუთარ თავსა და ნაწერებში, საკუთარ შემოქმედებაში, დღეს ყველაზე თუ არა, ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე ავტორია... განსაკუთრებით საქართველოში, სადაც ოცდამეერთე საუკუნეც, მისი დასაწყისი მაინც, კაფკას აბსურდის ავანსცენად ქცეულა. მეორე მსოფლიო ომის წლებში ეგონათ, რომ მწერალმა იწინასწარმეტყველა ომის საშინელებანი. სტალინურმა და ჰიტლერულმა დიქტატურამ, საკონცენტრაციო ბანაკების სისასტიკემ, ისტორიულმა რეალობამ მისი ნაწერები შეავსო იმ შინაარსით, რომელიც მწერალს არ ჩაუდია მათში...

კაფკას ქართველ მკითხველებს გვგონია, რომ ის საქართველოზე წერდა, მეტიც, დღევანდელ საქართველოზე. ჩვენ ყველანი კი, ნებით თუ უნებლიეთ, კაფკას აბსურდის თანამონაწილეები ვართ... ავსტრია-უნგრეთის გაერთიანებული მონარქია და მრავალეროვანი სახელმწიფო ცენტრალურ ევროპაში, თავის დროზე, სიდიდით მესამე სახელმწიფო იყო. ამ იმპერიის მოქალაქე გახლდათ ებრაული წარმოშობის, გერმანულენოვანი მწერალი, რომელიც ჩხეიძეში ცხოვრობდა. მისი ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული რომანის „პროცესი“ მოქმედებაც ამ იმპერიის ქალაქში — პრაღაში მიმდინარეობს.

არა მგონია, ავსტრია-უნგრეთის მონარქია სამართლებრივად დღევანდელ საქართველოზე დაბლა მდგარიყოს... უფრო პირიქითაც, ამიტომაც ვფიქრობ, რომ თვით კაფკა იდგა ყოველგვარ კონკრეტულზე, პირობითზე მაღლა და განზოგადების იმგვარი უნარი ჰქონდა, როგორც მხოლოდ დიდ მწერლებს აქვთ. ამიტომაც სულაც არ გამკვირვებია, როდესაც როსტომ ჩხეიძე თავის წიგნში „ორშაბათიც შაბათია (დეტექტიური ცდა)“ საკუთარ თავს, „პროცესის“ მთავარ პერსონაჟთან, იოზეფ. კ.-სთან, აიგივებს. წიგნი 2004 წელს გამოსცა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებამ (რედაქტიორი გიორგი ლობჯანიძე, მხატვარი კარლო ფაჩულია). ეს არის პირწმინდად დოკუმენტური პროზა, გნებავთ გამოძიება, რომელიც, ცხელ კვალზე, 2004 წელსვე, ყოველგვარი დისტანცირებისა და გამანძილების გარეშე დაიწერა, ამიტომაც ემოციურად ძალიან ცოცხალი და შთამბეჭდავი წიგნია, თუმცა ემოციურობა როსტომ ჩხეიძის ნაწერების ბუნებრივი თვისებაა.

„ორშაბათიც შაბათია“ არის მძიმე წიგნიც, რომელიც პირუთვნულად ასახავს ვარდების რევოლუციისა და მომდევნო პერიოდის ურთულეს პოლიტიკურ პროცესებს, რომელთა გააანალიზება და სწორი დასკვნების გამოტანა აუცილებელია, რათა კიდევ დიდ ხანს არ ვიცხოვროთ აბსურდში, და რომ როგორმე დავბრუნდეთ ჩვენი საუკუნის ევროპის კონ-

ტექსტში, სადაც სრულიად სხვა ღირებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრება სუფევს...

ილია ნერდა: „მართალია, დღევანდელი დღით გამწარებული კაცი ხვალის იმედზეა ხოლმე. მაგრამ ესეც კი უნდა ვიცოდეთ, რომ ხვალე შვილია დღევანდელის დღისა და დღევანდელი დღე შვილია გუშინდელისა“. ამიტომაც არის საჭირო დღევანდელი დღის პირუთენელი და ღრმა ანალიზი, გულისგულში წვდომა, მართებული რეფლექსირება.

საზოგადოების ინტელექტუალური ნაწილისათვის როსტომ ჩხეიძის სახელი, მისი მრავალმხრივი მოღვაწეობისა და ნაყოფიერი მწერლობის მიუხედავად, უპირველესად ბიოგრაფიული რომანის აღორძინებასა და ახალ საფეხურზე აყვანას უკავშირდება. ის უკვე უამრავი ბიოგრაფიული რომანის ავტორია: ალექსანდრე ორბელიანზე, ელიზბარ ერისთავზე, იასე ფალავანდიშვილზე, იაკობ გოგებაშვილზე, ალექსანდრე ყაზბეგზე, არჩილ ჯორჯაძეზე, შიო არაგვისპირელზე, მიხაკო წერეთელზე, ქაქუცა ჩოლოყაშვილზე, პავლე ინგოროყვაზე, ოთარ ჩხეიძეზე, გალაკტიონზე (სულ ახლახან გამოიცა პოეტის ცხოვრების ამსახველი ვრცელი წიგნი „კომიკოსი ტრაგედიაში“)... თუმცა ეს დეტექტიური ცდაც („ორშაბათი შაბათია“) ნაცნობი რკალის გაგრძელებაა, რაც ჯერჯერობით მოიცავს მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებებს: „თუ სანუთომან დამამხოს (ზვიად გამსახურდიას ბედისწერა)“, „ორი გზა ან ბედი ქართული ბიზნესისა“ და „ოტარიდი“: მიზნები, ამოცანები, ქრახი. ყოველი მათგანი მწერლის უშედავთო, უკომპრომისო პოზიციის გამომხატველია, ეს ტენდენცია საკმაოდ მკაფიოა დეტექტიურ ცდაშიც...

გამომძიებელი როსტომ ჩხეიძე ჰკავს კიდეც და განსხვავდება იოზეფ კ.-საგან, ორივე საკუთარი ინიციატივით იძიებს საქმეს, რომელსაც არა აქვს სამართლებრივი საფუძველი — კონკრეტული დანაშაული. ორივე ცდილობს დანაშაულის თუ ბრალდების გარკვევას, მაგრამ ამის გაკეთება აბსურდულ ყოფაში ძალიან ძნელია, თითქმის შეუძლებელი. იოზეფ კ.-ს პრობლემის განხილვისას ორი მომენტი იკვეთება: პირველი — ის ცდილობს საკუთარი თავის გამართლებას, და მეორე, კავკას სხვა პერსონაჟთა მსგავსად, ეგუება სიმართლეს, თავს არ იტყუებს ყალბი წარმოდგენებით. თუმცა ის სიტყვას წარმოთქვამს სასამართლოში და ამხელს სახელმწიფო მოხელეებს, ვითომ კანონის დამცველებს, პირველი დაკითხვისას ტოვებს დარბაზს პროტესტის ნიშნად... იბრძვის, როგორც შეუძლია, მაგრამ თვითონ არ სჯერა გამარჯვების. ამ გაორებული მდგომარეობის გამო მისი თვითგამართლების პროცესი არ არის თანმიმდევრული და მიზანმიმართული.

როსტომ ჩხეიძის გამოძიება „ომეგა ჯგუფის“ თვითგამართლებას იმდენად არ ემსახურება, რამდენადაც მისი საქმიანობის ობიექტურ ასახვას, ღვანლის ჩვენებას ქართული ეკონომიკის, კულტურისა თუ გნებავთ სახელმწიფოს წინაშე. იოზეფ კ.-ს შესახებ სხვებმა უფრო მეტი იციან, ვიდრე თავად მან. როსტომ ჩხეიძემაც და ქართულმა საზოგადოებამაც კარგად იცის, რატომ ერჩიან ზაზა ოქუაშვილის ბიზნესს დემოკრატიულ საქართველოში, ვარდების რევოლუციის კვირაძალზე, ბიზნესს, რომელიც ათასობით ადამიანს ასაქმებს, სოლიდური შემოსავლებით ავსებს ქვეყნის მწირ, თითქმის გაღლებილ ბიუჯეტს, საშვილიშვილო, ეროვნულ საქმეებს ემსახურება... ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ აბსურდის საყოველთაობის გამო, სიმართლის პოვნა შეუძლებელია... მთელი ქვეყანა ერთ დიდ პერფორმანსად ქცეულა, ვითომ სი-



მართლისთვის ბრძოლის არენად — კამერებისა და ჟურნალისტების თვალწინ ღიად, საჯაროდ ხდება დიდი თუ პატარა დამანაშავეების, კრიმინალებისა თუ სულაც უდანაშაულო ადამიანთა დაპატიმრება, ბორკილების დადება, უდანაშაულობის პრეზუმპციის უპირობო დარღვევა. ხალხს, რომელსაც ორი ლარით ვერ უზრდიან პენსიებს და თითქმის შიმშილის ზღვარზე ამყოფებენ, სანახაობა მაინც ხომ სჭირდება...

იოზეფის საქმე სასამართლომდე მაინც აღწევს, თუმცა გაურკვეველი მისამართის გამო, თავად კ.-ს უჭირს სასამართლომდე მიღწევა, საგრძნობლად აგვიანებს, მაგრამ, დიდი ძალისხმევით შედეგად, მაინც პოულობს... „ომეგა ჯგუფის“ თავზე დამოკლეს მახვილივით დაჰკიდეს აბსურდული ბრალდებანი, რომელიც გენერალურმა პროკურორმა გამოუცხებაა ჟურნალისტებს. მისი ჟესტ-მიმიკა და ტონიც ისეთი დამაჯერებელი იყო, ლამის სასამართლო ზედმეტი ხდებოდა... საქმის ფორმალური განხილვითაც არავინ შეინუხებდა თავს, იმდენად ამოტივტივებულიყო „დამამტკიცებელი საბუთები“ — მანქანა-დანადგარები სტამბაში, იქვე კლიშეებიც. ბრალდების მხარემ ის იცოდა „ომეგა ჯგუფზე“, რაც თვით ჯგუფის მესვეურებს აზრადაც არ მოსვლიათ, როგორც ჩანს, ეს აბსურდის აუცილებელი პირობაა ყველა დროსა და სივრცეში...

წიგნის ავტორი თითოეულ ბრალდებას ძალიან მარტივად, ლოგიკური მსჯელობით აბათილებს, რადგანაც, იოზეფით, გამხდარა თავისი თავისა და „ომეგა ჯგუფის“ ადვოკატი. მანქანა-დანადგარების გარეშე ვერც ერთი სტამბა ვერ იმუშავებს, კომპიუტერის ეპოქაში კლიშეს გამოყენება ისეთივე ანაქრონიზმია, როგორც თიხის ფირფიტებზე წერა, ვერც ერთი აქციზური მარკა ვერასოდეს ვერავინ იპოვა და წარმოადგინა, როგორც ნივთმტკიცება.

არცერთი სერიოზული ბრალდება, ყველა აბსურდული. ამიტომაც ახსენდება წიგნის ავტორსა და მასთან ერთად მკითხველსაც საბჭოთა წარსული, ჩვენი უახლოესი ისტორია, რომელიც ასე მალე და ასე მარტივად არ უნდა დაგვევინყობოდა. არავის ჰქონდა იმის საბუთი, რომ მისიელ ჯავახიშვილი ნატახტარის წყალს წამლავდა ან მოწამლულ სიმინდს თესავდა, არც არავის სჭირდებოდა ეს საბუთი, ფაქტებით გამაგრებული ბრალი. რეჟიმი თვითონ იყო სამართლის აღმსრულებელი, ყველა ინსტიტუციის ფუნქციას თვითვე ასრულებდა, ამიტომაც ადვილი იყო ყველაფერი სიმართლისა და სამართლიანობის სახელით მოენათლათ. ერთი ანონიმური შეტყობინება, მინიშნება, ვილაცის აკვიატება, ინტერესი საკმარისი იყო ადამიანის გასანადგურებლად, ოჯახის ამოსაძირკვად...

ეს ყველაფერი ადამიანის სასარგებლოდ, მტერთან ბრძოლის სახელით კეთდებოდა, დღეს იმავეს დემოკრატიის სახელით აკეთებენ...

„ომეგა ჯგუფი“ არ ყოფილა მარტო ამ ბრძოლაში, თავისი მოღვაწეობით მას იმდენი სიკეთე და მამულიშვილური საქმე გაუკეთებია, რომ გულშემამტკიცებელი მრავლად გასჩენია. ბევრს შეუწინებია ხმის ამოღების, გაჩუმებულა, გვერდზე მიმდგარა, მაგრამ ესეც გასაგებია, ადამიანურია, ბევრს კი ბოლომდე უბრძოლია. რა თქმა უნდა, აქ ხშირია და მახვილით ბრძოლა არ იგულისხმება, ბრძოლა სიტყვითა და კალმით მიმდინარეობდა და იდეოლოგიურ ხასიათს ატარებდა... როსტომ ჩხეიძეს არაჩვეულებრივი მახსოვრობა აქვს, ამ თვისების გამო მისი ბევრს ეშინია, თუმცა ბევრს სწორედ იმიტომ უყვარს, რომ არავის ღვანლი და დამსახურება, მცი-

რეოდენი პროტესტი და გამბედაობა არ ავინყდება, არათუ ხმაამოღებული ბრძოლა და თავგანწირვა. ამ წიგნში თითოეული ადამიანის ერთგული, მეტროლი პოზიციაა ასახული. საქართველოს ისტორიას ყოველ ეტაპზე ჰყავდა ამგვარი მამულიშვილები, სამწუხაროდ, ცოტენ დადიანობას ჩვენი დროც ითხოვს... როსტომ ჩხეიძეს არ ავინყდება „ომეგა ჯგუფის“ უცხოელი პარტნიორების თანადგომა, საერთაშორისო ორგანიზაციების გამოხმაურებები, არცერთი მნიშვნელოვანი დეტალი თუ ეპიზოდი.

გაჩუმება უფრო გასაგებია მკითხველისათვის, უფრო ადამიანურიც, მაგრამ ლალატი, ზურგში დანის ჩაცემა ძალიან მტკივნეულია და საშიშიც! არადა წიგნი არაერთ ასეთ ეპიზოდსაც იმარხავს. ზოგიერთს დაინდობს ავტორი, არ გამოაშკარავებს, მხოლოდ მიგვანიშნებს, ჩაგვიკრავს, ზოგს კი პირდაპირ ასახელებს, დაუფარავად ამხელს. ქართული საზოგადოება სტერეოტიპების მოყვარულია, ერთხელ მიკერებული იარლიყი დიდხანს გაჰყვება ხოლმე ადამიანს, მითუფრო ცნობილს, ეს წიგნი სტერეოტიპთა მსხვერვის წიგნიცაა.

ჩვენი კულტურა დიდად არასოდეს ყოფილა განებივრებული მეცენატებით ან მათ შესახებ ცნობებს ჩვენამდე არ მოუღწევია. XIX საუკუნის მიწურულსა და XX-ის დამდეგს რამდენიმე ასეთი მოღვაწე გამოჩნდა — დავით სარაჯიშვილი, ძმები ზუბალაშვილები, აკაკი ხოშტარია. ალბათ, იმიტომ, რომ ხელოვნება სარფიანი საქმე არ არის და მის ფინანსურ მხარდაჭერას მყისიერი მოგება არ მოაქვს. ადამიანები, თუ ეროვნული ინტერესები არ ამოძრავებთ, უარს ამბობენ ამგვარ ღვაწლზე. ზაზა ოქუაშვილის სახელს კი არაერთი ამგვარი ნამოწყება უკავშირდება: მყინვარწვერზე დადგმული ეკლესია, უამრავი საჭირო და შესანიშნავი წიგნის გამოცემა, სატელევიზიო სერიალი ილია ჭავჭავაძეზე, მსოფლიო სტანდარტების დონის სტამბის „ომეგა თეგის“ დაარსება, სადაც იბეჭდებოდა ჟურნალი „ომეგა“, გაზეთი „ახალი ეპოქა“, მისი ლიტერატურული დანართი „ჩვენი მწერლობა“, ტელეკომპანია „იბერიის“ დაარსება, რომელიც დაულალავად ემსახურებოდა ქართულ სიტყვას, ქართულ კულტურას. ამგვარი ქველმოქმედს ნებისმიერ ქვეყანაში განსაკუთრებული სიყვარული ერგება, რაც ზაზა ოქუაშვილს არასოდეს მოკლებია, მაგრამ ერგება სახელმწიფოს პატივისცემაც და არა დაყაღაღებული ქონება და დამუნილი ტყვიები... ამიტომაც ჩნდება წიგნში ტრაგიკული და რიტორიკული კითხვა — ყოველი ახალი ხელისუფლება ძველზე უარესია?!

როსტომ ჩხეიძე ყველა მოვლენას ლიტერატურის პრიზმიდან აღიქვამს და აფასებს. ერთი მხრივ, ვარდების რევოლუციის შემდგომი პერიოდის საქართველოს ფრანც კაფკას ფანტასმაგორიული რომანისა და კომმარული სიზმრის ქრონოტიპად გვიხატავს, მეორე მხრივ კი არ სცილდება მიხეილ ჯავახიშვილის სახეც, ვინც ასე უღვთოდ შეენირა საბჭოთა ფანტასმაგორიას და კომმარს... ნამდვილს, ნატურალისტურსა და არა მხატვრულად გარდასახულს... წიგნის ერთ თავს ასეც დაარქმევს — „დამპატიყეს სახელმწიფო“.

მიხეილ ჯავახიშვილის „დამპატიყეს“ ქვეტექსტი ნათელი და გამჭვირვალეა — დამპატიყე ბოლშევიკური ცხოვრების პირმშოა, ტკიპაა, მუქთამჭამელია, გამრჯე გლეხს რომ ნილში ჩაჯდომია, მისი ნაშრომ-ნაჯაფარის დაპატრონება რომ მონდომება და განუზრახავს. სახელმწიფო, რომელიც უნდა ზრუნავდეს თავის მოქალაქეებზე, ლუკმაპურს აცლის, თან ხმის ამოდების, აზრის, უკმაყოფილების გამოხატვის, კრინტიის დაძვრის საშუალებასაც არ აძლევს.

დამპატიყე ჯაყოს თავისებური სახესხვაობაა და სხვა არაფერი. ჯაყოს ყოფნის თავებობა — სხვის საკუთრებას დაეპატრონოს, სხვის სახლში მასპინძლად იქცეს და ამაში ახალი სახელმწიფოც ეხმარება. ამიტომაც არასოდეს ყოფილა ეს სახელმწიფო ქართული, საბჭოთა სახელმწიფო იყო,

მაგრამ რა ხდება დღეს? დამოუკიდებელი საქართველო რატომ უნდა გამხდარიყო დამპატიყეს სახელმწიფო, ფუქსავატის, წურბელასი, სხვის ხარჯზე მცხოვრების, სხვისი კუთვნილის დაუფლებისა.

როცა ეს „სხვა“ გადამთიელი და მტერი კი არა, შენი ქვეყნის რიგითი კი არა, გამორჩეული მოქალაქეა, მხოლოდ თავის ჯამს ჩამაცქერალი და საკუთარ კეთილდღეობაზე მზრუნველი კი არ არის, ქველმოქმედი და მეცენატია, მხოლოდ ბიუჯეტის შევსებაზე კი არა, თავისი მოქალაქეების სამუშაო ადგილებზეც რომ ზრუნავს.

სანაცვლოდ კი არაფერს ითხოვს, სიმშვიდის გარდა, სამართლიანობის გარდა, რაც, თუ სახელმწიფო ხარ, მოთხოვნის გარეშე, თავისთავად უნდა უზრუნველყო. რას უზამს ასეთი სახელმწიფო ჩვეულებრივ, რიგით მოქალაქეებს, ვისაც თავად მისი დაცვა და მხარდაჭერა სჭირდებათ?! ალბათ, იმას, რაც იოზეფ კ.-ს დაემართა, ძალღივით აცოცხლებს თუ ძალღივით დაამთავრებინებს ცხოვრებას ან ორივე ერთად! სწორედ ამგვარი დასასრულის წინააღმდეგ ბრძოლაა როსტომ ჩხეიძის წიგნი და არა კონკრეტული ამბის თუნდაც ძალიან გამონაკლისი გამოძიება და შეფასება.

აქ თითქოს ეთხოვება ავტორი იოზეფ კ.-ს და სულიერ სიახლოვეს ფრანც კაფკას მეორე რომანის „ციხე-კოშკის“ პერსონაჟთან კ.-სთან უფრო პოულობს, რადგან „ომეგა ჯგუფის“ საქმე უკვე იქ, ზემოთ, „ციხე-კოშკში“ უნდა გადაწყდეს და არა სამართლებრივად. თუმცა თავიდანვე ასე იყო, სამართლებრივი ჭრილი ამ საქმეს არასდროს ჰქონია... მიწისმომქმელი კ. ცდილობს სოფელში ცხოვრების უფლება მოიპოვოს, ამისთვის მან ციხე-კოშკიდან უნდა მიიღოს დასტური. თითქოს არ უნდა იყოს ძნელი საქმე, მაგრამ გადაულახავ ბარიერად იქცევა კანცელარია — ციხე-კოშკის წინკარს რომ უწოდებს მოსწრებულად როსტომ ჩხეიძე. იბრძვის მიწისმომქმელი ერთადერთი დოკუმენტისათვის, მაგრამ ამაოდ, ციხე-კოშკი მიუწვდომელ ოცნებად რჩება, კანცელარია — გადაულახავ რუბიკონად. ამ რომანში ავტორიტარული სახელმწიფოს მოდელს უნდა მოიხარებდეს ფრანც კაფკა. სოფელიც კი, ჩვეულებრივი ადამიანებით დასახლებული სოფელი, მიუწვდომელია მიწისმომქმელისათვის, ვერაფრით ვერ გახდა მათიანი, კანცელარიაც ამ სოფელს ჰგავს, ისინი თითქოს განსაზღვრავენ ერთმანეთს, განაპირობებენ... ამის შეგრძობა თავიდანვე გაცნობასა და ტანჯვას იწვევს კ.-ში, მაგრამ თანდათან ხვდება, რომ ეს ტრაგიკომიკური ვითარება მწარე რეალობაა... დალუქული „ომეგა ჯგუფის“ ოფისების ამუშავება, ფაბრიკასა და სტამბის ტერიტორიაზე დაბანაკებული შინაგანი ჯარის გაყვანა და „ციხე-კოშკამდე“ ხმის მიწვდენა უფრო იოლი არ ჩანდა...

არადა ამ ციხე-კოშკის მეპატრონე, სწორედ „სოფლის“ კეთილდღეობასა და ყოველგვარი „წინკარის“ გაუქმებას პირდებოდა ადამიანებს. სწორედ ის მეპატრონე, რომლის ხელისუფლებაში მოსვლაც ოთარ ჩხეიძემ თავის ახალ რომანში „2001 წელი“ იწინასწარმეტყველა. წინამორბედი 2001 წლის მანისში დასრულდა და ამავე წლის სექტემბერ-ნოემბერში სრულად გამოქვეყნდა „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე, ერთი წლით ადრე, 2003 წლის ვარდების რევოლუციამდე. „მატიანე ქართლისას“ ავტორი, ვინც თავისი რომანების ციკლში ქართული საბჭოთა სინამდვილე რეტროსპექტულად, პირუთვნელად და ობიექტურად ასახა, „ტინის ხიდიდან“ მოკიდებული, რომელიც ინდუსტრიალიზაციის წლებს ასახავდა, 21-ე საუკუნის დასაწყისამდე, ასევე წინასწარ ჭვრეტდა და განჩხრეკდა მომავალს. „...ყველას მოეხსენება თუ როგორ აწყდება პრეზიდენტის კანცელარიასა. სააკაშვილი. ისევე აწყდება. ისევე ისე. თავგამეტებითა. აწყდება და აწყდება. შუბლით აწყდება. ურახუნებს და ურახუნებს. ან შეანგრევს. და შევარდება. და დაუფლება. დაენაფება ანუ მწყურვალი. დაენაფება.“

ან დაეცემა ეზოშივე. კანცელარიისა. გულშემოყრილი. რეც-  
დასხმული...”

ვარდების რევოლუციამდე რომ არ გამოქვეყნებულიყო რომანი, არავინ დაიჯერებდა, რომ, ეს ფრაგმენტი მაინც, ნო-  
ემბრის ცნობილი მოვლენების მერე არ შეთხზეს და არ ჩაამა-  
ტეს... მაგრამ ერთი წლით ადრე გვექონდა წაკითხული, ნოემ-  
ბრის მერე კი ხელახლა შემომწებული, ჩაკირკიტებით ხელახ-  
ლა წაკითხული... თითქოს იჯერებ, რომ დიდი მწერლები კი  
არ წინასწარმეტყველებენ, ხშირად თავად განსაზღვრავენ  
მომავალს, არის ამასი რაღაც საკრალური და მიუწვდომელი,  
მაგრამ ამ შემთხვევაში არც ისე... ოთარ ჩხეიძე მთელი არ-  
სით ეწინააღმდეგებოდა რევოლუციურ გადატრიალებებს და  
სახელმწიფოს ძალადობრივი გზით სვლას, ის ევოლუციური  
პროცესების მომხრე იყო. ამიტომაც ამ ფრაგმენტში მოვლენ-  
ების მისთვის სასურველი განვითარება კი არ დაგვიხატა,  
არამედ განჭვრეტილი, შექმნილი ვითარებიდან და პოლიტი-  
კოსის ფიქოტიკიდან გამომდინარე. აქ მწერალი და ანალი-  
ტიკოსი შეერწყა ერთმანეთს, გაერთიანდა...

ოთარ ჩხეიძის მხატვრული პროზის ერთ-ერთი უმთავ-  
რესი თავისებურება ისტორიულ-დოკუმენტური რეალიზების  
მხატვრული გარდასახვა, სწორედ ამიტომ არის იგი ეპოქის  
მემბრანა. ამ მხრივ „მორჩილი“ არ არის გამონაკლისი,  
სადაც ბუნებრივად ჩნდება „ომეგა ჯგუფისა“ და მისი დამ-  
ფუძნებლის სახელიც. რომანი იმით იწყება, როგორ გადა-  
უნვავენ და გაძარცვავენ იქაურობას ის ადამიანები, თვი-  
თონ რომ უშველა, ლუკმა-პური გაუჩინა, არსებობა შეაძლე-  
ბინა. არც ეს არის ახალი თემა, ბევრი მწერლის სატკივიარი  
გამხდარა...

ოკუპაციიდან მხოლოდ ათი თვის მერე დატოვეს სტამბა  
და ფაბრიკა შინაგანი ჯარის დანაყოფებმა. სრულიად განად-  
გურებული, იავარქმნილი, მიწასთან გასწორებული იყო ევ-  
როპული სტანდარტების სტამბა, რომელზედაც ჩვენი წინაპ-  
რები ოცნებობდნენ, სადაც არაერთი საქვეყნო პროექტი გან-  
ხორციელდა უსასყიდლოდ, უანგაროდ, „ომეგა ჯგუფის“  
სრული მხარდაჭერით. ამიტომაც დღეს ვიკვირს კიდევ, რო-  
გორ შეძლო ზაზა ოქუაშვილმა ყოველივე ამის დაგინყება და  
ისევ კეთილი საქმეების, კულტურული პროგრამების მხარ-  
დაჭერა, მეცენატობა... როგორც ჩანს, ქველმოქმედება ადა-  
მიანის შინაგანი თვისებაა და რაც ჩადებულია შენში, რაც სუ-  
ლის ნიშანია, შანთითაც ვერ ამოწვავენ, ვერ ამოძირკვავენ...

როსტომ ჩხეიძის შიმშილობამ და „ციხე-კოშკის“ დამოკი-  
დებულებამ ამ ფაქტის მიმართ, ქართველი მწერლების ვიზი-  
ტი გამახსენა სერგო ორჯონიკიძესთან, ქაქუცა ჩოლოყაშვი-  
ლის თანაგრძნობისა და დახმარების გამო დატუსაღებული  
ლევან რაზიკაშვილის დახსნას რომ ითხოვდნენ. სერგოს  
არც ლევანის ბედი აღელვებდა, არც ვაჟა-ფშაველას დიდი  
მწერლობა აწუხებდა, თითქმის ერთი საუკუნის მერეც არა-  
ფერი შეცვლილა... არც ვაჟას, არც ოთარ ჩხეიძის, არც როს-  
ტომ ჩხეიძის გამგები და წამკითხველიც კი არ წყვეტენ ქვეყ-  
ნის ბედს. მე სწორედ ეს მგონია ყველაზე დიდი ტრაგედია...  
და ისიც, რომ როსტომ ჩხეიძის ყაიდის მოაზროვნეებსა და  
მოღვაწეებს უხდებოდათ უვადო შიმშილობა, საპროტესტო აქ-  
ციებში მონაწილეობა, არაერთი საპროტესტო განცხადების,  
წერილის, წიგნის წერა... „ცუდია როცა პოეტი იბრძვის, პო-  
ეტმა უნდა ლექსები წეროს“, მარტო ლექსების წერა ქართვე-  
ლი პოეტისათვის ფუფუნებაა...

მიუხედავად წიგნში აღწერილი მძიმე პროცესებისა, იგი  
რომანივით იკითხება, როსტომ ჩხეიძის ძალიან ბუნებრივი,  
ძალდაუტანებელი თხრობის, სათაურების სახისმეტყველე-  
ბის, ლიტერატურასთან მუდმივი გადაძახილისა და მწერლის  
შეუვალე პროზიკის გამო. ავტორი კიდევ ერთხელ ადასტუ-  
რებს თავის უმთავრეს ცხოვრებისეულ დამოკიდებულებას  
— მწერალი ვერასოდეს იცხოვრებს საზოგადოებისაგან

იზოლირებულად, ვერ გაექცევა ადამიანთა ტკივილს, ვერ  
იქნება შემოსაზღვრული მხოლოდ მხატვრული სინამდვი-  
ლით, მხოლოდ სიტყვისქმნადობით... მისთვის უმთავრესი  
სწორედ მოქალაქეობრივი პოზიციაა... მითუმეტეს, როცა ეს  
მწერლის კი არა, დროის, ეპოქის არჩევანიცაა...

ამ წიგნში კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ლიტერა-  
ტურას აქვს ხელშესახები და სრულიად კონკრეტული ფუნ-  
ქცია — მას ადამიანთა გადარჩენა შეუძლია და არა მხო-  
ლოდ გადატანითი მნიშვნელობით. რომ არა კავკას რომანე-  
ბის ფანტასმაგორიულ და კომარულ სინამდვილესთან ზი-  
არება, ადამიანის ღირსების, ძალღური ყოფისა და ასეთივე  
აღსასრულის მტკიცეული განცდა, რომ არა მიხეილ ჯავა-  
ხიშვილისა და ოთარ ჩხეიძის მხატვრული სინამდვილე, რომ  
არა... უამრავი მხატვრული ტექსტი, რომელიც ერთგვარი  
პრევენციაა ჩვენი მომავალი ტკივილებისა, ჩვენი მომავალი  
აბსურდისა... ვერაფრით ამოვიცნობდით ბოროტ საბედის-  
წერო იმპულსსა თუ ძალას — ამბრის, უმბრისა და არაბის სა-  
ხით რომ გვიხატავს ლიტერატურა, ვერაფრით გავუძლებ-  
დით ამდენწლიან, დაუსრულებელ კოლაფსს — საზოგადო-  
ებრივი თუ სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა...

„პროცესიც“ გახდა იმის მიზეზი, რომ იოზეფისაგან განს-  
ხვავებით, ამ წიგნის ავტორის ბრძოლა თავიდანვე განსაზღ-  
ვრული და მიზანმიმართული იყო, უამრავი ბარიერის მიუხე-  
დავად, ის მაინც იბრძოდა და სჯეროდა კიდევ გამარჯვე-  
ბის... და დღესაც იბრძვის, მიუხედავად იმისა, რომ 2004  
წელს აღმოჩნდა, რომ „ომეგა ჯგუფისა“ და მისი დამფუძნებ-  
ლის საქმეში არ არსებობდა სისხლის სამართლის კანონით  
გათვალისწინებული ქმედება. ძალიან ჰგავს ეს ამბავი 1937  
წლის სტალინურ რეპრესიის შემდგომ პერიოდს — ადამიანს  
ხალხის მტრად რომ გამოაცხადებდნენ, ცხოვრებას დაუნგ-  
რევდნენ, ახალგაზრდობასა და სიცოცხლეს წაართმევდნენ,  
მერე კი, ახალი ხელისუფლება, იმავე ადამიანს რეაბილიტი-  
რებულად, უდანაშაულოდ გამოაცხადებდა. ბევრისთვის  
სწორედ ეს აღმოჩნდა უფრო მძიმე და მტკიცეული დარტყ-  
მა... ამდენი ბრძოლა, ამდენი ტკივილი სულ ამო იყო...

2004-ში იგივე ხელისუფლება უარყოფდა სამართლებრი-  
ვი საფუძვლის არსებობას ამ კონკრეტულ საქმეში. ნეტავ ვის  
უნდა აელო პასუხისმგებლობა წლობით გამოუცემელი წიგ-  
ნების, აღუმართავი ძეგლების, დიდი ხნით შეწყვეტილი —  
გამოფენების, ლიტერატურული შეხვედრების, ტელეკომპა-  
ნია „იბერიის“ გადაცემების, მათ შორის თუნდაც „სილუე-  
ტის“... უმუშევრად დარჩენილი უამრავი ადამიანის, ბიუ-  
ჯეტს დაკლებული მილიონების... გამო. არც არავის...

ზაზა ოქუაშვილს „ომეგა ჯგუფისა“ და ტელეკომპანია  
„იბერიის“ გამო ედავებოდნენ, მათ დათმობას სთხოვდნენ.  
სწორედ აქედან დაიწყო თავისუფალ მედიასთან ბრძოლა. რა  
თქმა უნდა, „იბერია“ სრულიად უკანონოდ ჩამოართვეს, სა-  
ხელიც გადაარქვეს და „აისად“ მონათლული „ჯორჯია მედია  
პროდაქშენ გრუპს“ გადასცეს, რომელიც, თავის მხრივ, ტე-  
ლეკომპანია „იმედის“ მფლობელობაში იყო. 2012 წლის შე-  
მოდგომაზე, პოლიტიკური პროცესებიდან გამომდინარე, სა-  
მართლიანობა აღსდგა და „იმედი“ თავის კანონიერ მეპატ-  
რონეს, ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს დაუბრუნდა, მას-  
თან ერთად კი „იბერიის“ კუთვნილი ლიცენზიაც. იმედი  
გვაქვს, რომ ინა გუდავაძე ამ ლიცენზიას უპრობლემოდ და-  
უბრუნებს თავის კანონიერ მფლობელს. მითუფრო, რომ მის  
ოჯახს შევიწროებისა და უსამართლობის არაერთი ფაქტი  
საკუთარ თავზე აქვს გადატანილი და განცდილი...

იმედია, ტელეკომპანია „იბერია“ უახლოვეს მომავალში  
შეძლებს მათუწყებლობის გაგრძელებასა და საერთო საქმეების  
კეთებას, კულტურის, მხატვრული სიტყვის მსახურებას, მი-  
თუმეტეს, რომ, როგორც ვნახეთ, ლიტერატურას სრულიად  
პრაგმატული დანიშნულება და ფუნქცია აქვს.



# სემინარი ბრძელდება... ამჯერად — „ღირსება“



**თინათინ ლეკიაშვილი**  
(ბაკალავრიატი — III კურსი)

ყოველი ადამიანი წარმოადგენს უმაღლეს ღირებულებას, როგორც არსება, რომელიც დაჯილდოებულია გონებით, ნებითა და გრძობებით, ანუ იმ თვისებებით, რომლებიც გამოარჩევს მას გარემომცველი სამყაროს დანარჩენი ნაწილისაგან. მხოლოდ ადამიანს შეუძლია არჩევანი გააკეთოს სიკეთესა და ბოროტებას, სიყვარულსა და სიძულვილს შორის. მიუხედავად იმისა, რომ „ღვთის სახე და ხატია“ და მისი მოვალეობაა, შემოქმედს დაემსგავსოს, დაიბრუნოს „სამოსელი პირველი“, იმდენად დიდია უფლის სიყვარული თავისი ქმნილების მიმართ, რომ ანიჭებს სრულ

თავისუფლებას: დაიცვას საკუთარი ღირსება, ან დაკარგოს ის. დასაბამიდან დღემდე ადამიანები თავს სწირავდნენ საკუთარი ღირსების დასაცავად. მასხენდება რევაზ ინანიშვილის „ფრთხებიან ყვავები დამბარის ხმაზე“, რომლის მთავარი პერსონაჟიც, თავადი ვიტგენშტიინი, შელახული ღირსების აღსადგენად დუელში გამოიწვევს რუს გენერალს და კვდება.

უამრავი მაგალითი არსებობს კაცობრიობის ისტორიაში ღირსებისათვის შეწირული ხალხისა. ამაზრუნია, როცა ადამიანს შეუფერებელ გარემოში უხდება ცხოვრება, როცა მას ართმევენ ღირსებას და ცდილობენ, ჩაკლან ღვთის ხატში თავისუფალი ნება. მორჩილ, მონური სულის არსებად აქციონ იგი.

სწორედ ასე მოხდა მხატვრულ ფილმში „მკვდარი პოეტების საზოგადოება“. ერთ-ერთი მთავარი გმირი, ძვირადღირებული სასწავლებლის მოსწავლე ნილი, აღმოჩნდა დილემის წინაშე დამორჩილებოდა დესპოტი მამის ნებას და გამხდარიყო ექიმი, თუ თავისი საზოგადოებრივი ოცნება აესრულებინა. იმის გამო, რომ მშობლები უფლებას არ აძლევდნენ, საყვარელი პროფესია აერჩია, ყველაზე საშინელი ცოდვა ჩაიდინა, ღირსების შელახვას სიკვდილი ამჯობინა. ვფიქრობ, ეს გაკვეთილია ყველა მშობლისათვის, გააცნობიერონ, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს შვილებზე ძალადობას. არავის აქვს უფლება, თვით მშობელსაც კი, ადამიანს წაართვას თავისუფალი ნება, ღირსება. რეჟისორმა ნათლად დაგვანახა, როგორ არ ესმით ხშირად პედაგოგებს თავიანთი აღსაზრდელებისა, არ შეუძლიათ დაინახონ მათი სულიერი სამყარო, მისწრაფებები, პატივი სცენ მათ ღირსებას.

მკაცრი, კონსერვატორ პედაგოგთა გარემოცვაში ერთადერთი ნათელი ნერტილი იყო ჯონ კიტინგი, ინგლისური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, რომელიც ცდილობდა დაეცვა თავისი მოსწავლეები ამ სასტიკი გარემოსაგან, უნერგავდა რა ღირსების გრძობას, ასწავლიდა სწორად აზროვნებასა და შემეცნებას.

მიუხედავად ნილის ტრაგიკული სიკვდილისა, ფილმის დასასრული შთაბეჭდილება და საოცრად ამაღლებულ განწყობას უქმნის მნახველს. ჯონ კიტინგის, ამ არაჩვეულებრივი პედაგოგის მიზანი მიდნეულია: მისი აღსაზრდელები ღირსეული ადამიანები არიან, რომელთაც შეუძლიათ გადალახონ შიში და წინ აღუდგნენ ბოროტებას, გამოხატონ თავიანთი პატივისცემა და თანადგომა საყვარელი მასწავლებლისადმი.

ამ ფილმმა რატომღაც გოდერძი ჩოხელის „ლუკას სახარება“ გამახსენა, რომლის მთავარი გმირი, პატარა ლუკა, არ ეშუება ბოლშევიკური რეჟიმის უღმერთო, ათეისტ დირექტორს და თავგანწირულად იბრძვის საკუთარი ღირსების გადასარჩენად, რაც ამავდროულად ღვთისადმი დიდი ერთგულება და სიმამაცეცაა.

ვფიქრობ, ვიდრე დედამიწაზე სიცოცხლე იარსებებს, ვერავინ წართმევს ადამიანს ღირსებას, ისევე, როგორც შეუძლებელია ბოროტებამ დაამარცხო სიკეთე.



**რიტა შუბითიძე**  
(ბაკალავრიატი — IV კურსი)

მიზეზი, რის გამოც ამ თემას ვწერ, გახდა ფილმი „მკვდარი პოეტების საზოგადოება“. აქ კარგადაა წარმოდგენილი სხვადასხვა წრისა თუ ასაკის ადამიანთა შეხედულებანი ზოგადად ცხოვრებასა და პოეზიაზე. ლიტერატურის მასწავლებლის გავლენით ყმანვილუაცი მზადაა დაუპირისპირდეს მამას და მოიქცეს საკუთარი სურვილის მიხედვით, მაგრამ ფინალი ტრაგიკულია. მამის სასტიკი წინააღმდეგობის გამო ღირსებაშეღახული ყმანვილი ყველაზე მიუტყვეველ ცოდვას ჩაიდენს, სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებს. ფილმში ძალიან ბევრი ამაღლებული მომენტია, მაგრამ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ჩემზე ამ ფაქტმა მოახდინა.

ახალგაზრდა, რომელსაც მთელი გულით სურს მსახიობი გახდეს და არა უსაფუძვლოდ, აქვს ამ ოცნების განხორციელების შესაძლებლობა. ხელს უწყობს პირველ რიგში ნიჭი და მონაცემები, მაგრამ ყველაზე მეტად ხელს უშლის მამა, რომელიც ვერ ეგუება შვილის ამ გადაწყვეტილებას. მას არ სურს შვილი ამ პროფესიისა იყოს. მამის უხეში ჩარევისა და საყვედურების შემდეგ ახალგაზრდა მძიმე გადაწყვეტილებას იღებს. ადამიანს შეიძლება ბევრი რამ მიუტყვევო, მაგრამ როცა საქმე ეხება საკუთარ ღირსებას, ამ დროს რთულია წონასწორობისა და სიმშვიდის შენარჩუნება. როდესაც უძლური ხარ დაუპირისპირდები იმას, ვინც შენთვის ძვირფასია, უბრალოდ არ შეგიძლია მის წინააღმდეგ წასვლა, ერთი გზა რჩება — თვითმკვლელობა.

ამ ფილმს შეუძლია ადამიანი ბევრ რამეზე დააფიქროს. საკმაოდ ღრმამშინაარსიანი და საინტერესოა. მთავარი ის კი არაა, რომ ახალგაზრდა თავს იკლავს, არამედ — თუ რას ტოვებს სიკვდილის შემდეგ.

ფილმის დასასრულს კი აშკარად ვხედავთ, რომ მისმა საქციელმა თანატოლთა პიროვნული გარდატეხა გამოიწვია. მათ სხვანაირად დაიწყეს აზროვნება და მსოფლმხედველობაც შეეცვალათ.

მთავარი გმირის ქმედება გახდა მოტივი ცხოვრების არსს ჩასწვრივოდან. მართალია, ზოგი უფრო ადრე, ზოგიც ოდნავ გვიან მიხვდა, მაგრამ მთავარია, რომ შეიცვალნენ.

თუმცა ჯერ არცთუ ისე დიდი ვარ, ცხოვრებაში ღირსეული ადამიანები შემხვედრიან. აღვტაცებულვარ და მიამაყია მათით, რომ ისინი ჩემი ქვეყნის შვილები არიან. უფრო კი ის გამხარებია, რომ მეც ამ ქვეყნის ნაწილი ვარ. ჩემთვის ყველაზე ღირსეული ადამიანი არის ის, ვინც საკუთარ ცხოვრებას ისე წარმართავს, უკან მოხედვისა და ადამიანთათვის თვალის გასწორების არ შერცხვება, ის, ვინც სათანადოდ ემსახურება სამშობლოსა თუ ერს.

\* გაგრძელება. იხ. „ჩვენი მწერლობა“ № 13, 14, 15

ჩემთვის — და არა მხოლოდ ჩემთვის — ყველაზე ღირსეული ადამიანი არის ილია ჭავჭავაძე. მთელი მისი ცხოვრება სიკეთით სავსე გზაზე სვლა იყო. ილიას სახელს უკავშირდება საქართველოს მრავალი წინ გადადგმული ნაბიჯი. იგი გახლდათ პიროვნება, რომელმაც ყველაფერი პირადი შესწირა სამშობლოს და ბოლოს თვითონაც შეენირა. ილია ჭავჭავაძე იმ ერთეულთაგან ერთ-ერთი ყველაზე ღირსეულია, ვისი არსებობითაც ნამდვილად უნდა ამაყობდეს ქართველი ერი.

ადამიანი უფლისგან შექმნილი ერთადერთი მოაზროვნე და მეტყველი არსებაა, რომელიც უამრავი დადებითი თუ უარყოფითი თვისების მატარებელია. ცალკეული ინდივიდი დამოუკიდებელ, ორიგინალურ სამყაროს ქმნის. ღირსება სულის სამშენისია, ის თვისებაა, რომელიც ადამიანის შინაგან სამყაროს შეგვაცნობინებს. ღირსება სწორედ ის ნიჭია, რომელიც ადამიანს სწორად ცხოვრებაში ეხმარება. იგი ყველა ადამიანშია გარკვეული დოზით მაინც, თუმცა ღირსეულად ყოფნა ერთეულთა ხვედრია.

უღირსია ის, ვინც საკუთარ ბოროტებას დაუფარავად ამჟღავნებს. აქედან გამომდინარე, მარტივია განვსაზღვროთ ღირსების მთავარი არსი. ღირსება სიკეთეა, მაღლია უფლისგან ბოძებული. ბოლოს ვეთანხმები შექსპირის ნათქვამს „უფრო ღირსეული იქნები, ვიდრე ხარ, შენს ღირსებას რომ არ ახსენებდე“.

**ნინო ხიდიშელი**  
(ლექტორანტი — III კურსი)

ლექტორი მუდმივად ცდილობს დიდი ცოდნა და გამოცდილება შესძინოს თავის სტუდენტებს, მისი ლექციები ყოველთვის შთაბეჭდავი, მრავლისმომცველი და ამომწურავი იყოს, ამასთანავე, გაუმრავალფეროვნოს ინტერესთა სფერო.

სულ ახლახან სტუდენტებს საშუალება მოგვცა უნივერსიტეტში გვენახა მსოფლიო კინოშედევი „მკვდარი პოეტების საზოგადოება“. სურათი 1989 წელსაა გადაღებული და ოსკარზეც გახლდათ წარდგენილი. გამოსვლისთანავე არ მოჰკლებია ბევრი დადებითი გამოხმაურება, რეცენზია. ამ ფაქტს ისიც ადასტურებს, რომ ფილმს დღემდე კვლავაც დიდძალი მყურებელი ჰყავს. ამის მთავარი მიზეზი გახლავთ აქტუალური თემატიკა, აღარაფერს ვამბობ, რომ აქ თამაშობენ ცნობილი, გამოცდილი მსახიობები და ვიზუალური თუ ტექნიკური თვალსაზრისითაც მაღალი ხარისხით გამოირჩევა.

პიროვნებაში ღირსების ჩამოყალიბება სიყმაწვილიდან იწყება და ამაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ოჯახი, გარემო, სადაც ინდივიდს უნევს ცხოვრება. ფილმის სიუჟეტის მიხედვით, რობინ უილიამსის გმირი, ინგლისური ენის მასწავლებელი, შეცვლის მოსწავლეთა ცხოვრებას, მსოფლმხედველობას პოეზიის დახმარებით. ის მათი შთაგონების წყაროდ გადაიქცევა. მან შეძლო თვალი აეხილა და დამოუკიდებელი აზროვნება ესწავლებინა შეგირდებისთვის, საკუთარი სურვილის, აზრის გამოხატვის აუცილებლობაზე გაუმახვილა ყურადღება და მისი გაკვეთილების წყალობით ისინი სხვაგვარად დაფიქრდნენ, თუ როგორ უნდა იცხოვრონ.

მართლაც, პოეზიის, ლიტერატურის სწავლებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში. უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, მწერლობაზე საუბრის, მსჯელობის, შესაბამისი მასალის გაცნობის, ათვისების მეშვეობით, პიროვნება სრულყოფილ, სრულფასოვან ინდივიდად ყალიბდება. განათლებული, შესაბამისად, მოაზროვნე ადამიანი თუ საზოგადოება სხვაგვარად აფასებს, აღიქვამს მოვლენებს და გამოირჩევა ინდივიდუალური მსოფლმხედველობით. აქვე არ უნდა დავგავიწყდეს იმის აღნიშვნაც, თუ რა დიდი როლი ეკისრება ადამიანს, იქნება ეს მასწავლებელი თუ ლექტორი, რომელიც თავის მოსწავლეებს, სტუდენტებს ესაუბრება პოეზიაზე, მწერ-

ლობაზე. მასზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული. როგორც ზემოთ მივუთითეთ, ეს ფილმიც შესანიშნავადაა ნაჩვენები და გადმოცემული.

„მკვდარი პოეტების საზოგადოებამ“ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და ბევრ რამეზე დამაფიქრა, იმაზე თუ რა არის თითოეული ჩვენგანისთვის ღირსება, როგორ გვესმის ეს ცნება, რას ვაკეთებთ საკუთარი ღირსების დასაცავად... ამ საკითხზე მსჯელობა არცთუ მარტივია და დაფიქრებას, მსჯელობას საჭიროებს იმის მიუხედავად, რომ ამ თემაზე საუბარი დიდი ხანია დანაწევრულია და კვლავაც გრძელდება.

გავრცელებული, გაზიარებული თვალსაზრისით ღირსება უნივერსალური ცნებაა. ის როგორც წესი, სახელმწიფოზე, ეროვნებასა და იდეოლოგიაზე მაღლა დგას. ის ყველა უფლებათა და თავისუფლებათა წყაროა. ამ ცნებაზე ბევრი რამ არის დაფუძნებული თუ დამყარებული. შესაბამის ნაშრომებში გამოარჩევენ ღირსების ორ მთავარ სახეს. ესენია: ადამიანური და პიროვნული. ეს უკანასკნელი კეთილი საქმით, კეთილშობილური საქციელით მიიღწევა, მაგრამ ილახება უღირსი, სულმდაბალი ქმედების ჩადენისას, ხოლო რაც შეეხება ადამიანური ღირსების გრძნობას, იგი კაცობრიობის ბუნებიდან გამომდინარეობს და ერთნაირად აქვს მომადლებული ყველა ადამიანს.

ღირსების შეგრძნება ყოველი ჭეშმარიტი პიროვნების აუცილებელი თვისებაა. ადამიანს ამკობს, აკეთილშობილებს, ამაღლებს სულიერი ღირებულებანი. ღირსება და გარემო ერთმანეთთან მუდმივად გადაჯაჭვული ორი ცნებაა. ადვილად შესაძლებელია, ამა თუ იმ გარემომ განუზომლად დიდი ზეგავლენა მოახდინოს ინდივიდის ღირსებაზე და პიროვნული თავისუფლება ნაართვას, ან პირიქით — ხელი შეუწყოს ზნემაღალ პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში. ამდენად, ყოველი ადამიანი უნდა ესწრაფოდეს თავისი ცხოვრების მთავარ დევიზად გაიხადოს საკუთარ ღირებულებათა დაცვა თუ შენარჩუნება, როგორ გარემოსა თუ საზოგადოებაშიც უნდა მოუწიოს მას ყოფნა. ეს სწორედ ის ფასეულობაა, ურომლისოდაც არსებობა შეუძლებელი და წარმოუდგენელია.

ბოლოს კი ვიტყვი, რომ დღევანდელ ყოფაში, ჩვენ, ქართველ ერს მუდამ უნდა გვახსოვდეს, არასოდეს დავვიწყოთ ნიკო ლორთქიფანიძის ერთ-ერთ მინიატურაში გამოხატული მწერლის მთავარი სათქმელი, სურვილი: „მოუარეთ საქართველოს“ და კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიერ დასახული უდიდესი სინმინდე, რომელსაც უნდა ვიცავდეთ: „ღმერთი, სამშობლო, ადამიანი“. ჩვენ ხშირად უნდა ვიმეორებდეთ ამ სიტყვებს, რომელთაც ცხადია, დიდი დატვირთვა აქვთ მიენიჭებული.

**მარიამ დაღუნაშვილი**  
(ბაკალავრიატი — IV კურსი)

ჩვენ, ადამიანები ვცხოვრობთ ამ სამყაროში და გარკვეული მოვალეობანი გვაკისრია, ან უპასუხისმგებლოდ ვცხოვრობთ, როცა ჩვენ მოვალეობებს ვერ ვიაზრებთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რაღაც ღირსებები და ფასეულობები მაინც გავაჩნია, რაც მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანია, რაც „ჩვენი გადმოსახედა“. ეს ღირებულებები იმდენად მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რომ მათ ვუფრთხილდებით.





ღირსება ჩვენი სიმდიდრეა. ნელ-ნელა ვუფიქრდები, უფრო და უფრო ვულრმავდები, ვცდილობ გამოვიცნო მაინც რა არის ღირსება, რას ვგრძნობ, როცა ამ სიტყვას ვამბობ ვის-სენებ, როდის და რა კონტექსტში გამოიყენება. ან სხვას რომ უთქვამს, რას გულისხმობდა? ეს ხომ ნივთი არ არის, რომელსაც შეიძლება დავაკვირდეთ ან გვერდიდან შემოვუაროთ, რომ როგორმე მის მნიშვნელობას მივხვდეთ?

ვფიქრობ, ყველა ადამიანს ინდივიდუალური მიდგომა აქვს ამ ცნებასთან. პირადი ხასიათი, ადამიანური გარემო, ოჯახი, საზოგადოება, ქვეყანა, ტრადიციები და ყველაფერი ის, რაც ჩვენს ირგვლივაა, გარკვეულ გავლენას

ახდენს ჩვენზე. ამ ყველაფრიდან რაღაც დოზით ყველაფერია აღებულ-მოუკიდებელ პიროვნებად გვაყალიბებს.

ამიტომ ადამიანებს ცალ-ცალკე თავისი ბუნება და ხასიათი აქვს, ყველას თავისი დამოუკიდებელი აზროვნება გააჩნია... აქედან გამომდინარე, ღირსებაც ინდივიდუალურია.

ღირსება ის არის, რაც შენშია გამონათობილი, ჩამოყალიბებული, დროისა თუ გარემო პირობების გათვალისწინებით.

დოსტოვესკი „დიოტიმი“ წერს: „გულისხმიერებასა და ღირსებას გული ასწავლის და არა ცეკვის მასწავლებელი“. ღირსება ეს ის აბსტრაქტული ცნებაა, რომელიც ჩვენი გულიდან მოდის და ჩვენთვის უმაღლესი ფასეულობაა.

„დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან“ — ნიკო ლორთქიფანიძის ეს არაჩვეულებრივი სტრიქონი ერთეულს თუ მიემართება.

ჩემ ირგვლივ უამრავი ადამიანი ცხოვრობს. თუ დავფიქრებ, ბევრ საერთოს ვიპოვებ ერთმანეთთან. ზოგი იმით დამემსგავსება რომ ჩემსავით ქალია, ზოგი ჩემსავით ქართველია, ზოგს ჩემნაირი ინტერესები აქვს, ან მისწრაფებები, ან იქნებ საერთოდ არაფერი არ გვაერთიანებდეს, მაგრამ ის მაინც გვაკავშირებს, რომ ყველას გვაქვს ჩვენი მიზანი, ოცნება რაღაცის მიღწევის, ვისთვის უინტერესო, ვისთვის საინტერესო...

თითოეულ ადამიანს, რაც უნდა წყალნაღებული თუ გაუბედურებული იყოს, რაღაც დოზით, რაღაც ეტაპამდე მაინც მოეპოვება ღირსების შეგრძნება. არავის არ აქვს უფლება, ადამიანებს შორის განსაზღვროს, ვინ მეტად ღირსეულია, ვინ ნაკლებად, „კარგი“ და „ცუდი“ შეფასებითი კატეგორიებია და ვისთვის კარგი, ვიღაცისთვის ცუდია და პირიქით (შეფასება ლიტერატურასავითაა, უკიდვანო და უსაზღვრო, ლიტერატურაში არ არსებობს სწორი ხაზი, ლიტერატურა გეომეტრია არაა, ოღონდ მთავარია, შენი აზრი ბოლომდე გქონდეს შესისხლბორცვული და გათავისებულები. ბოლომდე ფლობდე, შენს აზრს).

... „მკვდარი პოეტების საზოგადოება“ ფილმი, რომელსაც მე, რუსულის არმცოდნემ, რუსულად ვუყურე და მაინც ვიტყვი... და განა მართლმ, მეგობრებიც აცრემლებული თვალებით ისხდნენ აუდიტორიაში და ჩვენი ლექტორი, რომელიც ალბათ უკვე მერემდედვე უყურებდა ამ ფილმს, მაგრამ იზიარებდა ჩვენს „პირველი ნახვის“ ემოციას.

ფილმის მთავარი გმირი, რომელიც აყალიბებს მკვდარი პოეტების საზოგადოებას, უყვარს ხელოვნება, პოეზია, თეატრი და სურვილი აქვს, მსახიობი გამოვიდეს. თითოეული ჩვენგანის სურვილია ვაკეთოთ ის საქმე, რაც გვიყვარს და იგივე სურვილი აქვს ფილმის მთავარ პერსონაჟსაც. მაგრამ როცა ამ მიზნის შესრულების გზაზე ნინ გვეღობებინ, ან საშუალებას არ გვაძლევენ...

ფილმის მთავარი გმირი ღირსეულად ამთავრებს სიცოცხლეს. მას იძულებით არაფერი უკეთებია, იმ საქმეს აკეთებდა, რაც უყვარდა და ბედნიერი იყო ამით და, როცა ამ გზაზე ნინ გადაეღობებინ, სიკვდილი არჩია დანებებას და იძულებითი საქმის კეთებას.

გურამ პეტრიაშვილი

ირინეს პავშოვა

8 ნოემბერი, 1989 წ.

ამ ბოლო დროს ხშირად მღერის თავის მიერვე გამოგონილ სიმღერებს.

ხშირად ხატავს.

ხატავს ქალებს და კაცებს სულ სხვადასხვანაირად და ლამაზად ჩაცმულებს.

ხანდახან ხატვისას მღერის კიდევ და სიმღერით ამბავსა ჰყვება (ალბათ იმას, რასაც ხატავს).

დღეს სალამოს კი, აი, რა ქნა.

სანოლში ორ ბალიშს მიყრდნობილი ვწერდი რა-ღაცას. მოვიდა, დამიჯდა მუხლებზე და დაიწყო ლექსების თხზვა.

თან მეუბნებოდა, ჩაინერეო (ეტყობა შეამჩნია, რომ ვინერდი ხოლმე მის გამოთქმულ ლექსებს).

სათაურებსაც მკარნახობდა.

ახლა სიმღერებიც ჩაინერეო და მიმღერა თავისი გამოგონილი.

მერე ისევ ლექსებზე გადავიდა...

ძილის წინ ვუკითხავდი კიბლინგის ზღაპარს კატაზე. ზღაპარში კატამ მესამედ რომ ათქმევინა ქალს „ყოჩაღ!“ ირინემაც წამოიძახა: „ყოჩაღ! — დავლიოთ რძე!“ ესე იგი, მოგვეცი რძე, როგორც გავრიგდითო.

11 ნოემბერი, 1989 წ.

დამიჯდა მუხლზე და ჩამანერინა ლექსები:

„შვიდფეროვანი ქამარი არტყია მზეს და მთვარეს შადრევნის შუქში... და ფიქრის შუქით ანათებს, ანათებს ამ ჩვენს მხარეს...“

„წვიმა აშხაპუნებს სახურავზე და პატარა ბიჭუნა იხედება ფანჯრიდან... გიზგიზებს სახლში ღუმელი და ის ღუმელი თითქოს ანათებს ოქროს ბედისთვის, იმისთვის, რომ ოდესმე ასრულდეს მათი ნატვრა...“

„იქარვება ოქრო-ვერცხლით თეთრი ნაჭერი და თითქოს თოვლზე სისხლი დაღვრილა ისევ... თითი გაიჭრას ამ კაბის პატრონმა, თითქოს მისი ნატვრა არ ასრულებულა დღისით...“

„აი, ამ დღეს მომილოცეს, მომცეს დიდი თაიგული სიხარულით, სიხარულით აბაკუნებს ჩემი გული“.

„იმ დღეს ისევ მომილოცეს, გამიხარდა ძლიერ, ჩანთა ისევ მომცეს ხელში,

\* დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“ № 5, 6, 13, 14, 15

რვეულებიც ისევ.  
აი, ძლიერ მიხარია,  
რომ წავედი მე სკოლაში  
ფიქრიანი დღისით...“

„ბალი არ დამავინწყდება,  
მაგრამ მაინც მავინწყდება  
და თუ ჩემი აღმზრდელები  
მაინც თუ დამავინწყდება,  
ჩემი ბალი და ბავშვების ჟრიაშული  
დღის ბოლომდე არ დამავინწყდება...“

„აი, ისევ გამოჩნდა თოვლი ჩვენს სახურავზე  
და ჩვენს სეირნობას ბოლო არ ექნება ალბათ,  
თუ ეს თოვლი ზამთარში  
არ დარჩება ძლიერ დიდ ავდრად...“

„მიიჩქარის მონაფე სახლისაკენ, ჰერი,  
მშობლებს ძლიერ გაახარებს,  
ხუთიანი დღიურში აქვს,  
ზედ დაჰნათის და მღერის...“

„რომ მკითხონ, ვინა ვბრძანდები  
და საიდან მოვბრძანდები,  
ვეტყვი, მონაფე ვბრძანდები,  
მუდამდღე ხუთიანი  
სახლში მოვბრძანდები...“

„ვინ გატეხა ჩემი ჭიქა“  
ვინ გატეხა ჩემი ჭიქა,  
მეკითხება ციცქნა და.  
ვინ გატეხა, თქვენ დაფიქრდით,  
თქვენ თუ გკითხათ, ჰა...“

**მარწყვები რა წითელია**  
მარწყვები რა წითელია,  
თითქოს ისევ ყვითელია,  
ყვითელი რომ ბრძანდებოდეს,  
მაგრამ მგონი წითელია,

**ახლა კი გამომიცხადა:** „არც ავდარი, არც დარია... ამ  
სიმღერას ასე ჰქვია“ და უკვე სიმღერით მითხრა:

„უჰ, რა კარგი დღე გათენდა,  
კიდევ ძლიერ მიხარია!  
ჩემ დაიკოს დაბადების დღე  
არის დღეს.  
ის საჭმელად მეჯავრება  
თუ ის ისევ სანოლშია...  
მიხარია, მიხარია,  
მაგრამ დღე რომ ნათელია...  
კიდევ აქეთ-იქით გავივლი...  
დღე რომ ნათელია,  
მეტი რა უნდა,  
არც ავდარი, არც დარი...  
მეტი რა გინდა, რომ გიხარია...  
მზე ანათებს,  
მზე ანათებს,  
ეგ კი მუდამ მთავარია...  
მზე ანათებს,  
მზე ანათებს,  
ეგ კი მუდამ მთავარია...  
პანანინა თუ არ ხარ ძლიერ  
და თავზე დიდი ქული“

თუ არ გახურია,  
არც ავდარი  
არც დარია  
ჰე!“

**„ეს, როგორ მიხარია“**  
— ეს, როგორ მიხარია,  
ისევ ზამთარი დამაჯერია...  
აგერ ფულუროში ციყვი,  
როგორც ყოველთვის, მიიმალა...  
ალარ არის არც ჩიტი  
და არც ცხოველის ჭაჭანება...  
ზოგი ლელავს,  
ზოგს კი ცივა,  
სიმღერა არის,  
მაგრამ არ არის არავის ჭაჭანება...  
ტყე მაშინ არის ლამაზი,  
როცა თოვლი შიგ მოდის  
და როცა დოღს უბაგუნებს  
ზამთრის პატარა ფიჭვს  
ფიჭვზე დამჯდარი ტყის კაცუნა...  
არც არაფერია,  
მხოლოდ ზამთარია...  
თქვენ რომ იცოდეთ,  
ჩემო ბავშვებო,  
როგორ მიხარია!  
ყველამ იცოდეთ,  
ყველამ იცოდეთ,  
ეს სიხარულია...“

„აი, მზე ისევ ანათებს  
და ბულბული ისევ მღერის,  
ამ საქართველოს სიმღერას  
ბევრი ქართველი მღერის,  
და სიყვარული არც ხდება  
აპრილი ალარ ტირის,  
ტიტები ისევ იცინის  
და გამარჯვებას ეს საქართველო მღერის...“

**„ეს ჯადოსნური ლაბადა“**  
„ეს ჯადოსნური ლაბადა  
დარშიც და ავდარშიც  
ყველაფრად გამომადგება  
თუ იყოს სიმღერით  
შეკერილი ოქროს ძაფით  
და იმ გულისხმით,  
რომ შენს სამშობლოს  
არავინ, არავინ  
არ ესხმის...  
როგორ მიხარია,  
ჩემო ციცქნა მზია,  
რომ სამშობლოს ანათებს  
და ისევ დგია  
მისი ძეგლი, მისი ძეგლი  
სამშობლოს სიყვარულის მზეა“.

„მე ყველაზე მეტად  
გულით მიხარია,  
ჩემს ოთახში,  
ჩემს ოთახში  
დიდი მაგიდა დგას  
და ეს მიხარია...  
რომ გაზაფხულია,  
ეგეც მიხარია...“

მგონი არც ზამთარია,  
ყვავილები ისევ ყვავის  
ჩვენს ეზოში  
და ჭიკჭიკა ჩიტი  
ისევ ჭიკჭიკებს  
და გაზაფხულია,  
ესეც მიხარია,  
არც ავდარი არ არის,  
მზე ანათებს  
და ზაფხულია...  
გაზაფხული, გაზაფხული  
მგონი მაგის მახარია,  
კარები, კარები ჩემს ოთახში ღია...“

ახლა კი ლექსებად მითხრა:  
„აგერ მთები,  
აგერ ზღვები,  
აგერ ვენახები,  
საქართველო შენი არის...  
შენს სამშობლოს თუ ოდესმე  
სიმღერითა ხვდები  
საქართველოს მაშინ ფიქრებს  
შენ მიხვდები...“

„რა ლამაზია  
ეს პატარა საქართველოს მხარე,  
მე რომ მალულად სიზმარში  
ეს საქართველო  
მთლად მოვიარე...  
არ მეშინია  
მე არაფრის,  
არც ქარის  
არც დარის და ავდრის,  
ეს საქართველო მთლად ჩემია  
და ისევ არის...“

მითხრა, ეს ჩემი ამხანაგისგან გადმოვიღეო:  
„ოჰ, რა ლამაზია  
საქართველოს მთა,  
ოჰ, რა ლამაზია  
საქართველოს ცა,  
მასზე ხოხბის ფერების  
საოცარი ცვლა.“

„და ისევე მღერის ყველა ჩიტი ისევ  
და სიხარული აღარ ცხრება დღისით  
და არც ღამით გაჩერდება მგონი,  
თუ საქართველო რიონის სიყვარულით მოდის...“

მერე კვლავ სიმღერით განაგრძო:  
„ეჰ, ლაბადავ, ჯადოსნურო ლაბადავ,  
ეგ კარგია, თუ ზამთარი დადგება,  
სულ არ გამოგადგება...  
არ მინდა არც ლაბადა, არც არაფერი,  
ნეტავ ვიყო მშვიდად...  
ეჰ, გზატკეცილი და ლაბადა...  
ესეთები, კარგები ვინ დაგბადათ...  
გზატკეცილო,  
სუფთა წერიალად გზატკეცილო,  
თქვენ უზარმაზარ სანახავში რა ინახება?  
იქნებ ოქროს ჯანჯალებით დაინახება,  
სულ თეთრი ნალებით თუ არ დაინახება,  
ეს, ძველისძველო, მოვლენილო ლაბადა,  
ას ნლებში მოვლენილო,

ვინ გაგაჩინათ ესეთი,  
ვინ გაგაჩინათ ესეთი...  
ჰერი, ჰალა, ჰე...  
გზატკეცილის ბედი ხარ  
ას ქუჩაზე მიდიხარ...“

ამ ლექსებში და სიმღერებში ჩანს წარმოსახვისა და ფან-ტაზიის უდიდესი უნარი, ოცნებები, ფიქრები, ნატვრები და ისიც, რომ ახსოვს, რაც ჩვენ ერთად ნაგვიკითხავს. აი, მაგალითად, „გზატკეცილი“ ჩემი აზრით, არის ვესტლის მოთხრობიდან: „რვა ბავშვი, საბარგო მანქანა და სხვა“.

**12 ნოემბერი, 1989 წ.**

ასეთი ლექსი ჩამანერინა:  
„რა ლამაზია, საქართველოს ვაზია,  
მასზე ტკბილი, ტკბილი ყურძენი აბია,  
თითქოს ჩანჩქერივით შუქი ჩამოდის  
და აღარ ტირის ტირიფი.  
და ისევე გამარჯვების ხმა ისმის...  
გაუმარჯოს საქართველოს,  
გაუმარჯოს საქართველოს  
და მის სიხარულს საზღვარი არა აქვს!“

**16 ნოემბერი, 1989 წ.**

უკვე ერთი კვირაა, რაც კითხვით დაინტერესდა ირინე. ქალაქში რომ დავდივართ, ყველგან ცდილობს წაიკითხოს აბრები, აფიშები, წარწერები... მე მგონი, სულ მალე ისწავლის კითხვას.

დღეს ვიყავით დავითგარეჯში. ომარ გვასალაია გვიღებს ირინესაც და მეც თავის ფილმში („ალყა“).

ირინე დღეს პირველად გადაიღეს. იყო ასეთი ეპიზოდი: ბავშვები ხეზე ჰკიდებენ ქსოვილის ნაჭრებს. ნაჭრები საქართველოს დროშის ფერებისაა. ირინე პატარაა და ვერ შეესწვებოდა ტოტებს. ომარს შევთავაზე, ირინემ ბავშვებს უყუროს-მეთქი. ომარმა მოიფიქრა, ნაჭერი ეჭიროს და იმეოროს იმათი უესტები, თუ როგორ ჰკიდებენო. ირინემ ძალიან სერიოზულად, კარგად გააკეთა ეს. მერე გოგო-ბიჭი ცეკვავდა და სხვები ტაშს უკრავდნენ... ირინე ძალიან კარგად უკრავდა, ტაქტში. იქ ყველას მოეწონა ირინე.

**18 ნოემბერი, 1989 წ.**

დილით მითხრა ეს ლექსი:  
„დათუნიას დედამ უთხრა,  
დათუნიას, სასწრაფოდ,  
ხელი არსად არ გაყო,  
თავი არსად არ ჩაყო...“  
კიდევ დიდხანს აგრძელებდა. ვეღარ ჩავინერე.

**19 ნოემბერი, 1989 წ.**

ახლა დაგბრუნდით დავითგარეჯიდან. როგორც უკვე ჩავინერე, იქ ომარ გვასალაია გვიღებს თავის „ალყაში“ ირინეს და მე. ფინალურ სცენაში ირინე მიმყავდა ხელჩაკიდებული. მერე ჩემს გმირს გული უსკდება და კვდება, როცა დაინახავს ცეცხლში გახვეულ მშობლიურ ქალაქს. ირინესი და ზურაბ ყიფშიძის ვაჟის- გიორგის ხელები მეჭირა, როცა ნავეიქვი. <მკვდარს> გამამეებინეს ხელი და გაიქცნენ ქალაქისაკენ... ირინეს ძალიან შესცივდა და ატირდა, მცივაო. ახლა უცებ მომადგა და დაინყო სიმღერა:

„გურამ შენი შავი ქურთუკი, გურამო, საღებავში გაგიხამებია, გურამო, კალმისტრები გიხდებოდა, გურამო...“  
აი, ასეთი პაროდია შეთხზა ჩემზე.  
რაც შეეხება საღებავს, ამიხსნა, იქ რომ საღებავი გქონდაო (ვითომ გული რომ გამისკდა და სისხლი წამომივიდა პირიდან).

**21 ნოემბერი, 1989 წ.**

გუშინ დამახვედრა ლამაზი ნახატი: სახლის ინტერიერი. ოთახები. ოთახებში ავეჯი და ყველაფერი...

დღეს მითხრა:

— მამიკო, სახის ნახევრის დახატვა იცი?

— ეგ როგორ, შვილო?

— აი, ასე, — პროფილში შეაბრუნა

სახე, — მე ვიცი!

**3 დეკემბერი, 1989 წ.**

მითხრა, ჩაინერე სიმღერაო და მიმღერა:

„ოდელია, დელიაო,  
ჰარი, ჰარალელაო,  
კოკით ხელში მიდის ბიჭი,  
აბა, დელა, დელაო...  
აი, წყაროსთან მივიდა  
დელი, დელი, დელაო...  
კოკა პირთამდე აავსო,  
ჰარი, ჰარალელაო...“

ამ პატარა ბიჭს ჰქვია თემურიკო... ყველას კარგად გასცემს პასუხს. სად გინახავს უფრო ყოჩაღი კეთილი და მარდი ბიჭი, დილით წამოდგება და კბილები კრიჭი...“  
სიმღერა რომ დაასრულა, მითხრა: დაანერე „სიმღერა. კოკა და ბიჭი“. ირინე პეტრიაშვილი. 6 წლის.



**20 დეკემბერი, 1989 წ.**

აი, წაიკითხა „საქართველო“. წიგნის ტიტულზე ეწერა „საბჭოთა საქართველო“. და იქ წაიკითხა.

**27 დეკემბერი, 1989 წ.**

მღერის თავის სიმღერებს:

„ჩემო კარგო გომბეშო,

უნდა გაგაშეშო...“

„მოდოდნენ ბავშვები...“

ხომ არ დაეკარგათ ზღაპრები...“

**„კაკო და კოკა“**

„მაგრამ კოკა მაინც არ გატეხილა...“

ისევ კაკო...“

წყაროზე წასვლა...“

ისევ უხარია...“

ისევ პატარაა...“

**„სავარცხელი და თია“**

„სავარცხელი მოუტანეს თიას, სიხარულით ფეხზე არა დგია.“

**„კიდევ ვიცი კარადაზე“**

„იყო ერთი პანანინა,

იყო ჩემი ცხვირის მილა,

იყო ერთი პანანინა.

დედამისის თვალის ჩინა

ცნობისმოყვარე სპილუნა,

ერთხელ მისცა ჯუნგლის

ცხოველებს

აი, ესეთი კითხვა:

ეს ყუთი რომ დაუდგიათ ადამიანებს,

რად უნდათ, რომ კარი ეღებო,

ყუთს რად უნდა კარი?“

**6 დეკემბერი, 1989 წ.**

ერთი კვირაა, რაც გაუჩნდა კითხვისადმი ინტერესი. სხვანაირად რომ ვთქვათ, იგრძნო კითხვის ეშხი. უკვე კითხულობს და იგებს იმ წინადადებების აზრს, სადაც მისთვის ნაცნობი ასოებია. ცოტაც და დაინყებს წიგნების კითხვას.

**11 დეკემბერი, 1989 წ.**

გამოცანები მოიფიქრა: „ასი წელი არა ნახავ, მეასეს კი ინახულებ, მაგრამ მაინც იქ დაგხვდება“. ეს ყოფილა ცა. „მუშტები ურტყი, თავი ახალე, ხმალიც დაარტყი... ისევ ისე შემოგხვდავს“. ეს ყოფილა ჰაერი. „არც ფერი აქვს და არც გემო, მაგრამ მაინც ადამიანი პირს აკარებს“. ეს ყოფილა წყალი.

**13 დეკემბერი, 1989 წ.**

ხელი აქვს გაფხაჭნილი. ვუთხარი, მოდი მალამოს წაგისვამ, თუ გტკივა-მეთქი. არა, არ მინდაო. ეტყობა, ეშინოდა, მეტკინებო. ცოტა ხნის შემდეგ კი მომამხა: — წამსმელო!

**14 იანვარი, 1990 წ.**

მღერის თავის ნაირგვარ სიმღერებს:

„...გაუკვირდათ კატუნებს, რომ ვერ შეაკნატუნეს...“

„...მეტი-მეტი თოვლის გუნდა, განა პატარებს არ უნდა...“

„...თოვლი მოდის, თოვლი ცვივა, ნაძვის ხეებს არა სცივა...“

„...თოვლი მოდის, ქარი ქრის ვერაფერი ვერ გადის...“

**19 იანვარი, 1990 წ.**

მითხრა, ჩაინერე ლექსიო.

**„თბილისი და ბიჭი“**

დავიარე მთა და ბარი,

არ მანუხებს მზე და ქარი,

ქარიშხალიც ნიაჯია,

თუ სამშობლო დაპყრობილი არი...“

განა ახლა ძილის დროა,

იქნებ თქვენთვის

უფრო კარგი ძილი არი,

ვიდრე თქვენი სამშობლო  
დაპყრობილი რო არ არი.

„ია“  
გაიფურჩქნა ციცქნა ია,  
გაახილა თვალი,  
აგერ კვირტიც გაუშლია,  
რა ლამაზი არი...  
აგერ ვარდმაც გაიხედა,  
რა ლამაზი არიო,  
ყაყაჩომაც დაუყვავა:  
„პანანინა ქალი“...

მიტხრა, ეხლა კი სიმღერაო და ამღერდა:  
„აშრილდა ტყის ფოთლები,  
მზე აცხუნებს, ზაფხულია,  
მაგრამ ტყეში მაინც თბილა,  
არცა ცივა, არცა ცხელა...  
აქ კურდღლები დახტიან,  
აქ დათვები ბურღლუნებენ,  
ვერ იყოფენ თაფლს,  
აგერ ზღარბიც გამომძვრალა,  
როგორ აქნევს თავს...  
კალათაში სოკოები  
დევენ, როგორც ყვავილები,  
აქ ხომ ხილიც ბევრი არი,  
დავიარე მთა და ბარი...  
ტყე თუ თქვენთვის უშნო არი,  
ჩემთვის კი ლამაზი არი...“

„ზაფხულია, ყველგან ცხელა,  
ყველგან არი მზე და ქარი,  
მაგრამ ქარი ნიავია,  
თუ ზაფხული ყველგან არი.  
ალარ გვინდა ლაბადები,  
ქურთუკები და ქურქები...  
ზაფხულია, ვერა ხედავთ?  
ყვავილები და ხეები  
აყვავდნენ და რა აყვავდნენ  
სულ გაფურჩქნეს ეგ კოკრები...  
ყველას ძლიერ გაუხარდა,  
ზაფხულია აქ ყველასთვის:  
ბაღებისთვის, სკოლებისთვის  
სახლებისთვის, ბინებისთვის,  
ტელეფონის ნომრებისთვის,  
კაცების და წიგნებისთვის...  
რა არ გინდა აქ რომ არი,  
ჩვენთან უკვე ზაფხული არი...“

„საბავშვო ბაღში წასულა  
პანანინა, ციცქნა ბიჭი,  
იქ თავი გამოიჩინა  
მაკრატელით კრიჭი, კრიჭი...  
დაანება ძლიერ კარგად  
და გამოჭრა მშვენივრად,  
აგერ უკვე ხუთოსანიც გახდა  
სკოლაში მღერი-მღერად.  
იქ სხვა ბაღიც დააარსა  
სულ გვახარა ტკბილ სიმღერად...“

20 იანვარი, 1990 წ.  
სალამოა.  
მომიცოცდა და მიტხრა, ლექსები ჩავწეროთო.

„შემოდგომა და მზის სხივი“  
შემოდგომის ცივი ქარი ქრის  
და სეტყვიანი წვიმა სულ მოდის...  
და სეტყვის წვიმას უყურებენ პატარები...  
აბრიალდა ცაში მზის კეთილი სხივი,  
თითქოს გვეკითხება, თქვენც მშვიდობით ტირით?

ახლა რომ უნდა მიტხრა ამ ლექსს რა ჰქვია-მეთქი? მიტხ-  
რა „ნანახი კინო“-ო.  
ეს იმის შთაბეჭდილებით შეთხზა, რომ დედამისმა არ აყუ-  
რებინა კინო, დაიძინეო...  
„ამ სალამოს ძლიერ გვიან  
კინო იყო ძლიერ კარგი,  
დედამ არ მაყურებინა  
და ამკიდა ძილის ბარგი...  
მერე დიდხანს ვიტირე  
და გეგმა გავიჩინე,  
რომ ჩუმჩუმად კარების ქვეშ  
ძრომით უხმოდ გამეცოცა...  
სავარძლის ქვეშ დამალვა  
ადვილია განა?  
მაგრამ აბა სხვა რა გზა  
მქონდა იმ წუთში?  
მაგრამ ჯერ რომ არ იყო  
დანყებული კინო,  
არც ვიცოდი რა მექნა,  
შური თუ მეძია,  
კიბეზე ავმძვრალიყავ  
იქ მეფიქრა გვიან?  
ჰოდა, უცებ ვიფიქრე,  
დავწერ ლექსებს მანამ,  
სანამ აღარ მორჩება  
სისულელის ჯღანა...  
ჰოდა, სულ გამიხარდა,  
მართლაც კარგი არი,  
აბა, ეგეთი გეგმა  
სიხარულიც არი...“

21 იანვარი, 1990 წ.  
დღეს ასეთი ლექსი ჩამანერინა ირინემ:

„უცნაური სიტყვები“  
იქნებ ვინმე უყურებს  
ძველ სიტყვებს და ახლებსაც  
და თუ ვინმე უყურებს,  
განა მისი ბრალია  
და არც მისი ვალია,  
რომ უყუროს,  
ვინც გინდა იყოს  
გინდ ბიჭი გინდ ქალია...  
მაშინ კარგად შეამჩნევს  
განსხვავებას სიტყვების  
აჭარის და ქართლისა,  
გერმანიის რიცხვების...  
სიტყვა ბევრი არსებობს  
ისეთი და ასეთი,  
მაგრამ ვინც დააკვირდება  
ძველ სიტყვებს და ახლებსაც,  
ის ნამდვილად მიხვდება,  
მაშინ კარგად მიხვდება,  
რომ წარსული რიცხვების  
განსხვავება ციფრების...  
ციფრებსაც ხომ აქვთ  
განსხვავება წარსულში...“

მაგრამ თუ არ მეთანხმებით,  
ციფრებსაც აქვთ წარსულში  
ძველი განსხვავება გასულში,  
ჰოდა, უფროხილდით თქვენს ციფრებს,  
არ შეგეშალოთ უცბად  
და არ წამოგცდეთ უთოს მაგივრად  
„უცხო პლანეტელს ვიცავთ...“

**30 იანვარი, 1990 წ.**

ირინეს ლექსი:  
„აქ ქართული ჯვრებიო...  
და წესით, მეორე მხარეზე,  
ჩვენი გამარჯვების დღესასწაულიო,  
9 აპრილიო.

ეს გახარების დღეაო.  
ასე წერია აქ!“

(შეიძლება ყური მოჰკრა, ტელეფონით რომ ვეუბნებოდი  
მოსაუბრეებს, 9 აპრილს ჩვენ გავიმარჯვეთ-მეთქი).

**2 თებერვალი, 1990 წ.**

უნდა დაგვეძინა და სინათლე უკვე ჩავაქრეთ, მაგრამ ირი-  
ნემ ისევ ამანთებიანა და ჩამანერინა ეს ლექსი:

„იყო ერთი ნელი,  
ჰყავდა მეზობელი  
სახელად მოგელი.  
ერთხელ იმ ბიჭუნამ  
გააბრაზა ნელი  
და გამართა მის ჯიბრზე  
დიდი-დიდი რთველი  
და ვინ არის დამნაშავე  
რთველი თუ ნელი?“

**3 თებერვალი, 1990 წ.**

გუშინ დაუხატავს ლამაზი ნახატი და უკანა გვერდზე და-  
უნერია:

„ირინე პეტრიაშვილი ზღაპრულ ბაღში“.

**4 თებერვალი, 1990 წ.**

მე წავილიდინე:  
— ჩემო კარგო ირინეო...  
ირინემ კი გააგრძელა:  
„ჩემო კარგო ირინეო,  
ჩემსკენ გამოიფრინეო,  
თრითინებს რომ ეომები,  
შენ იქ ხომ არ იფრინეო...“

მერე კიდევ გამოთქვა ლექსები:

„მოვიდა მამა,  
არ მაჭამა პამა („პამა“-ს პომიდორს ეძახის).

გავბრაზდი და ვუთხარი:  
სპილო გზის გამა („გამა“-ში შეიძლება „გამარჯვება“ იგუ-  
ლისხმებ)“

„ვისაც მარწყვი ეყვარება,  
კურდღელი არ ებრალება...  
კურდღელს კიდევ ებრალება,  
ვისაც მარწყვი ეყვარება...“

უკვე იცის წერა-კითხვა.  
ამ ერთი კვირის განმავლობაში გამოიკვეთა ეს ამბავი.

**18 თებერვალი, 1990 წ.**

მის საკლასო წიგნს ვკითხულობდი და კალმისტარს სტრი-  
ქონის გასწვრივ ვაყოლებდი ფურცლიდან ოდნავ დაცილე-  
ბით. უცებ შემთხვევით კალმის წვერი მომიხვდა ფურცელზე.

ირინემ მითხრა:

— თუ დამინერტილებ, სკოლიდან გამომაგდებენ, მამიკო!  
რამდენიმე ხნის წინ კი ზონარზე მითხრა, გამიბაფეთო.  
„დამინერტილებ“! „გამიბაფეთ“!  
რა კარგია!  
ქართულია!

**21 მარტი, 1990 წ.**

დედამისთან ერთად ნახა ირინემ ფანტასტიკური ფილმი  
„ჩინური რესტორნის ქვეშ“.  
ძალიან მოსწონებია. მთელი ფილმი მიაბო.  
ჰოდა, მეორედაც მოუნდა ნახვა.  
წავიყვანე და ვნახეთ.

შემომიტანა რვეული, რომლის ყდაზეც დაუნერია „უცნა-  
ური შემთხვევები“.

და აი, წერია:

„შემთხვევა პირველი“:

„არ გამიხდია საგარეო ტუფლები. დავიხედე და საშინაო  
მეცვა უკვე“.

გამართულადაა დანერილი.

ეს რვეული კი, ალბათ, იმ ფანტასტიკური ფილმის გავლე-  
ნით დააფუძნა.

გუშინ მითხრა, ლექსი გამოვუთქვი ჩემს კლასელსო.

„ლადო, ლადო,  
კვერცხი დადო.  
არ გაყიდა აბაზად,  
თავში ჩასცხო ლამაზად“.

**24 მარტი, 1990 წ.**

ერთი კვირის წინ ფიცარს ცარცით დაანერა: „ინამეთ  
ღმერთი. წმინდა ნინოს ჯვარი“.

და დაახატა ჯვრები.

ტელევიზორში გადაცემა: „შევისწავლოთ ქართული ენა“.  
ირინემ თქვა:

— მიუჯდეს ლიანა ისაკაძე ტელევიზორს და ისწავლოს.  
იცის ჩემი სალიტერატურო და საზოგადოებრივი ამბები  
და თავგადასავლები.

**18 ივნისი, 1990 წ.**

ამ სამი დღის წინ ჩამომიჯდა საწოლზე და მკითხა:

— მამიკო, კაცები ტირიან ხოლმე?

— კი, შეილო.

— როდის?

— აი, მაგალითად, მე ხომ ვიტყვი, როცა მერაბ კოსტავა  
გარდაიცვალა.

ალარაფერი მკითხა.

იგრძნო მართალი პასუხი.

**19 ივნისი, 1990 წ.**

ამ სამი თუ ოთხი დღის წინ გამოცანებს იგონებდა, თანაც  
ლექსად.

აქვს რვეული, რომლის თავფურცლის უკანა მხარეს დაუ-  
ნერია „პოეზია!“ დიახ, სწორედ ასე, ძახილის ნიშნით.

მაჩვენა, ასეთი ლექსი ჩაუნერია რვეულში:

**„ვინც ქართველია“**

(ჩემი ლექსი)

„ვინც ქართველია და  
სამშობლოსთვის მზად არი  
თავი გასწიროს. იმას  
ნება აქ, რომ სამშობლოზე



ლექსი დანეროს!  
და თუ ქართველი ხარ,  
ვალდებული ხარ,  
დანერო ეს ლექსი  
საქართველოზე!”

**1 იანვარი, 1991 წ.**

ნამაკითხა თავისი რვეული.  
რვეულს რომ ვდებდი, ვნახე, რომ სასთუმალთან დაუდია  
მამაჩემის რვეული.  
მამაჩემი ისტორიკოსი იყო. სამწუხაროდ ეს ერთადერთი  
რვეული დაგვრჩა, სადაც მამაჩემის ჩანაწერებია.  
ირინეს უყვარს ბაბუა და პატივს სცემს, თუმცა არც უნა-  
ხავს იგი (მამაჩემი გარდაიცვალა 1958 წელს).

**15 ივნისი, 1991 წ.**

გუშინ დედამისმა სათამაშო ბაჭია უყიდა.  
ხელში უკავია, დასცქერის და მღერის:  
— ცქვიტად მიჭირავს ყურებიიი...

**27 აგვისტო, 1991 წ.**

მიუჯდა დიდი მანქანის საჭეს და ამბობს, უნდა ვიმძლო-  
ლაავოო...  
კარგია!  
უნდა ვითამაშო მძლოლობა ანუ უნდა ვიმძლოლაავო.  
სხვაგვარად ამას ვერც იტყვი.

**12 ოქტომბერი, 1991 წ.**

ეს რამდენიმე დღეა ჩემს უმცროს ძმასთან ზურაბთან  
ვართ შემოკედლებული, რადგან შინ სახიფათოა ყოფნა (ოპო-  
ზიცია ძალით აპირებს ჩვენს დამხობას).  
ირინეს ჩემმა ძმისშვილმა ანამ ასწავლა პიანინოზე დაკვრა.  
ირინეს მუსიკალური ნიჭიც ჰქონია.  
უყვარს დაკვრა. მივა და უკაკუნებს: „ჟუჟუნა წვიმა მოვი-  
დას“ მელოდიას.

**8 ნოემბერი, 1991 წ.**

4-ში დილით ძალიან ასტიკვდა მუცელი.  
წავიყვანეთ სასწრაფოთი ბავშვთა პირველ საავადმყოფო-  
ში ძმები ზუბალაშვილების (ათარბეგოვის) ქუჩაზე.  
თურმე ბრმანაწლავის მწვავე ანთება ჰქონდა და სასწრა-  
ფოდ გაუკეთა ოპერაცია პროფესორმა გიორგი სენინაშვილმა.  
ახლა კარგადაა. დღეს ადგა და გაიარა კიდევ.  
ოპერაციის მესამე დღეს ძალიან რომ მოშივდა, ლექსად  
ამბობდა:  
„კართოფილად ვივლი,  
კართოფილს ჩავიცვამ,  
კართოფილს დავიხურავ,  
კართოფილი მეყოლება დედა და მამა  
და მეც კართოფილი ვიქნები...“  
განსაკუთრებით სწორედ კართოფილი ენატრებოდა.  
აი, რას ნიშნავს გენი.  
ოთხი წლისას ოპერაცია რომ გამიკეთეს, მაშინდელი ამბები-  
დან ყველაფერზე უფრო დამამახსოვრდა, შემწვარი კართოფი-  
ლი რომ მომიტანა მინის ქილით ჩემმა დეიდაშვილმა ჟუჟუნამ.  
იმაზე გემრიელი – არც მანამდე და არც მას შემდეგ არა-  
ფერი მიჭამია.

**2 თებერვალი, 1992 წ.**

ოლიკო, ირინე და ალა შემოფარებული არიან ჩემი სიძის  
ლევანის ოჯახში. აქაა ლევანი და დედამისი – ქალბატონი შო-  
რენა. მეც აქ მოვედი.  
ყველამ გაიხარა იმითი, რომ ცოცხალი მნახეს.  
განსაკუთრებით გაეხარდა ჩემს ირინეს — ირინეჩას.

**4 თებერვალი, 1992 წ.**

მითხრა ლექსი:  
„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგინყენია?  
ახლა თუ არ დაგხვრიტეს, მომავალი მენია“.  
ვკითხე, თვითონ მოიგონე-მეთქი?  
ჰო, ოღონდ არ წახვიდე და არ უთხრა ყველასო.  
დავპირდი, არა-მეთქი.

**7 თებერვალი, 1992 წ.**

— ასეთ სისხლიან (თუ ტყვიებიან) დემოკრატიას ზვიადის  
დიქტატურა მირჩევნიაო, – მითხრა ირინემ.

**11 თებერვალი, 1992 წ.**

წუხელის დიდხანს მეჭუჭყუნებოდა, აქ იყავი ჩემს ოთახში,  
მარტოს მეშინიაო.  
კარგი-მეთქი.  
ჩემი ხელი ჩაიხუტა მკერდში და ხელათ ჩაეძინა.

**13 თებერვალი, 1992 წ.**

წვეს ლოგინში და ამბობს, მომწონს, როცა ჩავტკბუნდები  
და ჩავთბუნდებიო.  
მართლაც ღრმადაა გამჯდარი მის არსებაში ქართული  
სიტყვა.

**3 მარტი, 1992 წ.**

უყურებდა დისნეის „დამბოს“.  
ესაა ფილმი პატარა სპილოზე, რომელსაც ძალიან დიდი  
ყურები აქვს.  
სპილოს დედა ციხეში ჩასვეს. იქიდან უმღერის შვილს.  
ირინემ თქვა, ალბათ ყველაფერი კარგად დამთავრდებაო.  
სწორედ ასე, ბავშვობაში ერთი ფილმის ყურებისას თქვა  
ოლიკომ, ალბათ მაგ ბანდიტებს დაიჭერენო.

**7 მარტი, 1992 წ.**

გუშინ ჩემი ირინე ცხრა წლისა გახდა.  
მაგარი ვინმეა.  
ყველაფრისადმი პიროვნული დამოკიდებულება აქვს.  
იცი, თუ რა არის კარგი და რა – ცუდი. ტყუილები არ იცის და  
არც სხვებისგან უყვარს.  
ძილის წინ ხელს მომკიდებს ხელზე და ისე იძინებს.  
ვითარების გამო, გუშინ ვერ გადავუხადეთ დაბადების  
დღე. მისი სადღეგრძელო კი დავლიეთ.  
მერე კი, თითქოს ღმერთს უნდოდა მისი დასაჩუქრება, სა-  
კაბელო ტელევიზიამ აჩვენა მშვენიერი ფილმი „ძნელად აღ-  
საზრდელი ბავშვი“.  
ესაა საბავშვო ფილმი, მხიარული და სიყვარულიანი.  
ბევრი ვიცინეთ.  
ირინეს ვაჩუქე იტალიური კინოკალენდარი, მშვენივრად  
გამოცემული.  
ვუთხარი, ყოველდღე აქ ჩაინერე, რაც მოგინდება-მეთქი.  
გუშინ უკვე ჩაინერა ლამაზად, სხვადასხვაფერი ფლომას-  
ტრებით. ჩაინერა და ჩაიხატა კიდევ.

**8 მარტი, 1992 წ.**

მაჩვენებს იოგურ პოზებს.  
ვუთხარი, ეგ ლოტოსია-მეთქი.  
გავიფიქრე, რომ კარგი რითმაა „ლოტოსი“ (მცენარე) და  
„ლოტოსი“ („ლოტო“-დან).  
და იმავე წამს ირინემაც თქვა, ლოტოსი, ესე იგი, ლოტოს  
სანთელიო.

**12 მარტი, 1992 წ.**

ირინე მაღალ სკივრზე წვეს, ჩემი გასაშლელი სანოლი  
სკივრის გვერდით დგას.

დილით გაიღვიძა თუ არა, გადმოყო თავი, თქვა „ემიგრაციული კოცნა“-ო და მაკოცა.

„ემიგრაციული“ თქვა, ალბათ, შორიდან კოცნის თვალსაზრისით. მერე მართლაც ასე თქვა, შორიდან კოცნაო.

ყოველდღე რაღაცებს წერს და ხატავს იმ კინოკალენდარში, მე რომ ვაჩუქე. იქ ერთი განყოფილებისთვის „პოლიტიკა“ დაურქმევია.

**17 მარტი, 1992 წ.**

როცა ჰგონია, რომ მიძინავს, მოდის ხოლმე და მკოცნის ლოყაზე. ხანდახან, როცა ფეხიზლობ, მაშინაც მოვა და უცებ მაკოცებს.

ვეუბნები, კოცნია ხარ-მეთქი.

თვითონ იგონებს სიტყვებს.

მაგალითად, ახლახანს მითხრა:

— ჩმახისფეხო მამა, ფეხისჩმახო მამა!

**21 მარტი, 1992 წ.**

მეორე დღეა ასეთ თამაშს თამაშობს:

ვითომ ტელეჟურნალისტია და თან ინტერვიუებს იღებს და თან რაღაცებს უყვება მაცურებელს.

**23 მარტი, 1992 წ.**

ირინე როცა პატარა იყო, ბაბუანვერას დავარქვით — გაფრინდა ყვავილი ანუ გაფყვავილი. უფრო ირინემ დაარქვა! მართლაც, როცა შეუბერავ, გაფრინდება ნაწილ-ნაწილად და მხოლოდ ღერო შეგარჩება ხელში.

**25 მარტი, 1992 წ.**

ეკრანზე დაინერა ფილმის სათაური: „მე კინოში გადამიღებენ“.

ირინემ მითხრა:

— ვიცი, რაც იქნება ამ ფილმში.

— ნანახი გაქვს?

— არა, ისე ვხვდები... ქალს ჰყავს მოხუცი ქმარი და არ უშვებს, რომ კინოში გადაიღონ. მერე ქმარი მოკვდება და გადაიღებენ...

**29 მარტი, 1992 წ.**

რაღაც უნდა ჩამენერა.

კალმისტარი ავიღე.

ირინემ შემომხედა და მითხრა:

— თავშიაზრმოსულო!

**30 მარტი, 1992 წ.**

თურმე მე რომ მთელ თბილისში ვიმალებოდი, ირინე ხშირად გადმოიღებდა ხოლმე ალბომს და ათვალეირებდა სურათებს, რომელზეც ის და მე ვიყავით გადაღებული.

**2 აპრილი, 1992 წ.**

მითხრა, წამოდი, დამაძინეო.

თუ არ მოხვალ, ვიბრაზებ, ვიჭირბრაზებო.

„ვიჭირბრაზებ“!

როგორია?

**5 აპრილი, 1992 წ.**

მიყვება აგატა კრისტის მოთხრობის მიხედვით გადაღებული ფილმს.

— იქ რკინის დათვია? — გამიკვირდა მე.

— ხო, რკინისაგან არის გაკეთებული. კედელზე ჰკიდია და ამშვენებს ოთახს, გაიგე?

სწორედ ასე მიპასუხა.

**7 აპრილი, 1992 წ.**

ძალიან მოსწონს სიტყვა „სირაქლემა“.

წუხელის მითხრა, „სირ“ ხომ ფრანგულად ბატონია, ესე იგ, სირაქლემა არის ბატონი აქლემიო.

ავუსხენი, სირი ძველქართულად ჩიტს ნიშნავდა-მეთქი, დღეს კი მაინც ხალისიანად იმეორებს, ბატონი აქლემიო.

**10 აპრილი, 1992 წ.**

ირინეს გამოვუთქვი ლექსი:

„აუჰ, რა კარგი გოგო ვარ,

ვარ კოცნია და ოცნია,

ასეთნი დედამიწაზე

სულ დიდი-დიდი, ოცნია“.

ირინემ მითხრა:

— როგორ თუ ოცნი, მარტო ერთია!

ვუპასუხე:

— მაშინ ასე გავავარძელებ:

„როგორ თუ ქვეყნად ოცნია

მარტო ერთი ვარ ოცნია!“

— კარგი, — მითხრა ირინემ, — ოღონდ ჯერ დაწერე, ასე უთხრა მამამ და მერე ასე უთხრა შვილმა-თქო.

**13 აპრილი, 1992 წ.**

ახალი უბის ნიგნაკი გავიკეთე (მართლაც ვიკეთებ ხოლმე უბის ნიგნაკს. ხან საერთო რვეულისგან, ხან ცალკეული ფურცლებისგან).

ირინემ თავფურცელზე ჩამიხატა და ჩამინერა ასეთ რამ.

დაუხატავს დიდი ყვავილი და პატარა ყვავილი, დიდი ტელევიზორი და პატარა ტელევიზორი... და ასე შემდეგ. ბოლოს დიდი სპილო და პატარა სპილო.

ქვეშ კი წერია:

მამა ყვავილი — შვილი ყვავილი, მამა ტელევიზორი — შვილი ტელევიზორი, მამა მზე — შვილი მზე, მამა მთვარე — შვილი მთვარე, მამა ვარსკვლავი — შვილი ვარსკვლავი, მამა სპილო, შვილი სპილო. მამები და ირინამები!

ასევე ბოლო გვერდზეც დაუხატავს და ქვეშ მიუწერია:

მამა ხე — შვილი ხე, ლამფა მამა — შვილი ლამფა, ტელეფონი მამა — ტელეფონი შვილი, სახლი მამა — სახლი შვილი, გორა მამა — შვილი გორა, ნაყინი მამა — შვილი ნაყინი, მამები და ირინამები!

**10 ივნისი, 1992 წ.**

ირინე უყურებდა ფილმს ტელევიზორში.

ფილმის გმირმა რაღაცა თქვა.

ირინეს, ეტყობა, არ მოეწონა ნათქვამი, წამოხტა სკამიდან, ხელი გაიშვირა იმ კაცისკენ და მიაძახა:

— მამ, მამ!

**7 ოქტომბერი, 1992 წ.**

23 სექტემბერს ჩამოვედით ირინე და მე გროზნოში სამშობლოდან გამოქცეულები.

მხოლოდ ღმერთმა იცის, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება ჩვენი ემიგრანტობა.

ამ თემაზე არა ვლაპარაკობთ, მაგრამ...

წუხელის ძილის წინ, სინათლე რომ გამოვრთეთ, ირინემ სიმღერა დაიწყო.

მღეროდა „ზესტაფონო, გშორდები“-ს ხმაზე, ოღონდ სიტყვები სხვა იყო...

მერე სიმღერაში გაერია „საქართველო“.

მღეროდა ირინე... უფრო და უფრო ხშირად ახსენებდა საქართველოს.

სხვა სიტყვები მკაფიოდ არ მესმოდა, „საქართველო“ კი ძალუმაღ მხედებოდა გულში...

ხმამალა რომ არ ავქვითინებულყავი, კბილებით ბა-  
ლიშს ვიყავი ჩაფრენილი...

**21 ნოემბერი, 1992 წ.**

**უკვე ჩერნიგოვში ვართ. შეგვიფარა ჩემმა სიმამრმა.  
ცხოვრება, საკვირველია, მაგრამ გრძელდება: ვეძებ  
სამუშაოს, ირინე და მე ვუცქერით  
ტელევიზორს... და ასე შემდეგ...**

არის ფილმი ცხენზე.  
რუსულად ჰქვია „პრიკლიუჩენია ჩორნოგო კრასავცა“.  
ირინემ ეს სათაური თარგმნა მშვენივრად:  
„კობტა შავრას თავგადასავალი“.  
მანამდე მეც მინდოდა მეთარგმნა, მაგრამ არ გამოვი-  
და.

**16 დეკემბერი.**

შეთხზა გამოცანები ლექსად.  
„იყო ერთი გოგო,  
ჰქონდა ერთი სოკო.  
წვიმისგან და მზისაგან  
სულ ყოველთვის იცავდა.  
როცა განვიმდებოდა,  
მაშინვე გაიშლებოდა“  
გამოცანის ამოხსნა, ცხადია, ქოლგა.

„იყო ერთი კაცი  
თავსა ჰყოფდა წყალში.  
მერე ჩვენი სოფლიდან  
გზა გაჰყავდა ოფლითა“  
ეს კი ყოფილა კალამი.

**7 იანვარი, 1993 წ.**

სალამოს ჩემი სიდედრი ქუჩიდან რომ შემოვიდა, თქვა, ძა-  
ლიან კარგი თოვლია გარეთო.  
გავედით ირინე და მე.  
მართლაც საოცარი მშვიდი ღამე იყო. ფაფუკი თოვლი და-  
ედო და თბილოდა.  
ვისეირნეთ.  
ცოტა წავიგუნდავთ კიდეც. და ზურგზე შესმულიც ვატა-  
რე.

დარბოდა.  
გაიქცეოდა და გასრიალდებოდა.  
მერე თოვლში ჩაჯდებოდა.  
ძალიან იხალისა.  
ჰო, რა კარგი თოვლი იყო და რა კარგი ღამე!  
ცაზე ეკიდა სულმთლად მრგვალი მთვარე.

**16 იანვარი, 1993 წ.**

ახალი უბის წიგნაკი გავიკეთე.  
ირინემ თავფურცლის მეორე გვერდზე ჩამიხატა პალმები  
და ორი სპილო: დიდი და პატარა.  
ქვეშ მიაწერა ლექსი:  
„ორი კობტა სპილო“.  
— ერთ მშვენიერ ჯუნგლებში  
დადის ორი სპილო,  
ერთი სპილო მამაა,  
მეორე კი — შვილი,  
ჭკვიანია პანია  
არ დაირქმევს „ვირო“-ს.  
ერთ მშვენიერ ჯუნგლებში  
დადის ორი სპილო,  
ერთი არის გურიკო,  
მეორე კი — ირო.

**იანვარი, 1993 წ.**

ყინავდა.  
ირინეს უნდოდა თანატოლ გოგონებთან ერთად ეთამაშა  
თოვლში, მაგრამ თბილი შარვალი არა ჰქონდა.

შეკედლებული ვიყავით ჩემს სიმამრთან. ფული საჭმლის-  
თვისაც არა გვქონდა და სიმამრი გვაჭმევდა. ვერ ვეტყოდი,  
ირინეს თბილი შარვალი უყიდე-მეთქი.

სხვა გზა არ იყო, თვითონ უნდა მელონა რამე.  
პუტჩის შემდეგ რობერტი და მე ხან მის მეგობრებთან ვი-  
მალეობოდი, ხან კი — ჩემს მეგობრებთან. სწორედ მაშინ რო-  
ბერტის ერთმა ძმაცაქცმა ხავერდის ქურთუკი მაჩუქა. ქურ-  
თუკს სქელი თბილი სარჩული ჰქონდა.

გადავწყვიტე, რომ ამ ქურთუკისგან შემეკერა ირინესთ-  
ვის თბილი შარვალი.

ავიღე ჩემი ძველი შარვალი და დავარღვიე.  
კარგად ვნახე, თუ რა ნაწილებისაგან შედგება შარვალი.  
მერე დავარღვიე ქურთუკი.

მივხვდი, რომ ირინეს შარვლის ტოტებად შემეძლო გამო-  
მეყენებინა ქურთუკის სახელოები. შარვლის დანარჩენი ნაწი-  
ლები კი გამოვჭერი ქურთუკისგან...

ერთი სიტყვით, მშვენიერი შარვალი გამოვიდა.  
ნაკერებზე კობტად გავუარე მაგარი ძაფით, რაღაც ლამა-  
ზი ლეიბლიც მივაკერე სარტყელზე, რათა შარვალი რომელი-  
ღაც სახელიანი ფირმის ნაწარმს დამგვანებოდა. ა

ლამაზი ლილებიც დავაკერე.  
დავუძახე ირინეს, აი, შენ, თბილი შარვალი-მეთქი.

ირინეს ჯერ შერცხვა ჩემი თვითნაკეთი შარვლის ჩაცმა,  
მაგრამ ვუთხარი, თუკი ვინმეს არ მოეწონება, მაშინვე დაბ-  
რუნდი-მეთქი.

ირინე დამეთანხმა, ჩაიცვა შარვალი და წავიდა სათამა-  
შოდ...

გულის კანკალით ველოდი, აი, ახლა შემოვა ჩემი ირინე და  
მეტყვის, რომ არ ივარგა შარვალმა, აი, ახლა მოვა-მეთქი.

დრო მიდიოდა, ირინე კი არა ჩანდა...  
სალამოსპირი იყო, რომ შემოვარდა თვალეზანთებული.  
მითხრა, გოგოებს ისე მოეწონათ შარვალი, რომ მეკითხე-  
ბოდნენ, სად იყიდე, ჩვენც გვინდაო...

ძალიან გახარებული იყო.  
ხომ ხვდებით, მე როგორ გავიხარებდი...

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ ახლაც მგონია, რომ  
ირინეს ის თბილი შარვალი ალბათ ერთ-ერთი საუკეთესო რა-  
მია (და შეიძლება მთლად საუკეთესოც) იმით შორის, რაც გა-  
მიკეთებია ამქვეყნად.

**3 თებერვალი, 1993 წ.**

ვასიამ, ალას ძმამ მოიყვანა ლეკვი.  
ირინემ რომ გაიღვიძა, ვახარე ეს ამბავი.  
ისეთი სასიხარულო ამბავი იყო, რომ ვერ დაიჯერა.

ამ დროს ლეკვი თვით შემოვიდა ოთახში.  
ირინეს ძალიან მოეწონა.  
სხვა აქაური ძაღლებისგან განსხვავებით, ამ ლეკვს ქარ-  
თულად დაუნყო ლაპარაკი.

უნდა მოეუაროო.  
ლეკვის მოფიშულიც განმინდა და რძეც დაუსხა.

უნდოდა, რომ ეჭმია, მაგრამ ლეკვი არა ჭამდა.  
ირინე მაგიდას მიუჯდა და ლეკვს უთხრა, ჰხედავ! მე ვჭამ,  
შენც ჭამეო.

ახლა ლეიბს უკერავს, რომ არ შესცივდეს ლეკვს.

**12 თებერვალი, 1993 წ.**

ირინემ რომ გაიღვიძა, დედამ უთხრა, ფორთოხალი გიყი-  
დოო.

ირინე მივიდა სარკესთან.  
იქ დიდი ფორთოხალი იდო.

ირინემ თმის ვარცხნა დაიწყო და თან მღეროდა:

„ფორთოხალი, ფორთოხალი,  
როგორ მიყვარს ფორთოხალი,  
ძლიერ მიყვარს ფორთოხალი...“  
ამას იმეორებდა სხვადასხვა ვარიაციით.  
ხანდახან კი ასეთებსაც გამოურევდა:  
< ფორთოხალი, ფორთოხალი,  
როგორ მინდა,  
რომ მე ვიყო ფორთოხალი...  
მზეს დავემგვანებოდი,  
პატარა მზე ვიქნებოდი,  
ყველაფერს გავანათებდი,  
მამას გავუნათებდი...“  
ხან ასეთებსაც იტყოდა:  
„ფორთოხალი, ფორთოხალი,  
თითქოს მზისა კოხტა ხალი...“  
მღეროდა და თან ივარცხნიდა თმას...

**24 თებერვალი, 1993 წ.**

ირინემ გაიღვიძა თუ არა, მითხრა:  
— მამიკო, იცი მე რა ყვავილი ვარ? საკოცნელა ყვავილი ვარ. უნდა დამყნოსო და მაკოცო!

ირინემ მკითხა:

— მამიკო, რა არის „ბრონზა“?  
— „ბრონზა“ არის ბრინჯაო — ვუთხარი და თავში მომივი-  
და ასეთი ორი სტრიქონი:  
„მაგას რომ მისცეს ბრინჯაო  
იმიტომ გაიბრინჯაო“.  
ვუთხარი ირინეს.  
მან შემისწორა, სჯობია „რომ მიანიჭეს ბრინჯაო“-ო.  
მაგარია, ჩემი ირინეა!

**28 თებერვალი, 1993 წ.**

გავიკეთე ახალი უბის წიგნაკი.  
ირინემ თავფურცლის მეორე გვერდზე დამიხატა გაფშე-  
კილკაბიანი ქალი, რომელსაც ორივე ხელში ყვავილები უჭი-  
რავს და აცვია პუანტები.  
ნახატს, ცხადია, ნარწერებიც ახლავს.  
წერია, რომ ესაა ირინეს ნახატი.  
ნახატს ჰქვია „ნიჭიერი ბალერინა“ და მითითებულია თა-  
რილიც: „II.28.1993 წ. კვირა. დილა“.  
ხოლო უბის წიგნაკის სულ ბოლო გვერდზე დახატა სხვა  
ბალერინა. ოღონდ ამას არა აქვს ყვავილები. მას ირინემ და-  
არქვა „დამწყები ბალერინა“.

**6 მარტი, 1993 წ.**

თითქოს ეს ჩანაწერი ირინეს ცხოვრების შემდეგ წელი-  
წადს ეკუთვნის, რადგან უკვე 6 მარტია.  
მაგრამ არა.  
ახლა აღბათ რვის-ნახევარია. საათ-ნახევარში გახდება  
ათი წელი, რაც, როგორც ერთ სიმღერაში ვუმღეროდი, იგი  
„ჩამოვიდა ღრუბლიდან“,  
ახლა სძინავს.  
ერთი ხელი კოხტად გაუშვერია და ორი თითი ისე მიუბჯე-  
ნია კედლისთვის, თითქოს გამარჯვების ნიშანს („ვიქტორი-  
ას“) აჩვენებს ვილაცას სიზმარში.

**6 მარტი, 1993 წ.**

ირინემ გაიღვიძა ათი წლისამ.  
მივულოცე დაბადების დღე.  
მან კი თავისი სიზმარი მითხრა.  
იქ, სიზმარში კიდევ ვნახე სიზმარით.  
ესე იგი, ორმაგი სიზმარი უნახავს.

**7 მარტი, 1993 წ.**

— ისეთი ნათელი მთვარეა, თითქოს დილდებაო, თქვა  
ირინემ.  
თენდებაო კი არა თქვა, არამედ დილდებაო.  
სწორია ქართული ენის კანონებით:  
ხომ ვამბობთ: „ღამდება“, „სალამოვდება“...  
ჰოდა, ა, ბატონო, „დილდება“!

**10 მარტი, 1993 წ.**

შარშან ერთხელ საძილედ რომ ემზადებოდა, ირინემ თქვა,  
უნდა ჩავტკბუნდე და ჩავთბუნდეო.  
ახლა ძილის წინ იტყვის ხოლმე, როცა ძალიან ეძინება, რა  
კარგია ძილიო.

**19 აპრილი, 1993 წ.**

ტელეკასეტის ჩანართ ქალაღდზე რომაა დაწებებული, ის  
ციფრები მიიწება სახეზე და ხელეზე ირინემ.  
იცი, ეს რა არისო?  
გოგონამ იმდენი ისწავლა მათემატიკა, რომ ტანზე და სა-  
ხეზე გამოაყარა ციფრებიო.

**22 აპრილი, 1993 წ.**

შვიდი თვე გახდა, რაც ირინე და მე წამოვედით საქართვე-  
ლოდან.  
პატარა ემიგრანტი — ირინეა!

**16 მაისი, 1993 წ.**

დღეს გავხდი 51 წლის.  
ირინემ ასე დამასაჩუქრა: დამიწერა დღის რეჟიმი.

**6 ივნისი, 1993 წ.**

რამდენიმე დღის წინ ჩერნიგოვში ჩამოვიდნენ ოლიკო და  
ლევანი. ჩამოგვიყვანეს სანდრო, ჩემი პირველი შვილიშვილი.  
სანდრო მალე გახდება ერთი წლის. მან განავრცო დედისა  
და დედის ტრადიცია. დღეს ჩემს უბის წიგნაკში გაჩნდა მისი  
პირველი „ნახატი“ — რამდენიმე მკრთალი ხაზი.  
ირინეს ძალიან უყვარს სანდრო.

**21 ივნისი, 1993 წ.**

დღეს სანდრო ერთი წლის გახდა.  
გამოვუთქვი ლექსი:  
„სანდრო ვარ, ერთი წლისა ვარ  
ხახიაური გვარადა.  
რომ გავიზრდები, სამშობლოს  
უნდა დავუდგე ფარადა.  
არ გამაბრაზოთ, დევებო,  
ემანდ ისხედით წყნარადა“.  
მე მგონი, სწორედ ირინესებურია.

**7 ივლისი, 1993 წ.**

5 ივლისს საშინელი დღე იყო. სალამოს, სამუშაოდან რომ  
დავბრუნდი, ირინეც და ოლიკოც იწვნენ. ძეხვით მონამლო-  
ლიყვნენ. ოლიკომ კუჭის წვენი ამოაღებინა და შვება იგრძნო.  
ირინეს დავალევივინე სოდიანი წყალი. უკეთ გახდა, მაგრამ მე-  
ორე დღესაც, დილით სამუშაოზე რომ წავედი, ვერ იყო  
მთლად კარგად. რომ დავბრუნდი, როგორც იქნა, გამოკეთდა.  
დღეს წამოვედი ჩერნიგოვიდან. ჩემი გოგონები, თან რომ  
არ იცოდნენ, წინ რა ელოდა მათ მამას და თან წინა დღეების  
სისუსტით დაღლილები ძალიან დაღონებულიები დამამახსოვ-  
რდნენ.  
ოლიკოს გვერდით ქმარ-შვილი ჰყავს, ირინე კი უჩემოდ  
სულ მარტოდ დარჩა.  
უკვე იმდენი გოგოა და როგორი საყვარელია, როგორ ეხმა-  
რება სანდროს მოვლაში ოლიკოს.

**6 დეკემბერი, 1993 წ.**

დღეს ჩემი ოლიკოს დაბადების დღეა. გახდა 24 წლის. მას უკვე თვითონ ჰყავს შვილი — წლინახევრის სანდრო.

რა კარგი იქნებოდა, დღეს ვინმემ რომ შეატყობინოს, მამაშენი ცოცხალიაო. ეს მაინც, თორემ ამას რა ეშველება, რომ ვერ ვესწრები მისი დაბადების დღეს.

ოლიკომაც რამდენი უბედურება გადაიტანა! რომ გამოვემგზავრე აშკარად ვგრძნობდი — უკვე ჩამოყალიბებული ნამდვილი ქართველი ქალია.

ირინეუჩაც ძალიან მაგარია, თავს დასტრიალებდა თავის დისშვილს და ალბათ ახლაც თავს დასტრიალებს.

ისინი ჩერნიგოვში არიან. მე ზუგდიდის ახლოს, გრიგოლიში ვემალეები ათასნაირ ბანდიტებს, რომლებიც ჯიჯგინან ჩვენს ქვეყანას...

**25 იანვარი, 1994 წ.**

ისევ ჩერნიგოვში ვარ.

ირინემ ამომინერა უბის წიგნაკში ტელეპროგრამებიდან: ოთხშაბათი

უტ-1

16.10 მექსიკური 31 ს.

ოსტანკინო

18.05 მარია.

18.55 სტალინზე

ხუთშაბათი

უტ-1

16.10 მექსიკური 32 ს.

ოსტანკინო

17.55 მარია.

21.15 ტვინ-პიკსი 25 ს.

პარასკევი

უტ-1

19.45 მექსიკური 33 ს.

ოსტანკინო

20.45 ტვინ-პიკსი 26 ს.

22.05 ხი ხი

შაბათი

უტ-1

12.05 ფილბი

„ს“ ნიშნავს სერიას

ირინემ ამომინერა და ქართულად თარგმნა ალბათ ის, რაც მიიჩნია ყურადღების ღირსად.

**6 მარტი, 1994 წ.**

დღეს ირინეუჩა გახდა თერთმეტი წლის.

უკვე დიდი გოგოა. ყველაფერი იცის, ყველაფერი ესმის.

**22 მარტი, 1994 წ.**

სადღაც წავიკითხე, რომ რომელიღაც თანაერსკვლავედს „ჩიბუხტარებიანს“ ეძახის ქართველი კაცი.

ირინეს ვუთხარი ამის თაობაზე. ხომ მართლა ასეა-მეთქი. კიო, მითხრა, რომ შეშხედა ვარსკვლავიან ცას.

ახლა ჩერნიგოვიდან ლვოვში მივდივარ, რომან კოვალის სადუქუტატო (საკანდიდატო) საქმეებზე. უნდა დავეხმარო.

კიევში ჩამოვედი.

წამოსვლისას სადგურში ალას მოტანილ სანოვავეს რომ ვაწყობდი ჩანთაში, ირინემ დაინახა ილიას წიგნები. აილო ლექსების ტომი, მე დამიტოვეო. უკრაინულად თარგმნილი ილიას წიგნი ვნახე და ამაზე უნდა დავწერო დისკუსიებიო.

გუშინ მკითხა, რა არის დისკუსიაო.

ვუთხარი, როცა აზრებს გამოსთქვამენ რამე თემაზე-მეთქი.

ახლა სიცილით მითხრა „დისკუსიები!“

**27 მარტი, 1994 წ.**

სანდრომ უკვე დაჯერებულმა „ჩამიხატა“ უბის წიგნაკში რალაც ხვეულები.

იზრდება ჩემი შვილიშვილი.

ირინეს უხარია, რომ სანდრო მის პატარაობას ჰგავს.

**16 აპრილი, 1994 წ.**

ნუხელის მოვდიოდით ქუჩაში ირინე და მე. იგონება რალაც რითმებს, ლექსებს. ცალკე ახსენა „ალიყური“. ალბათ მოსწონს ეს სიტყვა.

ვუთხარი, მოდი რითმებს ჩამოვწერ და ლექსები დავწერო-მეთქი.

ჯერ თითქოს არ მომისმინა. ცოტა ხნის შემდეგ კი მკითხა, რა მითხარიო.

ასე და ასე-მეთქი.

კარგი, ჩამოწერეო.

ჩამოვწერე: ნიაჟი, ქლიავი, ტალახი, ბალახი.

მხოლოდ ერთ წამს დაფიქრდა და მაშინვე მითხრა ლექსი:

„აფრიალა ნიაჟი,

ჩამოყარა ქლიავი.

ქვემოთ იყო ტალახი,

ტალახში კი ბალახი,

დაისვარა ქლიავი

და დანყნარდა ნიაჟი.

აბიბინდა ბალახი

და გაქვავდა ტალახი“.

**18 აპრილი, 1994 წ.**

ვილაცაზე ვთქვი, დადგება ბრძენივით-მეთქი.

— ყურძენივით? — მკითხა ირინემ.

განა არ იცის, რომ ყურძენივით ვერავინ დადგება, უბრალოდ, რითმა მოეწონა.

**17 ივნისი, 1994 წ.**

ირინე მეუბნება, სანდრო უკვე აქცენტითა ლაპარაკობს რუსულადო. დედაჩემს ეუბნება „ნე“-ო. არა „ნიე“, არამედ „ნე“-ო.

**10 ივლისი, 1994 წ.**

გუშინ თუ გუშინწინ რალაც ფილმს უყურებდა და იქ ვილაცამ თქვა, ეს კატააო.

ირინემ კი თქვა:

— ეგ რა კატაა. თითქოს კატის ტყავისაგან ქუდი შეკერეს და რაც დარჩა, ის ნაჭერია...“

**4 აგვისტო, 1994 წ.**

გუშინ პოეტმა ვასილ სტრუტინსკიმ სათევაზოდ წამიყვანა.

როგორც მოსალოდნელი იყო, მე, როგორც ახალბედს გამილიმა ბედმა: დავიჭირე ნახევარკილოანი „სუდაკი“. ვასილმა შემაქო, ეს სამეფო თევზიაო.

დღეს დილით ალამ შეწვა თევზი.

გემრიელი იყო.

ირინესაც მოეწონა.

ჭამა მაინცა და მაინც არ უყვარს, მაგრამ ეს თევზი ხომ მამამისმა დაიჭირა.

**3 ოქტომბერი, 1994 წ.**

ალ. ლლონტის „სიტყვის კონაში“ ვნახე სიტყვა „ვირთამა-მა“. ირინეს ვუთხარი, ვირ-თამამა ხარ-მეთქი. მან კი ეს სიტყვა განგებ გაიგო, როგორც „ვირთა მამა“. მითხრა ეგ შენა ხარ, რადგან ორი ვირის მამა ხარო.

ნამდვილად აქვს სიტყვის გრძნობა.

6 დეკემბერი, 1994 წ.

დღეს ოლიკოს დაბადების დღეა. ოლიკო, ლევანი და სანდრო უკვე წასულები არიან თბილისში. აქ ჩვენ ვიყიდეთ ერთი ბოთლი ღვინო. ირინემაც მოსვა ერთი ყლოუპი. და ოლიკო ვადღეგრძელებთ ყველამ: დედამისმა, ირინეჩამ და მე.

27 დეკემბერი, 1994 წ.

ჩემი ახალი უბის წიგნაკის თავფურცელზე ირინემ ფლომასტრებით დახატა დიდი წითელი მზე, ცაზე ღრუბლები და მზის ქვეშ მთები, თეთრმწვერვალებიანი. წინა პლანზე კი ყვავილები. თავფურცლის მეორე გვერდზე კი ლექსი ჩამინერა: „მოდი, მოდი მზეო, და გაგვიღიმეო! მოდი, მოდი წვიმავ და მე ძილს გავჭიმავ! მოდი, მოდი, ზვიადი, საქმენი ჰქენ დიადი! ნანა, კაცო და ცხოველო, ნანა, ჩემო მეზობელო“. მთელ გვერდზე გაბნეულია ყვავილები. ლექსის ქვეშ თარიღია მიწერილი: 1994 წელი 27.12.

11 იანვარი, 1995 წ.

გვიან შემოდგომით ირინეს ვუყიდე პიანინო. დილით მოვიტანეთ პიანინო სახლში. შუადღისას კი, მხოლოდ ირინე და მე რომ ვიყავით შინ, ირინეჩა მიუჯდა პიანინოს და მოხდა საოცრება: ირინე სულ ცოტა საათ-ნახევარს უკრავდა მის მიერვე გამოგონილ მელოდიებს. თანაც მელოდიები ნამდვილად ქართული იყო. ვინმე კარგი ქართველი მუსიკოსი რომ ყოფილიყო იქვე, ჩაინერდა იმ მელოდიებს და გამდიდრებოდა ჩვენი მუსიკა. ეს იმ წუთას მოხდა და ალბათ ვეღარ გამოვრდება. ექვ!

აი, ახლაც ზის ირინე პიანინოსთან და ცალი თითით უკრავს „სულიკოს“.

14 თებერვალი, 1995 წ.

აი, მართლაცდა მნიშვნელოვანი ამბავი, რომლითაც ძალიან კარგი იქნება დავამთავრო ჩანაწერები ირინეზე: ქრონოლოგიურადაც და, ასე ვთქვათ, შინაარსობრივადაც. აკვარელის საღებავებით დაუხატავს დამოუკიდებელი საქართველოს სამფეროვანი დროშა. მეორე გვერდზე კი წერია: „დავწერე 1995 წ. 14 თებერვალს. დავხატე“. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ამ ნახატის სახელი, რომელიც იქვე წერია: „სანოლში ჩასადები ლეიბისქვეშა დროშა“. ესე იგი, მხოლოდ თავისთვის დახატა, რათა საიდუმლოდ ეცქირა ხოლმე. (საინტერესოა, თუ როგორ ვნახე ეს ნახატი; ჩერნიგოვში ვცხოვრობდით ალას ბებიასთან. 2000 წელს ირინემ დაამთავრა სკოლა და ჩააბარა მისაღები გამოცდები კიევის შევჩენკოს სახელობის უნივერსიტეტში. ორი თუ სამი წლის შემდეგ ალამ გაყიდა ბებიას სახლი, რადგან ბებია უკვე გარდაცვლილი იყო. სახლს რომ ვცვლიდით, სწორედ მაშინ ვიპოვე ირინეს საწოლში ეს „ლეიბისქვეშა დროშა“).

დაცემის ბრწყინვალება

მწერალთა სახლში გამართა ლანა კალანდიას მიერ ესპანურიდან თარგმნილი ნიგნის „98“ („არტანუჯი“) პრეზენტაცია. რატომ ჰქვია ნიგნს, უცნაური სახელწოდება „98“? აქ შესულია: მიგელ დე უნამუნოს, ანტონიო მარია დე მანსუეტას, ხასინტო ბენავენტას, პიო ბაროხას და რამონ დელ ვალიე-ინკლანის ინტერვიუები. ეს მწერლები იყვნენ 98-იანელები, ესპანეთში გაზრდილი და ჩამოყალიბებული თაობა, რომელიც ერთი მიზნისკენ გაერთიანდა და ეს მიზანი იყო — როგორმე შეეცვალათ ესპანეთის ბედი, კულტურა და სახელმწიფოებრიობა, ესწრაფოდნენ ესპანელი ერის გადარჩენას, კრიზისიდან გამოყვანასა და სწორ გზაზე დაცემას.



კრებულის მთავარი დანიშნულებაა ის, რომ ეს თაობა როგორმე გაეერთიანებინათ, და ეს წარმატებით მოახერხა მთარგმნელმა. ინტერვიუები გამოხატავს თაობის კონცეფციას, მის მსოფლმხედველობას.

ავტორმა პარალელთა გაავლო ქართველ 60-იანელებთან, თერგდალეულებთან. ეცადა წარმოეჩინა ქართული და ესპანური პარალელები, მსოფლაქმა, შესხედულებანი, ეროვნული პრობლემები.

სალამოზე სიტყვით გამოვიდნენ: მერი ტიტინიძე, თამარ ბარბაქაძე, ბელა ნიფურია. მათ ისაუბრეს „98“-ის მნიშვნელობასა და მთარგმნელის მიერ განეულ ღვაწლზე. შემდგომ გამოვიდა ნიგნის რედაქტორი ზვიად კვარაცხელია.

სალამო დაასრულა ლანა კალანდიამ, მან რამდენიმე სიტყვით გამოთქვა თავისი შეხედულება. მისი აზრით, ნიგნის მთავარი იდეა არის, ის რომ, გაეერთიანებინა თაობა, რომელმაც განსაზღვრა ესპანეთის მომავალი, მისი ორიენტირები, საამისოდ ამოარჩია დიალოგები, სადაც დაყენებული იყო მრავალი მწვავე საკითხი. თარგმნის პროცესში საინტერესო გახლდათ ის, რომ ინტერვიუები გაბნეული იყო სხვადასხვა გამოცემამში, მასალების მოპოვება იყო ძალიან რთული. ეს მასალები ესპანელი მკითხველისთვისაც კი ხელმიუწვდომელია. ლანა კალანდიას თქმით „მუშაობის პროცესი იყო ისტორიული ექსკურსი იმ ეპოქის ცხოვრებაში“. თემატკა შეიქმნა იმ პრინციპით, რომ ესპანელ 98-იანელებსა და ქართველ 60-იანელებს შორის არის სულიერი კავშირი, გვახსენებს ქართულ სინამდვილეს და ქართულ რეალობას.

ავტორმა ნიგნში აღწერილ სიტუაციას „დაცემის ბრწყინვალება“ უწოდა.

ლანა კალანდიამ სალამო დაამთავრა სიტყვებით: „არ მესროლოთ, ილია ვარ! თქვენ არ იცით რისთვის მკლავთ, მე ვიცი რისთვისაც ვკვდები, მე ვკვდები იმისთვის, რომ თქვენი შვილები უკეთესნი იყვნენ“!

გვანცა შუბითიძე

სინკლერ ლუისი

# დედოფლის წერილი

დოქტორ სელიგი ფათერაკების მაძიებელი გახლდათ. რა თქმა უნდა, ერთი შეხედვით ამას ვერ იტყვოდით. ის იყო ახალგაზრდა, შემელოტებული, თავაზიანი უცხოლო კაცი, რომელიც ისტორიასა და ეკონომიკას ასწავლიდა ერაზმუსის კოლეჯში, სადაც მის მოვალეობად ითვლებოდა პატარა, სულელურ კვარცხლბეკზე ამხედრება და ორმოცდაათი ყმაწვილისა და ქალიშვილის დარწმუნება, რომ მათ ისტერიული გულმოდგინებით უნდა შეესწავლათ შემცირებული შემოსავლის კანონი; არადა, იმ ყმაწვილებსა და ქალიშვილებს ხვეწნა-კოცნისა და ოთხკარიანი სედანების მეტი არაფერი ანაღვლებდათ ამქვეყნად.

ეგაა, რომ ღამლამობით თავის მშვენივრად გამართულ პანსიონში ზოგჯერ ყალიონსაც გააბოლებდა ხოლმე, რაც ერაზმუსის წმინდა სამყოფელში უხამსობად ირაცხებოდა; და კიდევ, ვაჟკაცურად შესდგომოდა წიგნის წერას, რომლის წყალობითაც სახელი უნდა გაეთქვა.

რა თქმა უნდა, წიგნს ყველა წერს, მაგრამ სელიგის წიგნი განსაკუთრებული გახლდათ – სიღრმით გამორჩეული. მის ლირსებებზე შეგვიძლია მარტო იმის მიხედვითაც ვიმსჯელოთ, რომ როდესაც ჯერ კიდევ წიგნის მხოლოდ სამი მეოთხედი ჰქონდა დაწერილი, მასში უკვე ათას ხუთას ისეთ შთამბეჭდავ სქოლიოს წააწყდებოდით, როგორცაა, მაგალითად, „J.A.S.H.S. VIII, 234 et seq.“ ნამდვილი წიგნი იყო, ფულისთვის დაწერილი რაიმე იაფფასიანი ნაჯღაბნი კი არ გეგონოთ! სათაურად „ამერიკული დიპლომატიის გავლენა სრულიად ევროპის სამინაო პოლიტიკაზე.“ სელიგს მიაჩნდა, რომ „სრულიად ევროპა“ უფრო ღამაზად ჟღერდა და მეტ განსწავლულობას მეტყველებდა, ვიდრე „ევროპა.“

დოქტორ სელიგს ის აზრი რომ არ აეკვიპებინა, რაც უფრო ძნელად იკითხება ნაწარმოები, მით უკეთესიაო, წიგნი მართლაც საინტერესო შეიძლება გამოსულიყო. მან მიაგნო რომანტიკით გაჯერებულ თითქმის უცნობ სამყაროს. იმ მოგზაურისა არ იყოს, უდაბნოში ოაზისსა და მოჟღერებულ შადრევნებს რომ წააწყდება, სადაც ქალიშვილები კისკისებენ და ხალხმრავალი ბაზარი დულს და გადმოდულს, მანაც ძველისძველ დოკუმენტებში ქექვისას გამოიჩინა, რომ ფრანკლინი, თავისი მოკრძალებული ბენჯის ქუდით, პარიზულ საზოგადოებას ოდესღაც დიდ დონეზე აწინააღმდეგებდა; რომ ადამის წინ აღსდგომოდა ინგლისის მთავრობის განზრახვას, ელიარებინა სამხრეთის შტატების კონფედერაცია; რომ ბენჯამინ ტომფსონი, მასაჩუსეტსელი იანკი, 1791 წელს მთავარი მრჩეველი ყოფილიყო ბავარიის სასახლის კარზე და გრაფ რუმფორდის ტიტულიც დაემსახურებინა.

სელიგს გული უჩუყდებოდა იმ ხალხის გახსენებისას, რომელთა წყალობითაც მსოფლიო იმაზე მეტად იყო აღტაცებული ამერიკით, ვიდრე ახლა. იგი სენატორ რაიდენის ამბავმაც ააღუევს; ის კი არადა, ამ ამბავმა, ცოტა არ იყოს, გააბრაზა კიდევ, რაც სრულებით არ შეუვინის სწავლულს.

მისთვის, რასაკვირველია, ცნობილი იყო, რომ გროვერ კლივლენდის პრეზიდენტობის პირველ ვადაში ლაფაიეტ რაიდერმა ამერიკას თავიდან აარიდა ინგლისთან ომი; რომ რაიდერი თავის დროზე სახელმწიფო მდივანიც გახლდათ და ელჩიც პარიზში, სადაც მისმა ჭკუა-გონებამ, თავდაჭერამ და გონებამახვილობამ საყოველთაო კეთილგანწყობა დაიმსახურა; რომ მან, როგორც სენატის წევრმა, დასაბამი მისცა რაიდერ-ჰანკლინის კანონს, რომელმაც იხსნა ჩვენი ხორბლის ბაზრები; რომ ეს კანონი მან დაწერა და გაამყარა. ისიც იცო-

და, რომ მისი წიგნები „განიარალების პერსპექტივები“ და „ანგლო-ამერიკული იმპერია“ უმინაარსო პროპაგანდისტული თხზულებები კი არ იყო პაციფიზმის იდეებისა, არამედ შთაგონებული შრომები, რომელთა წყალობითაც შესაძლებელი იქნებოდა ბურების, ესპანეთ-ამერიკისა და მსოფლიო ომების თავიდან არიდება, ვიქტორიას ეპოქის სამყაროში ათი-თორმეტი მისნაირი მოაზროვნე მაინც რომ ყოფილიყო.



სელიგმა ეს ყველაფერი იცოდა. მარტო ერთი რამ ვერ გაეხსენებინა – როდის გარდაიცვალა რაიდერი.

მოგვიანებით სახტად დარჩა, როდესაც შეიტყო, რომ სენატორი რაიდერი სულაც არ გარდაცვლილიყო, რომ მას ოთხმოცდათორმეტი წელი შესრულებოდა და, სამშობლოსაგან დაკნინებული – სამშობლოსაგან, რომლის სადიდებლად ამდენი რამ გაედო – თავის დღეებს ითვლიდა.

„ჰო, – მძაფრი გულისტკივილით გაუელვა სელიგს, – ჩვენ, ამერიკელები, მთელი ორი თვის მანძილზე მივაგებთ პატივს ჩვენს დიდებულ ადამიანებს მათ მიერ ჩადენილი გმირობის შემდეგ, რომელმაც გულში ტკბილად შეგვიღობინა. მაგრამ ჩვენთან ხომ დემოკრატიაა! ამიტომ ნურც ერთ გმირს ნუ ექნება იმედი, რომ თუ პირველ მარტს მის დაუკითხავად ბროდვეიზე ტრიუმფალური სვლა გაუმართეს (მიუხედავად მისი მძაფრი წინააღმდეგობისა) და მისი სახელი მთელ ქვეყანას მოსდეს, ორ მაისს მისი სახელი კიდევ ვინმეს ემახსოვრება.“

ადმირალ დიუკს, რომელსაც გაზეთები მთელი კვირის მანძილზე ნელსონის, ნაპოლეონისა და რაინდი ბაიარდის სახელებს გვერდით მოიხსენიებდნენ, მოგვიანებით იმდენჯერ მოსცხეს ჩირქი, რომ საბოლოოდ საფლავში ჩაიყვანეს. თუ დრამატურგს მთელი სეზონის განმავლობაში თანა სდევს წარმატება, ღმერთმა უშველოს მას! რადგან იქიდან მოყოლებული და უკუნითი უკუნისამდე ხალხი მის სპექტაკლებზე მხოლოდ იმ იმედით ივლის, რომ მისი ჩაფლავების მოწმე შეიქნას.

თუმცა ხალხისან გულშემატკივართა ხროვა მუდამ როდი გადმოათრევს ხოლმე თავის კერპს კვარცხლბეკიდან იმ იმედით, რომ მისი თიხის ფეხები აღმოაჩინოს; ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ასოციაციონიანი ხალხი მას უბრალოდ ივინყებს, უკიდევანო სიძულელითა თუ საშინელი გულგრილობით აღვსილი.

აი ასე უფოთავდა დოქტორი სელიგი და, მგზნებარე სულისკვეთებით გამსჭვალული, წიგნის ბოლოს რაიდერის მკვდრით აღდგენას გეგმავდა. მოკრძალებით იმედოვნებდა, რომ წიგნი სენატორის სიცოცხლეშივე გამოქვეყნდებოდა და ბერიკაცს გააბედნიერებდა.

როდესაც სელიგი რაიდერის სიტყვებს კითხულობდა და ჟურნალების ფურცლებზე მის სურათებს ათვალიერებდა, ეწვენებოდა, რომ სენატორს ახლოს იცნობდა. თვალწინ დაუდგებოდა ხოლმე მთელი იმავი ოთახში მდგარი მაღალი, აღნაგვი მამაკაცი; გრძელი, თხელი ცხვირის, მხიარული თვალებისა და უშველებელი წინ წამოწეული შუბლის ერთმანეთთან შეუთავსებლობის გამო კაცს მოეჩვენებოდა, რომ მის პიროვნებაში ერთდროულად თანაარსებოდნენ პურიტანიც, ჯამბაზიცა და კეთილგანწყობილი სწავლულიც.

სელიგი ოცნებობდა, რაიდერისათვის წერილი მიეწერა და, ოოოჰ, ათასი ისეთი რამ ეკითხა, რის ახსნაც მარტო მას შეეძლო; მაგალითად, რაში მდგომარეობდა ლაიონელ სავილ-უესტის წინადადებები კოლუმბიასთან მიმართებით; რას

წერდა დედოფალი ვიქტორია თავის ცნობილ გამოუქვეყნებელ წერილში პრეზიდენტ ჰარისონს ნიუ-ჯარსონის წყლებში თევზჭერის საკითხთან დაკავშირებით... ვითომ რა მოხდებოდა, რომ მიენერა?!

არა, ბერიკაცი ოთხმოცდათორმეტი წლისა გახლდათ, სელიგი კი ისეთი თაყვანისცემით გამსჭვალულიყო, რომ ვერ გაბედავდა მის შეწუხებას. ესეც რომ არ ყოფილიყო, მას გვარიანად და, არცთუ უმართებულოდ, ამუხრუჭებდა ეჭვი იმის თაობაზე, რომ კაცი, რომელსაც ოდესღაც თვით გლადსტონისათვის მიეხალა პირში, ეშმაკსაც წაუღიხარო, წერილს კალათაში მოიტყორცნიდა. სენატორი ისე საფუძვლიანად მიეცათ დაინყებინათვის, რომ სელიგმა თავდაპირველად ვერაფრით ვერ დაადგინა, სად ცხოვრობდა იგი. საცნობარო წიგნში „ვინ ვინ არის“ მისამართი არ იყო მითითებული. სელიგის უფროსმა, პროფესორმა მანკმა, რომლის შესახებაც ამბობდნენ, ამქვეყნად ყველაფერი იცის, იმის გარდა, თუ სად აგდია მისი შარშანდელი ჩალის ქუდი-ო, მის შეკითხვაზე რამე-ბურტყუნა: „ჩემო ძვირფასო! რაიდერის სამყოფელი რომელიმე სასაფლაოზე უნდა მოიკითხო. მან თავის მამა-პაპას მიაკითხა, თუ არა ვცდები, 1901 წელს.“

უნყინარმა დოქტორმა სელიგმა ლამის სული არ გააფრთხობინა შუა დასავლეთის მკვიდრ პატივცემულ ისტორიკოსს.

ბოლოს და ბოლოს, მშრალი კანონის მონინალმდეგეთა ლიგის მიერ გაცემულ ბიულეტენში გამოქვეყნებულ დირექტორთა ჩამონათვალში სელიგმა მაინც მიაგნო მის მისამართს: „ლაფაიეტ რაიდერი (აშშ ყოფ. სენატ. სახელმწ. მდივ.), უესტ-უიკლი, ვერმონტის შტატი.“ მისთვის ხომ სულერთი იყო, სად ცხოვრობდა სენატორი, მაგრამ იმ საღამოს ისე აფორიაქდა, ზედმეტი ყალიონიც კი გააბოლა.

უნდოდა, არდადეგების დროს სადმე გამგზავრებულიყო – ზაფხულში წიგნის დამთავრება ეოცნებებოდა. სენატორი ვერმონტის შტატში ცხოვრობდა და სელიგსაც იქით გაუნია გულმა. ერთ პედაგოგიურ ჟურნალში ასეთ განცხადებას წაანყდა: „სქაი-ფიქსი, უიკლის მახლობლად, ვერმონტის შტატი – წყნარი, ტყიანი ადგილი; ბიბლიოთეკა; სასიამოვნო, ინტელექტუალური საზოგადოება, მწერლები; ჩოგბურთი, ხელბურთი, ცხენით გასეირნება; საღამომობით ტრადიციული სიმღერები კოცონთან; ავეჯ. ბუნგ. ზომიერი ფასები.“

სწორედ ის იყო, რაც მას სჭირდებოდა: წყნარი ადგილი, ბიბლიოთეკა, ზომიერი ფასები და, ყველაფერ სიკეთესთან ერთად, მეზობლად – მისი კერპი. ავეჯით განყოფილი ბუნგალო მთელი ზაფხულით იქირავა და, ერთ მშვენიერ დღეს – როდესაც მისი ნორჩი მტანჯველები, მთელი წლის განმავლობაში რალაც-რალაცებში უაზრო ჩაკირკიტებით თავბედს რომ აწყველინებდნენ, თავთავიანთი გზით ნავიდ-ნამოვიდნენ და ნება დართეს, მთელი სამი თვით თავი ადამიანად ეგრძნო – ჩემოდნით ხელში, სადგურისაკენ გაემართა. სქაი-ფიქსი ოდესღაც ფერმა ყოფილიყო და, სავალალოდ გადასხვაფერებული, უბადრუკ კაფე-საკონდიტროს დამსგავსებოდა. მისი ბუნგალო – ოდესღაც მარცვლეულის შესანახი უბრალო ნალია – ნახ მოცისფრო-მოყვითალო ფერებში შეეღებათ და „შელი-დ“ მოენათლათ. მაგრამ ბანაკი მალლობზე გაემართათ და თივისა და ნაძვნარის სურნელით გაჟღერებული ჰაერი სწორედ რომ მისწრება იყო აუდიტორიის მტვრით დაბინძურებული მისი ფილტვებისათვის.

პირველსავე დღეს, სადილობისას, სქაი-ფიქსის მეპატრონეს – ვინმე მისტერ იდლს – ჰკითხა:

- მგონი, სენატორი რაიდერი სადღაც აქვე ცხოვრობს, არა?
- სწორედ რომ, აი იმ მთაზე, აქედან ოთხი მილის დაშორებით.
- იმედი მაქვს, ერთხელაც თვალს შევაველებ.
- მე წავიყვანთ მასთან, როგორც კი მოისურვებთ.
- არა ბრძანებით, ეს როგორ? როგორ გავებდო მისი შეწუხება?!

– ეგ არაფერი! მართალია, მოხუცია, მაგრამ ძალიან აინტერესებს ყველაფერი, რაც მის სამეზობლოში ხდება. ეს კარმიდამო ხომ მისგანა მაქვს ნაყიდი... არ დაგავინყდეთ, საღამოთი კოცონთან ვიმღერებთ.

იმავე საღამოს, რვა საათზე, იდლმა სელიგი თავისი მიყუჩებული ნალიიდან გამოათრია სწორედ იმ წუთში, როდესაც იგი ლოკარნოს პატივისა და ვერსალის ხელშეკრულების დიდებული შეთანხმებების ამბავს აცნობიერებდა.

მღეროდნენ ისეთ სიმღერებს, როგორცაა „გრძელი, გრძელი გზა“ და „ღვთის შვილებს, ყველას, ფესხაცმელი აქვს“ (ღვთის შვილებს, ამას გარდა, პიჯაკებიც ჰქონდათ, შარვლებიც, ჟილეტებიც, იაფფასიანი ავტომობილებიც, საზამთროებიცა და ა. შ. დაუსრულებლად). სელიგის გვერდით, კოცონთან, ახალგაზრდა ქალი იჯდა, რომლის ცხვირს, თვალებს, სვიტერსა და სპორტულ ქვედატანს არც მაინცდამაინც კარგი ეთქმოდა და არც მაინცდამაინც ცუდი. სელიგი მისკენ არც გაიხედავდა, ქალს თვითონვე რომ არ შეეჩერებინა მასზე არჩევანი.

– როგორც მითხრეს, თქვენ ერაზმუსის კოლეჯში ასწავლით; ასე არ არის, მისტერ სელიგ?

– აჰა...

– აი სად აქცევენ ნამდვილად ყურადღებას ხასიათის ჩამოყალიბებას. ბოლოს და ბოლოს, რა აზრი აქვს გონებრივი უნარის განვითარებას, თუკი ხასიათი ფხვს ვერ აუნყოფს ინტელექტს?! იცით, მეც ვასწავლი, თუმცა არა თქვენსავით – კოლეჯში. მე სულ მხოლოდ ლინკოლნის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი ვარ სენეკატაინში. ჩემი სახელია სელმა სუონსონი. ერთხელაც საფუძვლიანად უნდა ვისაუბროთ ისტორიის სწავლებაზე, ასე არ არის?

– აჰა... – უპასუხა სელიგმა და მყის აორთქლდა. მაგრამ თავის ნალიაში შეყუჟულმა ჩაილაპარაკა, ასე სულაც არ არისო.

ლექციებსა და ხასიათის ჩამოყალიბებაზე ზრუნვა სამი თვის მანძილზე თავიდან უნდა ამოეგდო – ასე ჰქონდა განზრახული. მას სწავლულის მომავალი ელოდა. სენატორი რაიდერიც კი აღფრთოვანდებოდა, ალბათ, რომ შეიტყობდა, რა ინტელექტის პატრონი უნდა მისცემოდა ძილს სადღაც ნალიაში მისგან სულ ოთხი მილის დაშორებით!

მეორე დღეს, თავის წიგნს გულმოდგინედ რომ ჩაჰკირკიტებდა, მასთან მისტერ იდლი შეიჭრა ამ სიტყვებით:

– უიკლიში მივემგზავრები. მოხუცი რაიდერის ფერმის გვერდით ვიტრიალებ. წამობრძანდით, გავაცნობთ.

– უი, არა; ღმერთმანი, უხერხულია.

– რა სისულელეა... წარმომიდგენია, რა მოწყენილია მარტო. აბა, წავედით!

ვიდრე სელიგი გადაიფიქრებდა და იდლის იაფფასიანი, შურდულივით სწრაფი ავტომობილიდან გადმოხტებოდა, რათა უკანვე გაბრუნებულიყო, უკვე მთავორიან გზაზე მიქროდნენ. სულ მალე მარმარილოს ჭიშკარი გაიარეს და სენატორის მამულში აღმოჩნდნენ. არყისა და ნეკერჩხლის ნესტიანი ხეივანი გაიარეს და თავი მდელიზე ამოყვეს, სადაც ძველებური აგურის სახლი წამომართულიყო უშველებელი ვერანდით, ჭადრაკის დაფასავით ჭრელ მინდორს რომ გადაჰყურებდა. ვერანდისაკენ გაქანდნენ და სელიგმა ბრეზენტის შეზღოვრებულ მინოლილი მოხუცი შენიშნა, რომელსაც შალის გადასაფარებელი ეჭარა. ნახევრად ნაბნელებულ ვერანდაზე შუქი თითქოს მარტო მის მელივრ თავს დაჰნათოდა, პრიალა პერგამენტის ბურთს რომ ნააგავდა და, ასევე, მის გრძელ, სისხლისაგან დაცლილ, მიცვალებულივით უძრავ ხელებს, შალგადაფარებულ მუხლებზე რომ ესვენა. ჩამქრალ თვლებში აღარც სიცოცხლის ნიშანწყალი ეტყობოდა და აღარც მისი ნყურვილი.

იდლი მანქანიდან გადმოხტა და დასჭყება:

– შუადღე მშვიდობისა, სენატორო! მშვენიერი ამინდია, არა?! სტუმარი მოგიყვანეთ. მისტერ სელიგი კოლეჯში ასწავლის... ოოჰ... რომელიღაც კოლეჯში. ერთ საათში დავბრუნდები.



სელიგს ხელი ჩაავლო – კარგა ჯანიანი აღმოჩნდა – და მანქანიდან გადმოათრია. საბრალო სელიგს ტვინი აერია. სანამ ის ამ აბდაუბდიდან თუნდაც რაიმე აზრს გამოიტანდა, იდლის მანქანამ დაიფრუტუნა და სადღაც გაქრა, სენატორ რაიდერის მზერით დაჰიპნოზებული სელიგი კი ვერანდის წინ დარჩა გახვევებული. სენატორი მეტისმეტად ბებერი იყო საიმისოდ, რომ მძაფრი სიძულვილი ან მრისხანება გამოეხატა, თუმცა ცხვირის აბზუება კი ხელენიფებოდა.

რაიდერი დუმდა.  
სელიგმა უსამართლოდ შერისხული მონაფესავით შესძახა: – პატიოსან სიტყვას გაძღვეთ, სენატორო, აზრადაც არ მომსვლია თქვენთან შემოქრა. მეგონა, იდლი უბრალოდ გაგაცნობდათ ჩემს თავს და უკანვე წამიყვანდა. მეგონა, კეთილი განზრახვა ამოდრავებდა. თუმცა, ქვეცნობიერად, მე ალბათ მუდამ მინდოდა თქვენი გაცნობა. მე ისე კარგად ვიცნობ თქვენს ნაშრომებს – „განარალებების პერსპექტივები“ და „ანგლო-ამერიკული იმპერია...“

სენატორი გადაღმეული ბუსავით შეინძრა, ბინდბუნდის ჩამონოლისას რომ იღვიძებს. თვალეში სიცოცხლის ნიშანკვალი აუკიაფდა. კაცი იფიქრებდა, აი ახლა ბებერი და დიდგულა ჩიტვიით მკვეთრი და ხრინწიანი ხმით დაიჩხვლებსო; მაგრამ როდესაც დაილაპარაკა, სელიგს მშვიდი, კეთილშობილური ჟღერადობით გაჯერებული ხმა მოესმა:

– არ მეგონა, 1910 წლის მერე თუ კიდევ ვინმე ჩახედავდა ჩემს წიგნებს.  
სუსტი, ბებრული, თუმცა თავაზიანი და დახვეწილი მოძრაობით მიიპატიჟა სელიგი.

– თქვენ მასწავლებელი ბრძანდებით?  
– ოჰაიოს ერთ პატარა კოლეჯში ვასწავლი. ისტორიასა და ეკონომიკას ვკითხულობ. მონოგრაფიას ვწერ ამერიკული დიპლომატიის ისტორიის საკითხებზე და, ბუნებრივია... ისეთი საკითხები მხვდება, რომელთა ახსნაც, თქვენ გარდა, არავის ძალუძს.

– იმიტომ, რომ ასეთი ბებერი ვარ?  
– არა! იმიტომ, რომ თქვენ მუდამ გამოირჩეოდით ფართო განათლებითა და გამბედაობით; ეს იქნებ ერთი და იგივეა. წიგნზე მუშაობისას ყოველდღე – ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით – იმაზე ვოცნებობდი, რომ თქვენგან რაიმე რჩევა მიმეღო. მაგალითად, მითხარით, სერ, ხომ მართალია, რომ სახელმწიფო მდივანს – ოლნის-ინგლისთან ომის დაწყება ვენესუელის გამო უნდოდა? ის გმირის სახელზე ოცნებობდა, განა ასე არ არის?  
– არა.

ბერიკაცმა გადასაფარებელი გადაიძრო. უცნაურად ჩანდა, რომ მას არა ძველმოდურ ყაიდაზე ოქრომკედით დამშვენებული ხალათი, არამედ გატყინებული ტილოს კოსტიუმი ეცვა და ელევანტური ბაფთიანი ჰალსტუხი ეკეთა. შეზლონგზე მინოლილი სენატორი მხრებში გაიმართა, გამოცოცხლდა და ხმაში სიმტკიცე შეეპარა:

– არა, ის იყო სამშობლოს ერთგული კაცი – მტკიცე, პატიოსანი, მზადმყოფი მოსალაპარაკებლად, თუ ეს საჭირო შეიქნებოდა, მაგრამ, საფრთხის წინაშე მდგარი, წარბს არ შეიხრიადა... მის ტალი!

სენატორის ძახილზე ფართო, მარაოს ფორმის კარიდან კარგად ნაწრთობი მონყალების და გამოგოგმანდა. მისი მკაცრი სტილი, თეთრი ფორმა ისე გახამებულიყო, ლამის ტკაცუნე გაუდიოდა; მაგრამ ეს იყო ახალგაზრდა ქალი, ტყის ყაყაჩოსავით ქორფა – ერთი იმათგანი, ვინც ნებისმიერი ხნის ნებისმიერ მამაკაცს უთუოდ დედობას გაუწევს განურჩევლად იმისა, მოსწონს თუ არა ეს ამ მამაკაცს. მან საიდანაც გამოიმტყვრა სელიგს მძინვარე მზერა სტყორცნა, სენატორს თითი დაუქნია და ვითომ ტკბილი ღიმილით განაცხადა:

– იცოდეთ, არ გადაიღალოთ, თორემ გავმკაცრდები და ლოგინში წოლას მოვისჯვით. ექიმმა თქვა...

– ჯანდაბაში წასულა ექიმი! მისის თინქემს სთხოვეთ, არქივში რიჩარდ ოლნის წერილები მომიძებნოს – ვაშინგტონ-

ნი, 1895 წლით დათარიღებული. ოლ-ნი. და, თუ შეიძლება, სწრაფად.

მის ტალი რომ გავიდა, სენატორმა დაიბზუღუნა: – ისე მჭირდება ეს მონყალების და, როგორც კაცას – ორი კუდი. ეს იმ ბრიყვმა ექიმმა მოიფიქრა; ყყყყი! სამოცდათხუთმეტი წლისაა და, ათას რვაას ოთხმოცდარვა წლიდან მოყოლებული, მის თავში ერთი აზრიც არ გაჭაჭანებულა! ეს ექიმებიც არიან, რა!

მან ვრცელი სიტყვა წარმოთქვა მკურნალობის ხელოვნებაზე და ისეთ საშინელ ღვთის გმობას მოჰყვა, თავზარდაცემულ და, იმავდროულად, აღფრთოვანებულ სელიგს ენა ჩაუვარდა. სენატორს ხატოვან გამონათქვამთა სიმძაფრე არც მაშინ შეურბილებია, როდესაც ოთახში განრიპული, გამხდარი, თმაგათეთრებული, ქალწულივით მორიდებული მისის თინქემი შემოვიდა.

სელიგს ისეთი შეგრძნება დაეუფლა, რომ, ცოტაც და, შიშით დაზაფრული ქალი მაღალი ვერანდიდან გადახტებოდა და თავს მოიკლავდა, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. ცოტახანს შეჩერდა, მერე თავაზიანად დაამთქნარა, სენატორს სქელი, ყავისფერი ქალაღის კონვერტი გაუწოდა და ისევ ისე თავაზიანად დატოვა იქაურობა.

სენატორმა ჩაიხითხითა.  
– საღამოთი თავისი ლოცვების სამიზნედ მაქცევს. თქვენი თანდასწრებით ვერ გაბედა. აი ახლა ცოტა მომეშვა. გვარიანად შეკურთხება ჩვენს გარყვნილ საუკუნეში შესანიშნავი, მაგრამ მივიწყებული თერაპიული საშუალებაა. ამ სფეროში დიპლომატიამ უფრო ამომწურავი ინფორმაციით შემოიღო მოგამარაგოთ. კაცმა რომ თქვას, დიპლომატია ფართოდ იყენებს ამ ენას. აი ის წერილიც, რომელიც სახელმწიფო მდივანმა ოლნიმ მომწერა და რომელშიაც იგი დიდი ბრიტანეთის მთავრობასთან მისი დიპლომატიური მიმონერის როლის შესახებ ლაპარაკობს.

ეს ქალაღის ნაგლეჯი ისტორიის ფურცელი გახლდათ. სელიგს მანამდე არასოდეს არცერთი მატერიალური სხეული არ სჭერდა ხელში ესოდენი მონიერით.

– ოო, დიხ, – წამოიძახა მან. – რა თქმა უნდა, თქვენ ხომ ის გამოიყენებთ! მე კი მარტო წერილის დასაწყისი ვიცი. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, სერ, როგორ მაინტერესებს ამ წერილის ბოლომდე წაკითხვა. თუ არა ვცდები, თქვენ გამოიყენებთ პირველი აბზაცი თქვენს „ანგლო-ამერიკულ იმპერია-ში,“ მგონი, 276-ე გვერდზე; ასე არ არის?!

– შესაძლოა. ეს ნაშრომი ჩემს სამაგიდო წიგნებს არ მიეკუთვნება.

– თქვენთვის ალბათ ცნობილია, რომ ეს წერილი შარშან თქვენი წიგნიდან გადაიბეჭდა „ისტორიული წყაროების ამერიკული საზოგადოების მაცნეში“.

– ნუთუ?

მოსხუცი, როგორც ჩანს, ძალზე ნაამები იყო. მან ალერსიანად შეხედა სელიგს, როგორც ახალგაზრდა, მაგრამ გამოზრდილი მეგობარს; ჩაეცინა და ჩაილაპარაკა:

– მე მგონი, ვხვდები, რასაც გრძნობდა მეფე თუთი, როდესაც ის გაახსენდათ და ამოთხარეს... მის ტალი! ეი, მის ტალი, დამდე პატივი და უთხარით მარტენსს, მოგვიტანოს ორი ჭიქა და სოლიანი ვისკი. როგორ?! იცით რა, ქალბატონო, მე და თქვენ მოვასწრებთ ჩემი ბებრული მანკიერების განსჯას, როდესაც ჩვენი სტუმარი დაგვტოვებს. ვიმეორებ – ორი ჭიქა! მამ, დაეუბრუნდეთ სახელმწიფო მდივანს – ოლნის. საქმე ის იყო, რომ...

ორი საათის შემდეგ სენატორი რაიდერი კვლავ ლაპარაკობდა და ამ ორსაათს სელიგს იმოდენა აღწურსხავი ინფორმაცია გაანდო, რასაც მკვლევარი ორწლიანი კვლევის შედეგადც ვერსად მოიძიებდა.

სელიგმა მთელი ორი საათი იტრიალა პრეზიდენტებისა და ელჩების საზოგადოებაში. უსმენდა საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ სუფრასთან, სადილობისას გაბმულ ისეთ კონფი-

დენციალურ და მსოფლიოს ბედ-იღბლის გადაწყვეტისათვის იმდენად მნიშვნელოვან საუბრებს, რომ ისინი პირად მიმონერაშიაც კი არავის ეხსენებინა. სენატორმა სელიგს უამბო მეფე ედუარდთან თავისი მეგობრობის ამბავი და ისიც გაანდო, როგორ იწინასწარმეტყველა ერთხელ მინერალური წყლის წრუპვით გართულმა მეფემ მომავალი მსოფლიო ომის გაჩაღება.

მოკრძალებული მასწავლებელი, რომელსაც ერთი მივარდნილი კოლეჯის რექტორზე უფრო მნიშვნელოვან ადამიანთან საუბარი თავის დღეში არ ღირსებოდა, ალტყინებული, სულს ველარ იბრუნებდა იმის გაფიქრებაზე, რომ მეფეთა და ფელდმარშალთა, ანატოლ ფრანსისა და ლორდ ჰოლდეინის, სარა ბერნარისა და ჯორჯ მერედის მესაიდუმლე გამხდარიყო.

სელიგმა მუდამ იცოდა, მაგრამ გაცნობიერებით ახლავა გააცნობიერა, რომ პირად ცხოვრებაში ძლიერნი ამა სოფლისანი ისეთივე უბრალო, ჩვეულებრივი ადამიანები ყოფილან, როგორც თუნდაც დოქტორ უილბურ სელიგი, ერაზმუს-კოლეჯის მასწავლებელი. მეფე ედუარდთან საოცარი სიახლოვე იგრძნო, როდესაც სენატორისაგან შეიტყო, რომ {თუმცა ის, შესაძლოა, აზვიადებდა კიდეც} მეფეს არ შეეძლო სუფთად, გერმანული აქცენტის გაურევლად, წარმოეთქვა საკუთარი სახელი; თავი დიდკაცად წარმოიდგინა, როდესაც წერილად შეიტყო ერთი არცთუ მთლად დარბაისლური წვეულების ამბავი, სადაც შეზარხოშებულმა ინგლისელმა ჰერცოგმა, გერმანელმა პრინცმა და პორტუგალიელმა მეფემ, რომელთაც თან ახლდათ საეჭვო რეპუტაციის ქალბატონები, სენატორ რაიდერის თამაღობით ლირიკული სიმღერა „დამისხი, ყელი გამიშრა“ შემოსახეს.

ამ ორ საათში იყო ათიოდე ისეთი წუთი, როდესაც სელიგი დედამიწას ძირფესვიანად მოსწყვეტოდა და ძალზე შორს – კონან დოილის სულების სამყაროში – გადაბარებულყო. ამ დღის დადგომამდე ერთი ბოთლი შინაური ლუდით თვეში ერთხელ პირის განკლაპუნება სელიგისათვის ალკოჰოლურ სასმელთა დაგემოვნების უკიდურესი ზღვარი გახლდათ. სოდიანი ვისკის სუსტი ნარევი რომ მოიძადა, ცოტა არ იყოს, იმით შემფოთებულმა, რომ წარმოდგენა არ ჰქონდა დიპლომატთა საზოგადოების წეს-ჩვეულებებზე სპირტიან სასმელთან მიმართებით, შენიშნა, რომ სენატორმა სამჯერ მეტი ვისკი დაისხა თავისთვის. ოღონდ საქმე ისაა, რომ ბერიკაცი, რომელიც ნელ-ნელა წრუპავდა ვისკის და მელოტ თავს სიამოვნებით აქნევდა, მყარად იჯდა სავარძელში; დარეტიანებული სელიგი კი დედამინიდან ექვსი მილიონი მილის სიმაღლეზე, ელვით გაჩახჩახებულ მოვარდისფრო-მონაცრისფრო ღრუბლებში აჭრილიყო და ძლივს არჩევდა სადაღაც შორს, დაბლა, რას ქაქანებდა სენატორი კუბური შაქრის კავშირზე კოლორადოს ჭარხალთან.

როგორღაც სელიგის თვალსაწიერის ფარგლებში მოხვდა იდლი თავისი ტურტიანი ავტომობილით და შინ წაყვანა შესთავაზა, მაგრამ, მისდა სასიხარულოდ, სენატორის მოკლე შენიშვნის შემდეგ – დოქტორი სელიგი სადილად დარჩება და ჩემი მანქანით წაიყვანენო – მყის აორთქლდა.

სადილი... სელიგი იშვიათად თუ გადაავლებდა თვალს მხატვრულ ლიტერატურას, მაგრამ ერთ რომანში მაინც ამოიკითხა ასეთი სიტყვები: „ბინდუნდში სანთლების მშვიდი აალება, გრძელი, გასანთლული მაჰაგონის მაგიდის ზედაპირ-

ზე რომ აირეკლება ისე, ვით მქრქალი მინის სარკეში. სანთლები, ვარდები, ძველებური ვერცხლეული...“ ნაუკითხავს ასევე კედელზე დაკიდებულ ირმის რქებზე, ჰერალდიკურ ფარებსა და გარდასულ დროთა მეომრების ოცნებებზე.

უნდა ითქვას, რომ სენატორის სასადილო ოთახში არც ირმის რქები იყო და არც ჰერალდიკური ფარი და მახვილი, ხოლო „სანთლის მშვიდი ალი“ თუ სადმე ბუჭტავდა, არსად ჩანდა მაჰაგონი, ეს ალი რომ აერეკლა. მაგიდაზე ვერცხლისფერი, სახიანი ქსოვილისაგან შეკერილი სუფრა გადაეფარებინათ. სასადილო ოთახი მოგრძო, სადა ავეჯით განწყობილი ოთახი გახლდათ, რომლის თეთრღირსდატანებულ კედლებზე ძველებური პორტრეტები ეკიდა. და მაინც, სელიგი გრძნობდა, რომ სწორედ ეს იყო ის რომანტიკით გაჯერებული გარემო, რომლის შესახებაც წიგნებში ამოეკითხა.

სადილი ისეთი იყო, სოფლის მკვიდრთა რომ შეეფერებათ. სელიგი უკვე მოემზადა საიმისოდ, რომ ხიზილალითა და ფარშევანგის ერთ ჩაეტკბარუნებინა პირი; ამის ნაცვლად კი სტეიკი, ნესვი და სიმინდის პუდინგი მიართვეს. სამაგიეროდ, ყოველ თევზთან ოთხი ჭიქა იდგა და მან – ძალზე გაუბედავად – მისთვის ერაზმუს-კოლეჯიდან კარგად ნაცნობი წყლის გარდა, გემო გაუსინჯა ხერესს, ნითელ ბურგუნდიულ ღვინოსა და შამპანურს.

ერთადერთი, რაც ერაზმუს-კოლეჯის პედაგოგმა, აიოველმა უილბურ სელიგმა, ზუსტად იცოდა, ის იყო, რომ შამპანური დიდ უზნეობასა და ფხმსუბუქ ქალებს უკავშირდებოდა, ისევე როგორც უხამს საუბარსა და ნაგებსა რულეტის თამაშისას, რაც მუდამ თვითმკვლევობით მთავრდებოდა. მაგრამ, რაც უნდა უცნაური იყოს, სწორედ მაშინ, როდესაც სელიგმა ცხოვრებაში პირველად დააჭაშნიკა ჭიქა შამპანური, სენატორმა რაიდერმა სიტყვა ჩამოაგდო იმაზე, როგორ ახარებდა მას ანგლო-კათოლიკური ეკლესიის განმტკიცება.

არა, დაუჯერებელი იყო ეს ყველაფერი! სადილად დაპატიჟებული სელიგის სიხარული ალტყინებით შეიცვალა, როდესაც სენატორმა უთხრა: „იქნებ ზეგ შემოიართოთ სადილად? შესანიშნავია. შვიდ საათსა და ოცდაათ წუთზე მარტენსს გამოგიგზავნით. ფრაკის ჩაცმა დაჭირო არ არის.“


თავი სიზმარში ეგონა, როდესაც რაიდერის მსახურთუფროსისა და მძღოლის, მარტენსის თანხლებით შინსაკენ მიემგზავრებოდა. უამრავ რამეს, წიგნის წერისას გულში ხინჯად რომ ჰქონდა ჩარჩენილი, ნათელი მოჰფენოდა.

სქაი-ფიქსში რომ ჩავიდა, დამსვენებლები ჯერ კიდევ მბუჭტავ კოცონთან ისხდნენ.

– ღმერთო ჩემო! – დაინრიპინა მის სელმა სუოსონმა, ისტორიის მასწავლებელმა. – მისტერ იდლისაგან შევიტყვეთ, რომ თქვენ მთელი საღამო სენატორ რაიდერთან გაგიტარებთ. მისტერ იდლი ამბობს, ის დიდი ადამიანია, წარსულში დიდებული პოლიტიკური მოღვაწეო.

– სენატორმა დიდი გულისხმიერება გამოიჩინა და ზოგიერთი ჩახლართული საკითხის გაშუქებაში დამეხმარა, – ჩაიბურტყუნა სელიგმა.

ლოგინში რომ წვებოდა თავის განახლებულ ნალიაში, ალტაცებული იმეორებდა: „ღმერთმანი, ნამდვილად შევძლებდი სენატორისათვის კარგი მეგობრობის განევას. რა ბედნიერება იქნებოდა!“



სტუმარი რომ ნავიდა – რა ერქვა, სელიგი თუ სელიმი?! - კვლავ გრძელ მაგიდასთან მიმჯდარი ლაფაიეტ რაიდერი თამბაქოს აბოლებდა და ცარიელ კონიაკის ჭიქას შესცქეროდა. „სასიამოვნო ყმანვილია, ერთუხიასტი, - ფიქრობდა იგი. - იგრძნობა, რომ პროვინციელია, მაგრამ კარგადაა აღზრდილი. ნუთუ მართლა არიან კიდევ ისეთი ადამიანები, რომლებმაც იციან, რომ ოდესღაც ამქვეყნად ცხოვრობდა ლაფ რაიდერი?!“

ზარი დარეკა. სასადილო ოთახში მტკიცე ნაბიჯითა და მოკრძალებული კეკლუცობით მის ტალი შემოგოგმანდა და ჩაიფლურტულა:

- დროა დავწვეთ, არა, სენატორო?!  
- არა, არ უნდა დავწვეთ. მე თქვენ კი არა, მარტენსს მოვუხმე!

- მან თქვენი სტუმარი წაიყვანა.  
- ჰმ! მაშინ მზარეული გამომიგზავნეთ. კიდევ ცოტა ბრენდი მინდა.

- ოო, არა, ბაბუა რაიდერ! უნესოდ ნუ მოიქცევით!  
- მოვიტყვი! ან კიდევ, ეს ოხერი, ვინ მოგცათ უფლება, ბაბუა დამიძახოთ?

- თქვენ თვითონ, ჯერ კიდევ შარშან.  
- წელს კი გიკრძალავთ. მომიტანეთ ბრენდი.  
- მაშინ ნახვალთ დასაძინებლად?  
- არ ნავალ.  
- მაგრამ ექიმმა ხომ...

- ეგ თქვენი ექიმი კიბორჩხალასსიფათიანი ქოფაკი ნაბიჭვარია და კიდევ სხვა ათასი უბედურება!.. ამ საღამოს მშვენიერ გუნებაზე ვარ და ალბათ დიდხანს – დილამდე – ვიჯდები!

ბოლოს „დილამდე-ს“ ნაცვლად „თორმეტის ნახევრამდე-ზე“ შეთანხმდნენ და, ერთი ბოთლი ბრენდის მაგივრად, ერთ სირჩაზე შეაჩერეს არჩევანი. მაგრამ სენატორი, გაბრაზებული იმით, რომ იძულებული შეიქნა დაეთმო (მის ტალის სიტყვებს თუ ვერწმუნებით), ძალიან ცუდად იქცეოდა აბაზანაში. თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე სწორედ ასე ბრაზობდა, როდესაც უცხო სახელმწიფოებისათვის რაღაცის დათმობა უწევდა.

- გეოციტებით, - არწმუნებდა მის ტალი მოგვიანებით სენატორის მდივან ქალს, მისის თინქჰემს. - კარგად რომ არ მიხდიდეს, ხვალვე მივატოვებდი ამ აუტანელ ბერიკაცს. რაკი სახელმწიფო მოღვაწე თუ რაღაც ამდაგვარი იყო, შეიძლება მოწყალეების დას ასე უხეშად მოექცეს?!  
- არ მიატოვებდით! - შეეპასუხა მისის თინქჰემი. - მაგრამ თქვენ მართალი ხართ: მისი ატანა ძალიან, ძალიან ძნელია.

მათ ეგონათ, რომ ბერიკაცი ბოლოს და ბოლოს დამშვიდდა. ის კი თავის განიერ, ბალდახინიან სანოლში ფხიზლობდა, ენოდა და ფიქრობდა:

„ღმერთები მუდამ კეთილგანწყობილი იყვნენ ჩემდამი, რასაც არ ვიმსახურებდი. სულ იმის მეშინოდა, რომ ნუთისოფელს დედაკაცებისა და ექიმების გარემოცვაში გამოვეთხოვებოდი და ამ დროს განგებამ მეგობარი გამომიგზავნა – მამაკაცი, თანაც, ახალგაზრდა და, როგორც ჩანს, ნამდვილი სწავლულის უნარით დაჯილდოებული. ის უამბობს მსოფლიოს ჩემს ჩანაფიქრსა და საქმეებზე. ჰო, კარგი, ნულარ დასტირი საკუთარ თავს, ლაფ რაიდერ! ჯობია, დაიძინო!“

მეორე დღით სენატორმა გადანყვიტა, ალბათ მეტისმეტად დიდ იმედებს ვამყარებ ამ ყმანვილზეო; მაგრამ როდესაც სელიგი მეორედ ეწვია სადილად, სენატორმა კმაყოფილებით შენიშნა, რომ მას უჩვეულო სისწრაფით შეეშწო მისთვის უჩვეულო გარემო, თუმცა, როგორც ჩანს, პირველად მოხვედრილიყო ესოდენ ნატიფი ოსტატობით გამართულ სახლში. მან გულწრფელად და გულახდილად უამბო სენატორს თავის ფერმაში გატარებულ ბავშვობაზე, რასაც რაიდერმა გულში „სოფლის უღიმღამო ყოფა“ უწოდა; ასევე უამბო უნივერსიტეტში სწავლის წლებზე.

„ის გულუბრყვილია; მით უკეთესი! იმ ძაღლიშვილს კი არა ჰგავს – რომელიღაც მესამეხარისხოვან მდივანს, თავი კოსმოპოლიტად რომ მოაქვს, რაკი ოდესღაც გროტონში ფეხი შეუდგამს! - ფიქრობდა სენატორი. - მისთვის რამე უნდა გავაკეთო.“

იმ ღამით სენატორმა კვლავ ვერ დაიძინა და უცებ, მისი ჭკუით, შთაგონებულმა აზრმა გაუელვა თავში:

„მე დავეხმარები ამ ყმანვილს. ფული ბევრი მაქვს, მაგრამ ვის უნდა დავუტოვო, ჩემი ყბამოღრეცილი ნათესავების გარდა? არავის! მივცემ მას სამუალებას, ერთი წელი არ იმუშავოს. ალბათ წელიწადში ორნახევარ ათასს იღებს. მე ხუთს მივცემ და ხარჯებს დავუფარავ. ჰოდა, მომიწესრიგოს არქივი. თუ გონივრულობას გამოიჩენს, ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემი წერილების გამოქვეყნების ნებას მივცემ – ჯონ ჰეის, ბლენის, ჩოუტის წერილების... ამერიკაში განა კიდევ ვის ექნება ასე ერთად შეკრებილი გამოუქვეყნებელი წერილები?! ყმანვილს ბრწყინვალე მომავალი ელის!“

მისის თინქჰემი გაბრაზდება. იეჭვიანებს. ალბათ ნავა კიდევ. შესანიშნავია! ეი, ლაფ, წყალწაღებული ბებერო ლაჩარო! ხომ უკვე სამი წელია იმაზე ოცნებობ, ეს ქალბატონი მოიშორო, მაგრამ არ გინდა აწყენინო! გაფრთხილდი, ცოლად არ დაგიჯდეს მაგ სასიკვდილო სარეცელზე!“

სიბნელებში გაისმა ჩუმი, იქედნური, კმაყოფილი სიცილი ბერიკაცისა.

„ჰოდა, თუ ჩემს იმედებს გაამართლებს, ორიოდ გროშს დავუტოვებ, თავი რომ გაიტანოს, ჩემს წერილებს გამოაქვეყნებდეს. დავუტოვებ... აბა, რამდენი დავუტოვო?“

სენატორის ჯამიტლევია ნათესაობასა და უპოვარ მესუფრეებში ხმა დარხეულიყო, რაიდერების ქონებიდან მას დაახლოებით ორასი ათასი დოლარი დარჩენიაო. მარტო მან და მისმა შუამავალმა იცოდნენ, რომ ფულის სხვადასხვა სანარმოებში საიდუმლო დაბანდების შემდეგ უძღურებისა და წყვდიადისაკენ მიმავალი ბოლო ათი წლის მანძილზე მას ეს თანხა მილიონამდე გაეზარდა.

მოხუცი იწვა და ახალ ანდერძზე ფიქრობდა. ახალი ანდერძის თანხმად, ნახევარ ქონებას თავის უნივერსიტეტს უტოვებდა, მეოთხედს – ქალაქ უიკლის ადგილობრივ კლუბს, დანარჩენს – დისშვილებსა და ძმისშვილებს, ხოლო ათ-ათ ათასს – ტალის, თინქჰემს, მარტენსსა და სვეგამწარებულ ექიმს იმ პირობით, რომ არცერთ პაციენტს აღარ მიუთითებდა, რამდენი თამბაქო მოენია.

დოქტორ სელიგს კი თავის აბსურდულ ნალიაში ეძინა და სიზმრადაც არ ელანდებოდა, რომ მისთვის ოცდახუთი ათასი დოლარის თანხა, მოხუცის ლოცვა-კურთხევა და ისტორიული დოკუმენტების ფასდაუდებელი კრებული მიეძღვნათ. დილით თავის ტკივილით გატანჯულმა სენატორმა, რომელიც მის ტალის უხეშად მოექცა იმის გამო, რომ ასპირინს ცუდი გემო დაჰკრავდა – დარიშხანთან ერთად ინახავთ თუ რა ხდებაო, - სელიგის წილი ხუთი ათასამდე შეამცირა, მაგრამ ღამით კვლავ ოცდახუთამდე გაზარდა.

რას გაიხარებდა ყმანვილი!

იმ პირველ საღამოს, როდესაც სენატორმა რაიდერმა სელიგი მოულოდნელად სადილად მიიწვია, ყმანვილი ისე აღელდა, თითქოს... რას უნდა აელეღვებინა, კაცმა რომ თქვას, დოქტორი უილბურ სელიგი? დიდებულ პიესას? ხელფასის მომატებას? ერაზმუს-კოლეჯის გამარჯვებას ფეხბურთის მატჩში?

მეორედ სადილობისას, როდესაც როგორც გარემომ, ისე გმირმა გარკვეულწილად დაკარგა სიახლის ელფერი, იგი სიმშვიდემ და კმაყოფილებამ მოიცვა და მთელი სულითა და გულთა შეეცადა, ინფორმაციას დაწაფებოდა. მესამე სადილმა, ერთი კვირის შემდეგ რომ გაიმართა, ფრიად სასიამოვნოდ ჩაიარა, მაგრამ ამჯერად სელიგი ბერინგის პანიკის შესახებ სენატორის მიერ გამჟღავნებულ თვალსაზრისზე მეტ ყუ-

რადღებას კერამიკის ქურჭელში მომზადებულ მტრედის ხორცს უთმობდა. ცოტა არ იყოს, იმედგაცრუებული დარჩა იმის გამო, რომ სენატორმა თორმეტ საათამდე შეაყოვნა (რა თავკერძობაა!); არ აცალა, შინ წასულიყო და, როგორც ყველას, ათ საათზე დაეძინა ან რამდენიმე წუთით იმ საოცრად სასიამოვნო, ჭკვიან ქალიშვილს – მის სელმა სუონსონს გასაუბრებოდა.

მთელი საღამო სელიგი გამუდმებით იჭერდა თავს იმაზე, რომ უნებურად განიკითხავდა სენატორის ზნე-ხასიათს.

ამის რჯული არ იყოს, შესანიშნავი ოჯახის შვილი, რომელსაც ცხოვრებაში ამდენი კარგი და მშვენიერი რამ ენახა! რატომ უნდა ბილნსიტყვაობდეს? ამდენს რატომ უნდა სვამდეს? ცრურწმენებს არასოდეს აპყობია {თვითკმაყოფილებით შეიქო თავი სელიგმა}, მაგრამ ასეთ ღრმა მოხუცებულობაში ის დროა, დაშოშინდეს და შერცხვეს, მეჯინიბესავით რომ იგინება!

დილით სელიგმა თავს უსაყვედურა, „სენატორი ძალზე გულსხმიერად მეპყრობა. გულკეთილი, საყვარელი ბერიკაცია და, რა თქმა უნდა, დიდებული სახელმწიფო მოღვაწეაო!“

ეგაა, რომ როდესაც მისმა მძღოლმა, მარტენსმა, ისევ დარეკა და უთხრა, სენატორი დღეს ჩაიხე გეპატიჟებათ, რაღაც უნდა გაჩვენოთო, ცოტა არ იყოს, გალიზიანდა.

– კეთილი, მოვალ, – მოკლედ მოჭრა.

სელიგი გაშმაგდა: „ჯანდაბა და დოზანა! უტვინო, ეგოისტი ბერიკაცი! ვითომ მეტი საქმე არა მქონდეს! მის წინაშე უკანა თათბზე უნდა ვიდგე და გავართო! თანაც, თითქოს ჯობრზე, მაინცდამაინც დღეს, როდესაც ამ თავის დამთავრებას ვაპირებდი! მართალია, შიგადაშიგ სხვისთვის ხელმოუწუნდომელ ცნობებს მანვდის, მაგრამ მაინც... ძალიან არა მჭირდება ჩემი წიგნისათვის საელჩოებში მოკრებილი ქორები! საჭირო მასალა ხომ უკვე მოვიპოვე! ან იქამდე როგორ მივიდე? ბებერი, ეგოისტი ძალიშვილი ამაზე არასდროს ფიქრობს! ჰგონია, ფული მაქვს და მანქანით მივაკითხავ. მე კი ფეხით უნდა ვინანწალო. სიამოვნებით დავრჩებოდი შინ.“

სელიგი დაბლვერილი გამოცხადდა სენატორთან ჩაის დასალევად, მაგრამ როდესაც მოხუცმა დედოფალ ვიქტორიას წერილზე ჩამოაგდო სიტყვა, მოლბა.

ისტორიკოსთათვის ცნობილია, რომ ბენჯამინ ჰარისონის პრეზიდენტობის პირველ ვადაში ამერიკასა და ინგლისს შორის შუღლი ჩამოვარდნილიყო თევზსაჭერ გემთა მიტაცების გამო როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან. ამასთან დაკავშირებით დედოფალმა ვიქტორიამ თავისი ხელით მისწერა წერილი პრეზიდენტ ჰარისონს. სავარაუდოდ, იგი სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ უფლება არ ჰქონდა, უშუალოდ მიემართა პარლამენტისათვის და სთავაზობდა, ეს საკითხი პირველ რიგში კონგრესში განეხილათ; ოღონდ სახელდობრ რა ეწერა ამ არაოფიციალურ გზავნილში, არავინ იცოდა.

სენატორმა რაიდერმა უშფოთველად აღნიშნა:

– ამ წერილის ორიგინალი შემთხვევით ჩემს ხელთ აღმოჩნდა. – ბატონოო?!

– რამენიერად ჩაგახედებთ მასში. ასე მგონია, იმის უფლებაც კი მაქვს, მისი ციტირების ნება დავართოთ.

აღტყინებულ სელიგს სუნთქვა შეეკრა. აი ეს კი სენსაცია იქნება! და ის იქნება ამ სენსაციის შემოქმედი! მასზე, მის წიგნზე გახეთქის პირველ გვერდებზე დაიბეჭდება სტატიები! მაგრამ ამ დროს სენატორმა სრულიად უგვანი, უხამსი ამბის მოყოლა დაიწყო ვიღაც ბრაზილიელ დესპანსა და ვაშინგტონელ მექუდე ქალზე. სელიგი კვლავ რისხვამ აიტანა: „უშმაკმა დალახვროს! სამარცხვინოა ოთხმოცდაათს გადაცილებული ბერიკაცისათვის ასეთ რამეებზე ფიქრი! რას კეკლუცობს და რას იმოსება იდუმალებით, ამის რჯული არ იყოს! თუკი უნდა ამ დღემთამ იცის როდის დაწერილი წერილის ჩვენება, ბარემ მაჩვენოს!..“

აღბათ ამიტომ იყო, რომ დოქტორ სელიგი ერაზმუსიდან არც ისე თავაზიანი ჩანდა, როგორც ეს დოქტორ სელიგს

ერაზმუსიდან ეკადრებოდა, როდესაც დამშვიდობებისას მოხუცმა გადასაფარებლის ქვეშიდან მოცისფრო-მორუხო გაცრეცილყდიანი რაღაც ბროშურა გამოაძრო და სტვენით გამოსცრა:

– თუ გნებავთ, შემოძლია ეს წიგნი გაჩუქოთ. მგონი, მისი მხოლოდ 6 ცალი არსებობს. ეს ჩემი მესამე წიგნია. ის მარტო ძალზე ვიწრო წრისათვის დაიბეჭდა და ჩემი წიგნების ჩამონათვალში არ არის აღწუსხული. ჩემი აზრით, თქვენ იპოვით მასში ისეთ რამეს, რაც ისტორიკოსთათვის უცნობია. ეს პარიზის კომუნის ჭეშმარიტი ისტორიაა.

– გმადლობთ, – მოკლედ უპასუხა სელიგმა და, სენატორის მანქანაში რომ ჩაჯდა, გაიფიქრა: „აი აქ ჩანს ბერიკაცის ეგოიზმი. რაკი რაღაც დაუწერია, უთუოდ ფასდაუდებელი განძი უნდა იყოს!“

წიგნს ჩახედა და გაიფიქრა, საინტერესო ინფორმაციას შეიცავსო, მაგრამ გულგრილად გადადო გვერდზე, რადგან მისთვის ღირსსაცნობ საკითხს არ ეხმიანებოდა, ანუ არც სელიგს სჭირდებოდა და, აქედან გამომდინარე, არც დანარჩენ მსოფლიოს.

ახლა უკვე ვეღარც საშუაოს მიუჯდებოდა – სადილობამდე ვერაფრის გაკეთებას ვეღარ მოასწრებდა და რაიდერის მძღოლს მანქანა თრედუელის მალაზიასთან შეაჩერებინა, სქი-ფიქსში დაბანაკებულ დამსვენებელთათვის ერთდროულად უნივერსალის, ფოსტისა და იმ კაფეს ფუნქციას რომ ითავსებდა, სადაც ისინი ლიმონათის ბოთლებს გულმოდგინედ ცლიდნენ და მგზნებარე სადღეგრძელოებს წარმოთქვამდნენ.

მალაზიაში სელმა სუონსონს შეეჩხა, გაუცინა და კვივი, შაქარყინულში შერეული არაქისის კვერი და შვიდი ანკესი მიართვა. მერე იმ სასაცილო მისის ელქინგტონის ქილიკს მოჰყვინენ და კარგადაც იხალისეს.

ბოლოს სქი-ფიქსისაკენ გაემართნენ. სელიგს სენატორის წიგნი მალაზიის დახლზე დარჩა. დასაძინებლად რომ წვებოდა, მაშინდა გაახსენდა.

ორი დღის შემდეგ მარტენსმა კვლავ დარეკა და ამცნო, სენატორი ჩაიხე გეპატიჟებათო, მაგრამ ამჯერად სელიგმა მკვეთრად მოუჭრა:

– მამაკეთით. სენატორს გადაეცით, რომ, სამწუხაროდ, ვერ მოვალ.

– ერთი წუთით, თუ შეიძლება, – თქვა მძღოლმა. – სენატორმა მთხოვა დავადგინო, ხომ არ ინებებდით ხვალ, საღამოს რვა საათზე, სადილად მობრძანებას. მანქანა მოგაკითხავთ.

– მართალი გითხრათ... კეთილი, გადაეცით, რომ სიამოვნებით ვეახლები.

ბოლოს და ბოლოს აქ, სქი-ფიქსში, საშინელი სადილით უმასპინძლდებიან, საღამოთი კი ადრე დაიძვრენ თავს.

კმაყოფილი იყო იმით, რომ იმ დღეს თავისუფალი აღმოჩნდა და მუშაობის საშუალება მიეცა; თუმცა ბერიკაცის ჟინიანობამ ისე გააღიზიანა, წიგნი მაგიდას დაახეთქა და გარეთ გავარდა სახეტილოდ.

ბანაკის დამსვენებლები „ერთ ბებერ კატას“ თამაშობდნენ. კამპანიის სული და გული სელმა სუონსონი გახლდათ, მომხიბლავად რომ გამოიყურებოდა თავის გოლფის შარვალში. სელიგი რომ დაინახეს, დაუძახეს, მოდიო, და ბოლოს, რამდენიმე დარბაისლური უარის შემდეგ, ისიც მათ შეუერთდა. თამაშმა მხიარულად ჩაიარა. მერე ვითომ მის სუონსონს დაეჭიდა, რომელსაც სიფრიფანაზე სიფრიფანა წელი და, კარგად რომ დააკვირდა, წყლიანზე წყლიანი თვალეები აღმოაჩნდა. რა კარგია, დღე ტყუილად რომ არ დაკარგა იმ მუდო ბერიკაცის ყურისგდებაში!

მეორე დღეს, ექვსი საათისათვის წიგნის ბრწყინვალე თავი დაასრულა და, მისის სუონსონთან ერთად, ფოვერთის გორაკზე ასასვლელად გაემართა. ჩამავალი მზე ისე მკვეთრად დაჰკაჰკაშებდა საძოვრებს, ფიჭვნარსა და შორეულ მდებლო-

ებს, მის სუონსონი კი ტვიდის ქვედატანსა და ყელიან ფეხ-საცმელებში ისეთი მომხიბვლელი იყო, რომ სენატორისათვის მიცემული დაპირება გაახსენდა, რვა საათზე გეახლებითო, და ინანა.

„მაგრამ, რა თქმა უნდა, სიტყვას ვერ გავტყებ,“ – გაიფიქრა სიამაყით აღვსილმა.

ზეგანზე შემალვებულ ბრტყელ ქვაზე ჩამოსხდნენ და სელიგმა მასწავლებლისათვის ჩვეული კილოთი წარმოთქვა:

– რა შესანიშნავი განათებაა! ხედავთ, როგორ აელვარდა მზეზე იმ სახლის სახურავი? ან იმ ნეკერჩხლების ლანდები ბალახზე? შეგინიშნავთ, რომ პეიზაჟის სილამაზე დამოკიდებული არა იმდენად საგნის ფორმაზე, რამდენადაც შუქ-ჩრდილის თამაშზე?

– სხვათა შორის, არა, არ შემინიშნავს. დიახ, საქმე სწორედ განათებაშია. ოოჰ, როგორი დაკვირვებულები ხართ!

– არც ისე. ვშიშობ, რომ მე სულ მხოლოდ წიგნის ჭია ვარ.

– ოჰ, არა, სულაც არა! მართალია, თქვენ დიდად განსწავლული ადამიანი ბრძანდებით. ღმერთო ჩემო! მე თქვენგან შევითქვე, რა და როგორ უნდა ისწავლო. მაგრამ თქვენ ქმედითი ადამიანიც ხართ, გართობაც შეგიძლიათ; თუნდაც გუშინ როგორ გავგამხიარულეთ, „ერთ ბებერ კატას“ რომ ვთამაშობდით! მხიბლავს ასეთი მრავალმხრივი ხალხი.

რვის ნახევარზე ქალის მტკიცე ხელს ჩაფრენოდა და ეუბნებოდა:

– გარწმუნებთ, არც ისე ბევრი კარგი თვისება მაქვს. მაგრამ ხომ მეთანხმებით, რომ ნამდვილ მამაკაცს არ შეშვების ისე სმა, ის ბერიკაცი რომ სვამს! სხვათა შორის, დაბრუნების დროა.

რვას რომ თხუთმეტი აკლდა – მას შემდეგ, რაც ქალს აკოცა და პატიება სთხოვა, მერე კი ისევ აკოცა, – ჩაილაპარაკა:

– კეთილი, ცოტას მოიცდის; მერე რა მოხდა!

რვაზე:  
– ღმერთო ჩემო! უკვე რვაა. რა მალე გადის დრო! ახლა სჯობს აღარც წავიდე. საღამოთი დავურეკავ და ვეტყვი, რომ დღე ამერია. იცით რა, მოდი, ტბისაკენ დავუშვავთ და ნავსადგურში ვისადილოთ ჩვენ ორმა; ჰა, რას იტყვით?

– შესანიშნავია! – დაეთანხმა მის სელმა სუონსონი.

ლაფაიეტ რაიდერი ვერანდაზე წამომჯდარიყო, რომელიც, საძინებელ და სააბაზანო ოთახებთან ერთად, მთელ სამყაროდ ქვეუღიყო მისთვის. იჯდა და იმ ახალგაზრდა, კეთილ მეგობარს ელოდა, რომელსაც იგი მის გარდასულ დღეებთან მიეახლებინა. სამი დღის შემდეგ რწმუნებული ჩამოვა და ანდერძის დანართს გააშანშალა. მაგრამ ფული ხომ ხელის ჭუჭყია! – მოუთმენლად შეირხა სენატორი. მას სელიგისათვის სხვა რამეცა აქვს, უფრო იშვიათი – სწავლულის საკადრისი საბოძეარი.

ღიმილით დახედა საჩუქარს. ეს იყო სქელი, ორმაგი ფოსტის ქალაქი წარწერით – „უინძორის ციხედარბაზი.“ უფრო მალა კი მოჩანდა სასიამოვნო ხელწერით ჩანკნიკებული ასოები: „ჩემს მეგობარს – ლ. რაიდერს. გამოიყენოს ისე, როგორც საჭიროდ ჩათვლის. ბენჯ. ჰარისონი.“

წერილის დასაწყისში სიტყვები: „მის აღმატებულებას – პრეზიდენტს, ქვემოთ კი – ხელმოწერა: „ვიქტორია რ.“ (რ. რეგინა) – დედოფალი (ლათ.). რამდენიმე სტრიქონში წარწერასა და ხელმოწერას შორის იკითხებოდა დიდი დედოფლის – ვიქტორიას – მმართველობისა და მეცხრამეტე საუკუნის ახლებური ისტორია... დინამიტს დიდ ფუთებში არ ინახავენ.

მოხუცმა ხელი ვარდისფერი შალის გადასაფარებლის ქვეშ შეაცურა, რომელსაც ლამის დაეფარა მისი მინისფერი სახე და წერილი ჯიბეში ჩაიჩურთა.

ვერანდაზე მის ტალი გამოცუნცულდა ხალათის შარიშუროთ და მოხუცს სთხოვა:

– დღეს ერთ კოქტილზე მეტს არ დალევთ, არა, ბაბუ? ექიმი ამბობს, რომ არ მოგიხდებათ.

– ან დავლევ ან არა. რომელი საათია?

– რვას აკლია თხუთმეტი წუთი.  
– რვაზე დოქტორი სელიგი მოვა. მარტენსი რომ დაბრუნდება, კოქტილს თუ არ გამოიტანს ვერანდაზე, ტყავს გავაძრობ. სიგარეტს კი ჩემს ოთახში ველარ იპოვით. მე ის ახალ, საიმედო ადგილას გადავმალე. სავსებით შესაძლებელია, დილაზე ასე ვიჯდე და მთელი ღამე სიგარეტის წვევაში გავატარო. ჰო, ამაღამ ალბათ საერთოდ არ დავწვები. ალბათ, არც აბაზანას მივიღებ...

მას მარტო ეცინებოდა მის ტალის ოხვრა-კენესაზე, ოოჰ, რა აუტანელი ბრძანდებითო, რომ გაიძახოდა.

სენატორს შეეძლო, არც ეკითხა, რა დრო იყო. შვიდი საათიდან მოყოლებული, ხუთ წუთში ერთხელ გადასაფარებლის ქვეშედან საათს გამოაძვრენდა ხოლმე და დასცქეროდა. თავის თავზე ბრაზობდა იმის გამო, ასე სულელურად რომ გაყავდა დრო ახალგაზრდა მეგობრის ლოდინში; არადა, ძველებიდან რომ აღარავინ შემორჩენოდა!

აი, რაშია ასეთი ხანგრძლივი სიცოცხლის უბედურება! აღარავინაა დარჩენილი. ყველანი დიდი ხნის წინათ დაიხოცნენ. მას ჯერ კიდევ სწერდნენ იდიოტურ წერილებს და ავტოგრაფსა და ფულსა სთხოვდნენ, მაგრამ, ამ არაჩვეულებრივი ყმანვილის, სელიგის მეტი, განა ვინ ესტუმრა?! არც არავინ, აგერ უკვე რამდენი წელია!

რვა საათზე სენატორი აფორიაქდა – ამ ჯერზე უკვე არა როგორც მთვლემარე, გადაღებული ბუ, არამედ როგორც არწივი, რომელიც თავის შიშველ ყელს სქელი, აბურძგნული ბუმბულიდან აიღერებს ხოლმე და ზეცაში ასაჭრელად ეშვადება. სენატორმა ყური მიუგდო, აქაოდა, მანქანა ხომ არ მოდისო.

აი წუთის შემდეგ გვარიანად შეიგინა. ჯანდაბაშიც გზა ჰქონია ამ მარტენსს!

ოც წუთში მანქანა სახლთან მიიჭრა. იქიდან მარტო მარტენსი გადმოვიდა, კეპს ხელით შეეხო და მოახსენა:

– ძალიან ვწუხვარ, სერ; მისტერ სელიგი ბანაკში არ დამიხვდა.

– კი მაგრამ, რატომ არ დაელოდეთ, ეს ოხერი და მუდრეგი?! – ველოდე, სერ... და მეტი ველარ გავბედე.

– საბრალო! იქნებ მთაში გზა აებნა. ახლავე ძებნა უნდა გამოცხადდეს.

– მაპატიეთ, სერ! თუ ნებას მომცემთ, სერ, მოგახსენებთ... უკან რომ ვბრუნდებოდი, ფოვერტის გორაკისაკენ მიმავალ ბილიკზე მისტერ სელიგი დავინახე ახალგაზრდა ქალბატონთან ერთად. ლაპარაკით გართულნი იცინოდნენ და ბანაკის სანინააღმდეგო მიმართულებით მიდიოდნენ, სერ. მე მგონია...

– კეთილი, საკმარისია.

– ახლავე სადილს მოგართმევთ, სერ. კოქტილი აქ მოგართვათ?

– საერთოდ არ მინდა. მის ტალის დაუძახეთ. მოწყალეების დამ მყის მასთან მიიბრინა და შეშინებულმა შეჰყვირა. სენატორი რაიდერი შალის გადასაფარებელზე მისვენებულიყო. ქალი დაიხარა, მისი ჩურჩულით ნათქვამი სიტყვები რომ გაეგონა:

– თუ სადილობაში ხელი არ შეგეშლებათ, ჩემო კარგო, იქნებ ლოგინამდე მისვლაში დამეხმაროთ. ჭამა არ მინდა; ცოტა არ იყოს, დავიღალე.

სანამ მის ტალი გადასაფარებელს გადახდიდა, მოხუცი თვალს არ აშორებდა ბინდებუნდში გახვეულ მინდორს, თითქოს უკანასკნელად გასცქეროდა. მაგრამ ქალმა წამოაყენა თუ არა, ბერიკაცმა ძალ-ღონის საოცარი მოზღვავება იგრძინო, ჯიბიდან ორად გაკეცილი სქელი ფურცელი ამოაძვრინა და ნაკუნებად აქცია, მერე წაგრძელებული ხელი მრისხანედ აიქნია და ქალადის ნაგლეჯები ვერანდაზე მომოაბნია.

დაბოლოს, მის ტალის მხრებზე გადაესვენა.

\* \* \*

თენგიზ მირზაშვილი იდეებისაგან, თვალსაზრისებისაგან, დაკვირვებებისა და შთაბეჭდილებებისაგან დღულდა და გადმოდულდა, და ნახატებში რასაც აქსოვდა, აქსოვდა, და თეორიულ თხზულებათა შექმნაც ძალიან ენება — სტატიებად, ნარკვევებად, სულაც მონოგრაფიებად. ძალიან და... მეტადაც, სულაც სულის სიმწარით. და, წარმოდგინეთ, რარიგ მწვავედ განიცდიდა, რომ წერის უნარიც არ მოემადლებინა მისთვის უფალს.

ერთი საუკეთესო მკითხველი, ასეთი დაუმცხრალი ენერჯია და... შთაბეჭდილებას კი ორიოდ სიტყვითაც ვერ ინიშნავდა.

არადა, უკვალოდ უნდა გამქრალიყო და ერთიერთმანეთზე საგულისხმო და ზოგი ფრიად მნიშვნელოვანი შეხედულება-დაკვირვებანი „ვეფხისტყაოსნისა“ ან გალაკტიონის ლირიკის ცალკეული სიტყვისა თუ გამოთქმის ასახსნელად, განსაკუთრებით კი გიორგი ჩუბინაშვილის თეორიის კრიტიკული მხერით განსაჯვლად?

ამიტომაც სულ თანაავტორთა ძიებაში იყო და კიდევ ყოველთვის აგნებდა ამა თუ იმ თემისათვის შესაფერის პარტნიორს, ზურაბ კიკნაძე იქნებოდა, ამირან არაბული, ნათელა კობიაშვილი, ბელა ნიფურია თუ ლია კარიჭაშვილი. იდეაც მისი გახლდათ, კონცეფციაც, მასალებიც.

იმათ მხოლოდ გაფორმება ევალეობდათ?

მთლად ასეც არა ყოფილა — მსჯელობისას თანაავტორებს საკუთარი მოსაზრებანიც უჩნდებოდათ და არაერთხელ ყოფილა შემთხვევა, თენგიზ მირზაშვილს მათ შეხედულებათა კვლობაზე დაეზუსტებინა და ხან მკვეთრადაც შეეცვალა პირვანდელი თვალსაზრისი.

ის კი არა, თვითონაც გამუდმებულ ძიებაში რომ გახლდათ, გამზადებულ ტექსტში ახალ-ახალ შესწორებებსაც შეატანინებდათ ხოლმე და... ხან რამდენიმე განსხვავებული ვერსიაც შეუქმნიათ.

სანიშნუთა ასეთი ენთუზიაზმიც და ასეთი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებაც საქმისადმი.

მათი წიგნების უცვლელ მხატვრულად რჩებოდა.

უკურნებელი სენი სულ უფრო და უფრო რომ მოერეოდა, ამირან არაბულს შესთავაზებდა, შენი მომავალი წიგნის სახელწოდებ-

\* \* \*

მათემატიკურ საგნებს სწავლობდნენ, როგორ არა სწავლობდნენ ელგუჯა თავბერიძეც და ამირან გიორგაძეც, მაგრამ მათეკლასის მეორე მეოთხედიდან როგორღაც გულს აიცრუებდნენ. ერთი ფილოლოგად და ისტორიკოსად წარმოდგენდა უკვე საკუთარ თავს, მეორე — ისტორიკოსად, და მხოლოდ ჰუმანიტარულ საგნებზე გადაერთობდნენ, რათა საზანოს სკოლიდან უმაღლეს სასწავლებელში აუცილებლად მოხვედრილიყვნენ.

ძალიან შემოწყნებოდათ მათემატიკის მასწავლებელი და: ვნახავთ, გამოსაშვებ გამოცდებს როგორ ჩააბარებთო, — დაემუქრებოდათ.

ესენი აიხუნშიაც არ ჩაავადებდნენ.

ის აღარ გაუხსენებდა მათ მანამდელ წარჩინებულ სწავლას და დროდადრო ირონიულად მიმართავდათ: მილიონი რომ იშოვოთ, დათვლა ხომ უნდა შეგეძლოს!..

გამოსაშვებ გამოცდებზე ბედი გაუღიმებდა ორივეს და, რაც იყო თუ როგორც იყო, წარმატებით კი ჩააბარებდნენ მათემატიკურ საგნებსაც, მაგრამ, აი, უმაღლესი სასწავლებლის კართან ამირანი წაიფორხილებდა და... გარეთ აღმოჩნდებოდა.



ბა მითხარო, და... გამზადებულ გარეკანს გადასცემდა. ეს ის წიგნი უნდა ყოფილიყო, ამ სათაურით რომ ვიცნობთ „აუწყაცობისას ამბობენ“ და არანაკლებ სჭირდება ჩვენს დროებს, ვიდრე მიხეილ ჯავახიშვილის ხანის საქართველოს. და კიდევ ერთი წიგნის გარეკანსაც უსახსოვრებდა, ფოტოებისა და ჩანახატების კრებულისათვის, ადრე თუ გვიან ამ სათაურით რომ გავიცნობთ — „ჰფენავლა იალალები“.

ლია კარიჭაშვილსაც რომ შესთავაზებდა, დავით კარიჭაშვილზე შენს მონოგრაფიას მე გაგიფორმებო, იმას სახელწოდება ჯერ ვერ შეერჩია, არ უნდოდა დისერტაციის სათაურის განმეორება წიგნის გარეკანზეც, არადა, სახელდახელოდ ვერაფერს მოიფიქრებდა. და გამოჩენილი მხატვარი მკვლევარის გვარ-სახელს მაინც გამოიყვანდა თავისი მოხდენილი, ყველა სხვა შრიფტისაგან გამოჩეული ხელწერით და... დაუტოვებდა: სახსოვრად გქონდესო.

და ამ მონოგრაფიის გამოცემა რეალური რომ გახდებოდა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების თაოსნობით, ლია ამ სახსოვარსაც გამოაჩენდა და წიგნის — რომელსაც დაერქმეოდა „მსახურება ღვთისა და ერისა“

— გარეკანისთვისაც თენგიზ მირზაშვილის ნახატს შეარჩევდა — თუშურ სინამდვილეში ამობრწყინებული ეკლესიის ხატი!..

უკეთესი გაფორმებაც რა უნდა ყოფილიყო.

...ისეც კი არაფრისდიდებით არ უნდა რჩებოდეს პერიოდიკის ფურცლებზე ის ნაწერები და აუცილებლად უნდა შეიკინძოს ერთ წიგნად, მითუმეტეს, რომ იმ ნარკვევებსა და სტატიებს ძალზე მძაფრი გამოხმაურებანიც მოჰყვა... და ამიტომაც ის კულტურულ-სოციალური ფონიც ხელშესახებდად უნდა წარმოისახოს, თუ რა პირობებსა და გარემოებებში უწევდა აღიარებულ ხელოვანს თავის შეხედულებათა გამოტანა სამზოვოზე, ორიგინალური, მახვილგონივრული, ზოგიერთ შემთხვევაში კი დადგენილ „ჭეშმარიტებათა“ მკვეთრად გადამაფასებელი თვალსაზრისების.

ეს ყოველივე ხომ უკვე ყველა ჩვენგანისათვის დატოვებული სახსოვარია და რაც დროულად გამოვაჩინეთ და შესაფერიდაც ავხსნით მის მნიშვნელობას, მით უკეთესი ჩვენი კულტურული ცხოვრების მდინარებისათვის.

ამასობაში ჯარი მოუწევდა.

იქ კი იყოჩაღებდა, ურთიერთობებსაც გააბამდა, გულშემატკივრებსაც გაიმრავლებდა და მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც მოხვდებოდა — ისტორიკოსობაზე მეოცნებე ეკონომისტის დიპლომით გამოვიდოდა იმ გზაზე, რომელიც თვალსადახელშეა უნდა შეეცვლიყო სოციალისტური წყობიდან კაპიტალისტურზე და ამ დიდი პოლიტიკურ-სოციალური კატაკლიზმებისას ამირან გიორგაძეს ისეთი უნარი და გამჭრიახობა, ენერჯია და მიზანსწრაფვა უნდა გამოეჩინა, რომ წარმატებულ ბიზნესმენად მოვლენოდა ახალ ცხოვრებას.

მილიონი რომ იშოვო, დათვლა ხომ უნდა შეგეძლოს?!

ელგუჯა თავბერიძეც წარმატების გზით ივლიდა, და თუმცე მილიონი მისთვის ზღაპრად და ოცნებად დარჩებოდა, საგამომცემლო საქმესაც აანყობდა ქუთაისში, თორემ კრიტიკასა და ბიოგრაფიულ რომანისტიკაში ხომ გამოიჩინდა და გამოიჩინდა თავს.

და ამირანსაც შეაგულიანებდა, რუსეთში ნაშოვნე მილიონები ქართული კულტურისათვის მოეხმარა.

და თავის მხრივ გვერდით რომ დაუდგებოდა და იმის წამოწყებებს ხორცს შეასხამდა, ასე განახლებოდა საზანოში მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესია, უკვე ნანგრევებად ქცეული, ხოლო წმინდა გიორგის ეკლესია თავით ბოლომდე აშენდებოდა... და ათწლეულები წინათ უნუგემოდ შეწყვეტილი ნიკო ნიკოლაძის ტომების გამოცემაც რომ განახლებოდა, ეს კიდევ ცალკე, ისევე, როგორც ის სასიკეთო კვალი, რომელსაც დაატყობდა ზესტაფონისა და მთელი იმ მხარის ეკონომიკურ ცხოვრებას რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი.



მოსკოვიდან ის აუცილებელი თანხა.

დათვლა ესწავლა რომელია!.. და შესაფერისი დახარჯვაც, საბოლოოდ სამშობლოში დაბრუნებას აპირებს და კიდევ მეტი და მეტი საზოგადოებრივ-კულტურული და ეკონომიკური საქმის აღსრულებას იმ ღირსებითა და მორიდებით, ელგუჯა თავბერძისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე რომ წარდგებოდა ქუთათურთა წინაშე თეატრის სცენაზე და მოხიბლავდა საზოგადოებას თავისი ჩინებულად აწყობილ სიტყვითაც და იუმორითაც.

ერთხელაც ვილაც მოადგებოდა ელგუჯას და მათემატიკის მასწავლებლის თხოვნას გადმოსცემდა. გადაუდებელი ოპერაცია სჭირდებოდა და... 3 000 დოლარი კი არ გააჩნდა. მილიონი რომ იშოვოო... ლოცავდა თურმე. და ამ დალოცვის პასუხად სასწრაფოდ ჩამოუვიდოდა

მილიონი რომ იშოვოო... ნეტა ჩვენც გამოგვეჩნოდა ასეთი დამლოცავები, ასე პირდაპირ რომ ახდენოდათ ის სიტყვები, უნებლიეთ უფლისადმი მიმართული, ორი სახლი რომ გაუმზადდებოდა საზანოში და ეს სოფელი ამითაც უთუოდ გაითქვამდა სახელს. ...ისე განა მართალი არ იყო ის საზანოელი მასწავლებელი? მილიონი იშოვო და... დათვლაც არ შეგეძლოს?!

\* \* \*

ვის აღარ შეუვსია მარსელ პრუსტის ანეკდა, რა მოულოდნელი და სულაც გამოგნებელი პასუხი აღარ ჩაწერილა ამა თუ იმ გრაფაში, მაგრამ სადამდეც ხელი მიმინვდება, „საუკეთესო სამხედრო მოქმედების“ პასუხად არსად შემხვედრია ის გამოთქმა, რომენ გარისთან რომ ამოვიკითხავდი.



მეგობრული შარყები ზაალ სულაკაურისა

ჩემი სიჭაბუკისას „ლიტერატურული საქართველოსათვის“ ერთხანობა მასალებს უხვადაც რომ ვამზადებდი უცხოეთის ცხოვრებიდან, მაშინ მომიწევდა ქართულ სივრცეში შემოტანა ემილ აჟარის სახელისა, იმ მისტიფიკაციის ამბის, თვით ფრანგებიც რომ დააბნია და გააბრუა, თორემ როგორ შეიძლება მომხდარიყო, რომ ერთი და იმავე პიროვნებისათვის ორჯერ მიენიჭებინათ გონივრების პრემია.

ემილ აჟარის გამოჩენასავით გამოგნებელი?!

თუმც... „ვეფხისტყაოსნის“ მკითხველებისათვის დიდად გასაოცარიც არ უნდა იყოს ასეთი პასუხი და ჩვენიცაც შეიძლება მოგვეჩქერებოდნენ, თუკი კითხვარს იუმორისტული თვალთვალს ჩავვალდებოდათ მზერას, უფრო სწორად, ყოფითობის სიმკაცრესა და დრამატიზმს გავითვალისწინებდით და ძალიანაც აღარ მოგვერიდებოდა ამა თუ იმ ადგილის, უფრო კი ვითარების, მიტოვება. სხვებსაც გამართლებას მოვეუქმნინდით.

მკაცრად კი იცავენ, მაგრამ როდესაც მისტიფიკაციის ბურუსი შემოგებლანდება და ადვილად ვერ გაფანტავ?!

და ასე მოხდებოდა, რომ რომენ გარი ერთხელ თავისი ნამდვილი გვარ-სახელით მოიპოვებდა გონკურს.

მეორედ — ემილ აჟარის ფსევდონიმს ამოფარებული. წარმომადგენია კამათი პარიზის ლიტერატურულ წრეებში, ზოგი რომენ გარს რომ ამჯობინებდა და ზოგიც — ემილ აჟარს, ვიდრე სიმართლე გაირკვეოდა.

თუმც შორს ნულა გაყვებით, რადგანაც ამჯერად საგულისხმო ისაა, „დიოგენეს ბიბლიოთეკის“ სერიით გამოცემულ რომენ გარის ავტობიოგრაფიული ყაიდის რომანს — „თეთრი ძაღლი“ თუ გაეცნობით, მერაბ ფიფიას კიდევ ერთ ჩინებულ თარგმანს, ასერიგად მნიშვნელოვანს ჩვენი სამწერლო ცხოვრებისათვის, იქ ასეთ სტრიქონებსაც ამოიკითხავთ:

— პრუსტის ცნობილ კითხვარში ერთგან წერია: „რომელი სამხედრო მანევრი აღგაფრთოვანებთ ყველაზე მეტად?“ ამ კითხვაზე მე ვუპასუხებდი: „გაქცევა“.

მოულოდნელია, არა?

საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგანო!..

ეს „კარგისა მამაცისაგანა“, გულს რომ მოგვიფონებს ხოლმე, რათა... სიმწრისაგან არ გავიგუდოთ.

კიდევ უნდა მოგვიფონოს, თორემ რუსთველი ცხოვრების სიბრძნეს ღალატებდა, ჩვენს დასამშვიდებლად კი არა თხზავდა იმ აფორიზმს, ფსიქოთერაპიის ერთ-ერთ სეანსად კი არ ევარაუდა. ისე გაქცევაცაა და გაქცევაც!..

რომანის სიუჟეტში ამ პასაჟს თავისი დანიშნულება აქვს: მთავარი პერსონაჟი ძაღლთან ერთად გარბის ამერიკიდან აფრიკაში, — მაგრამ იმ გასაიდუმლოებული ფსევდონიმის არჩევაც განა გაქცევა არ გახლდათ რომენ გარის მხრივ?!. დიახ, გაქცევა საკუთარი თავისაგან, რათა ახალ გარსში მოგეკალათა და ბიოგრაფიაც შესაფერისი მიგესადაგებინა.

ისე შოთა რუსთველი რომ გაექცა საკუთარ თავსაც და თანამედროვეთაც და შთამომავალთაც, მისტიფიკაციაც ასეთი უნდა. წარმოსახვებსა და ვარაუდებში ვეხვევით, როგორც კი ჩვენს უპირველეს ეპიკოსზე ჩამოვარდება სიტყვა. და ასე არ გაქრებოდა და გაიდუმლდებოდა, ცოტა თვითონაც რომ არ შეეწყო ხელი.

გვეთაკილება, რვა საუკუნის წინანდელი პიროვნება და მისი ბიოგრაფია ასე რომ შებურვილა, თუმც ინგლისელებმა რალა თქვან, ოთხი საუკუნის წინანდელი უილიამ შექსპირისთვისაც რომ ვერ მიუგნით და მის პიროვნებასა და ბიოგრაფიაზე საუბრისას არანაკლებ წარმოსახვებსა და ვარაუდებში ტრიალებენ!..

საცა არ უჯობდა, გაცლა უჯობდა რუსთველს. შექსპირსაც გაცლა უჯობდა, კარგისა მამაცისაგანო, გაქცევისას ისიც რალაც ამგვარს აუცილებლად რომ გაივლებდა გუნებაში.

### ყანდაარიდან ისპანამდე

1722 წლის ოქტომბერი იდგა. ოდესღაც ძლევამოსილ სეფიანთა სატახტო ქალაქი სულს ღაფავდა. შიმშილი დღითი დღე ახრჩობდა ალყაშემორტყმულ ისპანს. ირანის სასონარკვეთილმა ხელმწიფემ შაჰ-ჰუსეინმა კაპიტულაცია გადანიშნა და 23 ოქტომბერს მორჩილად ეახლა ავღანთა ახალგაზრდა წინამძღოლს მირ-მაჰმუდს, ისპანის მახლობლად რომ იყო დაბანაკებული თავად შაჰ-ჰუსეინის მიერ აგებულ უბრწყინვალეს სასახლეში.

სახელგანთქმული შაჰ-აბასის უნიჭო და უნიათო შთამომავალი კარგა ხანს ალოდინეს გარეთ. მოიმიზეზეს, მირ-მაჰმუდს სძინავსო. მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდათ, ხომ არ გააპანურებდნენ, ბოლოს და ბოლოს შეუძლებლად მისაღებ დარბაზში.

„სალამ ალიქუმ“ — თავმდაბლად მიესალმა შაჰ-ჰუსეინი მირ-მაჰმუდს, რომელიც დარბაზის ერთ-ერთ კუთხეში იჯდა. ავღანთა გორიზი წინამძღოლი ფეხზეც არ წამომდგარა და უტყვი საღმით დაკმაყოფილდა. ირანის ხელმწიფე დასვეს მოპირდაპირე კუთხეში.

უკიდურესი ღვთისმოსაობის გამო „მოლად“ წოდებულმა შაჰ-ჰუსეინმა ახლაც ყურანიდან დაისესხა სათქმელი: „ალაჰ, ხელმწიფეა შენ ხელთ არი! მიანიჭო, ვინცა ინებო და წაართვა, ვინცა ინებო. კეთილი შენ ხელთ არი, ვინაიდან ყოვლად ძლიერ ხარ!“

დაასრულა ყურანის ლექსი და მერე თავისი სიტყვებიც დააყვალა: „გემორჩილები, წვილო ჩემო, კეთილი იყოს შენი მეფობა!“ (ორმოცდამათხმეტი წლის შაჰ-ჰუსეინი მართლაც მამად ეკუთვნოდა ოცდაათი წლის მირ-მაჰმუდს).

სეფიანთა ხელმწიფემ გვირგვინი მოიხადა და ავღანთა სარდალს ამაროლას გადასცა. ეს უკანასკნელი მიუახლოვდა მირ-მაჰმუდს, მაგრამ მან ხელი აუკრა და შაჰ-ჰუსეინი იძულებული გახდა, რომ საკუთარი გვირგვინი საკუთარი ხელითვე დაედგა ავღანთა წინამძღოლის თავზე.

სეფიანთა უკანასკნელი მბრძანებლის მრისხანე წინაპრები საფლავში გადაბრუნდებოდნენ, ამ შემადრწუნებელი სურათისათვის სასწაულებრივ რომ მოეკრათ თვალი. ძლევამოსილი იმპერიის ასეთ უმსგავსო დასასრულს ერთი საუკუნის წინათ უმდიდრესი ფანტაზიის პატრონიც კი ვერ წარმოიდგენდა.

სტუმრებს ყავა და ყალიონი მართვეს. მირ-მაჰმუდი კარგ გუნებაზე დადგა და მოწყალები იქნება, რომ ოდნავ მაინც ენუგემეზინა გვირგვინმობდილი ხელმწიფე: „ნუ დაისადგურებს მწუხარება შენს გულში. ხელმწიფეა ხელიდან ხელში გადადის. ყველაფერი ალაჰის ნება“.

მთელი იმდროინდელი მსოფლიო შეანრიალა ამ უჩვეულო მოვლენამ — მომთაბარე ავღანთა მიერ ისპანის აღება. ყველასთვის დაუჯერებელი და წარმოუდგენელი იყო, სიზმრადაც ვერ მოელოანდებოდათ. ევროპაში წიგნები იხერებოდა არნახულსა და არგაგონილზე. ლეგენდებით იმოსებოდა ავღანთა წარსული და აწმყო, მეომართა გულადობა და სარდალთა გონიერება. გულმოდგინე შესწავლის საგანი შეიქნა თვალისმომჭრელი მეტამორფოზა — ირანის ქვეშევრდომ ავღანთა გადაქცევა ირანის ბატონ-პატრონებად. მირ-მაჰმუდს, რომელმაც წერტილი დაუსვა სეფიანთა დინასტიის მმართველობას ირანში, უწოდეს აზიელი ოლივერ კრომველი. ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის ბელადის სახელი, ცხადია, გაგონილიც არ ექნებოდა ავღანთა ახალგაზრდა წინამძღოლს და ესოდენ საპატიო პარალელი, ალბათ, ვერ მოხილავდა. მისთვის ისიც საკმარისი იყო, რომ ირანის ხელმწიფედ გამოაცხადა თავი და შორეული ყანდაარიდან ისპანის კედლებთან მირ-მაჰმუდსად მისული უკე შაჰ-მაჰმუდი და უნდა შესულიყო ისპანში.

1722 წლის 25 ოქტომბერს ავღანებმა დაჩოქილი ქალაქის კარი შეაღეს. ისპანის მცხოვრებთ სიზმარში ეგონათ თავი. შიმშილისგან ლანდებად ქცეულნი თვალს არ უჯერებდნენ. მართლაც სიზმარს ჰგავდა ყველაფერი, დაუჯერებელ და წარმოუდგენელ სიზმარს, რომელსაც კაცისფილი არ მოელოდა.

სეფიანთა იმპერიის სატახტო ქალაქი, მთელს დუნიაზე სახელგანთქმული ისპანი, მორჩილად ეგებებოდა ახალ პატრონებს. ექვსთვიანი ალყით ნაშინძლიარ ქალაქს, ღონეგანყვეტილსა და დამარცხებულს, თავისი მოსახლეობის ნახევარიღა შერჩეოდა ცოცხლებში. იდგნენ ისპანის ქუჩებში მისი მცხოვრებნი და

დაკნინებულთა ღიმილით ეგებებოდნენ ირანის დამპყრობლებს. ავღანთა სახეიმო პროცესია მძიმე ნაბიჯით უახლოვდებოდა სეფიანთა დინასტიის

ხელმწიფეთა სასახლეს.

ისპანის ქუჩებს ჯერ კიდევ ახსოვდათ სიხარულისა და აღფრთოვანების მომგვრელი სურათები. სულ რაღაც ერთი საუკუნის წინათ სეფიანთა ამაყად აფრიალებული დროშების ტყე მოედებოდა ხოლმე ქუჩებსა და მოედნებს; შაჰ-აბასის ძლევამოსილი ლაშქარი ბრუნდებოდა ბრძოლის ველიდან. აურაცხელი ნადავლით დატვირთული ყიზილბაშები ისპანის ქუჩებს ჩაივლიდნენ და თავიანთი მრისხანე მბრძანებლის ფეხქვეშ დაახვავებდნენ ნაალფეხე დროშებს. ჩამოჰყავდათ სხვადასხვა ჯურისა და მოდგმის ტყვეები, იზრდებოდა ქვეყნის დოვლათი, ახლობელსა თუ შორეულ ქვეყნებში ვრცელდებოდა პანიკური მითქმა-მოთქმა ყიზილბაშთა ხმლის უძლეველობაზე. ჩადიდდნენ ისპანში დასავლეთის სახელმწიფოთა ელჩები და მეგობრობა-მოკავშირეობას სთავაზობდნენ შაჰ-აბასს.

სულ რაღაც ერთი საუკუნის წინათ...

სიხარული და ბედნიერება სუფევდა ისპანის ქუჩებში...

სულ რაღაც ერთი საუკუნის წინათ...

ახლა კი...

ახლა კი ადიდებულ მდინარესავით მოედინებოდა ავღანთა სახეიმო პროცესია. სეფიანთა ირანის ქედმობრილი დიდებულნიც შერეულიყვნენ დამპყრობელთა რიგებში. ალისფერ სამოსელში გამოწყობილი სამასი ზანგი თავისებურად ამშვენებდა მძლევართა კორტეჟს. ისინი შაჰის მონათაგან ამოერჩიათ ავღანებს და მაჰმუდის მცველთა რაზმში გაემნესებინათ.

ავღანთა სვებედნიერ წინამძღოლს ხელმარცხნივ მოჰყვებოდა სეფიანთა დინასტიის უკანასკნელი ხელმწიფე — გვირგვინმობდილი, უიარალო, უჯარო და უმწერი შაჰ-ჰუსეინი. მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ავღანები ტახტადან ჩამოგდებას არ აკმარებდნენ და მისი გატიკნული ჰარამხანიდან ორიოდ ცოლსდა დაუტოვებდნენ.

ავღანთა სახეიმო პროცესიას უკან მოსდევდა ათასამდე აქლემი. ყოველ მათგანს ზამბურაკი ჰქონდა აკადებული. აქლემებს შემომსხდარი ავღანები დროდარო ზამბურაკთა გრილით შეახსენებდნენ ისპანს — ახალი ბატონიერ მოვდივართო. ექვსასი დამკვერელი დაულალავად აბრაგუნებდა დოლს და აჭყვინტინებდა ზურნას. სახეიმო პროცესიის სათავეში ჩამდგარი ათი რჩეული მხედარი ხმამაღლა წარმოთქვამდა წყევლას შიიტი ყიზილბაშების მისამართით (თავად ავღანები სუნიტები იყვნენ).

მთელ გზაზე, რომელიც სახეიმო პროცესიას უნდა გაეგლო, მაღალ ნაგებობათა ზანებსა და მეჩეთთა მინარეთებზე თხემით ტერფამდე იარაღში ჩამჯდარი ავღანი მეომრები იდგნენ და ფხიზელი თვალი ეჭირათ, მაჰმუდი ხიფათს არ გადაეყაროსო. მაგრამ ისპანის მოსახლეობა ისე დაშინებული და თავზარდაცემული იყო მომხდარი უბედურებით, რომ თითის განძრევასაც ვერავინ იფიქრებდა. გარდა ამისა, ისპანის მცხოვრებნი ერთგვარი იმედით ხვდებოდნენ დამპყრობელს, რომელთაც შიმშილი უნდა აღეგავათ სასიკვდილოდ განწირულ უზარმაზარ ქალაქში.

ფიანდაზი გაუშალეს მაჰმუდს და მორჩილი ღიმილით ეგებებოდნენ. როდესაც ავღანთა წინამძღოლმა შაჰის სასახლეს მიადგინა, მისმა მეომრებმა ერთხმად დასტყვეს ალაჰ, ალაჰო! თითქოსდა მადლობას უხდიდნენ უზენაეს მეუფეს იმ დიდი ჯილდოსათვის, ისპანი რომ ერქვა.

მაჰმუდი შებრძანდა სასახლეში, დაბრძანდა ხელმწიფის ტახტზე, იხმო უბედური შაჰ-ჰუსეინი და სეფიანთა დინასტიის უკანასკნელმა ხელმწიფემ ავღანთა წინამძღოლი კიდევ ერთხელ აღიარა ახალ ხელმწიფედ.

სეფიანთა სამეფო კარმა, ერთსულოვნად და ერთხმად, მორჩილება და ერთგულება შეჰფიცა შაჰ-მაჰმუდსად გამოცხადებულ მირ-მაჰმუდს. ცოტა ხნის შემდეგ ზარბაზნების ქუხილმა ენამჭევრად ამცნო ისპანის მოსახლეობას, რომ სეფიანთა ტახტზე ახალი მბრძანებელი დამკვიდრდა.

ასე დაიწყო ირანში ავღანთა ბატონობის პერიოდი, რომელიც ერთობ ხანმოკლე, მაგრამ სასტიკი და სისხლიანი გამოდგა.



არღვევს მოყვრის

პეტრო დელა ვალე თავისი ხანგრძლივი და ფათერაკებიანი მოგზაურობიდან რომში დაბრუნდა 1626 წლის 28 მარტს.

გამორჩენილი იტალიელი მოგზაურის ბიოგრაფი პეტრო ბელორი გადმოგვცემს: პეტრომ თავის საგვარეულო აკლდამაში დაკრძალა თავისი პირველი მეუღლის, სირიელი მანის ბალზამირებული ნეშტი, ოთხი წელიწადი რომ ატარებდა ხმელეთსა თუ ზღვაზე, შემდეგ ეახლა რომის პაპს, რომელმაც მიიღო იგი მწერლებისა და მხედრებისათვის საკადრისი პატივით. დელა ვალემ კათოლიკური სამყაროს მესაჭეს მთელი თავისი თავგადასავალი უამბო და მიართვა ხელნაწერი ნაშრომი „ინფორმაცია საქართველოს შესახებ“, სადაც აღწერილი იყო ამ პატარა ქრისტიანული ქვეყნის თავს დატყევილი უბედურებანი.

პეტრო დელა ვალემ მოახსენა რომის პაპს, ქართველები დაულალავად ებრძვიან ქრისტიანობის უდიდეს და უძლიერეს მტრებს — ირანსა და ოსმალეთს, რომლებიც არაერთხელ დაუშარცხებიათ, ამიტომაც რომის ეკლესია ფრთხილად დავალებულია ქართველებისგან და ისინი გამხსნელებასა და შექმნობას იმსახურებენ.

იტალიელი მოგზაურის სიტყვით, მისი ნაშრომის მთავარი მიზანი იყო, რომ გაეცნო რომის პაპისათვის შორეული ქრისტიანული ქვეყნის მძიმე მდგომარეობა და დაეყოლიებინა იგი, გაეგზავნა საქართველოში კათოლიკე მისიონერები, რომლებიც შეეცდებოდნენ ამ ხალხის შეერთებას რომის ეკლესიასთან.

ამგვარად უნდა გამოსწორებულიყო ის გულგრილობა, რასაც რომი იჩენდა ქართველების მიმართ. პეტრო თავს მოვალედ რაცხდა, რომ ასე მწვავედ ნამოეჭრა აღნიშნული საკითხი რომის პაპის წინაშე და თავის „ინფორმაციაში“ იმასაც წერდა, ქართველებთან სულიერი სახსლოვე მაკავშირებს, მრავალ მათგანს დაფუძნებობდა და ამიტომაც უკიდურესი დაფიქრებით გეგმავდნენ, ყველა ღონე იხმარათ მათ შესანევენად, რამეთუ რაც უფრო მცირე გულმოდგინება იყო გამომჟღავნებული დღემდე, მით უფრო დიდი იქნება თქვენი უწმინდესობის დამსახურება ღვთის წინაშე და სახელის მოხვეჭა მთელს ქრისტიანულ სამყაროში.

დასასრულად, დელა ვალე აცნობს რომის პაპს საქართველოში ჩასახველ სხვადასხვა გზებს, ყოველი მათგანის დადებითსა და უარყოფით მხარეს, სირთულეებსა და პერსპექტივებს.

პეტრო დელა ვალე რომის პაპთან აუდიენციაზე იყო 1626 წლის 19 აპრილს. და აი, იმავე წლის 4 მაისს კათოლიკური სამყაროს მესაჭემ სარწმუნოების პროპაგანდის კონგრეგაციას, დელა ვალეს „ინფორმაციის“ საფუძველზე გააცნო „საქართველოს საკითხი“.

მიღებულ იქნა დადგენილება, რომ საქართველოში გაეგზავნათ თეათინელთა ორდენის მისიონერები პადრე პეტრო ავიტაბილეს წინამძღვრობით.

რომის პაპმა, ამასთან ერთად, გასცა ბრძანება, რომ არა მარტო საქმე საქართველოს მისიონისა, არამედ ყველა სხვა საქმე აღმოსავლეთის ქვეყნებისა, განეხილათ კონგრეგაციაში დელა ვალეს მონაწილეობით და ყურად ეღოთ მისგან შესაბამისი რჩევანი.

თეათინელმა მისიონერებმა პეტრო ავიტაბილემ და ჯაკომო დი სტეფანომ დატოვეს რომი საქართველოში გასამგზავრებლად იმავე წლის 23 ივნისს. ქალაქ მესინაში მათ უნდა შეერთებოდნენ სხვა მისიონერებზე, მაგრამ დელა ვალეს რჩევით გადაწყდა, რომ მისიონერთა მცირე ნაწილი გაემგზავრებოდა საქართველოში მას შემდეგ, როდესაც პირველთაგან შეიტყობდნენ კონსტანტინოპოლის გზით მოგზაურობის პირობებს და ამოიჩვენებდნენ ყველაზე მართებულ მარშრუტს.

ამრიგად, საქართველოში თეათინელთა მისიონის დაფუძნებას დიდად შეუწყო ხელი პეტრო დელა ვალეს შუამდგომლობამ რომის

პაპის წინაშე — შორეული ქრისტიანული ქვეყნისათვის „სულიერი შემწეობის“ გასანებად.

იმ ინსტრუქციაში, რომელიც დელა ვალემ გადასცა საქართველოში გამგზავრებულ მისიონერებს, სხვათა შორის, აღნიშნულია, რომ მათ უნდა ეზრუნათ არა მხოლოდ თავიანთი მისიონის რელიგიურ ნარმატივებზე, არამედ ბევრითად უნდა შეესწავლათ ქართული ენა, ადგილობრივი ზნე-ჩვეულებანი, პოლიტიკური ვითარების არსებითი ნიშნები, მმართველობის სისტემა, ურთიერთობა ირანსა და ოსმალეთთან. განსაკუთრებით საგულისხმოა ინსტრუქციის ის პუნქტი, სადაც გამოცდილი იტალიელი მოგზაური აფრთხილებდა თეათინელ მისიონერებს, არ გაეღიზიანებინათ მართლმადიდებელი სარწმუნოების მფედლები, არ გამოეთქვათ კრიტიკული შენიშვნები მათი რიტუალის თაობაზე და ყოველთვის გამოეხატათ თავიანთი პატივისცემა და სურვილი თანამშრომლობისა.

როგორც გამოიჩვენა ბოლო ხანებში, დელა ვალეს ახლო ურთიერთობა პაპთან ნიკიფორე ირბახ-ჩოლოყაშვილთან, რომელიც თეიმურაზ მეფის ელჩად იყო წარგზავნილი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში.

1630 წელს პეტრო დელა ვალე რომიდან სწერდა საქართველოში მყოფ პეტრო ავიტაბილეს: „გარწმუნებთ, აქამდე არ შემხვედრია აღმოსავლეთის ქვეყნის შვილი, ვისაც ასე ჩინებულად და სწრაფად შეეთვისებინოს ჩვენი ცხოვრების ყაიდა, შეჭვებოდეს ევროპულ ზნე-ჩვეულებებს და ზედმიწევნით გაეგოს მათი არსი“.

თავისებური ქებაა ნიკიფორე ირბახისა... პეტრომ სწორედ მას გამოატანა წერილი თეიმურაზ მეფესთან და თავისი ახალშერთული ქართველი მეუღლის (თინათინ დი ზიბა) წერილი ხორეშან დედოფალთან. მომდევნო წელს კი, მანვე თეათინელ მისიონერებს არქანჯელო ლამბერტის და ჯუზეპე ჯუდიჩის, საქართველოში რომ მოდიოდნენ, საჩუქრები გამოატანა: თეიმურაზ მეფისათვის — ოქროთი შემკული მშვენიერი ხატი (წმ. გიორგის გამოსახულებით) და მისი მეუღლისათვის — ძვირფასი კრიალოსანი.

პირადად არც თეიმურაზ მეფეს იცნობდა და არც ხორეშან დედოფალს. ზემოხსენებულ წერილში დელა ვალე აღნიშნავს ნიკიფორე ირბახის დახმარებით ქართული შრიფტის ჩამოსხმას რომის სტამბაში ქართული ნიგნების დასაბეჭდად. პეტრო ავიტაბილეს იქვე ამცნობს ქართულ-იტალიური ლექსიკონის გამოცემას რომში და ჰპირდება ამ ნიგნის ეგზემპლარების გაგზავნას საქართველოში მისი ავკარგინობის შესაფასებლად, შეძლებისამებრ შესასწორებლად და მოცულობის გასაზრდელად. და კიდევ: პეტრო დელა ვალე 1630 წლის 10 ივნისით დათარიღებულ წერილში შესახებდა ჯუზეპე ჯუდიჩეს, რომ ზუსტად და დანერჩილებით ეცნობებინათ მისთვის ყველაფერი, რაც ხდებოდა საქართველოში. ამასთან ერთად, ყურადღება მიექციათ ისეთი უმნიშვნელო დეტალებისთვისაც, როგორც იყო ზუსტი ტრანსკრიფცია რომელიმე პიროვნებისა თუ ტოპონიმის დასახელებისა.

...კათოლიკე მისიონერთაგან სწორედ თეათინელებმა დატოვეს ყველაზე მაკაოი კვალი საქართველოს ისტორიაში. ქართულ ენაზე თარგმნილია არქანჯელო ლამბერტის, ჯუზეპე ჯუდიჩის, პეტრო ავიტაბილეს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნაწერები საქართველოზე. გამოცემულ იქნა კრისტოფორო კასტელის ალბომი, რომელიც უნიკალურ განძს წარმოადგენს ქართველი მკითხველისათვის. როგორც ცნობილია, იგი შეიცავს XVII საუკუნის ცნობილ ქართველ მოღვაწეთა თუ უბრალო მოკვდავთა პორტრეტებს, აგრეთვე ყოფაცხოვრებით ჩანახატებს მოკლე კომენტარის თანხლებით.

თეათინელთა მისიონის დაფუძნება საქართველოში — ეს ხომ პეტრო დელა ვალეს დამსახურება გახლავთ! არდავინყება მოყვრისა...

ნიგნის მალაზია „დიოგენემ“ უმასპინძლა რომენ გარის „თეთრი ძაღლის“ პრეზენტაციას. მთარგმნელმა მერაბ ფიფია თვითონ ისაუბრა ნაწარმოებისა და მისი ავტორის შესახებ. რომენ გარი ფრანგი მწერალი, რეჟისორი, სამხედრო მფრინავი, ერთადერთია, ვისაც ორჯერ მიენიჭა გონკურის პრემია, რომელიც, ნესისამებრ, მხოლოდ ერთხელ გადაეცემათ ავტორებს. „თეთრი ძაღლი“ ავტობიოგრაფიული, დოკუმენტური რომანია, ადამიანისა და ძაღლის ურთიერთობის ტრაგიკული ისტორია. მასში მოთხრობილია, თუ როგორ ცდილობდა მწერალი ხელახლა გაეწრთვნა და ადამიანთათვის უსაფრთხო არსებად ექცია პოლიციის მიერ საგანგებოდ შეკანიანებზე დაგეგმილი ნაგაზი. რომანის გაცნობისას მკითხველს თანამაწილეობის განცდა რჩება.

საზოგადოებას მიმართა ზაზა შენგელიამ, რომელმაც მადლობა გადაუხადა ყველა იმ ადამიანს, ვინც მონაწილეობა მიიღო ნიგნის გამოცემაში. მაკო ჯანჯიბუხაშვილმა მიულოცა ნიგნის მკითხველებს, მათ ვისაც უყვართ ფიქრი და აღნიშნა, რომ ეს არაა მხოლოდ ავტო-

ბიოგრაფია, ნიგნი, რომელმაც რა მხოლოდ ამერიკის, ევროპის საზოგადოება დააფიქრა, არამედ — ნიგნი, რომელმაც თითქოს გაცვეთილი რასიზმის თემა სხვა კუთხით დანახა მკითხველს, რადგან ყოველი პრობლემის მიღმა საკითხის გლობალურად დანახვა შეიძლება. ეს კარგი თარგმანია შესანიშნავი მთარგმნელისა. აქ უმცირესი პასაჟი არაა, რომელსაც ვერ გაიგებს მკითხველი. გამომცემლობა „დიოგენეს“ დირექტორმა თამარ ლებანიძემ აღნიშნა, რომ ყოველთვის ცდილობენ „დიოგენეს“ ბიბლიოთეკისათვის მრავალფეროვანი ტექსტები შეარჩიონ. იმ ეპოქის მწერალთაგან განსხვავებით, რომენ გარისათვის დამახასიათებელია სიფქიზე და სიღრმე. ვარდა არაჩვეულებრივი იუმორისა, იგი არაჩვეულებრივად ქმნის პორტრეტს, ეს არის უმაღლესი ლიტერატურული პილოტაჟი და ნიგნს უსურვა ბედნიერი სვლა მკითხველის გულისაკენ. ტარიელ ნამორაძის შეფასებით, რომენ გარი შესანიშნავი მწერალია, მაგრამ იგი საფრანგეთში დარჩებოდა, რომ არა მერაბ ფიფიას იდეალურთან მიახლოებული თარგმანი.